

რედაქტორისგან

„ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანის XII ტომი მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა. აქ წარმოდგენილია ნაშრომები როგორც საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ენათმეცნიერების, ეკლესიის ისტორიის, ასევე სხვა ქვეყნების კულტურისა და მითოლოგიის შესახებ. გარკვეული სიახლეა იმ კუთხითაც, რომ ამ ტომში მასალები წარმოდგენილია რუბრიკების სახით.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ტომი გამოირჩევა ჩვენი ძვირფასი კოლეგების ხსოვნისადმი მიძღვნილი მოგონებების სიმრავლით. ქართულმა პუმანიტარულმა მეცნიერებამ ამ წელიწადში დიდი დაწაკლისი განიცადა. დაგკარგეთ ისეთი ნაყოფიერი და ნიჭიერი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ თინათინ ოჩიაური, ვახტანგ შამილაძე, სოსო ჭანტურიშვილი, მანანა შილაკაძე, მიხეილ ქურდიანი.

ჩვენ მოკრძალებით შევეცდებით მათი ხსოვნის პატივისცემას იმ მოგონებების გამოქვეყნებით, რომლებიც საოცარი სითბოთია სავსე და ოდნავ მაინც წარმოაჩენს მათ დამსახურებას ქართული მეცნიერების წინაშე.

ისტორია History

ხათუნა იოსელიანი

სამხედრო შენაერთების აღმნიშვნელი ქართული ტერმინოლოგია

განსაკუთრებით რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საქართველო უძველესი პერიოდიდანვე მრავალ სირთულეს აწყდებოდა, რაც გარკვეულწილად აისახებოდა მის განვითარებაზე. ამ ვითარებამ ყველაზე მეტი გავლენა სამხედრო საქმეზე მოახდინა. უძველესი ხანიდან მოყოლებული, საქართველოს ძლიერ დამპყრობლებთან უწევდა დაპირისპირება, რამაც თავისთავად განაპირობა სამხედრო საქმის განვითარება, საბრძოლო და თავდასაცავი იარაღის მრავალფეროვნება და საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ქსელის უზადო სახით ჩამოყალიბება.

სხვადასხვა სახელმწიფოებთან ხშირი საბრძოლო ურთიერთობების შედეგად, ქართული სამხედრო ხელოვნება თანდათან იხვეწებოდა. მისი განვითარება ხდებოდა როგორც ადგილობრივი კანონზომიერების შესაბამისად, ისე მოწინააღმდეგის სამხედრო საქმიდან აღებული ნიუანსების საფუძველზე. ამ ერთობლიობამ კი ჩამოყალიბა ქართული სამხედრო ხელოვნება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ტოლს არ უდებდა თავის თანამედროვე სხვა ქვეყნების სამხედრო საქმეს. ქართველების საბრძოლო მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იყო ყველაფერი – გეოგრაფიული გარემო, სტრატეგია, ტაქტიკა, შეიარაღება; საუკეთესოდ იყო მოგვარებული უმთავრესი პრობლემა, რომლის წინაშეც ყოველთვის იდგა ქართული სახელმწიფო – მრავალრიცხოვანი მტრის შედარებით მცი-

რერიცხვანი ძალით დამარცხება. ქართული სამხედრო საქმის ერთერთი პირველი მკვლევარი, ი. გმდევანიშვილი ქართული საბრძოლო წყობის განხილვისას ასეთ დასკვნას აკეთებს: “ქართული საბრძოლო წყობა იყო მოქნილი, ნაწილები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, გააჩნდა რეზერვი; ევროპაში ასეთი წყობა შემოიდეს მხოლოდ ნაპოლეონის შემდეგ” [3, 59-60].

ჩვენი კალევის საგანს ამჯერად არ წარმოადგენს ქართული ლაშქრის წყობა და ბრძოლის წარმოების მეთოდოლოგია. ჩვენ განვიხილავთ ქართულ სამხედრო ხელოვნებასთან დაკავშირებულ ძირითად ტერმინოლოგიას, მათ წარმომავლობას და მნიშვნელობებს.

როგორც აღინიშნა, ქართველებს უძველესი დროიდანვე საბრძოლო ურთიერთობები ჰქონდათ ძლიერ სახელმწიფოებთან, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა არა მხოლოდ სამხედრო საქმის განვითარებაზე, არამედ მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაზეც. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ნაწილი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიისა, სპარსულიდან არის შემოსული, რაც მეტყველებს როგორც სპარსეთთან ინტენსიურ ურთიერთობაზე, ისე ქართული საბრძოლო ხელოვნების სიძველეზე.

ქართული შეიარაღებული ძალების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინები: “ერი”, “ჯარი”, “მხედრობა”, “სპა”, “ლაშქარი”.

უძველესი ქართული ტერმინი, რომელიც ჯარს აღნიშნავდა “ერი” იყო. წყაროებისა და ლექსიკოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, რომ “ერი” თავიდან ორი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იყო. იგი აღნიშნავდა “ხალხს”, “მრავალს”, “ხალხის ერთობლიობას”, “მრევლს”, “წურილი ერი” – მდაბიო ხალხს, ანუ გლეხობას”. ამავე დროს, “ერი” ნიშნავდა ჯარს, “ერმრავალი – დიდი ჯარის პატრონს”, ხოლო “ერისაგანი” – ჯარისკაცს, მეომარს. ტერმინ “ერში” გამოკვეთილი

სამხედრო მნიშვნელობის მაჩვენებელია აგრეთვე “ერისთავის” ინსტიტუტი.

საბას მიხედვით “ერი – მსოფლიო კაცი, ჯარია” [4, 241]; ი. აბულაძეს “ერი” არ აქვს განმარტებული, თუმცა მისგან ნაწარმოები ტერმინები უხვად აქვს დადასტურებული: “ერისაგანი – ჯარისკაცი”; “ერისაკაცი, ერისკაცი – მხედარი, ჯარისკაცი, საერო პირი, მსოფლიო, მდაბიო”; “ერისკაცობისა მოდგამი – თანამოსაგრე, თანამბრძოლი” [1, 150].

ამრიგად, უძველესი ქართული ტერმინი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ახლა მხოლოდ ხალხის, ნაციის აღმნიშვნელად იხმარება, თავიდან ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით “ერის” ორგვარი მნიშვნელობა გასაკვირი არაა, იმიტომ რომ ხალხი და ჯარი უძველეს დროს ერთიდაიგივე იყო [9, 193]. ანუ ქართული ტერმინი მაშინაა გაჩენილი, როდესაც მოლაშქრეობის უფლება ჯერ კიდევ ყველას პქონდა, ჯარი დგებოდა ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცისგან და მოლაშქრეობა მხოლოდ რომელიმე ფეხის პრივილეგიას არ წარმოადგენდა. თუმცა მას შემდეგაც, რაც ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, სამხედრო ტერმინოლოგია სწორედ “ერისგან” იწარმოება: “ერისთავი, ერისმთავარი, ერისმოძღვარი” ჯარის უფროსს, მხედართმთავარს ნიშნავს.

გარკვეული პერიოდი ტერმინი “ერი” ინარჩუნებდა სამხედრო მნიშვნელობას, შემდეგ კი მას ჩაენაცვლა სპარსული წარმოშობის ლექსემები “სპა” და “ლაშქარი”.

ხალხის, გუნდის, სიმრავლის და ასევე ლაშქრის აღმნიშვნელი იყო “ჯარი”, რომელიც თავიდან უამთა-აღმწერელთან გვხვდება: “ათასი ყივჩაყი გაქცეული შეკრბა ვახტანგს თანა ჯარად” [8, 317]. საბასთან ჯარი განმარტებულია როგორც “მრავალნი კაცნი –

მიჯრა ჯარის შეტკეცა” [5, 452]. აქაც იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, ტერმინი აღნიშნავს ოობორც “მრავალ კაცს”, ხალხს, გუნდს, ასევე ლაშქარს, მეომართა კრებულს. თუმცა ეს ტერმინი, “ერისგან” განსხვავებით, სამხედრო მნიშვნელობით განვითარდა და დღეს ქართული საბრძოლო შენაერთების ძირითადი აღმნიშვნელია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ტერმინი “მხედარი//მხედრობა//სამხედრო”, რომელიც დღესაც ჯართან ერთად, ქართული შეიარაღების ერთერთ მთავარ დექსემადაა დამკვიდრებული.

მხედარი თავდაპირველად მხოლოდ ცხენოსანს, ამხედრებულს ნიშნავდა, შემდგომ გაჩნდა “მხედრობა”, რაც მთლიანად ჯარს აღნიშნავდა. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში ყველაზე მნიშვნელოვანი ცხენოსანი ძალა იყო, რის შედეგადაც ეს ტერმინი ზოგადად საომარი ხელოვნების – “სამხედრო” – აღმნიშვნელად იქცა. 1084 წლის ტიპიკონში, რომელიც პეტრიწონის მონასტრისთვის იყო შედგენილი, ერთი მოკლე და ფრთიანი ფრაზით მშვენივრადაა ჩამოყალიბებული ქართველთა დახასიათება, სადაც “მხედრობითა” უკავ ჩვევას, პროფესიას და ეროვნული ხასიათის მთავარ ასპექტს გამოხატავს: “ქართველნი ვართ ნათესავით მხენენი, მხედრობითა აღზრდილნი და მარად ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი”. ასევე შეიძლებას ითქვას დავით აღმაშენებლის ფრაზის შესახებ, რომლითაც ის სამდვდელოებას მიმართავს: “ვითარცა მხედრობასა შინა აღზრდილი..... მარტივთა მოერ სიტყუათა გეზრახო თქვენ” [7, 357].

წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით “მხედარს//მხედრობას” ორი მნიშვნელობა გააჩნია. ერთი ესაა გუნდი, კრებული (“ზეცისა მხედრობანი” [7, 209]), ხოლო მეორე – ცხენოსანი, ცხენზე ამხედ-

რებული. საბას განმარტებით “მხედარი – ცხენოსანი, მებრძოლი, წვრთილი და დიდგვარია” [4, 553]. აქ კარგად ჩანს, რომ “მხედრის” მნიშვნელობაში უმთავრესი საბრძოლო, მეომრული არსია, ამავე დროს გაწვრთნილი და დიდგვაროვანი, რაც ისევ ადასტურებს, რომ საქართველოში მეომარი იყო სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი, ძლიერი და გაწრთვნილი, ანუ თავისი საქმის მცოდნე და შემძლები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მეტად საინტერესო ინფორმაციები და განმარტებები მოიპოვება ქართული ლაშქრის მმართველი სტრუქტურის შესახებ, უმაღლესი სარდლობის ტიტულატურა ასევე ტერმინი “მხედრობისგანაა” წარმოქმნილი.

სულხან-საბა ორბელიანი ჯარის უფროსების, ანუ სარდლების, სამ თანამდებობას გვიჩვენებს. პირველია “მხედართ-მთავარი” – ლაშქართა შემდგომი მეფისა, რომლისა ბრძანებასა ერჩიან ყოველი მხედრობა”. მისი შემდგომი პირია “მხედართ-მოძღვარი” – მხედრობათა მასწავლებელი, ვითარდი უხამო ბრძოლა”; ხოლო მესამეა “მხედართ-მყუანებელი” – ესე არს მხედრობათა წინამდღოლი, სადა ომი ხამს და მისი არს რჩევა, ციხეთა შემოდგომა, დადარნება და მისთანანი” [4, 553].

სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლაშქრის მმართველობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ჩანს, რომ უმაღლესი მთავარსარდლის გარდა, რომელსაც მეფე წარმოადგენდა, ქართულ ლაშქარს ყოლია სამი მთავარი წინამდღოლი, რომელთა ფუნქციებიც ნათლად იყო განსაზღვრული და დიფერენცირებული. I – ეს არის ჯარის უფროსი, მხედართმთავარი, შემდგომი მეფისა, რომელსაც ემორჩილება მთელი საბრძოლო ძალა; II – მხედართმოძღვა-

რი, რომელიც შეიძლება სამხედრო ოპერაციების მრჩევლად და მასწავლებლად ჩავთვალოთ, ვინაიდან ის ურჩევს, სად რა მოქმედება იქნება უპრიანი, როგორ უნდა განლაგდეს ჯარი და რა სახის შეტევა განხორციელდეს; III – მხედართმყუანებელი, ანუ ბრძოლის და მხედრობის წამყვანი, რეალური წინამდღოლი, რომელიც თავად მიუძღვის ლაშქარს, ომობს, გადამწყვეტ სიტუაციაში თვითონ ირჩევს მოქმედების გეგმას, ჩასაფრება იქნება ეს, შეტევა თუ ციხეთა “შემოწყობა” და ა.შ.

საინტერესო ტერმინია დამოწმებული ქართულ წერილობით წყაროებში, ესაა “მენავეთ-მოძღუარი”, რაც “მენავეთა თავს” ნიშნავდა [1, 221]. თუმცა სამწუხაროდ არ ხერხდება იმის დადგენა, ეს ტერმინი აღნიშნავდა თუ არა რაიმე სამხედრო თანამდებობას შეასაუკუნების ქართულ ლაშქარში და იყო თუ არა მხედართმთავრის მსგავსი ინსტიტუტი, ვინაიდან იგი დამოწმებულ ციტაციაში ზოგადად “გონიერების” კონტექსტითაა გამოყენებული: “ბაგრატ . . . ვითარცა ჩელუანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საჭმე აფხაზეთისა” [8, 276].

გარდა ტერმინოლოგიური თვალსაზრისისა, ეს მონაცემები მეტად ფასეულია ქართული ლაშქრის მართვის სტრუქტურის შესწავლისათვის, ჩანს, რომ ჯარის მმართველობა უმაღლეს ჯგუფშიც კი დიფერენცირებული იყო. ის ფაქტი, რომ მეფის, ანუ უმაღლესი მთავარსარდლის შემდეგ ასევე უმაღლესი სამხედრო მმართველობა თუნდაც სამი თანამდებობით იყო განსაზღვრული, უდაცოდ მეტყველებს ქართული ჯარის სტრუქტურულ დახვეწილობაზე. შესაძლებელია, ამ კუთხით პვლევის გაგრძელებამ უფრო მეტად საინტერესო შედეგები მოგვცეს ქართული ლაშქრის წყობის, მმართველობის სტრუქტურისა და ბრძოლის წარმოების მეთოდოლოგიის შესახებ.

ამ ტერმინების გარდა, ქართული შეიარაღებული ძალები საუკუნეების მანძილზე გამოიხატებოდა ტერმინებით “სპა” და “ლაშქარი”.

სპა და ლაშქარი ორივე სპარსული წარმოშობის ლექსემებია. საბას განმარტებით ლაშქარი “დიდი ჯარია სამტერო” [4, 408]; მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით “ლაშქარი” ახალი სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა, რაც უნდა ნიშნავდეს “გამანადგურებელს, თავდამსხმელს, ჯარს, ხალხს” [2, 337-339]. რაც შეეხება სპას, საბა მას ასე განმარტავს: “სპა – მხედარი, სპანი – მხედრობანი”, არსებულა აგრეთვე ტერმინი “სპათმდუარი, რაც “ერისმძღვარს” ნიშნავს [1, 401]. მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით: “სპა – ჯარი, არმია, მხედრობა, ლაშქარი; ქართული სპა უქმველია მოდის ფალაურიდან” [2, 369-371]. ამდენად, სპა და ლაშქარი ორივე სამხედრო კონტინგენტის, ჯარის აღმნიშვნელი ტერმინებია.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, “ლაშქარის” და “სპის” მრავლობითი ფორმა “ლაშქარნი” და “სპანი” ქართულში “განსაკუთრებული მნიშვნელობითაც იხმარებოდა და საგანგებო ცნების აღმნიშვნელ ტერმინებად იქცა” [9, 220]. წყაროების შესწავლის შემდეგ აკადემიკოსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ “ლაშქარნი” და “სპანი” მაღალი სამხედრო წრის, “გუარიანი და დიდებული” ხელისუფლების, ან რაღაც დაწესებულების აღმნიშვნელი იყო. მათი წარმომადგენლები “უბრალო მეომრები კი არ ყოფილან, არამედ მეომართა რჩეული ნაწილი, ქვეყნის ბედიდბალსა და კეთილდღეობაზე მზრუნველი წრე”. მეომართა ამ ნაწილს ივანე ჯავახიშვილი შუასაუკუნეების ევროპის რაინდთა წრეს უდარებს [9, 223].

რაც შეეხება ფოლკლორს, აქ ლაშქარი უფრო ხშირად მოიხსენიება, ვიდრე სპა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფოლკლორული მონაცემების მიხედვით

ლაშქარი მეომრების მცირერიცხოვან ერთობლიობა-საც ნიშნავდა. მაგალითად, სვანურ პოეზიაში ლაშქრად მოიხსენიება ორი ან სამი ათეული მეომრისგან შემდგარი რაზმიც.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ “ლაშქარი//ლაშქარნი”, “სპა//სპანი” ზოგადად იყო როგორც მთლიანად ჯარის, ასევე მაღალი სამხედრო წრისა და მებრძოლთაგან შექმნილი ჩვეულებრივი გუნდის აღმნიშვნელი ტერმინები. თუმცა ჩანს, რომ მათ ძირითადად მაინც შეინარჩუნეს თავდაპირველი მნიშვნელობა, რაც მებრძოლთა ერთობლიობას, ჯარს გულისხმობდა.

რაც შეეხება ასევე ძველი ქართული სამხედრო ხელოვნებისგან განუყოფელ ტერმინებს: “სპასპეტი – (მხედართმთავარი, საშუალო სპარსულიდან მოდის [2, 371], სპასალარი – (მხედართმთავარი, ჯარის უფროსი, ახალი სპარსული [2, 372], ამირბარი, სარდალი – (ძველი სპარსული, [6, 859]”, სპარსული წარმომავლობისანი არიან.

მცირეოდენი კვლევის შედეგად, რაც ქართული წერილობითი წყაროებისა და ლექსიკოლოგიური კვლევების მონაცემებზე იყო დაფუძნებული, გამოჩნდა, რომ ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნება დიდი ტრადიციების მატარებელია, სადაც ერთმანეთ-საა შერწყმული საკუთარი და სხვა ქვეყნების საბრძოლო გამოცდილება და ტერმინოლოგია.

წყაროები და ლიტერატურა

1. o. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
3. o. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში (ნიმუშები სამხედრო ისტორიიდან), ტფ., 1915.
4. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
5. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი II, თბ., 1990.
7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
9. o. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982.

Terms Denoting Military Units in Georgian

The geopolitical situation from the very beginning determined complicated and acrid relations of Georgia with big neighboring countries that in fact were mainly displayed in war affairs. The country that was in the state of permanent defense was of course developing the art of war. It means that country was producing various kinds of weapons of high quality, developing fortifying system, constructed fortifying buildings and was forming methodology of fighting (strategy, tactics...) completely.

Georgian terms denoting military units are various. They were changed in the course of time. Ancient term that was denoting both people and army was “erī”. “Eri” meant people, nation and forces, army as well. “Erisagani” meant warrior, it also was denoting army, host. It also meant group, many and army. The reason of this is that ancient Georgian terms are formed at that very period when the service in the forces was not a privilege of the high society members and everybody was allowed to serve in the army.

In the following period Persian lexemes such as: “spa”, “lashkari”, that are equal to “jari” and “erī”, were inculcated.

Finally the term “erī” was developed as a word denoting only people, nation; as a term denoting ethnicity and had lost the military semantics. We can say the same about “spa”, and “lashkari”. Finally remained only “jari”, that from the beginning was denoting “mravali” as well. As for “mkhedroba”, that meant forces and was originated from “tskhenosani=amkhedrebuli”, is partly used in the modern speech and its derivative word “samkhedro” generally means art of war and military structures.

შალვა გლოველი

ქართველ მეფეთა ტიტულატურის შესახებ - „მეფეთა-მეფე“

მეფეთა ტიტულატურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხია. ტიტულატურის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, ის საკმაოდ საინტერესო და მდიდარ ინფორმაციას მოიცავს. საქართველოს ისტორიაშიც მეფეთა ტიტულატურის მიხედვით არაერთი საკითხი ნათელი გამხდარ მკვლევართათვის. ამჯერადაც გვინდა ერთი ტიტულის – „მეფეთა-მეფის“ – შესახებ ვისაუბროთ და კონკრეტულ ფაქტებთან ერთად გავიაზროთ ამ ტიტულის შინაარსი, მასში დაცული მდიდარი ინფორმაცია და ისტორიული ფაქტები. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ საუბარი ეხება არა ზოგადად „მეფეთა-მეფის“ ტიტულს, არამედ „ქართველთა სამეფოში“ ამ ტიტულის შინაარსს, კერძოდ, გურგენ მეფის მიერ „მეფეთა მეფის“ ტიტულის ფლობას.

როგორც ცნობილია, 994 წელს გარდაიცვალა ბაგრატ II „ქართველთა მეფე“ („რეგვენად“ წოდებული). მის შემდეგ ეს ტიტული და სამეფო ტერიტორიებიც უნდა გადასულიყო მისი მემკვიდრეების გურგენის (ბაგრატ II-ის ძე) და ბაგრატ III-ის (გურგენის ძე, ბაგრატ II-ის შვილი შვილი) ხელში. გურგენი წყაროებში იხსენიება „მეფეთ-მეფის“ ტიტულით და არა „ქართველთა მეფედ“.

როგორც ირკვევა, 994 წელს ბაგრატ II „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტული გადასულა არა მისი მემკვიდრეების, არამედ დავით კურაპალატის ხელში. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ათონის ლავრაში გადაწერილი ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ექვთიმე ათონელის თარგმნილ

თხზულებებს. მნიშვნელოვანია, რომ მის ანდერძ-მინაწერებში 6-ჯერ იხსენიება დავითი, აქედან 4-ჯერ როგორც „ქართველთა მეფე“. პ. კეკელიძემ ამ ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებული დავითი გააიგივა დავით კურაპალატთან [8, 205]. დავით III-ის „ქართველთა მეფებას“ იზიარებენ ც. ქურციკიძე და მ. ლორთქიფანიძე [17, 338-339; 18, 374, 377; შეად. 13, 78-81; 19, 36]. პროფესორმა ნ. შოშიაშვილმა, გაიზიარა რა ადნიშნული მოსაზრება, დაასკვნა, რომ ანდერძ-მინაწერი შესრულებულია 994-1001 წლებში, ანუ ბაგრატ II „ქართველთა მეფის“ გარდაცვალებიდან თავად დავით III კურაპალატის გარდაცვალებამდე პერიოდში [16, 120]. ე. ი. ბაგრატ II-ის შემდეგ „ქართველთა მეფე“ არ გამხდარა არც გურგენი და არც ბაგრატ III, ამ ტიტულის მფლობელი ხდება დავით III კურაპალატი [12, 471].

პირველად ბაგრატ III „ქართველთა მეფედ“ იხსენიება წვიმოეთის ტაძრის წარწერაში, რომელიც დათარიღებულია და შესრულებულია 1002 წელს:

„სახელითა ღმრთისათა მე გლახაგ/მან ან-ნა ვიწყე შენებად/წმადასა ამას ეკლესიასა სა/ყოფელსა წმიდათსა ნათლის მცე/მელისასა სალოცველად, ადიდენ ღმერთმან/ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და/ქართველთა მეფისა და კურაპალატისა, და ძისა მა/თისა გიორგი ოუფლის წულისა და /მეფისა ჩუენისა და საგსრა/დ ცოდვილისა სულისა მშობელთა /და მამათა ჩემთათვეს ქორონიკონი იყო სკბ“ [20, 154].

მაშასადამე, ბაგრატ III „ქართველთა მეფის“ ტიტულის მფლობელი გახდა მხოლოდ დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ. ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ვალერი სილოგავაც [15, 52-53]. ყოველი შემთხვევისათვის, მანამდე (1001 წლამდე) ბაგრატი არსად არ არის მოხსენიებული „ქართველთა მე-

ფედ“. რაც შეეხება 996 წლის მარტვილის წარწერას, ის არ უნდა იყოს სწორად აღდგენილი მ. ბროსეს მიერ. „ბროსე, - წერს ე. თაყაიშვილი, - ასე კითხულობს და სთარგმნის წარწერას: [დმერთო შეიწყალე] მეფე აფხაზთა [და ქართველთა ორთავე შინა] ცხოვრებათა ადაშენა წმინდა ესე სანათლა [ვი].... დასაბამითგანთა წელთა ქ. (?). ქორონიკონსა სივ“ [6, 4]. როგორც ჩანს, აქ ბაგრატ III-ის ტიტული „ქართველთა მეფე“ ბროსეს მიერაა აღდგენილი. ეს წარწერა გამოცემულია ვ. სილოგავას მიერაც, სადაც, ჩვენი აზრით, ტექსტი უფრო ზუსტადაა აღდგენილი:

„[† ადიდენ დმერთმან ბაგრატ] მ(ე)ფშ აფხაზთა [ორთავე შინა] ცხორის(ე)ბ(ა)თა; ადაშენა წ(მიდა) ესე სანათლა[ვი] დ(ა)ს [აბამი]თგ(ა)ნ [თ]ა წ(ე)ლთა [ხ]ქ, ქრონიკონსა სივ“ [15, 35].

მაშასადამე, დავითმა ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებით სულ ცოტა 7 წლით მაინც შეაფერხა ბაგრატ III-ის „ქართველთა მეფედ“ გახდომა ანუ საქართველოს გაერთიანების პროცესი; ყოველივეს გათვალისწინებით, თითქოს გასაგები ხდება, თუ რატომ იწოდება გურგენი „მეფეთ-მეფედ“. იქნებ მან ეს ტიტული, ამ ეტაპზე, დაუპირისპირა „ქართველთა მეფეს“? როგორც ვნახეთ, ბაგრატ II-ის შემდეგ „ქართველთა მეფე“ გამხდარა დავით III კურაპალატი. ეს ტიტული გვარში უფროსი მეფის შინაარსის მატარებელია. ისტორიულ წყაროებში, როგორც აღვნიშნეთ, გურგენი იხსენიება „მეფეთ-მეფედ“ [9, 278; 14, 52; 5, 29...]. ეს ტიტულიც მეფეთა შორის უპირველესს, უფროს მეფეს უნდა აღნიშნავდეს. იქნებ გურგენი ასე უპირისპირდება სწორედ დავით III კურაპალატსა და აწ უპვე „ქართველთა მეფეს“. „მეფეთ-მეფობით“ ის ერთგვარად იგსებს იმ დანაკლისს, რომელიც მას მიაყენა დავითმა „ქარ-

თველთა მეფის“ ტიტულის წარომევით. „მეფეთ-მეფობა“ არ არის უცხო ბაგრატიონთათვის. ამ ტიტულით თვით დავით კურაპალატიც იხსენიება 973 წ. „პარ-ხლის ოთხთავის“ მინაწერში [1, 79]. მნიშვნელოვანია ერთი ანალოგია: მაშინ დავითმაც დაკარგა „ქარ-თველთა მეფის“ ტიტული. ის იყო ბაგრატ I „ქარ-თველთა მეფის“ შვილიშვილი და მისი კანონიერი მემკვიდრე. მიუხედავად ამისა, „ქართველთა მეფე“ გახდა ბაგრატ II „რეგენი“ (სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ შეძლო დავითმა ამ ტიტულის მიღება). შესაძლოა, მაშინაც მოხდა ამ ტიტულების დაპირისპირება. დავით III-მ დაკარგა რა „ქართველთა მეფობა“, იწოდა „მეფეთ-მეფედ“, ანუ ამით ხაზი გაუსვა მის კანონიერ უფლებას - იყოს უპირველესი მეფეთა შორის (საინტერესოა ტიტულების – „ქართველთა მეფე“ და „ქართველთა კურაპალატის“ ურთიერთმიმართებაც. ისტორიკოს ნიკოლოზ გურგენიძის აღნიშვნით, „ქართველთა კურაპალატის“ ტიტულის შემოდება გამოწვეული იყო ბიზანტიის მხრიდან კურაპალატის ტიტულით მანიპულირებისათვის. იგი წარმოადგენდა შუალედურ ტიტულს „კურაპალატსა“ და „ქართველთა მეფის“ ტიტულებს შორის და ვინაიდან ერთიანი ქართული სამეფოს შექმნის გამო დაკარგა თავისი ფაქტიური შინაარსი, ამოდებულ იქნა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურიდანაც) [4, 18-24].

მივუბრუნდეთ გურგენ „მეფეთა-მეფეს“. სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, „ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს და ამისთვის გურგენს მეფეთმეფობა ეწოდა“ [14, 52]. სუმბატის მიხედვით, რადგანაც ბაგრატი (III) „ქართველთა სამეფოში“ მამის გამეფებამდე უპავ იყო გამეფებული „აფხაზეთში“, ამიტომ გახდა გურგენი „მეფეთ-მეფე“. აქ საქმე უნდა გვქონდეს ამ ფაქტის სუმბატის ეულ გაგებასთან [შეად. 7, 109]. მოტანილი ციტატი-

დან ჩანს, რომ სუმბატს გურგენი წარმოდგენილი ჰყავს არა მხოლოდ „ქართველთა“ სამეფოში უპირველეს მეფედ, არამედ სხვადასხვა სამეფოების - „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეების მეფედ და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული სამეფოები ჯერ კიდევ არ არიან გაერთიანებულნი. მაშასადამე, სუმბატის განმარტების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ „მეფეთ-მეფობა“, ამ ეტაპზე, ბევრად უფრო მაღალ ტიტულად მოიაზრება, ვიდრე „ქართველთა“ ან ოუნდაც „აფხაზთა მეფობა“. გურგენის „მეფეთ-მეფობის“ სუმბატისეული გაგების თანახმად, ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 994 წლიდან შეიძლება გურგენი მივიჩნიოთ ერთგვარ სიმბოლურ მეფედ იმ ერთიანი სამეფოსი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და რომელსაც რეალურად მისი ძე - ბაგრატ III ჩაუდგება შემდეგ სათავეში. იმ დროს ეს იქნებოდა აშკარა ხაზგასმა, რომ „მეფეთ-მეფე“ გურგენის კანონიერი მემკვიდრე - ბაგრატ III იქნება უპირველესი დავით კურაპალატ - „ქართველთა მეფესთან“ მიმართებაშიც, მაგრამ ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლევა გურგენის „მეფეთ-მეფობის“ მხოლოდ სუმბატისეული ახსნა, რაც შეიძლება გადაჭარბებულიცაა; სუმბატ დავითის ძე არის უკავე გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოში მოღვაწე პიროვნება და ამ კუთხით აქვს გურგენის „მეფეთ-მეფობა“ ახსნილი, რაც საგსებით შესაძლებელია, არ იყოს ახლოს ჭეშმარიტებასთან. უფრო რეალურად მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე, გურგენი, აწ უკავე „ქართველთა მეფე“ დავით III-ის საწინააღმდეგოდ, იწოდა „მეფეთ-მეფედ“. ისტორიკოსი ზ. პაპასქირი წერს: „ბაგრატ „რეგუენის“ გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა“ მეფედ იწოდა არა მისი ძე გურგენი, არამედ ამ უკანასკნელის ვაჟი ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე: ეს გაეკთდა ბაგრატ III-ის ლეგიტიმისტური უფლებების განსამტკიცებლად ტაო-

კლარჯეთში. ამ დონისძიების ინიციატორად უნდა მივიჩნიოთ თვით გურგენი (შეიძლება დავით კურაპალატიც)“ [13, 81-82]. ის რომ ბაგრატი გურგენის სიცოცხლეშივე იწოდა „ქართველთა მეფედ“, რასაკვირველია, გურგენის თანხმობით მოხდა, ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ პოლიტიკური დაძაბულობის დროს, მაგრამ დაშვება იმისა, რომ დავით კურაპალატიც ხელს უწყობდა ბაგრატ III-სთვის „ქართველთა მეფის“ ტიტულის გადაცემას, ცოტათი გაუგებარია; დავითმა ხომ თავადვე მიიღო ეს ტიტული ბაგრატ II „რეგენის“ გარდაცვალებისთანავე და, ალბათ, სწორედ ამიტომ გახდა გურგენიც „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მატარებელი, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

იმ არგუმენტების გათვალისწინებით, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, კერძოდ - 1. ბაგრატ II-ის გარდაცვალებიდან (994 წლიდან) დავით კურაპალატის გარდაცვალებამდე (1001 წ.) ბაგრატ III არც ერთ წყაროში არ იხსენიება „ქართველთა მეფედ“; ის „ქართველთა მეფედ“ პირველად იხსენიება ხცისის ეკლესიის 1002 წლის წარწერაში (ანუ ზუსტად დავით კურაპალატის გარდაცვალების მეორე წელს); 2. გურგენი მამის - ბაგრატ II „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ არ იხსენიება „ქართველთა მეფედ“, არამედ ის იწოდა „მეფეთა-მეფედ“; 3. ათონურ ხელნაწერში დავით III კურაპალატი მოიხსენიება „ქართველთა მეფედ“ - ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფეა“ დავით III კურაპალატი. 1001 წლის შემდეგ ბაგრატ III უკვე ხდება მეფე „აფხაზთა და ქართველთა“, ანუ საქართველოს გაერთიანების პროცესი კვლავ გაგრძელდა [საქართველოს გაერთიანების საქმეში დავით III კურაპალატის როლის შესახებ იხილეთ აგრეთვე: 11; 3; 10; 2].

რაც შეეხება ტიტულს „მეფეთა-მეფე“-ს, ჩვენი აზრით, ის აღნიშნულ შემთხვევაში, მაინც არ იყო

მემკვიდრეობითი ოფიციალური ტიტული. ამითიც აიხსნება, რომ ის არ გადადიოდა მემკვიდრეობით; „ქართველთა სამეფო ში“ „მეფეთა-მეფედ“ იწოდებოდნენ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის საპირისპიროდ და იგივე შინაარსით რა შინაარსაც ატარებდა თავის თავში „ქართველთა მეფის“ ტიტული – უპირველესი მეფე მეფეთა შორის.

წყაროები და ლიტერატურა

1. შ. ბადრიძე, დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის. თსუ შრომები. В 8-9 (155-156), ჰუმანიტარული მეცნიერებანი. თბ., 1974.
2. შ. გლოველი, ნ. გურგენიძე, ქართველ პოლიტიკოსთა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. კრ. „საისტორიო შტუდიები“ IV, თბ., 2003.
3. კ. გრიგოლია, რეცენზია წიგნისა გიორგი მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №10, 11, მარტი, 1994.
4. ნ. გურგენიძე, „ქართველთა მეფისა“ და „ქართველთა კურაპალატის“ ურთიერთმიმართებისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, V, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2001 წ. 24-27 სექტემბერს ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალ-

გაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები, თბ., 2002.

5. ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
6. ე. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი. ოდაჭმორ-გამომცემელი ბუბა კუდავა, თბ., 1993.
7. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფო ებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954.
8. კ. კაკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
9. მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“ I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
10. გ. მელიქიშვილი, ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №13. 1 აპრილი, 1994.
11. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
12. გ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთ. 1996.
13. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
14. სუმბატ დავითის ძე, ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუებ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან. ტექსტი გამოსა-

- ცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და სა-
ძიებლები დაურთოთ გონიერი არახამიამ, თბ., 1990.
15. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II.
დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-
XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვა-
ლერი სილოგავამ, თბ., 1980.
 16. ც. ქურციკიძე, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნა-
წერის შესახებ. „მწიგნობარი“. თბ., 1980.
 17. М. Д. Лордкипанидзе, Картвельское царство (Тао-Клар-
джети). В кн.: Очерки истории Грузии. II. Грузия в IV-
Х веках, Тб., 1988.
 18. М. Д. Лордкипанидзе, Предпосылки объединения груз-
инских земель. В кн.: Очерки истории Грузии. II. Груз-
ия в IV-X веках, Тб., 1988.
 19. З. Папаскири, От Давида до Давида. Из истории между-
народных отношений Грузии, 70-е годы X – 80-е годы
XI вв. Тб., 2001.
 20. Р. Шмерлинг, Древний Цвимоэтский храм близ сел.
Хциси. „ქართული ხელოვნება“. ქართული ხელოვ-
ნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4, თბ.,
1955.

Shalva Gloveli

About the Title of the Georgian Kings-“Mepeta Mepe”

The article deals with the question of Georgian kings' titles, mainly the title “Mepeta Mepe” (King of Kings). The issue of kings' titles is important subject of the research as they give us many sided, rich and significant information. The article discusses the issue of the meaning of mentioned title and its possession in the “Kingdom of Georgians”, mainly possessing of the title “Mepeta Mepe”(King of Kings) by king Gurgen. The political aspects of receiving this title are shown in the article as well.“In the Kingdom of Georgians” the title of “Mepeta Mepe”(King of Kings) is admitted as the opposite term of “King of Georgians”.The opinion that Gurgen the son of Bagrat opposes David III “King of Georgians” and europalate with the title of “Mepeta Mepe” (King of Kings) is also shared in the article.

It is believed that “In the Kingdom of Georgians” title “Mepeta Mepe” (King of Kings) was not officially hereditary title. It was not possessed by heritage. Only in some cases, kings “In the Kingdom of Georgians”, in the opposite of the title “King of Georgians” were called “Mepeta Mepe” (King of Kings). This title had the same meaning as the title“King of Georgians”; the meaning of the first king among other kings.

ანდრო გოგოლაძე მედეა გოგოლაძე

ტერმინ „ალექსანდრეს კარის“ წარმომავლობის საკითხი

კავკასიის გადმოსასვლელების კონტროლს უდევ-ლესი დროიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ ძველ გადმოცემებში აქტუალური იყო ცივილიზებული სამყაროს ველურ ხალხთა სამყოფელისაგან გამმიჯნავი საზღვრის საკითხი. ამ რეგიონს და იქ მცხოვრებთ ბიბლიური ტრადიცია გოგისა და მაგოგის მსარეებად და ხალხებად მოიაზრებს. წყაროებში მათ, ზოგადად, ჩრდილოეთის კიდეები ეწოდებათ.

უძველესი ტრადიცია ჩრდილოეთის ველურ ხალხთა სამყოფელის და იქიდან მომავალი საფრთხის შესახებ ისტორიული რეალობითაც დასტურდება. უხსოვარი დროიდან კავკასიონის გადმოსასვლელებით სარგებლობდნენ კიმერიელების, სკვითების, პუნების, სარმატების მეომარი ტომები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ იმ დროის ცივილიზაციებს და აქედანვე მნიშვნელოვანი გახდა ამ გადმოსასვლელების დაცვის და კონტროლის საკითხი.

ანტიკური წყაროები კავკასიის მთებს სხვადასხვა დასახელებებს აძლევდნენ. ოქონიტოსი (ძვ. წ. IV-III ს.ს.), პუბლიუს ვერგილიუს მარონი (ძვ. წ. I ს.) და სხვ. კავკასიას სკვითის მთას უწოდებენ [2, 163-166, 445], კლავდიოს პტოლემაიოსი დასავლეთ კავკასიის გადმოსასვლელს სარმატის კარიბჭედ მოიხსე-

ნიებს [2, 356ბ]. როგორც ჩანს, ეს სახელწოდებები მომდინარეობენ იმ ეთნოსებისაგან (სკვითები, სარმატები), რომლებიც სარგებლობდნენ ამ გზებით სამხრეთ კავკასიაში მოსახვედრად. ამის ნათელი მაგალითია აგრეთვე, დარიალის სახელწოდება, რომელიც სპარსულად ოსთა კარს ნიშნავს.

კავკასიონის ძირითად გადმოსახვლელებს დარიალს და დარუბანდს მემატიანები სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებენ.

ოსებ ფლავიუსი (ახ. წ. I ს.) ჰირკანიის გასავალს უწოდებს იმ ადგილს, რომელიც ალექსანდრემ რეინის კარით დაკეტა. თავის „იუდეველთა სიძველებში“, ფლავიუსი, ტიბერიუსისა და არტაბანოსის ბრძოლებთან დაკავშირებით წერს, რომ ტიბერიუსი „დიდი ფულადი საბოძვრით იბირებდა იბერთა და ალბანთა მეფეებს, რომ შებრძოლებოდნენ ისინი არტაბანოსს დაუყოვნებლივ. ამათ უარი უთხრეს ამ შებრძოლებაზე, ხოლო ალანებს კი გზა მისცეს თავის ქვეყნებზე, გაუდეს მათ კასპიის კარი და შეუსიეს არტაბანოს“ [14, 63]. თ. ყაუხებიშვილი „ჰირკანიის გასავალში“ დარუბანდს მოიაზრებს, ხოლო კასპიის კარში, უფრო დარიალს [14, 63].

განსაზღვრავს რა მანძილს ისტორიულ-გეოგრაფიულ პუნქტებს შორის, სტრაბონი (ძვ. წ. I – ახ. წ. I) ამბობს: „ხოლო ერატოსთენესი მსოფლიოს სიგრძედ იღებს იმ ხაზს, რომელიც გადადის სტელებზე, კასპიის ბჭეზე და კავკასოსზე, ჰირდაპირი ხაზით... როგორაა, რომ კასპიის მთიდან კასპიის ბჭემდე გაყვანილი ხაზი ტოლია იმისა, რომელიც თაფსაკოსიდან მოდის ამავე პუნქტამდე?“ [2, 211].

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი) (ახ. წ. I ს.) იძლევა რა ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას, კასპიის კარების სახელწოდებას შეცდომად მიიჩნევს და მას კავკასიის კარებს უწოდებს: „მათ იქით

არის კავკასიის კარები, რომელსაც მეტად მცდარად ბევრი კასპიის კარებად იხსენიებს. ეს არის ბუნების უზარმაზარი ქმნილება, რომელიც მთათა უეცარი გათიშვის შედეგად არის წარმოქმნილი და სადაც გასასვლელი ჩახერგილია შერკინული მორებით.... კარის მხარეზე კლდეზე არის ციხე-სიმაგრე, რომელსაც კუმანიას უწოდებენ, რომელიც აღმართულია ურიცხვი ტომებისთვის გზის გადასაღობად. ამდენად, ამ ადგილას, სწორედ იბერიის ქალაქ ჰერმასტუსის საპირისპირო მხარეს, ამ კარებით ქვეყანა ნაწილებად არის გაყოფილი. კავკასიის კარებიდან გურდინიის მთებში ცხოვრობენ ვალები და სუაუები, უკულტურო ტომები; თუმცა ოქროს საბადოებს კარგად თხრიან. მათგან მოყოლებული პონტოსამდე ცხოვრობს ჯერ ჰენიოხთა, შემდეგ კი – აქეელთა მრავალი ტომი. ასეთია სამყაროს ერთ-ერთი უკელაზე დიდებული კუთხე“ [2, 502].

„ალექსანდრიანის“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა ურწმუნო წარმართები დევნა ჩრდილოეთის კიდემდე. ეს წარმართი ტომები შეჰყარა მთებში, ღმერთების დახმარებით ჩაკუტა ისინი იქ, გააკეთა დიდი სპილენძის კარი, წაუსვა ჯადოსნური წამალი, რომელსაც არც ცეცხლი ეკარებოდა და არც რკინა [1, 143-144]. როგორც ცნობილია, „ალექსანდრიანი“, რომლის ავტორს პირობითად ფსევდოკალისთენეს უწოდებენ, მრავალ ენაზე ნათარგმნი. რომანის ქართულ თარგმანში აღნიშნულ კარს კადსპიდნი, ხოლო რუსულში „Врага аспидеска“, „аспидовыми“ [7, 55, 120] ეწოდება.

ქართული წყაროებიც არ მიჯნავენ ამ გადმოსასვლელების სახელწოდებებს. კასპიის და კავკასიის კარი შეიძლება ეწოდებოდეს, როგორც დარუბანდს, ისე დარუბანდს.

ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის გადასასვლელი შეიძლება იყოს, როგორც დარიალი, ისე დარუბანდი: „ამან ასფაგურ განუხენის კარნი კავკასიან-

თანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეპნი და ხაზარნი...“ [3, 59]. ვახუშტი იგივე პასაჟის გამეორებისას კავკასიის კარს დარიალს უწოდებს: „ხოლო ასფაგურ განახუნა კარნი დარიელასი და გამოიყვანნა ოვსნი და ლეპნი“ [4, 70].

ლეონტი მეორეგან წერს: „მაშინ სომებთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნეს კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნეს ოვსნი და ლეპნი“ [3, 136]. აქაც, მემატიანე კავკასიის კარში დარიალს გულისხმობს.

„მოქცევად ქართლისად“ ჭელიშური რედაქცია ქართლში მეფობის დასრულების სიუჟეტს ასე გადმოგვცემს: „ამის ბაკურის ზე დაესრულა მეფობად ქართლისად... და ვითარცა მეფობად დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს. და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს... და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა. მაშინ დაიმჯუნეს სპარსნი. და სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს“ [5, 95].

ჩვენამდე მოღწეულია რიგი წყაროები, რომლებიც ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობას გადმოგვცემენ. ფსევდოკალისთვენეს „ალექსანდრიანში“ აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავალი, გამდიდრებული ისტორიული, ფოლკლორული თუ ლეგენდარული სიუჟეტებით. აქ მოთხრობილია ალექსანდრეს მიერ ველურ ხალხთა განდევნა და მათი ჩრდილოეთის მთებში შემწყვდევის ამბავი, სადაც ის აკეთებს დიდ სპილენძის კარს. ამ კარს, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ თარგმანში კადსპიდნი ეწოდება [1, 143-144]. მართალია, რომანში აღწერილი ეს ამბავი ინ-

დოეთის მიღმა აღმოსავლეთში ხდება, მაგრამ ჩვენ გვაეჭვებს ტერმინ კადსპიდნის ლოკალიზაციის საკითხი. ვფიქრობთ, რომ კადსპიდნი – კასპიის კარის აღმნიშვნელია. მიუხედავად იმისა, რომ რომანის ტრადიცია არ იძლევა ზუსტ გეოგრაფიულ საზღვრებს, ვვარაუდობთ, რომ ეს ამბები კავკასიაში ხდება.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (ახ. წ. I ს.) აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო კავკასია, „ეს არის მაკედონია, რომელიც ოდესაც მთელი სამეგაროს მპყრობელი იყო და სწვდებოდა აზიას, არმენიას, იბერიას, ალბანიას, კაპადოკიას, სირიას, ეგვიპტეს, ტავრუსს, კავკასიას“ [2, 497].

გაიუს იულიუს სოლინუსი (ახ. წ. III ს.) იმეორებს პლინიუსის ნათქვამს, „ალექსანდრე დიდმა დაიმორჩილა აზია, არმენია, ალბანია.... ტავროსი და კავკასოსი გადალახა“ [2, 560].

იოსებ ფლავიუსის გადმოცემით, რომაელები ვესპასიანეს დროს აპირებდნენ შექრილიყვნენ მიდიაში და „ამიტომ ჰირკანელთა მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ეს იმიტომ, რომ ჰირკანელთა მეფე იყო მფლობელი გასასვლელის, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის ბჟევბით ჩაკეტა. ჰირკანელთა მეფემ მათ გზა მისცა. მრავალრიცხოვანი ალანი თავს დაესხა მიდიელებს“ [2, 227].

კურციუს რუფუსის (ახ. წ. I ს.) აღწერილ ალექსანდრეს ლაშქრობაში მოხსენიებულია კავკასოსის მთები, სადამდეც მანძილი მაკედონელებმა 17 დღეში გაიარეს. კავკასოსი სხვა წყაროებში ინდოეთის მთებად არის წარმოჩნდილი, მაგრამ ამ აგტორთან ალექსანდრეს ლაშქრობის მარშრუტი კავკასოსის მთებისკენ მიდის ამაძონების სამყოფელის გავლით, რაც ეჭვს ბადებს, რომ აგტორის აღწერილი ამბავი ეხება კავკასიას და არა ინდოეთის მხარეებს. კურციუს რუ-

ფუსი ამამონების სამყოფელს კავკასიაში, კერძოდ, მდინარე ფასისის მხარეებში მოიხსენიებს [2, 493-495].

კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით, სარმატის კართან სიახლოვეს იყო ალექსანდრეს სვეტები. სარმატის კარი კი აგტორთან დარიალის გადმოსასვლელს აღნიშნავს [2, 356ბ].

მარტიანუს კაპელა (ახ. წ. IV-V სს.) წერს: კავკასიას აქვთ კარიბჭე – მას კასპიისას უწოდებენ. ეს არის უცხოელთა მიმოსვლის შესაკავებლად, რეინის კოჭებით გადარაზული, კლდის შემონაჭრები [2, 623].

მოვსეს ხორენაცი აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო კავკასია, დიდი ქართველი პიტიახში მიპრდატი „ალექსანდრემ ივერიელთა ქვეყნიდან მოყვანილი ტყვების ხელისუფლად დაადგინა. მიპრდატს მიანდო ჩრდილოეთის მეფისა და პონტოს ზღვის გამგბლობა“ [6, 111].

ჩვენთვის საინტერესოა, კასპიის ბჭის (კარის) ლოკალიზაციის საკითხი. როგორც ირკვევა, მასში იგულისხმება, როგორც დარუბანდი, ასევე დარიალი. თუმცა კასპიის ბჭენი ანტიურ ავტორებთან, რიგ შემთხვევაში აღნიშნავდა მიდიოდან პართიაში გადასასვლელს. ცნობილია, რომ ამ გადმოსასვლელს მეისტორიენი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების ერთერთ პუნქტად მოიაზრებენ და ალექსანდრეს კარის სახელითაც იხსენიებენ. როგორც წყაროებიდან ჩანს, ალექსანდრეს კარის წარმომავლობა უკავშირდება მაკედონელის მიერ ველური ხალხების დამარცხებას და ჩრდილოეთის მთებში გადარეკვას და მათი შემოსვებისაგან თავდაცვის მიზნით, იქ ციხე-სიმაგრეთა სისტემის შექმნას. ჩვენი აზრით, ალექსანდრეს კარის ეს ლეგენდა თუ ისტორიული რეალია, არა პირკანიის მთებს, არამედ კავკასიის გადმოსასვლელებს ნიშნავს, რადგან ველურ ხალხთა სამყოფელი კავკასიის ჩრდი-

ლოეთით ლოკალიზდებოდა და არა კასპიის ზღვის სამხრეთით.

თვით ფლავიოს არიანეც კი, რომელიც კავკასო-სის მთებს ინდოეთში ათავსებს და მიიჩნევს, რომ ალექსანდრეს კავკასიაში არ ულაშქრია, ერთ საყურადღებო ცნობას იძლევა, როცა აღწერს ალექსანდრეს მიმართვას ჯარისადმი: „თუ თქვენ ყველას გინდათ წასვლა, ყველანი წადით, ხოლო შინ რომ მიხვალთ, უამბეთ თქვენიანებს, რომ მიატოვეთ თქვენი მეფე, ალექსანდრე, რომელმაც გაიმარჯვა სპარსელებზე, მიდიელებზე, ბაქტრიელებსა და საკებზე, დაიმორჩილა უქსიები, არახოტები, დრანგები; მფლობელი პართელების, ხორაზმელების, ჰირკანიელების ვიდრე კასპიის ზღვამდვ; ის, რომელმაც გადაიარა კავკასოსი კასპიის ბჭის ზემოთ, გადალახა მდინარე ოქსოსი და ტანაისი, ასევე მდინარე ინდოსი, რაც დიონისეს გარდა არავის გადაუვლია...“ [14, 186]. ჩვენი აზრით, აქ საუბარია კავკასიის მთებზე და არა ინდოეთის პინდი-უშზე. მიუხედავად იმისა, რომ თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ალექსანდრეს კავკასიის მთები არ გადაულახავს, ამ ადგილს ისიც დამაფიქრებლად თვლის [14, 184]. 6. ნიკოლოზიშვილი კი აღნიშნავს, რომ შეიძლება ეს იყოს პონტოს კავკასია 13, 36-37].

ქართული საისტორიო მწერლობა (ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, უცნობი ავტორის „მოქცევად ქართლისად“) პირდაპირ ცნობებს იძლევიან ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ.

„მოქცევად ქართლისად“ მიხედვით ალექსანდრე მოვიდა ქართლში, „იხილნა ნათესავნი ბუნ-თურქნი მსხდომარენი მდინარესა მტკუარსა... დაუკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო“, ამის შემდეგ ალექსანდრე აიყარა და წავიდა. „და შემდგომად რამოდენისამე ჟამისა მოვიდა

ალექსანდრე მეფე ყოვლისა ქუეყანისად და დალექტნა სამნი ესე ქალაქი და ციხენი და პონთა დასცა მახვილი და მეოტ იქმნებს“ [5, 81-82].

ქართლის ცხოვრებით „ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჯრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად... დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი“ [3, 17-18].

რაც შეეხება, ტერმინ კადსპიდნს, ეტიმოლოგიურად ის მსგავსია კასპიის კარისა, მაგრამ კასპიის კარი ამ გადმოსასვლელის გვიანდელი ფორმაა, ქართულ წყაროებში ის სხვა სახელწოდებით გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები ხშირად ურევდნენ ერთმანეთში დარიალის და დარუბანდის გადმოსასვლელებს და საერთო სახელს კასპიის კარს, ან ალექსანდრეს კარს უწოდებდნენ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ვერ ხერხდება კასპიის კარის ერთმნიშვნელოვანი ლოკალიზაცია. სიმონ ჯანაშია კასპიის კარში უფრო დარუბანდს გულისხმობს, „...მარცხნივ კასპიის კარებიდან (დარუბანდის ყელიდან?) არის მნიშვნელოვანი მთა“ [15, 77].

თ. ყაუხეზიშვილი კასპიის კარში უფრო დარიალს გულისხმობს [14, 63].

კასპიის ბჭის საკითხი 6. ნიკოლოზიშვილმაც დააყენა, რომელიც ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში დაცული ცნობების საფუძველზე, მასში ხან დარუბანდს, ხან დარიალს მოიაზრებს [13, 36-37].

მ. ინაძე, მიმოიხილავს რა კასპიის კარის მნიშვნელობას საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, წერს: „ჩვენ შევეცადეთ, წერილობით წყაროებში დაცული ცნობების ერთობლივი კვლევა-ძიებით კვლავ მივბრუნებოდით „კასპიის კარების“ ადგილმდებარეობის საკითხს და თანამიმდევრულად წარმოგვედგინა ამ სახელწოდების მატარებელი კავკასიის გა-

სასვლელების – დარიალის და დარუბანდის მნიშვნელობა ახ. წ. I-VI სს. აღმოსავლეთი და დასავლეთი სამყაროს დიპლომატიურ ურთიერთობებში“ [11, 67]. როგორც ჩანს, ავტორი კასპიის კარში დარიალს და დარუბანდს გულისხმობს.

კავკასიის მთებში სიმაგრეთა სისტემის შექმნას შორეულ საუკუნეთა ფალაური ეპოსიც ეხმიანება. კონკრეტულად ეს ეხება სპანდიატის ციკლს, რომელსაც უკავშირდება დარიალის კარის შებმა. ამ საკითხს ეხება გ. მამულია, „საყურადღებო ცნობა მასეუდიმ შემოგვინახა. იგი მოვითხრობს, რომ სპარსთა უფლის-წულს სპანდიატს, გუშთასფის ძეს, ალანეთსა და კავკასიას შორის ჩამომავალი მდინარის პირას მიუვალ კლდეზე ციხე აუგია და ჯარიც ჩაუყენებია მასში კავკასიისაკენ მიმავალი გზის დასაცავად. ეს ამბავი და სპანდიატის სხვა ომების თავგადასავალი მოთხრობილი იყო იბნ მუკაფფაეს-ს მიერ არაბულ ენაზე გადმოდებულ წიგნში. რადგან იბნ მუკაფფაეს თითქმის ყველა თარგმანი დაკარგულად ითვლება, კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი კი უცილობლად უნდა ვაღიაროთ, რომ სასანელთა ხანაში არსებობდა ლეგენდის ციკლი სპანდიატის მიერ დარიალის კარის შებმის შესახებ, რომელიც ფირდოუსის შაჰნამეს და სახალიბის „ისტორიის“ გარეთ დარჩა“ [12, 250].

როგორც ვხედავთ, ძველი ტრადიცია „ალექსანდრეს კარის“ წარმოშობას მაკედონელის ლაშქრობებს უკავშირებს, რომლითაც ალექსანდრეს პიროვნებას გარკვეულ საკრალურ მნიშვნელობას სძენს.

ჯგაროსნული ეპოქის ეპროპული მეხსიერება ალექსანდრეს კარს ძირითადად კავკასიაში ათავსებს, რაც ჩანს, როგორც წერილობით, ასევე კარტოგრაფიულ მასალებში. ამ შემთხვევაში, ეპროპული მეხსიერება საზრდოობდა ანტიკური და ელინისტური სამყაროს გადმოცემებით, თქმულებებით, წერილობითი

წყაროებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ალექსან-დრეს კარი სწორედ კავკასიაში მდებარეობს და კავ-კასიის ჩრდილოეთით არსებულ უკიდეგანო სივრცე-ებს ევროპელებიც ველურ ხალხთა სამყოფელად მიიჩნევენ.

წმინდა საფლავის კანტორი ანსელუსი (1108 წ.) აღნიშნავს, რომ ქართველთა მეფე დავითს თავისი წინაპრების მსგავსად ეჭირა კასპიის კარები. აქ კასპიის კარი დარუბანდია და არა კასპიის ზღვის სამხრეთით არსებული ჰირკანიის (კასპიის) კარი, ე. ი. საუბარია კავკასიონის გადმოსასვლელებზე. ანსელუსი წერს: „ის დავითი, რომელსაც მისი წინაპრების მსგავსად კასპიის კარები, გოგისა და მაგოგის ხალხებს რომ აკავებს, ეჭირა და დარაჯობდა, რასაც მისი შვილი დღემდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ ჩვენი ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“ [10, 137].

ზ. ავალიშვილის მიერ გამოცემულ თარგმანში „კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს ზღუდავს“, ე. ი. გოგისა და მაგოგის ხალხების სამყოფელის საზღვარია [8, 17-18]. აქ კარგად ჩანს, რომ გოგისა და მაგოგის ხალხთა სამყოფელი კავკასიის ჩრდილოეთშია. სწორედ ეს ხალხები გადარეკა თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელმა სადღაც ჩრდილოეთის მთებში და ჩაკეტა იქ. ჯვაროსნული ეპოქის ევროპული წარმოდგენები გოგისა და მაგოგის ხალხებში ალანებს მოიაზრებს. ეს კარგად ჩანს იოანე პრესვი-

* საინტერესოა ასევე ალ-ფარიკის ცნობა, რომელიც ეხება დემეტრე I-ს. 1153 წელს იგი სტუმრად ყოფილა დემეტრეს კარზე და მეფეს ხლებია მოგზაურობაში, რომელიც, სავარაუდოდ, სამეფო საზღვრების მონახულება-ექსპედიციას ეხებოდა. სწორედ ამ დათვალიერების დროს მისულა მეფე დარუბანდში. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარი დემეტრეს მეფობაშიც კონტროლს უწევდა ამ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ გადმოსასვლელს.

ტერის 1165 წლის ცნობილ ეპისტოლეში, სადაც აღა-
ნები სხვა ტომებთან ერთად ამ ხალხების ჩამონათვა-
ლში არიან მოხსენიებული [9, 77]. უნდა გავითვა-
ლისწინოთ ისიც, რომ ჩამონათვალში მოცემული ტო-
მების უმეტესობის იდენტიფიკაცია არ ხერხდება. მას
ძველი ბიბლიური, აპოკალიფსური და ლიტერატუ-
რული კვალი ადევს. რაც შეეხება ალანებს, მათი იდ-
ენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს, რადგან ისინი უკვე დი-
დი ხანია ცხოვრობდნენ კაგკასიის ჩრდილოეთით, რა-
ზეც დარიალის სპარსული სახელწოდებაც – „დარი-
ალან“ მეტყველებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება
კასპიის კარად დარიალიც კი წარმოვიდგინოთ.
თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეა საუკუნეების ეპ-
როპული კარტოგრაფია აღმექსანდრეს კარს მაინც კა-
სპიის ზღვასთან, ე. ი. დარუბანდთან ათავსებს. აშკა-
რაა, აქ საუბარია კაგკასიის გადმოსასვლელებზე, რა-
დგან წყაროთა მონაცემებით, დავითი და მისი მემ-
კვიდრეები „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთი-
დან არეგაწამდე“ ტერიტორიის მფლობელები იყვნენ
და არა მიღია-პართიის გადასასვლელებისა.

კასპიის კარის გეოგრაფიული კუთვნილების საკი-
თხე მსჯელობს ა. თვარაძე. მკლევარი აღნიშნავს,
რომ აქ შეიძლება საუბარი იყოს ორივე გადმოსას-
ვლელზე, დარიალზე და დარუბანდზე – დერბენტზე. ის
მინიშნებას აკეთებს ანსელუსის წერილში მოხსენიებულ
გოგისა და მაგოგის კარზე, რაც შეიძლება აღნიშნავდეს
კიდევ ორივე გადმოსასვლელის ფლობას [10, 214].

პადერბორნის ეპისკოპოს ოლივერუსის (1220-1221
წწ.) ცნობით „ქართველები ქრისტიანები არიან, ცხოვ-
რობენ სპარსეთის მეზობლად, აღთქმული ქვეყნიდან
მეტად შორს. მათი საბრძანებელი გადაჭიმულია კას-
პიის მთებამდე, სადაც დამწყვდებული ათი ტომი ელო-
დება ანგიქრისტეს მოსვლას. მაშინ ისინი გადმოანგ-

რევენ წინაღობებს და ყოველივეს გააჩანაგებენ“ [10, 143].

ა. თვარაძე აღნიშნავს, რომ შეა საუკუნეებში, განსაკუთრებით ლათინურ დასავლეთში, ფართოდ გავრცელებული ლეგენდის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელმა კავკასიის ან კასპიის მთებში დმერთის შეწევნით ჩაკვრია გოგისა და მაგოგის ხალხები, ან ებრაელთა ათი დაკარგული ტომი. მისი აზრით, შეა საუკუნეების დასავლეთევროპული ველტბილდი ცივილიზებული სამყაროს ამ აპოკლიპტური ხალხებისაგან დაცვის ფუნქციას ქართველებსაც აკისრებდა [10, 144].

კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმის შესახებ თუ სად მოიაზრებდნენ ევროპელები ამ ხალხთა სამყოფელს, ოლივერუსის ცნობაშია, სადაც საუბარია დამწყვდებულ ათ ტომზე. ესენი, მართლაც, გოგისა და მაგოგის ხალხებია, რადგან ელოდებიან ანტიქრისტეს მოსვლას. ეს კარგად ჩანს ძველ წინასწარმეტყველებებში და იოანეს გამოცხადებაში – აპოკალიფსში. რაც შეეხება ათ ტომს, მისი ლეგენდა დაკავშირებულია ებრაელთა გადასახლებებთან, როდესაც ლტოლვილი ებრაელები გაიფანტნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეებში. რიგ წყაროებში (XII საუკუნის ებრაელი ბენჯამენ ტუდელელის მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ებრაელი ლტოლვილი მოსახლეობა ცხოვრობდა მიდიის მთებში და მთლიანად სპარსეთსა თუ შეა აზიის ქალაქებშიც) ებრაელთა დასახლებები იყო მიდიისა და პართიის მხარეებში, კასპიის ზღვის სამხრეთით მთებში. ამ შემთხვევაში ოლივერუსის ცნობა ეხება კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომებს და ვეთანხმებით ა. თვარაძეს, რომ ამ ხალხთა აპოკალიფსური ლეგენდა გარკვეულწილად დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობების გადმოცემებთან. როგორც ვხედავთ, ჯვაროსნული ეპოქის (იმიტომ აღვნიშნავთ

ამ ეპოქას ჯვაროსნული ნიშნით, რომ ამ ლაშქრობებმა ბიძგი მისცეს ეგროპელთა დაინტერესებას აღმოსავლეთით, მათ შორის კავკასიით და იმ ძველი გადმოცემების, ლეგენდების კვალი კარგად აისახა მაშინ-დელი ევროპელების მეხსიერებაში) ისტორიული მეხსიერება ალექსანდრე მაკედონელის მიერ ველური ხალხების დამარცხებას კავკასიის მხარეებში მოიაზრება.

აღსანიშნავია, XIII საუკუნის ცნობილი ბერედიქტელი ბერის პლანო კარპინის მოგზაურობის ჩანაწერები. იგი მოგვითხრობს, რომ როდესაც მონდოლები მიუახლოვდნენ კასპიის მთებს, „ეს უკანასკნელნი იმ მხრიდან, საიდანაც მათ მიუახლოვდნენ, ალმასის ქვის იყვნენ. ამიტომ მიიზიდეს ისრები და რკინის იარაღი. როგორც ჩანს, კასპიის მთებში ჩაკეტილმა ხალხებმა ლაშქრის ხმაური გაიგეს და დაიწყეს მცდელობა, გადმოენგრიათ მთა“ [10, 145].

მსგავსი სიუკეტებია სხვა ავტორებთანაც, მაგალითად, მათე პარიზელი და რაშიდ ად-დინი აღნიშნავენ, რომ მონდოლები (თათრები) გამოიჭრნენ კავკასიის მთებით გარშემორტყმული ქვეყნიდან მას შემდეგ, რაც რკინის შემცველ მთებში ერთ-ერთი გადმოსასვლელი ძლიერი ცეცხლით გაადახვეს [10, 145].

მაგნიტური ძალის მიზიდულობის მთებში მონდოლთა მოხვედრის ამბავი გადმოცემულია ჩინგის-ხანის ლეგენდაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მონდოლთა ისრები და შუბები ამ მთებმა მიიზიდეს და მეომრებს ძალა წაერთვათ იქ ყოფნისას. ლეგენდის მიხედვით, როდესაც მონდოლებმა მიაღწიეს კასპიის მთებს, იქ დახვდნენ ალექსანდრე დიდის მიერ ჩაკეტილი ებრაელები, რომლებიც თავიანთ თავს გოგისა და მაგოგის სახელით იხსენიებდნენ. აქაც საუბარია იმ მთების მაგნიტურ ძალაზე, რითაც მეომართა იარაღი მიიზიდეს. ეს არის ეპოსი-რომანი ჩინგის-ხანზე. მეცნიერ-

ები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ალექსანდრეს რომანსა და ჩინგის-ხანის რომანს შორის ბევრი მსგავსებაა. ეს კი შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ალექსანდრეს რომანი თარგმნილი იყო უიღურების ენაზე და გავრცელებული იყო მონცოლ-თათარ ხალხებში. ამიტომაც იქონია გავლენა ამ რომანმა ჩინგის-ხანის ლეგენდაზე [16, 106-145].

კასპიის მთებთან დაკავშირებული ჯადოსნური თვისებების ლეგენდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადმოცემულია ასევე, ფსევდოკალისთვენეს „ალექსანდრიანში“. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ ჩრდილოეთის მთებს იქით გადარეკა ველური ტომები, ჩაკეტა ისინი მთებში, გააკეთებინა დიდი სპილენძის კარი და წაუსვა მას ჯადოსნური წამალი – სუნკალითი, რომელსაც არც ცეცხლი ეკარებოდა და არც რკინა. სავარაუდოდ, „ალექსანდრიანის“ ეს პასაჟი იქცა შემდგომში ჩინგის-ხანის რომანის და სხვა ავტორთა თხზულებების წყაროდ.

ადსანიშნავია ისიც, რომ XIII საუკუნის II ნახევრიდან ველურ ხალხთა სამყოფელი რიგ წყაროებში უკვე აღმოსავლეთით, დედამიწის კიდეებში გადადის და მონცოლთა საცხოვრისთან ლოკალიზდება. ევროპელებმა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებმა XIII საუკუნის შემდეგისათვის კარგად გაიცნეს მონცოლთა ნახევრად ველური ბუნება და ამჯერად გოგისა და მაგოგის ხალხებად სწორედ მათ მიიჩნევდნენ. ამიტომაც გადადის ამ ტომების საცხოვრისი კავკასიის მთებიდან უფრო აღმოსავლეთით. ნიშანდობლივია, რომ მაგოგის ძეებს მონცოლებს უწოდებენ, გოგის ძეებს გოთებს. სავარაუდოდ, ეს, სახელწოდებების ეტიმოლოგიურ დამთხვევებზე უნდა მიანიშნებდეს.

შიუხედავად იმისა, რომ XIII-XIV საუკუნეებიდან ზოგ წყაროებში ამ ხალხთა სამყოფელი სადღაც აღმოსავლეთში გვხვდება, ძირითადად, ევროპული კარ-

ტოგრაფია გოგისა და მაგოგის ხალხებს კავკასიის მთებში მოიაზრებს და მას ალექსანდრეს ლეგენდას უკავშირებს.

ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობის ლეგენდა დაცულია მარკო პოლოსთან: „ეს არის ქვეყანა, სადაც ალექსანდრე დიდს ჩრდილოეთისკენ უნდოდა გასვლა, მაგრამ გზა ვეღარ გააგრძელა ერთი კარის სივიწროვის და სიძნელის გამო, რომელსაც ერთი მხრიდან ზღვა ეკვრის, ხოლო მეორე მხრიდან მაღალი მთები და ტყეები საზღვრავენ. ისე რომ, მცირე რაზმით ამ კარის მთელი მსოფლიოს მომხდურებისაგან დაცვა შეიძლება. როდესაც ალექსანდრე დიდმა გასასვლელი ვერ გადალახა, მაშინ კარის შესასვლელთან ააშენებინა დიდი კედელი და გაამაგრა ის კოშკებით, რათა მის გადაღმა მცხოვრებთ აქეთ მხარეზე თავდასხმის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. არაჩვეულებრივი სიმაგრის გამო გასასვლელმა „რკინის კარის“ სახელი მიიღო და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალექსანდრემ მონღოლები ჩაკეტა ორ მთას შორის. მცდარია, როდესაც ამ ჩაკეტილ ხალხად მონღოლებს ვნახავთ, მაშინ იქ ცხოვრობდნენ ყივჩაღები, რიგ სხვა ხალხებთან ერთად“ [10, 152].

მარკო პოლოსთან ალექსანდრეს ლაშქრობის ისტორია ძველი ტრადიციული სიუკეტებისაგან ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ საინტერესოა, რომ ავტორი ჩრდილოეთში გადასასვლელს „რკინის კარს“^{*} უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილი

* ალექსანდრეს კარის ასეთი დასახელება სხვა წეროებშიც გვხვდება. ეს სახელწოდებაც იმ ძველი ლეგენდიდან მოდის, როცა ალექსანდრემ დიდი სპილენძის კარი გააკეთებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრეს კარის – ალაყაფის ფორმა თვით შეასუკუნების ევროპულ რუკებზეც გვხვდება.

იყო ალექსანდრეს მიერ აშენებული დიდი კედლის კოშკების და ალაფაფების გამო.

სხვა ევროპული ცნობები ქართველთა საცხოვრისს კასპიის მთებამდე საზღვრავენ. როგორც ჩანს, მაშინ კასპიის მთებად მთლიანი კავკასიონი აღიქმებოდა, ალბათ უფრო აღმოსავლეთის ნაწილი, სადაც კასპიის კარი მდებარეობდა და ამიტომაც უწოდებენ საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის ნაწილს კასპიის მთებს.

როგორც ვხედავთ, შეა საუკუნეების ევროპული ისტორიულ-გეოგრაფიული მსოფლმხედველობა კასპიის კარს კავკასიის ჩრდილოეთში – მაღალ მთებში ათავსებს.

შეა საუკუნეების გეოგრაფიულ რუკებზე თავისი ადგილი აქვს დათმობილი ველური ხალხების ლეგენდას. ისინი გამოსახულნი არიან მაღალი კედლების მიღმა, გამოხატულია მათი ველური და კაციჭამია ბუნება. რა თქმა უნდა, ამ რუკების მიხედვით სამყაროს გეოგრაფიული კონტურების ზუსტი გამოსახვა შეუძლებელია. ეს რუკები შეიცავს ქველი თქმულებების, წინასწარმეტყველებების თუ აპოკალიფსური გამოცხადებების კვალს. აგრეთვა, გოგისა და მაგოგის ხალხთა ლეგენდებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ რუკებზე გამოსახული გეოგრაფიული რეგიონები ძირითადად არ გამოხატავენ რეალურ საზღვრებს, მოცემული კონტურები ჩრდილოეთის მთებისა, კასპიის ზღვის თუ კავკასიონის გადასასვლელებისა დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდასთან. ეს ჩანს 1000 წლით დათარიღებულ ანგლო-საქსონურ მსოფლიო რუკაზე [10, 192-197].

XI საუკუნის ანონიმურ რუკაზე კავკასიის მთებზე დატანებულია კასპიის კარიბჭე – კასპიის კარი [10, 206-207].

მსგავსი სურათია პაინრიხ ფონ მაინცის (XII ს.), გვიდოს (1119 წ.), ლამბერ დე სენ-ომერის (XII ს.), ფსალმუნის (XIII ს.), ებსტორფის (1235 წ.), რიჩარდ პალდინგემის ჰერეფორდის (1280 წ.) მსოფლიო რუკებზე [10, 208-244].

მოცემული მასალით ჩანს ჯვაროსნული ეპოქის ევროპული ცოდნა კავკასიის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის და მისი საკრალურ-მისტიური მნიშვნელობისა, დაკავშირებული ძველი წინასწარმეტყველებების, გამოცხადებების და ლიტერატურულ-ლეგენდარული სიუკეტების გააზრებასთან. ამ ჩამონათვალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდასაც, რომლის მისტერიები დაკავშირებულია კავკასიის სამყაროსთან. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობა, მის მიერ უწმინდურ ხალხთა ჩრდილოეთის მთებში გადარეკვა და იქ „კართა“ სისტემის შექმნა არ არის მოკლებული რეალურ ისტორიულ საფუძველს.

წყაროები და ლიტერატურა

1. ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ო. მირიანაშვილმა, თბ., 1980.

2. Аნტиკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ. I, წყარო-ები, თბ., 2010.
3. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაჟხიშვილის მიერ, თბ., 1955.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაჟხიშვილის მიერ, თბ., 1973.
5. ბეჭედი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.
6. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თარგმანი ალ. აბდალაძისა, თბ., 1984.
7. Александрия, Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века, М-Л., 1965.
8. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989.
9. ა. გოგოლაძე, იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ, თბ., 2005.
10. ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ეკროპულ წყაროებში, თბ., 2004.
11. გ. ინაძე, კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ. I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, ქართული დიპლომატია (წელი-წდეული), თბ., 1996.
12. გურამ მამულია, ლეონტი მროველის და ჯუანშერის წყაროები (ფალაური ეპოსი ლეონტი მროველის და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში), მაცნე, №4, 1964.
13. ნიკოლოზიშვილი, ქართული ელინიზმის და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევად ქართლი-სახესა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, დისერტაცია იმპ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.

14. თ. ყაუხებიშვილი, ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983.
15. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952.
16. А. Юрченко, Империя и Космос. Опыт интерпретации средневекового описания Империи Чингисхана. Ab Imperio. ¹/2002.

**Andro Gogoladze
Medea Gogoladze**

The Origin Issue of the Term “Alexandres Kari”

The issue of Alexander of Macedon's campaign in the Caucasus is still a subject of interest in Georgian historiography. But it is difficult to state whether the campaign was a true historical fact or not as the notifications of the sources are contradictory.

In our opinion the information about this campaign connected with historical-geographic heritage that is preserved in the historical memory is of great importance.

According to some Greek, Latin and Georgian sources Alexander of Macedon defeated devilry tribes in the Caucasus, scattered them beyond the Caucasian range in the North and constructed fortifying system that lately got the name of “Alexandres Kari” (The Door of Alexander). The story of this people's scatter in the mountains by Alexander is reflected not only in the narrative sources, but in legends and historical novels as well. Lately, the Medieval European historical memory locates “The Door of Alexander” (“Alexandres Kari”) in historical sources and on maps mainly in the Caucasus that once more speaks on behalf of the fact that Alexander of Macedon was in the Caucasus.

ნათია აბაშიძე

ივანე-ყვარეყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელის ისტორიულ-პოლიტიკური პორტრეტი

XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის 50-იანი წლების პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის მნიშვნელოვან ფიგურას საქართველოს სამეფო კარზე წარმოადგენდა ივანე-ყვარეყვარე ციხისჯვარელ- ჯაყელი – საკმაოდ გავლენიანი ფეოდალური საგვარეულოს ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვიდრე უშუალოდ მის პიროვნებასა და ლვაწლს შევეხებოდეთ ყურადღებას შევაჩერებთ ზოგადად ჯაყელთა და ციხისჯვარელთა გვარის წარმომავლობაზე.

ჯაყელები XI-XVI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს, კერძოდ სამცხის საკმაოდ წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდნენ.

ჯაყელთა საგვარეულო სახელწოდება წარმომდგარია გეოგრაფიული სახელიდან „ჯაყი“ და სამამულებ მფლობელობას აღნიშნავს. ისტორიულ წყაროებში ცნობები ჯაყელთა საგვარეულოს შესახებ XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება, (ალის ეგვტერის წარწერა, XI საუკუნის 30-იანი წლები; აწყურში გადაწერილი იოანეს სახარების ანდერძი – 1053 წ) [12, 501]. უფრო ადრეული პერიოდის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯაყისწყლის მიმდგომ ტერიტორიას ჯაყელებამდე ფლობდა ვინმე – ჩანჩახ ფალელი [12, 501]. მკვლევარ დ. კლდიაშვილის მოსაზრებით ამ საგვარეულომ სამამულებრივ ჯაყის თემი და „ჯაყელობა“ XI საუკუნის 30-იან წლებში მიიღო, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ჩანჩახ-ფალელის ამ მხრიდან წასვლას, ბაგრატ IV-სადმი დალატის გამო. გამორიცხული არ არის რომ, ჯაყელთა საგვარეულო მეფის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა და სწორედ ამ ერთგულებისათვის დაწინაურდა ამ მხარეში, სამამულებრივ მიიღო ჯაყის მხარე და „ჯაყელთა“ საგვარეულო წოდება.

ჩვენთვის ჯაყელთა წარმოშობის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორედ მათგან გამოყოფილი ცალკე საგვარეულო შტოს წარმომადგენლები – ციხისჯვარელები. ციხისჯვარელს, როგორც საგვარეულო სახელწოდებას ქართულ წყაროებში პირველად ვხვდებით მეფე ბაგრატ IV-ის დროს, როცა „მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯვარი და ოძრგე ბოდო-კლდითა“ [3, 305]. სწორედ ამ დროიდან სულა და მისი შთამომავლობა იწოდებიან ციხისჯვარელებად.

სულა კალმახის ერთსთავის შთამომავლობიდან სულას შემდგომ, საქართველოს ფართო პოლიტიკურ სარბიელზე XII საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩანს ივანე-ყვარელი ჯაყელ-ციხისჯვარელი. ქართული წყარო პირველად ივანეს მოიხსენიებს თამარის დროს, გიორგი რუსის აჯანყების პერიოდში. აკად. ივ ჯავახიშვილი თამარის მოწინააღმდეგ აჯანყებულებს შორის ასახელებს ივანე-ყვარელი ციხისჯვარელს. 1191 წელს მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ გიორგი რუსს „პირველი გუზანი მიემხრო << პატრონი კლრჯეთისა და შავშეთისა >>, მერე სამცხის სპასალარი ბოცო, ივანე-ყვარელი ციხისჯვარელი“ [19, 260] და სხვანი. საინ-

ტერესოა, როგორ მივიდა ასეთ დასკვნამდე მკვლევარი? შესაძლებელია, რომ მის ხელთ არსებული წყაროები აძლევდა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. თუმცა, ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელის მონაწილეობა თამარისა და სამეფო კარის საწინაღმდეგო გამოსვლაში, დღემდე ჩვენს ხელთ არსებული ქართული წყაროებით არ დასტურდება. პირიქით იგი საქართველოს მეფის ერთგულთა რიგებშია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი” ასახელებს რა გიორგი რუსის მომხრეებს, გუზანის შემდგომ ჩერდება ბოცოზე „აქით ბოცო, სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა აღმატებით შეწყალებული, სხვთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თვინიერ ივანე ციხისჯვარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების. ესე დამაგრდა თვისითურთ მოკიდულითურთ, ვითარ გუარ ეყოდაცა მომგონებელსა სულასა ერთგულობისასა, რომელ ბალუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს” [2, 49]. ასე რომ ქართული წყაროს მიხედვით ივანე-ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელს მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში ვერ ვხედავთ. ის ფაქტი რომ ივანეს მოქმედება შედარებულია სულა კალმახის ერისთავის ბაგრატ მეფისადმი ერთგულებასთან, მიგვანიშნებს საქართველოს სამეფო კარისადმი ამ პიროვნების ერთგულებაზე. ამაზე უნდა მიგითოთებდეს ის ფაქტიც, რომ იგი აჯანყების შემდგომ პერიოდში აღზევებულია – ჯერ სამცხის ერისთავთერისთავი და სპასალარია, ხოლო შემდეგ მეჭურჭლე-თუხუცესის სახელოს ფლობს [11, 663]. აქედან გამომდინარე, ივანე ციხისჯვარელი არა აჯანყებულთა შორის მყოფი, არამედ, ერთიანი ცენტრალიზებული საქართველოსა და მისი სამეფო კარის ერთგულებაში მყოფი პიროვნებაა.

„მოცემულ შემთხვევაში ივანე ციხისჯვარელი მეფის მომხრე ჩანს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ან კიდევ სხვა მსგავსი ფეოდალი

მუდმივად ერთგული დარჩენილიყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა, რადგან ამის საფუძველს არ იძლევა თვით ფეოდალიზმის ბუნება, მისი საფუძვლები” [14, 148]. თუმცადა ქართულ წყაროებს თუ გავადევნებთ თვალს, ივანე საქართველოს მეფეებს ერთგულად უდგას მხარში.

მკვლევარ პ. ინგოროვას ვარაუდით ივანე ჯაფელ-ციხისჯვარელი დაბადებულა (დაახლოებით 1160 წელს). თამარის მეფობის პირველ პერიოდში მას სახელი მოუხვეჭია როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს. „1184-91 წლებში ყვარყვარე არის სამცხის ციხისჯვარის თემის ერისთავი, ხოლო როდესაც 1191 წელს სამცხის ერისთავთ-ერისთავი და სპასალარი ბოცო ბოცოს ქე გადაყენებული იქნა თანამდებობიდან დალატის გამო, სამცხის ერისთავთ-ერისთავისა და სპასალარის ამ პასუხსაგებ პოსტზე დაინიშნა ყვარყვარე” [11, 663]. სამცხის სპასალარობასა და ერისთავთ-ერისთავობასთან ერთად ივანეს გადაეცა აგრეთვე სამკვიდრო სამფლობელოდ ჯაყის თემი და ციხე. ამიტომ ეს ახალი ერისთავთ-ერისთავი სამცხის სამხარეო ერთეულისა თავის ძველ საგვარეულო სახელწოდებას ციხისჯვარელს უმატებს მეორე სახელწოდებას – ჯაყელი. ამის შემდეგ სამცხის სპასალართა ეს გვარი ორმაგ საგვარეულო სახელს ატარებს ჯაყელ-ციხისჯვარელი. ამიერიდან ამ გვარის წარმომადგენლები პირველობენ სამცხეში. ასე წარმოიქმნა ახალი ჯაყელების ანუ ციხისჯვარელ-ჯაყელების ფეოდალური საგვარეულო. ძველი ჯაყელები კი ამიერიდან ბოროსძეებად იწოდებიან [11, 598].

საინტერესოა ბასილ ეზოსმოძღვრის გადმოცემა სამცხის სპასალარის ყვარყვარეს, როგორც მონაპირე მთავრის შესახებ: „ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და

ერთგული მეფეთა” [2, 129]. ეს ფრაზა კიდევ ერთხელ ასაბუთებს ივანეს ერთგულებას სამეფო კარის მიმართ.

ივანე-ყვარელი ციხისჯვარელ-ჯაყელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწე იყო, როგორც თამარის, ისე მისი მემკვიდრეების – გიორგი IV-სა და რუსუდანის მეფობის დროს. „სამცხისა სპასალარის მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი” [4, 51], „რამეთუ პატივითა იყო მეჭურჭლეთუხუცესი და მთავარი ქვეყანასა სამცხისასა” [2, 191]. ასე მოიხსენიებს ქართული წყარო მას ჯერ ლაშა-გიორგის, შემდგომ რუსუდანის პერიოდის ამბების გადმოცემისას. მეჭურჭლეთუხუცესი, როგორც ვიცით სახელმწიფო ხაზინის გამგებელი იყო. „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვეზირი იყო” [6, 20] – ვკითხულობთ ხელმწიფის კარის გარიგებაში. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება თუ რა დიდ ფიგურას წარმოადგენს ივანე ჯაყელი საქართველოს სამეფო კარზე.

პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთივე აქტიურები ჩანან ყვარელი შვილები. მისი ვაჟები ქართულ წყაროში იხსენებიან საქართველოს მეფე გიორგი-ლაშასთან ერთად, მის მიერ გადახდილი ბრძოლების დროს. ყვარელი ვაჟები, ჩანს, პირადად დაახლოებული ყოფილან ახალგაზრდა მეფესთან. განძელებთან ბრძოლის დროს მეფის თანამოსაგრეთა შორის პირველად დასახელებულია ყვარელი შვილი: „თუთ მეფე ლაშა წინა მიეტევა მჭნედ და ძლიერად, ... რომლისა თანა წინამპლოლობეს ძლიერად ყუარყუარა ჯაყელისა შვილი პირმშო” [2, 153].

მონძოლებთან პირველი შეტაკების დროს ლაშა-ქარში იბრძვის ყვარელი მეორე ვაჟი ბექა, რომელიც ამავე ბრძოლას ეწირება: „სამცხისა სპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი

მოიკლა ძლიერად მბრძოლი” [4, 51]. ისევე როგორც ყვარყვარე, ასევე მისი შვილები ერთგულად უდგანან მეფეს მხარში, იბრძვიან მტრის წინააღმდეგ და ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში აქტიურად ჩაბმულნი არიან. ყვარყვარეს ჰყავდა თუ არა სხვა შვილები ბექასა და პირმშოს (უფროს ვაჟს ნიშნავს) გარდა, ჩვენთვის არაა ცნობილი. ამის შესახებ ქართული წყარო არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ ინფორმაციას გვაწვდის მისი შვილი შვილების ივანესა და სარგისის შესახებ.

დიდ ინტერესს იწვევს ივანე-ყვარყვარე ციხის-ჯვარელის მშობლების ვინაობა. სამწუხაროდ, ქართული წყაროები არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიან მათ შესახებ, ცნობილია მხოლოდ, რომ ივანე სულა კალმახის ერისთავის შთამომავალია.

ივანე-ყვარყვარე ციხის-ჯვარელ-ჯაყელი რუსუდანის მეფობის დროს საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ერთადერთი „საქვეყნოდ გამრიგე” აღმოჩნდა, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მონდოლებს, როცა თვით სამეცო კარიც კი განერიდა მტერთან ბრძოლას. „ესრეთ მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხეს, და ბევრი ერი მოიკლა. ოდეს არღარა იყო დონე, მოაგსენა მეფესა რუსუდანს ივანე ციხის-ჯუარელმან ჯაყელმან, რომელსა უუარყუარეცა ეწოდებოდა, უკეთუ სთნდეს, რათა იქსნას ქუეყანა სამცხია ოჭრებისაგან, და იგიცა მიენდოს ჩაღატას” [2, 191]. მეფისაგან დასტურის მიღების შემდეგ „წარვიდა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმან პატივითა შეიწყნარა და დაუდგინა მცველნი ქუეყანისანი” [2, 191].

ივანე ციხის-ჯვარელ-ჯაყელი, როგორც სამეცო კარზე დაწინაურებული მოხელე მონაწილეობას იღებს დავით რუსუდანის ძის მონდოლთა ურდოში მეფედ და-სამტკიცებლად გაგზავნაში.

რუსუდანის სიკვდილის შემდეგ მონდოლებმა საქართველო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – დუმნებად დაყვეს. ერთ-ერთი დუმნის მეთაურად ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ივანე ციხისჯვარელს. „მესხეთის დანარჩენი პროვინციები ჯავახეთის გარდა კარნუ-ქალაქამდე ივანე-უვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელის სამფლობელო იყო” [16, 395]. ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ქართლის ცხოვრება, სამცხის დუმნის მმართველად ასახელებს გამრეკელ თორელს და არა უვარყვარე ციხისჯვარელს. „გამრეკელსა თორელსა... გელო უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე” [2, 208]. ამ ცნობებიდან თუ ვიმსჯელებთ უფრო მისაღები და დამაჯერებელია ქართული წყაროს ცნობა, რომელიც უვარყვარეს დუმნის-თავობის შესახებ არავითარ ფაქტს გვისახელებს.

ივანე ციხისჯვარელ-ჯაყელი საკმაოდ გავლენიან ფეოდალს წარმოადგენს XII-XIII საუკუნეების საქართველოში. ბატონიშვილ ვახუშტის ცნობით უმეტობის ჟამს, როცა ქვეყანას დასარბეგვად შემოესიგნენ მცირეაზიელი თურქები, ქართველმა მთავრებმა დახმარება სთხოვეს ივანეს, რომელიც მათ მხარში ამოუდგა. „კულად აღიძრნენ საბერძნებით და სხუათა ქალაქ-თაგან თურქნი რბევად საქართველოსა. მცნობთა შავშთა. კლარჯთა, ტაოელთა, კოლაარტაანელთა, კარნიფორელთა, აუწყეს უუარყუარე ციხისჯუარელსა, რათა შეეწიოს. ხოლო მან მოუწოდა მესხთა და შეკრიბა მჭედარი ჭ (10 000) და წარემართა; და ათურქნი მოსდგომოდნენ ბანას, ოლთისსა და აოჭრებდნენ ტაოს. ხოლო ამათის მისვლის მცნობელნი თურქნი აღიჭურნენ და ეწყუნენ ავნისის ვაკესა ზედა. მოსცა დმერთმან ძლევა ივერიელთა და წარიქცივნეს, მოსწყვდნეს და აღიღნეს ალაფი ურიცხუნი” [1, 209]. ამ სურათიდან ნათლად ჩანს, თუ რა ძლიერი და გავლენიან ფეოდალს მისვლის მცნობელნი თურქნი აღიჭურნენ და ეწყუნენ ავნისის ვაკესა ზედა. მოსცა დმერთმან ძლევა ივერიელთა და წარიქცივნეს, მოსწყვდნეს და აღიღნეს ალაფი ურიცხუნი” [1, 209]. ამ

ნიანი ფეოდალია ყვარყვარე ჯაყელი, რომ მისგან შემწეობას ითხოვენ სხვა ფეოდალებიც კი.

როგორც უამთააღმწერლის ცნობებიდან ირკვევა ივანე ერთ-ერთი მონაწილე და ინიციატორია კოხტას-თავის შეთქმულების. იგი ყოველთვის მსარში უდგას ქვეყნის ბედით დაინტერესებულ პროგრესულად მოაზროვნე პირებს და მათთან ერთად იბრძვის სამშობლოს კეთილდღეობისთვის. ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს. „ უამთა ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორდაი, პერ-კახნი, ქართველნი... მესხნი, ტაოელნი” [4, 97].

ივანემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ტახტის მემკვიდრის – დავით გიორგის ძის მოძებნასა და ჩამოყვანაში. „შეკრბეს მთავარნი ამერის საქათველოსანი – შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი ... და მრავალნი ერისმთავარნი და ძებნაყვეს ლაშას ძისა დავითისათვეს” [4, 99]. აქაც ქვეყნის ინტერესებისათვის მებრძოლ პიროვნებად გვევლინება.

ივანე-ყვარყვარე ციხისჯვრელის მოღვაწეობის ბოლო პერიოდის შესახებ მკვლევარი პ. ინგოროვება დასძენს: „ყვარყვარე უკანასკნელად მოიხსენიება 1245 წელს, რომლის ახლო იგი გარდაცვლილა. ამ დროს იგი ღრმად მოხუცებული იყო, დახლოებით 85 წლისა” [11, 664].

ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელი საკმაოდ დიდ და გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა XII – XIII საუკუნეების საქართველოში. ამას ქართველი მემატიანებისგან მოწვდილი არაერთი ფაქტი მოწმობს. მან დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის ყოფასა და ცხოვრებაში. საქართველოს მეფეებს მუდამ მსარში ედგა. სამშობლოს ინტერესებისათვის მებ-

რძოლ ხალხს ზურგს უმაგრებდა და მათთან ერთად აგრესორთა წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა.

წყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. IV, 1973.
2. ისტორიანი და აზმანი შარავანდევთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. II, ობ., 1959.
3. მატიანე ქართლისავ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. I, ობ., 1955.
4. უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიქნაძემ, ობ., 1987.
5. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. I, ობ., 1955.
6. ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, ობ., 1993.

7. ი. ანთელავა, შენიშვნები „ქართლის ცხოვრების” ტექსტისთვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VIII, თბ., 1987.
8. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
9. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
10. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979.
11. პ. ინგოროვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
12. დ. კლდიაშვილი, ჯაფელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის (XI ს), „საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, ტ. 98, № 2, თბ., 1980.
13. ბ. ლომინაძე, მონდოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10 – იანი წწ.), საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. III, თბ., 1979.
14. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
15. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
16. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკევები, ნაწ. I, თბ., 1998.
17. ვ. ჭელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წიგ. III, თბ., 1980.
18. ვ. ჭელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წიგ. IV, თბ., 1983.
19. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
20. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.

Natia Abashidze

Historical and Political Portrait of Ivane-Kvarkvare Tsikhisjvarel-Jakeli

Ivane -Kvarkvare Tsikhisjvarel-Jakeli (the end of the 12th century and the fifties of the 13th century), one of the prominent representatives of the powerful feudal family, was one of the most important political figures of Georgian Kingdom.

A well-known researcher P. Ingoroyva supposed that Ivane Tsikhisjvarel-Jakeli was born in about 1160 and died in 1245 at the age of 85.

In Georgian historical sources for the first time Ivane is mentioned in the period of Queen Tamar's reign, when Giorgi Russian rebelled.

Academician Ivane Javakhishvili considers Ivane – Kvarkvare Tsikhisjvareli as a rebel against the Queen. However the Georgian sources we can possess do not confirm this fact. Ivane is sublimed after this rebellion. At first he is the main noble(eristavt eristavi) of Samtskhe and a Commander-in-Chief(amirspasalari) and then he holds a post of the treasurer(mechurchlet ukhutsesi) Ivane Tsikhisjvarel-Jakeli was one of the most important figures during the reign of Tamar, as

well as her successor Giorgi IV and Rusudan,"because he was a treasurer and the head of the county Samtskhe."He is also mentioned in the Georgian historical source, telling us about the period of Lasha-Giorgi and Rusudan.

Kvarkvares's children,Firstborn(pirmsho) and Bekaare active on the political stage.Georgian sources also mention Kvarkvare's grandchildren Ivane and Sargis.But we have not got the informationabout their parents. The only thing that is known is that Ivane is noble SulaKalmakhi's descendant.

Ivane-Kvarkvare Tsikhisjvarel-Jakeli played a significant role in the countrypolitical life of the Rusudan'sreign.He was the only person who fought against Mongols,even when the royal court refused to fight with the enemy.

Ivane Tsikhisjvarel-Jakeli, as an important figure of the royal court, participatedin sending Rusudan's son David to the Horde for approval [to approve him as aking?]of the king.

Prince Vakhushti reported that when there was not aking in Georgiaand when the country was invaded by the Turks of Asia Minor, the Georgian nobles asked Ivane for help.He supported them and defeated the enemy.

Ivane is one of the participants and initiator of Kokhtastavis conspiracy. He also actively participated in finding and takingthe heir of the Throne David Giorgi's son[azrikargadarmesmis?]

Several facts given by Georgian historians confirm that Ivane KvarkvareTsikhisjvarel-Jakheli was a big and influential political figure.He always helped Georgian Kings.He backed uppeople who fought for the interests of their homeland.He strongly fought with them against invaders.

ზურაბ სულაბერიძე

კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი და
აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის
საკითხები XIX ს-ის 60-იან წლებში
(1866 წლის აჯანყება და პირველი მუპაჯირობა)

რუსეთის იმპერიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოღვაწეობას ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევარი შეხებია. დიდმა მთავარმა, რომელიც 2 ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე, თავისი კვალი დააჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. მისი მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა ისეთი პროექტის განხორციელება, როგორიცაა ამიერკავკასიაში პირველი რკინიგზის გაყვანა, ასევე მრავალი კულტურული და საგანმანათლებლო დონისმიერის გატარება. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დონისმიერები ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს – კავკასიის ეკონომი-

კურ და კულტურულ ასიმილაციას უზარმაზარი იმპერიის სივრცეში. განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ რომანოვის ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებშიც თავისთავად ჩადებული იყო XIX საუკუნის რუსული იმპერიალიზმის ინტერესი – საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონების პოლიტიკური სისტემისა და ეთნიკური სურათის შეცვლა.

რუსეთის სამხედრო-ისტორიულ არქივში აღმოჩნდილი მასალების საფუძველზე, გავნიხილავთ რამდენიმე პრობლემას მიხეილ რომანოვის როლზე XIX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიაში.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, აფხაზეთი გადაიქცა ერთ-ერთ ბაზად დასავლეთ კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ სამოქმედოდ. იმპერიის ხელისუფლებასა და აფხაზეთის მთავარ მიხეილ შერვაშიძეს შორის თავდაპირველი თანხმობა მხოლოდ გარეგნული ხასიათის იყო. რამდენადაც აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების არსებობა დიდი დაბრკოლება იყო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე რუსული დასახლებების შესაქმნელად, რუსეთის სამხედრო იმპერიალიზმი ექცდა შესაბამის პირობებსა და საბაბს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებისათვის [5, 5-6].

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიაში რუსეთი სამხედრო-პოლიტიკური ოვალსაზრისით დღითიდე ძლიერდებოდა. იმპერიის რეგულარული ნაწილების მიერ 1859 წელს დუნიბის სიმაგრის ადების შემდეგ გადაწყდა აფხაზეთის იმ რეგიონების დამორჩილება, რომელზედაც ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა იმპერიის ხელისუფლების კონტროლი [2, 176]. 1860 წელს გენერალ ყორდანოვის მეთაურობით წარმატებით დასრულდდა აფხაზეთის მიუვალი კუთხის ფსხუს იერიში. 1864 წლის მაისში, თანამედროვე კრასნაია

პოლიანას მიდამოებში რუსებმა საბოლოოდ ამოწყვიტეს ფსხუსა და აიბგას აფხაზური ტომები და საზეო-მოდ აღნიშნეს დიდი კავკასიური ომის დასრულება [2, 177].

დასავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობამ განსაკუთრებული გავლენა იქონია აფხაზეთის ავტონო-მიის გაუქმებაზე. ზემოაღნიშნული მოვლენების შემ-დეგ პირველი შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალსა და აფხაზეთის მთავარს შორის ქუთაისში 1863 წლის გაზაფხულზე გაიმართა. მოლოდინი, რომ შეხვედრის შემდეგ იმპერიის ხელისუფლებასა და სამთავროს შორის ურთიერთობა მეგობრული იქნებოდა, არ გა-მართლდა [12, 217]. მას შემდეგ, რაც თავად მიხეილ შერვაშიძე გაემგზავრა პიატიგორსკში სამკურნალოდ, და სამთავროს მმართველობა გადააბარა თავის მმას ალექსანდრე შერვაშიძეს, სამთავრო კვლავ მოიცვა ურთიერთდაპირისპირებამ. კერძოდ, აფხაზეთის გავ-ლენიანმა მფლობელმა ჰასან მარდანიამ შეიარაღებუ-ლი თავდასხმა განახორციელა ალექსანდრე შერვაში-ძის მამულზე, დაარბია მის მფლობელობაში არსებუ-ლი სოფლები, საიდანაც გატაცებული 25 ტყვე თურ-ქებს მიჰყიდა. მიხეილ შერვაშიძემ გაანთავისუფლა გიორგი შერვაშიძე აბჟიუს ოლქის მფლობელობისგან, რომლის ადგილზე ჰასან მარდანია დანიშნა [12, 217]. ამგვარმა გადაწყვეტილებამ, კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება კავკასიის მეფისნაცვალსა და მიხეილ შერვაშიძეს შორის.

კიდევ უფრო გამწვავდა მათ შორის ურთიერთო-ბა მაშინ, როცა 1863 წლის შემოდგომაზე კავკასიის მეფისნაცვალს სოხუმში სტუმრობის დროს არ დახ-ვდა აფხაზეთის მთავარი. ეს უკანასკნელი მიზეზად ავადმყოფობას აცხადებდა და სოხოვდა კავკასიის მე-ფისნაცვალს, რომ აფხაზეთში სამთავროს მართვის უფლება გადაეცათ მისი შვილის, გიორგისათვის, რო-

მელსაც უკვე ადიუტანტის თანამდებობა ეპავა კავკა-
სის მეფისნაცვლის კარზე.

გიორგის მთავრად დანიშვნის შესახებ თხოვნით
მიმართავდა მიხეილ შერვაშიძე კავკასიის არმიის
სამხედრო შტაბის უფროსს, გენერალ კოცებუსაც. მი-
ხეილ შერვაშიძის თხოვნასთან დაკავშირებით, კავკა-
სის მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ გიორგის მთავ-
რად დამტკიცება სცილდებოდა მის კომპეტენციას, ის
იმპერატორის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებუ-
ლი. ასევე, მიხეილ ნიკოლოზის ძე დასძენდა, რომ გი-
ორგი შერვაშიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო სამ-
თავროს წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვე-
ტად [12, 218]. იმ პერიოდის საარქივო მასალებიდან
კარგად ჩანს, რომ გიორგი შერვაშიძის ახალგაზრდო-
ბა მხოლოდ მიზეზი იყო. აფხაზეთის სამთავროს ავ-
ტონომიის გაუქმება საიმპერატორო კარის მიერ, ფაქ-
ტობრივად, გადაწყვეტილი იყო.

1864 წლის 27 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა
საიმპერატორო კარის წინაშე აღმრა საკითხი აფხაზე-
თის სამთავროს გაუქმების შესახებ. გაგზავნილ წე-
რილ ში აღნიშნული იყო, რომ ამ დონისძიების მიღება
საჭიროა იმისათვის, რათა შესრულდეს უმაღლესი
მთავრობის მიერ მოწონებული განზრახვა კაზაკთა
სტანიცების მოწყობის თაობაზე შავი ზღვის აღმ. სა-
ნაპიროზე – მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამ-
დე [12, 218; 5, 6].

მიხეილ რომანოვს სამთავროს ადმინისტრაციუ-
ლი სისტემის ძირეული შეცვლის არგუმენტად მოჰ-
ყავდა შემდეგი გარემოებები: ნახევრად ველური ქვე-
ყანა, რომელიც საუკუნეების მანძილზე განიცდიდა
შიდა ომებსა და სამხედრო დაპირისპირებას, ნახევა-
რი საუკუნის წინ აღმოჩნდა რუსეთის მფარველობის
ქვეშ; რუსეთის მმართველობის შემოსვლის მიუხედა-
ვად, მე-19 საუკუნის 30-50-იან წლებში განვითარებუ-

ლი მოვლენების გამო, რუსეთს არ მიეცა საშუალება აფხაზეთი ბოლომდე მისი გავლენის ქვეშ მოექცია. ამ მდგომარეობის გამო სამთავროს ხელისუფლება სრულიად ანგარიშგაუწეველი გახდა. ყოველივე ამის მიუხედავად, მთავრები ჯილდოვდებოდნენ მნიშვნელოვანი ჯილდოებითა და საჩუქრებით, რამაც მეფისნაცვლის აზრით, არამც თუ დადებითი, არამედ უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონია სამთავროს შემდგომ განვითარებაზე.

შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას კავკასიის მეფისნაცვალი პირდაპირ მიხეილ შერვაშიძეს აკისრებდა. მთავარს ბრალს სდებდა, რომ მან გადმოიბირა აფხაზები, რათა უარი ეთქვათ რუსეთის არმიაში მსახურებაზე, (განხაკუთრებით მისი უდიდუბულესობის საბადრაგო სამსახურზე); ასევე, მიხეილ შერვაშიძის მითითებით, აფხაზებს აეკრძალათ თავიანთი შვილები მიებარებინათ რუსულ სასწავლებლებში. შერვაშიძისავე გადაწყვეტილებით სანაპირო ზოლში, ძირითადად, უნდა მომხდარიყო მუსლიმების, თურქების ჩასახლება [1, 11-12].

გარდა ზემოაღნიშნულისა, აფხაზეთის მთავარს ბრალად ედებოდა მუსლიმური რელიგიის პროპაგანდა¹.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად, კავკასიის მეფისნაცვალი აუცილებლად მიიჩნევდა შემდეგი დონისძიების გატარებას:

¹ ყოველივე ზემოსენებული არ წარმოადგენდა სიმართლეს. სამურზაყანოს ეკლესიის დეკანოზი დავით მაჭავარიანი 1856 წლის 23 იანვარს საქართველოს ეგზარქოსისადმი წარდგენილ ერთერთ მოხსენებაში ხაზს უსვამს, რომ აღდგომის დღესასწაულზე, აფხაზეთის მთავრის მეუღლეს დაუვალებია საბერიოსა და სამურზაყანოს აზნაურებისათვის, წესისამებრ გამოცხადებულიყვნენ ეკლესიაში [ხცსა, ფ.416(ОВД), საქმ. 42, ფურც. 171-172].

1. მთავრისა და მისი მემკვიდრისათვის უარი უნდა ეთქვათ სამთავროს მმართველობაზე.
2. შერვაშიძეთა შთამომავლობის უზრუნველსაყოფად საიმპერატორო ხელისუფლების მიერ უნდა გაღებულიყო საჭირო ხარჯები.
3. აფხაზეთის ტერიტორიული ერთეულისაგან უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხედრო ოლქი, რომელიც წებელდასთან ერთად დაექვემდებარეოდა სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელიც, თავის მხრივ, დაექვემდებარებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.
4. თავისუფალი მიწების არსებობის შემთხვევაში, კაზაკთა დასახლება გაგრძელებულიყო მდ. ენგურამდე, რომლებიც ბზიფში ჩასახლებულ კაზაკებთან ერთად შეძლებდნენ, შეექმნათ აფხაზეთის კაზაკთა რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა აფხაზეთის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი.
5. აფხაზეთსა და ყუბანს შორის საზღვარი გაგრის ქედი უნდა ყოფილიყო, რომელიც აფხაზეთს უკვე იმ პერიოდისათვის ყოფდა ჯიქეთისაგან [1, 14-16].

1864 წლის 29 ივნისს ცარიზმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომლის უფროსად დაინიშნა აფხაზეთის რუსული სამხედრო ჯარების სარდალი პ. შატილოვი, რომელიც ინსტრუქციით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. სოხუმის სამხედრო განყოფილებაში შევიდა ბზიფის, სოხუმის, აბუუის ოლქები (ოკრუგები) და წებელდის საბოქაულო [12, 267].

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავადი მირსკი 1864 წლის ზაფხულში პირადად ეახლა მიხეილ შერგაშიძეს ტყვარჩელში. ეს უკანასკნელი არათუ წინ აღუდგა რუსული მმართველობის დამყარებას, არამედ მან მოიწვია აფხაზეთის წარჩინებულები, რათა ეცნოთ რუსეთის მმართველობის უზენაესობა. თუმცა,

მიხეილ შერვაშიძე უკმაყოფილებასაც არ მაღავდა საიმპერატორო კარის მიერ მის მიმართ გამოვლენილი უნდობლობისათვის. სვიატოპოლქ-მირსკისთან შეხვედრისას, ერთადერთი, რასაც ის მოითხოვდა, ნება დაერთოთ აფხაზეთში ეცხოვდა. იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას არ მისცემდნენ, ის ითხოვდა მამულს იმერეთში და ცხოვრების უფლებას ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით ბაქოში. ითხოვდა, ასევე, სახაზინო მიწიდან ადგილის გამოყოფას რაჭაში აგარაკის ასაშენებლად. თუ ამაზეც უარს ეტყოდნენ, მაშინ მიეცათ მისთვის იერუსალიმში გამგზავრების ნებართვა, სადაც მაცხოვრის საფლავთან დაელოდებოდა სიცოცხლის დასრულებას [12, 230-231; 2, 182]. აფხაზეთში არსებული მდგომარეობისა და მიხეილ შერვაშიძის მოთხოვნების საფუძვლიანად გაცხობის შემდეგ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი წერდა მიხეილ ნიკოლოზის ძეს: «...Результаты моих размышлений осмеливаюсь повергнуть Вашему вниманию, что личность Шервашидзе заключает в себе двойной характер: потомственного владельца и генерал-адъютанта» [12, 231].

1864 წლის 11 ოქტომბერს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ისევ ეწვია აფხაზეთს. მან კვლავინდებურად მიიღო მიხეილ შერვაშიძისაგან თხოვნის წერილი მისი აფხაზეთში დარჩენის, ან იერუსალიმში გამგზავრების უფლების მიცემის შესახებ [12, 233]. მიხეილ ნიკოლოზის ძე თანახმა იყო მიხეილ შერვაშიძე 1865 წლის გაზაფხულამდე დარჩენილიყო აფხაზეთში. მაგრამ, როდესაც კავკასიის მეფისნაცვალი თბილისში დაბრუნდა, იმ პერიოდისათვის რუსეთის იმპერიის დიპლომატიურ კანცელარიაში კონსტანტინოპოლიდან ინფორმაცია შემოვიდა, აფხაზეთის მთავრის მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისათვის თხოვნის შესახებ. ამ ინფორმაციით, შერვაშიძე თხოვდა მისთვის გემის გამოგზავნასა და თურქეთში ჩასვლის უფლებას [12,

235; 2, 182]. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი ცნობილი გახდა კაგკასიის ხელისუფლებისათვის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ შატილოვმა მიიღო ბრძანება მიხეილ შერვაშიძის აფხაზეთიდან საბოლოოდ მოშორების შესახებ.

1864 წლის 3 ნოემბერს გენერალი შატილოვი ერევნის ორი ბატალიონითა და კაზაკთა ერთი ასეულით ოჩამჩირეში შევიდა. 4 ნოემბერს შატილოვი პოლკოვნიკ გრაფ ქუთაისოვთან ერთად სოფ. აკვასკისკენ გაემართა, სადაც მიხეილ შერვაშიძე იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც მიხეილ შერვაშიძისთვის ცნობილი გახდა რუსების ჯარის შემოსვლის ამბავი, გაიქცა დალის ხეობის მიმართულებით. მოსახლეობაში გავრცელდა ხმა რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთის აოხრების შესახებ, რამაც ხალხი შიშსა და გაურკევლობაში ჩააგდო. მოსახლეობის დამშვიდების შემდეგ, სოფელ გუფში გამოცხადნენ მიხეილ შერვაშიძის წარმომადგენლები. მათთან, მაიორ კიშელსკისა და გრაფ ქუთაისოვის მოლაპარაკების შემდეგ, მიხეილ შერვაშიძე დაითანხმდეს დაბრუნებულიყო სოფ. აკვასკიში [Кваски] [12, 235-237]. მხარეებს შორის მოლაპარაკებები სოფ. თხინაში შედგა. მიხეილ შერვაშიძე კიდევ ერთხელ ითხოვდა აფხაზეთში დარჩენის ნებართვას და აგრეთვე, თავს იმართლებდა, რომ თურქეთის ხელისუფლებისადმი მისი თხოვნა გემის გამოგზავნა იყო მხოლოდ, რომლითაც ის შეძლებდა იურუსალიმში გამგზავრებას. მიუხედავად ამისა, შატილოვის ბრძანებით მიხეილ შერვაშიძე დააპატიმრეს [12, 236-237]. აფხაზეთის მთავარს მოლიანად ჩამოერთვა მისი უძრავი ქონება და იგი ხაზინას გადაეცა. სამაგიერო საფასურად, მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით, მას უნდა მისცემოდა შესაბამისი თანხა. 1864 წელს გენერალ პონსეს ხელმძღვანელობით შეიქ

მნა სპეციალური კომისია, მიხეილ შერვაშიძის შემოსავლის დასადგენად [12, 239].

1864 წლის 7 ნოემბერს დაპატიმრებული მიხეილ შერვაშიძე გემით ნოვოროსიისკში გადაიყვანეს. იქიდან მიხეილ შერვაშიძე გადაასახლეს სტავროპოლიში, ხოლო 1865 წელს – ვორონეჟში, სადაც გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ მიხეილ შერვაშიძე ჩამოასვენეს აფხაზეთში და მოქვის ტაძარში დაასაფლავეს [12, 239; 2, 182].

1864 წლის სექტემბერში შეიქმნა სპეციალური კომისია “აფხაზეთის მმართველობის დებულების” შესამუშავებლად. ასევე, მიხეილ შერვაშიძის ქონების აღწერისა და აფხაზეთის საერთო მდგომარეობის შესწავლის მიზნით გაიგზავნა სპეციალური კომისია გენერალ პონსეს მეთაურობით. აღნიშნული კომისია, რომელიც განიხილავდა წოდებრივ და მიწაზე საკუთრების საკითხებს, გახდა პირველი მიზეზი აფხაზეთში უკმაყოფილებისა და სახალხო მდელვარებისა. აფხაზეთში პოლიტიკური დაძაბულობის შექმნას ხელი შეუწყო სოხუმის სამხედრო განყოფილების ახალ უფროსად კონიარის დამტკიცებამაც. რომელიც ცდოლობდა საერთოდ ამოებირკვა ან თურქეთში გადასახლებით დაესუსტებინა აფხაზეთის მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენლები. აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილიც იყო თურქეთში გადასახლება, მაგრამ რამდენადაც იმპერიის ხელისუფლება უკრძალავდა გადასახლების შემთხვევაში მათ მფლობელობაში არსებულ ყმებზე უფლების შენარჩუნებას, ისინი თურქეთში გადასახლებისაგან თავს იკავებდნენ [12, 270].

სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მოქმედება გადაჭარბებული იყო. ისინი უხეშად და უადგილოდ ახვევდნენ თავიანთ აზრს ბატონების გაუქმებისა და წოდებრივი ურთიერთობის პრობლემე-

ბის გადაწყვეტაზე. ერთადერთი რაც განხორციელდა კაგასიის რუსული ადმინისტრაციის მიერ, იყო დრო ებითი სასამართლო კომისიისა და ქალაქის რატუშის დამტკიცება, ასევე სოხუმის წოდებრივი სასამართლოების შექმნა. წოდებრივი სასამართლო შედგებოდა სხვადასხვა ფეხის წარმომადგენელთაგან. მათ მიერ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდებოდა ადათობრივ სამართალზე დაყრდნობით. ხოლო სოფლებში სადაც საკითხების გადაწყვეტა ხორციელდებოდა სამედიატორო სასამართლოების მეშვეობით, რომელიც დამყარებული იყო ადათობრივი სამართლის ნორმებზე [12, 275-276]. ზემოაღნიშნულ უწყებებს ერთმანეთან არ გააჩნდათ არავითარი კოორდინაცია, რაც რუსეთის ინტერესების წარმატებით განხორციელებისათვის შემაფერხებელი იყო.

სოხუმის სამხედრო განყოფილების მოწყობა იურიდიული თვალსაზრისით იმთავითვე სრულიად მოუმზადებელი იყო. სამთავროს ავტონომიის გაუქმების შემდეგ, მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელთა წოდებრივი ურთიერთობის საკითხის გადაუწყვეტელობასთან ერთად, თავი იჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანმა პრობლემამ: რელიგიურმა წინააღმდეგობამ, შერვაშიძეთა სახლის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებამ, სოხუმის სამხედრო განყოფილების შტატების დაუმტკიცებლობამ და სხვა [12, 270-271].

1864 წლის დასასრულს აფხაზეთის ადმინისტრაციული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი დებულების შექმნის მიზნით მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ გაიგზავნა ახალი კომისია გენერალ-მაიორ ბართოლომეის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ პირები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროდან.

პროექტი, რომელიც თბილისიდან ჯერ კიდევ 1864 წლის ზაფხულში გაიგზავნა, იმპერიის სახელ-

მწიფო საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ – 1866 წლის 22 თებერვალს [6, 80]. მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება საიმპერატორო კარის მიერ მაინც ვერ იქნა მიღებული.

სოხუმის სამხედრო განყოფილების ჩამოყალიბების საკითხი ვერ გადაწყვდა 1866 წლის 2 აპრილის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზეც. კავკასიის კომიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი უკან გაიწვიეს საკითხის ფინანსთა სამინისტროსთან და საიმპერატორო კანცელარიის მე-2 განყოფილებასთან წინასწარ შესათანხმებლად [6, 94].

კავკასიის ხელისუფლებისათვის სოხუმის განყოფილების შექმნის პროექტში ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო სასამართლო სისტემის მოწყობის საკითხი.

1856 წელს ჩამოყალიბდა ქუთაისის გუბერნია და აფხაზეთის ტერიტორია საგუბერნიო სისტემაში შევიდა სამ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად, აფხაზეთი, სამურზაყანო და წებელდა, თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს, შიდაპოლიტიკური მოწყობის საერთო საფუძვლის მიუხედავად, სამართლებრივი კულტურა ერთმანეთისაგან განსხვავებული ქონდა. ამან თავისი კვალი დააჩნია ამ ტერტორიაზე მცხოვრები ხალხის საზოგადოებრივ მოწყობას. კერძოდ, სოხუმის ოლქსა და შუა აფხაზეთში შედარებით უფრო მყარად მოიკიდა ფეხი რურქულ-მუსლიმურმა სასამართლო სისტემამ, წებელდაში – ჩერქეზულმა ადათობრივმა სამართლმა, ხოლო სამურზაყანოში – ქართულმა სასამართლო სისტემამ [12, 119; 13, 429].

აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოსვლის მიუხედავად, 1864 წლამდე რეგიონში რუსული სასამართლო-პოლიტიკური სისტემის გავლენა მინიმალური იყო. კერძოდ, სოხუმში სასამართლო საქმეებს

ხელმძღვანელობდა ქალაქის თავი, რომელსაც ირჩევდა ქალაქის მოსახლეობა. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა სოხუმის რატუშაში განხვავებული იყო იმ მხრივაც, რომ იმ შემთხვევაში თუ საქმით დაინტერესებული იყო პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი, საქმე იხილებოდა საერთო მოსმენით, რომელშიც მონაწილეობდა ასევე მაღალი საზოგადოების წრიდან მოწვევული 2 პიროვნება. სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც შემოდიოდა ქვემო ინსტანციის სასამართლოდან, სოხუმის რატუშას შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად შეჰქონდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან, ხოლო იგი მას გუბერნატორებისათვის არსებული წესის მიხედვით განიხილავდა [12, 120-121]. ასევე, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გადაწყვეტილებას ექვემდებარებოდა სადაც სამოქალაქო საქმეები და სოხუმის რატუშის მიერ განხილული სააკელაციო საჩივრები.

სამურზაყანოში, მას შემდეგ, რაც 1840 წელს ის გამოყო სამეგრელოს სამთავროს, ჩამოყალიბდა პრისტავის მმართველობა. იგი შედგებოდა პრისტავის, თარჯიმის და 4 ესაულისაგან. 1840 წელს პირველად, დანიშნული პრისტავი, შტაბს-კაპიტანი კირილოვი შემოვიდა წინადაღებით საგუბერნატორო კარის წინაშე წოდებრივი სასამართლოს (словесный суд) შექმნის შესახებ, რომელიც პრისტავის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებდა. თავად წოდებრივი სასამართლო უნდა შემდგარიყო სამურზაყანოელების მიერ არჩეული წარჩინებული წრის ოთხი წარმომადგენლისაგან – მდივანბეგებისაგან. მდივანბეგთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება უნდა განეხორციელებინათ ასევე არჩევნების გზით დანშნულ 8 ბოქაულს [12, 121-122].

მას შემდეგ, რაც ბარონ როზენმა 1840 წელს დაიმორჩილა წებელდისა და დალის ხეობის მოსახლეო-

ბა, ამ მხარეში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული საპრისტაგო, რომელიც ექვემდებარებოდა აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო ჯარების მეთაურს. პოლიტიკური სისტემა აგებული იყო სამხედრო-ადა-ომბრივ პრინციპიზმე.

მთლიანად აფხაზეთში პოლიტიკური ერთეულის რუსულ სასამართლო სისტემაში მოქცევა იმთავითვე რომ პრობლემური ადმონინდა ეს ნათლად იკვეთება იმპერიის კანცელარიის მეორე განყოფილებს სტატს-სეკრეტარის ვ. პანინის მიმართვაში სამხედრო მინისტრ დ. მილიუტინისადმი. როგორც მიმართვიდან ჩანს, სოხუმის სამხედრო განყოფილების სასამართლო სისტემის მოწყობა, ხანგრძლივ პერიოდზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. აქედან გამომდინარე, კავკასიის მეფისნაცვლის მიერ წარდგენილი პროექტი მხოლოდ გარდამავალი პერიოდისათვის გამოდგებოდა, რათა კიდევ დიდი ხნით არ გაჭირდულიყო თავად სამხედრო განყოფილების შექმნის საკითხი [6, 97]. განუსაზღვრელი რჩებოდა იმპერიის ფინანსთა სამინისტროსგან, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ხაზინის მიერ რეგიონის ადმინისტრაციული მმართველობისათვის აუცილებელი თანხის - 24869 მანეთის და 65 კაპიკის დაფარვა: აქედან 18480 მანეთი – სოხუმის მთავარი სასამართლოს შესანახად (რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა დეპუტატების, მსაჯულ -მოსამართლების [словесных судов] და სამაზრო (ზემსკი) გუშაგების შესანახად [6, 92-93]. დარჩენილი თანხა სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული აპარატის საჭიროებას მოხმარდებოდა.

რუსეთის საიმპერატორო კარის მე-2 განყოფილება ითვალისწინებდა კავკასიაში სამხედრო-სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილ საკითხს და მიიჩნევდა, რომ 3 წლის ვადით მიღებული ყოფი-

ლიყო დროებითი პროექტი სოხუმის განყოფილების ჩამოყალიბების შესახებ [6, 95].

ამ მიმართვის შემდეგ ჩანს, რომ საიმპერატორო კარის კანცელარიაში უფრო აქტიურად დაისვა საკითხი ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. აფხაზეთის სამთავროს სოხუმის სამხედრო განყოფილებად ჩამოყალიბების გადაუდებლობაზე სპეციალურად ავალებდა იმპერატორი ალექსანდრე II შესაბამის უწყებებს [6, 138]. სამხედრო მინისტრი სტატს-სეკრეტარის გულკევიჩის მიმართ 1866 წლის 30 ივლისთ დათარიღებულ წერილში მიიჩნევდა, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთის სამხედრო-სამოქალაქო მმართველობის დამტკიცება უნდა განხორციელებულიყო კავკასიის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე [6, 138].

საბოლოოდ რუსეთის საიმპერატორო კარზე შემდეგ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ:

1. სოხუმის განყოფილების შექმნისა და მის გარდაქმნაზე შესაბამისი ცვლილების განხორციელება მოეხდინა კავკასიის კომიტეტს და ამ უფლების ფარგლებში კავკასიის მეფისნაცვალს მისცემოდა კანონიერი უფლება შემდგომი პოლიტიკური მოქმედების განსახორციელებლად. 2. აღნიშნულის შესახებ მიხეილ ნიკოლოზის ძისათვის ეცნობებინათ ტელეგრაფით ყველა თანდართული [препроводив] ასლებით [6, 141-142].

1866 წლის 3 აგვისტოს საიმპერატორო კარისა და სამხედრო მინისტრის გადაწყვეტილება სპეციალური წერილით გაეგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს. გარდამავალი პერიოდისათვის ძალაში რჩებოდა სოხუმის სამხედრო-სამოქალაქო განყოფილების მოწყობის ის მოდელი, რომელიც კავკასიის კამიტეტმა (ჯერ კიდევ 1864 წლის ზაფხულში) წარადგინა [6, 143].

1866 წლის 29 ივლისს აფხაზეთი სამხედრო მდელვარებამ მოიცვა. ვერ დავეთანხმებით გ. ძიძარი-

ას მოსაზრებას, რომ აჯანყების დაწყება მოულოდნელი იყო კაგკასიის ხელისუფლებისათვის [10, 155]. რადგან ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, 1866 წლის 23 ივლისს, პოლკოვნიკი კონიარი, ბზიფის ხეობის უფროსის იზმაილოვის ცნობაზე დაურდნობით, ატყობინებდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ბზიფის ხეობის მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი ამბოხების შესახებ.

აჯანყების მთავარი მიზეზები შემდეგი იყო: 1. ხალხის უკმაყოფილება სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებით. 2. ხალხის უკმაყოფილება იმპერიის მოხელეთა მხრიდან მათი შეხედულებების გაუთვალისწინებლობის გამო; ხალხის სურვილი იყო დარჩენილიყვნენ აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები პირვანდელ უფლებებში. 3. ბატონიუმობისაგან განთავისუფლებისას ხალხის სურვილების გათვალისწინება. 4. მხარის ხელმძღვანელობისგან ყველა დაპატიმრებულთა განთავისუფლება [7, 28].

კაგკასიის მეფინსაცვალი განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას პირდაპირ შერვაშიძეების სახლს აკისრებდა. ამბოხების ძირითად მიზეზს მძიმე სოციალური მდგომარეობით ხსნიდა, რომელსაც, მიხეილ ნიკოლოზის ძის აზრით, შერვაშიძეები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ [7, 20].

1866 წლის 25 ივლისს პოლკოვნიკმა კონიარმა გადაწყვიტა შეხვედროდა მოსახლეობას არსებული დაძაბულობის მოსახსნელად. ის გემით სოხუმიდან გუდაუთაში ჩავიდა, გიორგი და ალექსანდრე შერვაშიძეებთან ერთად. 26 ივლისს ისინი გუდაუთიდან სოუქსუსაკენ (ლიხნისკენ) გაემართნენ. კონიარი დარწმუნებული იყო მოსახლეობაზე შერვაშიძეების გავლენაში, რომელთა მეშვეობით ფიქრობდა, რომ შეძლებდა მღელვარების ჩაცხობას [7, 99].

1866 წლის 26 ივნისს სოუქსუში, ბზიფის ოლქის ყველა მაცხოვრებელი, ნაშუადღევისათვის შეიკრიბა მთავრის ყოფილ სასახლესთან. შეხვედრის დროს კონიართან ერთად იმყოფებოდნენ შერვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები, სხვადასხვა ჩინის მოხელეები და ოლქის მოსამართლეები. შეხვედრისას მოსახლეობისაგან რჩეულებმა, მათ გააცნეს თავიანთი განსაკუთრებული უპმაყოფილება, რაც დაკავშირებული იყო გლეხთა განთავისუფლების საკითხთან. ასევე, მათთვის გაუგებარი იყო, თუ რა ფორმით მოხდებოდა გლეხების განთავისუფლება თავიანთი ყოფილი მებატონებისაგან. ამბოხებულები ითხოვდენენ, რომ შეეჩერებინათ ამ პროექტის განხორციელება და პრობლემის გადასაწყვეტად გაეგზავნათ სპეციალური დულებაცია კავკასიის მეფისნაცვალთან, რათა აქესნათ მისთვის ყველაფერი, ან ისინი სათითაოდ გადაესახლებინათ თურქეთში [7, 99].

კონიარმა ამ მოთხოვნაზე განაცხადა, რომ თანახმა იყო რეკომენდაცია გაეწია კავკასიის მთავარმართებლობასთან აღნიშნული თხოვნის გადასაწყვეტად. მაგრამ, პირველყოვლისა, მათ უნდა შეესრულებინათ ოლქის ადმინისტრაციის მიერ გაცემული განკარგულება. ამ დროს ეშერის მცხოვრებ ზაურ-ბექ ძიაპუნიფამ გაისროლა და ყიუინა მორთო სოფ. ფსირთის მკვიდრმა ლაზ განდალმა. ვიდრე ამბოხებულები დაიწყებდნენ სროლას, პოლკოვნიკი კონიარი, მასთან მყოფ მაღალი ფენის წარმომადგენლებთან ერთად, შეიჭრა ყოფილი მთავრის სასახლეში [7, 100].

აჯანყებულები პირველ რიგში თავს დაესხნენ პაუპტვახტს, საიდანაც გაათავისუფლეს პატიმრები. საბრძოლო შეტაკებისას დაიღუპა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი კონიარი, ბზიფის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის უფროსი იზმაილოვი, საოლქო სამმართველოს ადიუტანტი სურინოვიჩი, ჩინო-

სანი მრჩეველი ჩერეპოვი, მათი მხლებელი ქალი და რამდენიმე კაზაკი. სულ ამ ინციდენტს შეეწირა 50 რუსი სამხედრო პირი. მთავარი შეიარაღებული შეტაკების მონაწილეები იყვნენ ელმურზა მარლანია [Эльмурза Маргани], შმაფი მარლანია [Шмаф Маргани], თამუკა მარლანია [Тамаук Маргани], ზაურბეკ ძიაშ-იპა [Заурбек Дзяиш-ипа], თათლასთან ლაკერბაია [Татластан Лакербай] და სხვები [7, 100].

გადარჩენილმა კაზაკებმა ჯერ აფხაზეთის მთავრის ყოფილ სახლს შეაფარეს თავი, ხოლო სახლზე შემოტკიცის შემდეგ, ეკლესიას. მოგვიანებით ისინი ალექსანდრე შერვაშიძის მეუღლესთან ერთად სოხუმში გადაიყვანეს [7, 101].

აჯანყებულებმა 27 ივლისს შეძლეს გუმისთის რუსული საგუშაგოს გარღვევა და სოხუმისაკენ დაძვრა.

პოლკოვნიკმა კულმანმა, მხედველობაში მიიღო რუსული გარნიზონის სიმცირე და გადაწყვიტა სოხუმში მყოფი ყველა აფხაზის გაძვება. სოხუმიდან კოდორამდე მოსახლეების უმეტესი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა სოხუმზე თავდასხმასა და ქარცვაში [7, 101].

აჯანყებულთა თავდაპირველი წარმატება აფხაზეთში სამხედრო ნაწილების ყოფნის სიმცირემ განაპირობა. იმ პერიოდისათვის სოხუმში განლაგებული იყო სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე სუსტი შემადგენლობის 6 როტა [7, 98].

სასწრაფო დონისძიებების მისაღებად, ჯარების სარდლად გაიგზავნა თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. იმავე დროს გაიგზავნა 39-ე ქვეითი დივიზია და მე-9 როტა [линейник] ბატალიონიდან. აჯანყებულებისათვის ჩრდ. კავკასიის გადასასვლელის ჩაკეტვის მიზნით, ყუბანიდან შიგლიძის უღელტეხილით კაზაკთა ასეული აფხაზეთში იქნა გადმოსროლილი. ასევე, მე-

19 ქვეითი დიგიზის პოლკიდან 2 ბატალიონი 4 მთის ქვემებით გაიგზავნა ნოვოროსიისკიდან სოხუმში [7, 19-19].

1866 წლის 27 ივლისს აჯანყებულები სოფელ აკაპასთან თავს დაესხნენ ლეუსის როტას. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ლეუსმა შეძლო თავ-დაცვითი მექანიზმის შექმნა, რამაც აჯანყებულები აიძულა უკან დახულიყვნენ. აჯანყებულთა ძალების შესუსტებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთის ჯარების საარტილერიო დარტყმებმა ზღვიდან და ციხე-სიმაგრეებიდან. ამდენად, სოხუმი აჯანყებულებმა 27 ივლისს ვერ დაიკავეს.

1866 წლის 26-27 ივლისს მეამბოხეებმა ასევე ვერ დაიკავეს ბიჭვინთის ციხე-სიმაგრე. აჯანყებულებმა 4 კაცისაგან შემდგარი საბჭო აირჩიეს. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: გლეხები კამგაზა ხაგბა, ზაფასა გუმბა და ლაზა ლადარია და თავადი შმაფა მაგი [9, 152].

1866 წლის 26 ივლისს შეუან-სოუქსუში აფხაზებმა გუდაუთის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგო გადაწვეს. ბარკასზე გადარჩენილი დაბალი ჩინისა და ჩინოვნიკების წარმომადგენლები ჩაიყვანეს შეუნაში (Шхунი), საგუშაგოს წარმომადგენლებიდან დაიჭრა 3 და დაიღუპა 1 გუშაგი [7, 15; 22].

ამ მდგომარეობის კვალდაკვალ, ფონ კულმანმა მიიღო გადაწყვეტილება მეთაურობა აელო ყველა საჯარისო შენაერთებზე. ხოლო კაპიტანმა გავრიშევმა გამოთქვა მზადყოფნა, ფონ კულმანის მოთხოვნის შესაბამისად, გაეგზავნა გემი “კოინი” და ორანბა ნავი (შეუნა) “რედუტ-კალე” ფოთსა და გაგრაში, იქ განთავსებული ჯარის ნაწილების გადმოსაყვანად. სათანადო განკარგულება გაიცა ბიჭვინთის სამხედრო ხელმძღვანელობისადმი მთიელთა გამოსვლების შემთხვევაში სამხედრო მზადყოფნის შესახებ [7, 22].

1866 წლის 27 ივნისს, შუადღისთვის, აფხაზების ჯარმა 2000 კაცამდე შემადგენლობით, ტამუშა და მუსტაფა მარლანიების ხელმძღვანელობით, იერიში მიიტანა მთის ქვეშ არსებულ დასახლებაზე და დაიკავა. მათ გადაწვეს ქალაქის შენობები და ხელში ჩაიგდეს დარჩენილი ქონება. რუსებმა გაათკეცებული ბრძოლის ფასად, შეძლეს თავდამსხმელთა ცენტრიდან უკან დახევა. ბრძოლის ველზე რუსეთის ჯარების მხრიდან დაიღუპა 6 და დაიჭრა 19 ჯარისკაცი, ხოლო თავდამსხმელთა მხრიდან დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი 150-ზე მეტს აღწევდა [7, 24].

1866 წლის 27 ივნისს მიხეილ ნიკოლოზის ძემ განკარგულება მისცა თავად მირსკის, რომ განეხორციელებინა ფორსირებული მარში 39-ე ქვეითი პოლკითა და მე-9 სახაზო ბატალიონით ამბოხების აღგილას. ხოლო ყუბანის ოლქის მხრიდან გაიგზავნა კაზაკთა პოლკის ორი ასეული, მე-19 ქვეითი დივიზიიდან 2 ბატალიონი 4 მთის ქვემეხით. ასევე, კაზაკთა 5 ბატალიონი თითოეულში 2 ასეული სამხედრო ძალით, განლაგდნენ სტოროუჟვოისთან, მათი დანიშნულება იყო კავშირში გასვლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მირსკის ძალებთან და ბზიფის ხეობის ზემო ნაწილიდან ყუბანში გადასასვლელის ჩაგეტვა [7, 102; 9, 156].

26 ივნისს აჯანყებულები წინააღმდეგობის გამო მდ. გუმისთასთან შეჩერდნენ. მხოლოდ 27 ივნისს შეძლეს მათ გუმისთის რუსული საგუშაგოს გარდვევა და სოხუმისაკენ დაძვრა [7, 101].

უკიდურესად გართულდა მდგომარეობა წებელდის ოლქში. რამდენადაც ოლქის პრისტავი შავროვი და დალის მთავარი მიხეილ მარშანია იმ პერიოდისათვის სოხუმში იყვნენ, წებელდასა და სოხუმს შორის სამხედრო თვალსაზრისით არანაირი კავშირი არ არსებობდა. წებელდის მაცხოვრებლებმა 28 ივნისს

დაარბიეს სახლები და ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრესა და პრისტავის სახლს. ალყაშემორტყმულებს შორის ასევე იმყოფებოდა არქიეპისკოპოსი დავით მაჭავარიანი.

რუსებისთვის წებელდაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა განტვირთა მხარის მთავარმა მიხეილ მარშანიამ, მან შეკრიბა დალის მოსახლეობიდან 70 ადამიანი და შევიდა სიმაგრეში. დანარჩენმა ძალებმა კი დაიკავეს საბრძოლო გამაგრებითი პოზიციები. წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ, სოხუმის სამხედრო გზაზე განლაგებული ქუთაისის ცხენოსანთა რეგულარული პოლკის ერთი ასეული წებელდაში იქნა გადაყვანილი [7, 102].

მიხეილ მარშანიას ერთგულებას მოგვიანებით განსაკუთრებით უსვამდა ხაზს კავკასიის მეფისნაცვალი 1866 წლისა 21 აგვისტოს იმპერატორისადმი გაგზნილ წერილში [9, 153].

1866 წლის 28 ივლისს აფხაზმა ამბოხებულებმა დამატებითი ძალების მიღების შემდეგ სოხუმზე განაახლეს იერიში, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. აღნიშნულ ოპერაციაში დაიღუპა რუსების მხრიდან 20 დაბალი ჩინის წარმომადგენელი, დაიჭრა 3 ოფიცერი და 55 რიგითი სამხედრო. სამხედრო მოქმედებებში აქტიურად იყო ჩართული შავიზდვისპირეთის სახდვაო სამხედრო ფლოტი. თავადი მირსკი ამ ოპერაციის ჩასატარებლად სოხუმში 30 ივლისს ჩავიდა; იმავე დღეს აფხაზეთში შევიდა ფოთში განლაგებული ორი ბატალიონი. გამოიძახეს ელიზავეტოპოლის პოლკი, დარჩენილი 39-ე დივიზიაც ასევე გაიგზავნა აფხაზეთსა და სამეგრელოში ფორსირებული მარშით თარხანოვის ხელმძღვანელობით. სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისათვის გამოძახებულ იქნა საარტილერიო ბრიგადები გორიდან და ეკატერინოდარიდან [7, 3-3].

1866 წლის 2 აგვისტოს თავადი მირსკი აცნობებდა ხელისუფლებას, რომ რთულმა დღეებმა სოხუმში უკვე ჩაიარა, 2 დღეში დაგეგმილი პქონდათ კონტრშეტევა სოხუმზე; ასევე რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა მოქმედება ბიჭვინთასა და წებელდაში [7, 4].

1866 წლის 3 აგვისტოს მოლაპარაკება შედგა ბზიფის ხეობის აფხაზ უხუცესებთან. მათ განაცხადეს, რომ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდენენ რუსეთის წინაღმდეგ აჯანყებაში, აუცილებლად დაისჯებოდნენ. ასევე, მათ უნდა უზრუნველეყოთ ყველა გატაცებული ნივთისა და იარაღის დაბრუნება. უხუცესები ამ დავალების შესრულებას იმავე წლის 4 აგვისტოდან შეუდგნენ [7, 104-104].

1866 წლის 5 აგვისტოს წებელდაში პოლკოვნიკ კოტლიარევსკის ხელმძღვანელობით გაიგზავნა სამი ბატალიონი საჯარისო ნაწილი ორი ქვემეხით. ჯარს წებელდაში არანაირი საბრძოლო მოქმედება არ განუხორციელებია და 10 აგვისტოს სოხუმში დაბრუნდა.

1866 წლის 8 აგვისტოს სამეგრელოს მილიციის 800-კაციანმა ნაწილმა, 2 ასეულისაგან შემდგარმა ქუთაისის რეგულარულმა ცხენოსანმა რაზმა და 2 მსროლელმა პოლკმა მდ. ენგური გადალახა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდა. მათ ოქუმში შეუერთდა სამურზაყანოსა და აბუუის [აბჯიბსკი] კაზაკთა მილიციის 300 კაციანი რაზმი. სამხედრო ძალებმა 9 აგვისტოს შეძლეს მთლიანად აღედგინათ საგზაო კავშირი და სოხუმში შესვლა. ასევე აღდგენილ იქნა კავშირი წებელდასა და სოხუმს შორის [7, 104-105].

სანტერესოა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში გარკვეულ ინტერესს ავლენდნენ საფრანგეთის დიპლომატიის წარმომადგენლები.

ჩვენს მიერ რუსეთის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტის თანახმად, 1866 წელს ტრაპიზონში რუსეთის

გენერალური კონსული მოშნინი საიმპერატორო კარის საელჩოს კონსტანტინოპოლიში ატყობინებდა, რომ აფხაზეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ხოსან – მარგანი (ხასან მარდანია) იყო იარაღი დასავლეთის ინტრიგისა, თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ხასან მარდანია 1866 წლის ივლისში ფრანგული გემით ბათუმში გაემგზავრა, ამავე გემზე იმყოფებოდა იმ პერიოდის რუსული დიპლომატიური მისიისათვის კარგად ცნობილი ვინმე რებულ, [Ребула], რომელთან დაახლოებული პირები, ანონიმურად ატყობინებდნენ რუსეთის გენერალურ კონსულს, რომ აფხაზეთში მომხდარი პოლიტიკური დაბაბულობა ფრანგული პოლიტიკური ინტრიგის ნაწილი იყო [7, 50-50].

თავად ხასან მარდანიას მოლაპარაკება გაუმართავს ბათუმში მცხოვრებ აფხაზებთან. შეხვედრაზე სხვებთან ერთად იმყოფებოდა ვინმე მუსტაბეი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში. როგორც ჩანს, ეს მუსტაბეი იყო აჯანყების მთავარი მეთაური. რუსი დიპლომატის ამ აზრს ამყარებს ის ფაქტიც, რომ 1866 წლის 29 ივლისს ფოთიდან ტრაპიზონში შემოსულ ფრანგულ გემს ასევე მოჰყვა საფრანგეთის კონსული შეფერი, რომელსაც ტრაპიზონის ფაშასთან გაუმართავს ხანგრძლივი მოლაპარაკება აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე [7, 51]. ასევე, ფრანგი ინჟინრები ახორციელებდნენ ყარსისა და ბაიაზეთის სიმაგრეების წესრიგში მოვანას. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ აფხაზეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ხასან მარდანია რუსეთის დიპლომატიურ მისიასთანაც იყო შეკრული. როგორც მოშნინის წერილიდან ჩანს, «Хосан- Морган сейчас присыпал ко мне узнать о подробностях и причинах возмущения» [7, 51]. საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენელი შევ-

ცადა კიდეც ანტირუსული მოძრაობის გამოყენებას თავისი პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც შემდგომში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებიდან ჩანს, საფრანგეთის მხრიდან სერიოზული ფინანსური და სამხედრო დახმარება აფხაზეთში აჯანყებულებს არ მიუღიათ. სავსებით შესაძლებელია, რომ ფრანგული მხრე დაინტერესებული ყოფილიყო ამ აჯანყებით, ვინაიდან აფხაზეთის ფეოდალთა ერთი ნაწილი დაიმედებული იყო საგარეო ძალების მხარდაჭერით [10, 190]. მაგრამ, იმ პერიოდის საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, არასწორი იქნება, რომ აფხაზეთის აჯანყება თავიდან ბოლომდე შეფასდეს საფრანგეთის და საერთოდ უკროპის დიპლომატიის ინტრიგის ნაწილად.

1866 წლის 12 აგვისტოს მიხეილ ნიკოლოზის ძე სოხუმში ჩავიდა. 14 აგვისტოს 1 სამხედრო რაზმი და 8 ბატალიონი პოლკ. ბიბიკოვის მეთაურობით, გადმოსხეს გუდაუთაში. იმავე დღეს გუდაუთაში ჩავიდა მირსკი. აჯანყებულებს სადესანტო ნაწილებისათვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ [10, 172].

1866 წლის 20 აგვისტოს მირსკის მიერ გაიცა სპეციალური ბრძანება მოსახლეობის მხრიდან იარაღის ჩაბარების შესახებ. მირსკის მიერ იარაღის ამოსაღებად თითოეული სოფლისათვის სპეციალური დღეები იქნა გამოყოფილი [10, 173-174]. გუდაუთიდან სოფელ ანუხვამდე იარაღის ამოღება უნდა განხორციელებულიყო პოლკ. რაზუმინინის ხელმძღვანელით, სოფ. ფსირცხაში თავად პოლკ. ლევაშოვის მიერ, ხოლო მდ. გუმისოფიანი მთლიანად სოფ. ეშერის მაცხოვრებლებიდან იარაღის ამოღება დაევალა პოლკ. მაჭავარიანს. 1866 წლის 31 აგვისტოს ბზიფის ხეობის განიარაღება დასრულდა [7, 109; 9, 175]. მიხეილ ნიკოლოზის ძე პირდაპირ მოითხოვდა, რომ „ერთხელ და სამუდამოდ“ დასრულებულიყო ამ მხარის დამორ-

ჩილება. მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გა-
წევის შემთხვევაში, კავკასიის მეფისნაცვალს განზრა-
ხული პქონდა ყოველგვარი ძალისმიერი საშუალების
გამოყენება: გადასხლება, გადაწვა და სხვა.

1866 წლის 2 სექტემბერს მიიღებულ იქნა გადაწ-
ყვეტილება სოხუმის ოლქიდან – მდ. კოდორამდე (წე-
ბელდის ოლქის ჩათვლით) მაცხოვრებლებისაგან ია-
რადის ამოღების შესახებ, რომელიც 1866 წლის 7
სექტემბრისათვის ძირითადად დასრულდა [7, 110; 10,
177-178]. 63 სოფლიდან ამოღებული იქნა 5667 თოფი
და 670 პისტოლეტი [10, 178].

ამ ღონისძიებათა კვალდაკვალ, სოხუმიდან მდ.
ენგურამდე მაცხოვრებლებს აეკრძალათ ცეცხლსას-
როლი იარადის ტარება. ასევე, აეკრძალათ სამეგრუ-
ლოში მცხოვრებ პირებს იარადით გადმოსვლა აფხა-
ზეთის ტერიტორიაზე. 1866 წლის 20 აგვისტოს მიხე-
ილ ნიკოლოზის ძე რუსეთის იმპერატორს აცხობებ-
და აფხაზეთის საბოლოო დამორჩილებას. ალექსან-
დრე II აღფრთოვანებული იყო დასავლეთ კავკასიაში
რუსეთის ჯარების წარმატებული მოქმედებებით. კავ-
კასიის მეფისნაცვლის 1866 წლის 13 აგვისტოს ბრძა-
ნებით, სოხუმში სამხედრო ოპერაციის დროს გამოჩე-
ნილი თავდადებისათვის 24 სამხედრო პირი დაჯილ-
დოვდა [10, 179-180].

სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებით, სოხუმში და-
ღუპული პირებისა და სხვადასხვა სახის მიუენებული
ზარალის დადგენის მიზნით, შეიქმნა ორი კომისია.
პირველ კომისიას, რომელსაც უნდა დაედგინა სახელ-
მწიფოსათვის მიუენებული ზარალი, სათავეში ედგა
პოლკოვნიკი პავლოვი; მეორე კომისიას, რომელსაც
უნდა დაედგინა პერძო პირებზე მიუენებული ზიანი,
სელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ზავადსკი. ამ უკანას-
კნელმა იმუშავა 1866 წლის 5 აგვისტოდან 11 ოქტომ-
ბრამდე [10, 183]. გარდა ზემოაღნიშული კომისიებისა,

მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ შეიქმნა კიდევ ორი საგამომიებო კომისია. პირველ კომისიას, ყორლანოვის მეთაურობით, უნდა გამოეძია აჯანყების მონაწილეები და განესაზღვრა მათი დანაშაულის ხარისხი [7, 110]. ხოლო მეორე, ე.წ. განსაკუთრებულ კომისიას ადმინისტრაციული კუთხით უნდა გამოეძია აჯანყების მიზეზები, შეესწავლა ყოფაქცევა და მოქმედებანი შერვაშიძეთა ოჯახისა. პირველი კომისია მუშაობას შეუდგა 1866 წლის 1 სექტემბრიდან და დაასრულა იმავე წლის 19 ოქტომბერს. ხოლო მეორე კომისიამ, პოლკოვნიკ პავლოვის ხელმძღვანელობით, იმუშავა 5 აგვისტოდან 11 ოქტომბრამდე [10, 180-182]. კომისიის მუშაობის შედეგად, მრავალი ადამიანი იქნა პასუხისმგებლობაში გადაცემული. ნაწილი კი, საველე სასამართლოს წესით ჩამოახრჩეს.

1866 წლის 24 აგვისტოს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაამტკიცეს განერალი ტოლსტოი, რომელსაც სპეციალური დავალება მიეცა მხარის სრული განიარაღებისათვის [7, 110-110].

მიხეილ ნიკოლოზის ძემ დასაჯა ასევე შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები. კავკასიის მეფისნაცვალი 1866 წლის 12 სექტემბერს სამხედრო მინისტრ მილიუტინს მიმართავდა, რომ ადიუტანტი გიორგი შერვაშიძე საერთოდ გაეთავისუფლებინათ სამხედრო სამსახურისაგან [7, 52]. საბოლოოდ გიორგი და ალექსანდრე შერვაშიძეები გაასახლეს აფხაზეთიდან; გიორგი - ქუთაისში, ხოლო ალექსანდრე - თბილისში [7, 171].

იმპერიის მაღალჩინოსანთათვის შერვაშიძეების აჯანყებაში მონაწილეობის გარკვევა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მსჯელობის საგანი იყო. როგორც მასალებიდან ჩანს, გიორგი შერვაშიძის და მისი პიძის ალექსანდრეს მიმართ რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროში რუსეთის საწინააღმდეგო მრავალი და-

მაბეზდებელი ინფორმაცია არსებობდა. კერძოდ, იმპერიის სახელმწიფო ქონების მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ზელენოვი კონფიდენციალური წერილით მიმართავდა სამხედრო მინისტრ მილიუტინს გიორგი შერვაშიძის აფხაზეთის მღელვარებაში მონაწილეობის გარკვევის შესახებ [7, 153].

მიხეილ ნიკოლოზის ძე რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე გიორგი შერვაშიძეს, ძირითადად, ადანაშაულებდა ლიხნთან მომხდარი ინციდენტის და მთლიანად აჯანყების მსვლელობის დროს გულგრილობის გამოვლენაში. ის აღნიშნავდა: „Нет никого сомнения, что подобные поведения в глазах населения приняло тот вид, который пожелали придать ему лица, руководившие этим делом, и что в народном сознании он являлся в настоящем случае вполне сочувствующим возмущению, в видах мести за удаление отца его“ [7, 171-173].

„სუსტი ხასიათისა“ და „შეზღუდული აზროვნების“ მქონე ალექსანდრე შერვაშიძე დადანაშაულებული იყო თავის ქვეშევრდომებთან ერთად სოხუმზე თავდასხმის დროს რუსეთის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის მხარდაჭერასა და განაპირა მხარეებში [განსაკუთრებით წებელდის] აჯანყების გაფართოებაში [7, 173-175]. მთლიანობაში მიხეილ ნიკოლოზის ძის აზრით, შერვაშიძეების მოქმედება არ წარმოადგენდა ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომ ისინი სასამართლოს წესით გასამართლებულიყვნენ [7, 175]. ფაქტია, რომ კავკასიის მეფისნაცვალი თავს არიდებდა აფხაზეთში ახალი დაძაბულობის წარმოქმნას.

კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობით გორგი და ალექსანდრე შერვაშიძეებს აეკრძალათ არა მარტო აფხაზეთში ცხოვრება, არამედ კავკასიაში დაბრუნებაც. გიორგი შერვაშიძე უნდა გადასახლებულიყო ორენბურგის ოლქში. 1867 წლის 2 მაისიდან მას მიეცა უფლება ემსახურა კავალერიის პოლკში.

ხოლო ალექსანდრე შერვაშიძე სამხედრო სამსახურიდან საბოლოო დათხოვნით – გადასახლებულ იქნა ასტრახანის გუბერნიაში [7, 176-176]. ასევე ეკრძალებოდა აფხაზეთში ცხოვრება მიხეილ შერვაშიძის მეორე ძმას კონსტანტინე შერვაშიძეს და უმცროს შვილს მიხეილსაც [7, 177]. აფხაზეთში ცხოვრების უფლება არ ეზღუდებოდათ მხოლოდ მიხეილ შერვაშიძის დებს. კავკასიის მეფისნაცვლის მიერ წარდგნილი შუამდგომლობა 1867 წლის 15 აპრილიდან კანონიერ მოქმედებაში შევიდა [7, 180].

ამავე პერიოდიდან შევიდა ძალაში მიხეილ ნიკოლოზის ძის პროექტი შერვაშიძეთა ოჯახის წარმომადგენელთათვის ფულადი კომპენსაციის გამოყოფის შესახებ: პროექტის მიხედვით, გიორგისა და მიხეილ (უმცროსი) შერვაშიძეებისათვის წლის განმავლობაში უნდა გაცემულიყო ხუთ-ხუთი ათასი მანეთი. ამავე რაოდენობის თანხა გამოყოოთ მიხეილ შერვაშიძის ძმებს კონსტანტინესა და ალექსანდრეს. რაც შეეხება მიხეილ შერვაშიძის ასულებს ნინოსა და ბარბარეს [ვარვარა], მათ მთავრობა გამოუყოფდა ორ-ორ ათას მანეთს. თითოეულზე 500 მანეთის ოდენობის თანხა იქნა გამოყოფილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დვიძლი დის, რუსუდანისათვის და ბიძაშვილის, აშე ხანუმისათვის. მთლიანად სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გამოყოფილიყო 25 ათასი მანეთი [7, 202-204].

მიხეილ შერვაშიძის არასრულწლოვან შვილებს: მიხეილს, ნინოსა და ბარბარეს მეურვედ მიუჩინეს ბიძა დავით დადიანი. რომელიც გაწეულ საქმიანობაზე ანგარიშვალდებული იყო კავკასიის ხელისუფლებისა და სოხუმის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელობის წინაშე [7, 54; 57; 63].

აჯანყების ჩახშობისთანავე კავკასიის მეფისნაცვალი 1866 წლის 24 აგვისტოს სამხედრო მინისტრ მილიუტინს წერდა წერილს, რომ ნება დაერთოთ აფხა-

ზეთიდან დაახლოებით 1000 ოჯახის გადასახლებისა ზღვის გავლით როსტოკში [7, 13]. პასუხად სამხედრო მინისტრი წერდა, რომ რამდენადაც ჯერ დღის წერიგში იდგა კაიტახელების გადასახლების საკითხი, აფხაზების გადასახლება მიზანშეწონილი იქნებოდა 1867 წლის ადრე გაზაფხულისათვის [7, 57; 63].

კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიზნევდნენ, რომ პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველსაყოფად, უნდა მოეხდინათ აფხაზეთის მუსლიმური მოსახლეობის შემცირება თურქეთში გადასახლების გზით [11, 285-286; 4, 68]. მიხეილ რომანოვი აღნიშნავდა, რომ აფხაზების გადასახლების მთავარი ამოცანა იყო იმპერიისადმი მტრულად განწყობილი ხალხის საზღვრისპირა რეგიონებიდან მოშორება [11, 284].

1867 წლის იანვრის დასაწყისში, კავკასიის მთავარი სამხედრო შტაბის უფროსმა, გენერალმა კარცევმა თბილისიდან სტამბოლში გაგზავნა გენერალური შტაბის კაპიტანი შელკოვნიკოვი. მას დიპლომატიური მისიის დახმარებით უნდა მიეღო თურქეთის ხელისუფლებისაგან თანხმობა 4500 აფხაზი ოჯახის ოსმალეთის სიღრმეში ჩასახლებაზე [7, 156].

1867 წლის 2-3 იანვარს გაიმართა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლის პ. იგნატიევისა და ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლის ალი ფაშას შეხვედრა. თურქეთის ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის გამო, რუსეთის დიპლომატიას დიდი შრომა დასჭირდა აფხაზთა თურქეთში ჩასახლების შესახებ თანხმობის მისაღწევად [7, 156-157]. მოლაპარაკების პერიოდში მთავარ პრობლემას ქმნიდა გადასახლებულთა ტერიტორიულად განსახლების საკითხი. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება მოითხოვდა მთიელთა რუმელიაში ჩასახლებას. რუსეთის დიპლომატია კი აფხაზთა ჩასახლებლად უკეთეს ვარიანტად მიიჩნევდა დიარბე-

ქირსა და ერზინგანს შორის არსებულ ტერიტორიას [7, 157-158].

თურქეთის წინადადებათაგან რუსეთისათვის მისაღები აფხაზების სირიაში ჩასახლება იყო. ასეთ შემთხვევაში აფხაზებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ მიეცემოდათ. რუსეთის დიპლომატისათვის პრობლემად რჩებოდა მომავალი ურთიერთობა ჩასახლებულ აფხაზებსა და ადგილობრივ კათოლიკურ მოსახლეობას შორის [7, 158-158].

1867 წლის 6 აპრილს მოჰაკირთა პირველი ნაკადი - ფსეუელებისა და ჯიქების 49 ოჯახი (სულ 218 ადამიანი), სამი ხომალდით სოხუმიდან ბათუმში ჩაიყვანეს [10, 285].

1867 წლის 25 აპრილს 4000 აფხაზის თურქეთში, კერძოდ სირიაში გადასახლების საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. მათი გადაყვანა ანატოლიის ერთ-ერთ პორტში მაისის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ხოლო შემდგომ თურქი კომისრების მიერ მოხდებოდა მათი განსახლება მიღებული გეგმის მიხედვით. [მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მოჰაკირების ჩასახლება და გადასხმა პორტებში ასე უნდა ყოფილიყო: ხოჯა-ილსა და ვირან-შეხირში ჩასასახლებულების ისმიდის პორტში; კარასასირსა და კეტაიაში – მუდანიანის პორტში; მაგნეზიაში, დენიზლიში, ხანგაში – სმირნის პორტში; ნიგდეში, ინილში, მარაშში, აზაპაში – მერსინის პორტში; კესარიასა და ხაშირში – სამსუნის პორტში; ერზინგიანისა და მადენის – ტრაპიზონში; კონიასა და ელაიფოს – სელივკის პორტში; ბურდურისა და ნაშიდის – ტეკეს პორტში; ანქაისა და ორფის – ალექსანდრეპის პორტში] [7, 229-229].

რუსეთის დიპლომატიური მისიის მიერ გაგზავნილი მასალებით დასტურდება, რომ 1867 წლის 18 აპრილიდან 18 მაისამდე სოხუმიდან 70 კარაპიო გადასახლებულ იქნა 10865 აფხაზი [7, 242]. ამათგან 7132 1867 წლის 16 მაისამდე გადასახლეს რუმელიაში, ხოლო დარჩენილები განათავსეს ტრაპიზონის გარეუ-

ბანში არსებულ 70 - ათასიან ჩერქეზთა ბანაკში [7, 243]. ზემოაღნიშნულ გადასახლებულ აფხაზთა რიცხვს დაემატა 1867 წლის 29 მაისს გადასახლებული 400 აფხაზი [7, 243].

გადასახლებულთა ნაწილი ყოველნაირად ცდილობდა სხვადასხვა საშუალებით თავიდან აეცილებინა გადასახლება. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს ტრაპიზონში რუსეთის საკონსულოს მთავარი მრჩევლის მოშნინის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ 72 გემიდან მიღებული საერთო სხვაობა წარმოადგენდა 1105 ადამიანს [7, 243].

მუჭაჯირობის შემზარავი ფაქტის შესახებ არაერთ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს გამოუთქვამს თავისი შეხედულება; მათ დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მუჭაჯირობის სიმძიმეს ვერ მალავდა თავად რუსეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი: «Переселение это хотя идет в отличных условиях, благодаря мерам высшего Кавказского начальства и хорошему денежному состоянию Абхазцев, тем не менее оно произвело очень грустное впечатление» [7, 243]. კავკასიელ ხალხთა თურქეთში გადსახლების პროცესი ფართოდ გაშუქდა იმ პერიოდის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. ადგილობრივი მოსახლეობის აყრამ და ოსმალეთში გადასახლებამ თავზარი დასცა ილია ჭავჭავაძეს. დიდი საზოგადო მოღვაწე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სულთნის მთავრობა და რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ხელს უწყობდა კავკასიელ ხალხებს დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ [3, 46].

როგორც მოჭაჯირობის მთავარი ორგანიზატორის, მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილში სამხედრო მინისტრ მილიუტინისადმი მითითებულია, რომ 1867 წელს აფხაზეთიდან მოსახლეობის გადასახლება

გრძელდებოდა იმავე წლის გვიანი აპრილიდან ივნის დასაწყისამდე [7, 256; 9, 3-4]. გადასახლებულთა საერთო რიცხვი შეადგენდა 19342 ადამიანს [7, 256]. მათგან 2503 ოჯახი (14740 ადამიანი) გადასახლეს წებელდიდან და დალის ხეობიდან, ხოლო 855 ოჯახი (4602 ადამიანი) ბიჭვინთისა და დრანდის ოლქებიდან [7, 256; 4, 72-73].

აფხაზი ისტორიკოსების – გ. ძიძარიას, შ. ინალივას, ბ. აშუბას და სხვათა მიერ, აფხაზთა მრავალრიცხოვნობისა და ტრაგიკული წარსულის საერთო სურათის შესაქმნელად, 1867 წლის მოპაჯირობის დროს გადასახლებულთა რიცხვი ათეულ ათასობით არის ხელოვნურად გაზრდილი. ეს პრობლემა არაერთხელ გამხდარა ქართველი მეცნიერების მხრიდან (ზ. პაპასქირი, გ. გასვიანი, ა. თოთაძე...) სამართლიანი კრიტიკის საგანი.

1867 წლის მუპაჯირობის შედეგად დაცარიელდა აფხაზეთის რიგი ტერიტორიები. ამ გარემოებამ განაპირობა ახალი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება, რომელიც 1868 წლის მაისში განხორციელდა. 1868 წლის დასაწყისში ახლად დანიშნულმა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა გეიმანმა შეიმუშავა პროექტი აფხაზეთის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ [8, 1]. აღნიშნული პროექტის სრული ვარიანტი თავისი დანართით 1868 წლის 12 თებერვალს ქავერიას მეფისნაცვლის მიერ წარედგინა იმპერიის სამხედრო მინისტრს დ. მილიუტინს. რომელიც 1868 წლის 27 მაისს რუსეთის იმპერატორმა საბოლოოდ დამტკიცა. აფხაზეთის რეგიონი დაიყო ორ – ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქად. სოხუმის განყოფილება მიუერთდა სამურზაყანოს ოლქი, რომელიც მოიცავდა ოჩამჩირიდან მდინარე ენგურამდე ტერიტორიას. თითოეული ოლქი თავის მხრივ იყოფოდა უბნებად: ბიჭვინთის ოლქი შედგე-

ბოდა ორი უბნისაგან - გუდაუთისა და გუმისთისა. გუდაუთის უბანი მოიცავდა ტერიტორიას გაგრიდან მდ. ფსირცხემე [Пситр], გუმისთის უბანი მდ. ფსირცხემდან [Пситр] მდ. კოდორამდე. ოჩამჩირის ოლქი მოიცავდა რეგიონს მდინარე კოდორიდან მდინარე ლალიძგამდე. ხოლო დალიძგიდან ენგურამდე არსებული ტერიტორიული უბანი მოექცა სამურზაყანოს ოლქში [8, 1; 12, 278-279]. ამგვარმა ადმინისტრაციულმა და ყოფამ 1883 წლამდე იარსება [12, 279].

წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 416, აღწ. 3, საქმე, 177.
2. პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბ., 2004.
3. ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, სოხუმი, 1974.
4. ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004.
5. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. VI (გიორგი შერვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი).
6. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ф. 38, 1865-1868 гг, оп. 30/286, св. 879, д. 12.
7. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ф. 400, Азиат. часть, 1866 г (оп. 908), на 266 листах, д. 54.
8. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ф. 400, 1866-1867 гг, оп. 908, д. 9.
9. Кавказ, №40, 268, 1867 г.
10. Дзидзария Г., Восстание Абхазии..
11. Дзидзария Г, Мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.
12. Исторические записки об управлении Кавказом, составил С. Эсадзе, т. 1, Тифлис, 1907.

13. Отчет по главному управлению Наместника Кавказского за первое десятилетия управления Кавказским и Закавказским краем, его императорским высочеством великим князем Михаил Николаевичем (6 декабря 1862 – 6 декабря 1872). Тифлис, 1872.

Zurab Sulaberidze

Mikhail Romanov, Vicegerent of the Caucasus and the Problems of the Political History of Abkhazia in the 1960s

The aim of the given publication is to study the role of the prominent political figure of the Russian empire and vicegerent Mikhail Romanov in creating the political situation that took place in the 1960s in Abkhazia.

On the basis of the new materials we found in the Military-Historical Archive of Russia and in scientific works the article deals with the history of the revolt of Abkhazians (Apsuas) in 1866 and the first Mukhajirism. The abolition of the Abkhazia principality, the formation of the Sokhumi Military-Civil Department, the exile of the Shervashidzes' family members and the new administration division problems of Abkhazia are discussed in the article. Because of above mentioned facts some regions of Abkhazia became empty and Russia colonized this ancient region of Georgia.

ეთნოლოგია Ethnology

ლავრენტი ჯანიაშვილი

ქვემო ქართლის აზერბაიჯანლების თანამედროვე
ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის
ეთნოკულტურული ასპექტები*

ქვემო ქართლი ისტორიული საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდება. თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური ეთნომიგრაციული პროცესების არეალში. იგი ჩამოყალიბდა საქართველოს ყველაზე ჭრელ ეთნიკურ რეგიონად, ტიტულარული მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებით – ე.წ. “ეროვნული უმცირესობებით” კომპაქტურად დასახლებულ მხარედ, სადაც ფორმალური უმცირესობა (ქვეყნის მასშტაბით), ფაქ-

* სტატია შესრულებულია საგრანტო პრექტის „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში (ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება)“ ფარგლებში.

ტიურ უმრავლესობას (ლოკალური მასშტაბით) წარმოადგენს [29, 14]¹. მაგ. მარნეულის რაიონში აზერბაიჯანელები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 83,1%, დმანისის რაიონში 66,8%, ბოლნისის რაიონში 66%, გარდაბანში 45,1% (სტატისტიკური მონაცემებით მთლიანად საქართველოში აზერბაიჯანელები მოსახლეობის დაახლოებით 6,5% შეადგენენ) [17, 110-116].

თურქული წარმომავლობის ტომების პირველი მასობრივი შემოსვლა-დამკვიდრება აღ. საქართველოში ”დიდ თურქობას” უკავშირდება. სამხრეთ კავკასიაში თურქ-სელჩუკები XI ს-ის 30-იან წლებში გამოჩნდნენ. XI სუკუნის II ნახევრიდან თურქთა თარეში გახშირდა, დაიწყო ”დიდი თურქობის” ხანა. მომთაბარეთა ჩამოსახლება ყოველწლიურად უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა. ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები საძოვრებად იქცა. მწარმოებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა, დანარჩენი კი მთებში გაიხიზა [20, 319-329; 21, 265; 14, 198-199]. უნდა ითქვას, რომ XI საუკუნის ბოლოს გაერთიანებული სქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელმა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორება შეძლო და მომთაბარეთა ძირითადი ნაწილი საქართველოდან განდევნა [21, 367; 14, 239]. მართალია, ქართული სახელმწიფოს დასუსტების შემდეგ XIII-XV სს. თურქული წარმომავლობის მოსახლეობის შემოსვლა გრძელდებოდა, მაგრამ ამ პროცესს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და ქართველი პოლიტიკური მესვეურები ადვილად ახერხებდნენ მომთაბარეთა განდევნას ან ინტეგრაციას [16, 251-255; 12, 279-277; 3, 256; 10, 335; 7, 133].

¹ 2006 წლისთვის არსებულ კანონპროექტში, ნათქვამი იყო, რომ ”ეროვნული უმცირესობა” არ შეიძლება იყოს ავტოქთონური მოსახლეობის ნაწილი ან საქართველოს ავტონომიური რეგიონის ტიტულარული ეროვნება.

XV-XVI საუკუნეებიდან თურქმანული მოდგმის (ქართული წყაროებით თათრები, დღეგანდელი აზერბაიჯანლების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით შეუძლებადი გახდა იგი XVII ს-ის დასაწყისიდან, როდესაც შაჰ აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის საჩუქრად მიწები მოსთხოვა. აბასმა "ნაჩუქარ" მიწაზე ლორეს სახნო შექმნა და იქ ბორჩალუს მაპმადიანი ტომები ჩამოასახლა [4, 219]. XVII–XVIII საუკუნეში ად. საქართველოში ჩამოსახლდა პასანდუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი ძირითადად კახეთში და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში) დანაწილდნენ. ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაში შეადგია, ქცია-ხრამის ხეობების გაყოლებით ადმოსავლეთისაკენ წავიდა და მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებსა და ყარაიის მდიდარ საძოვრებს მოეკიდა [3, 419]. პირველ ხანებში ჩამოსახლებული ყიზილბაშები ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებშიც არ გვხვდებიან. მოგვიანებით, თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემაში შევიდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში [9, 553-578]. ამის მკაფიო მაგალითია სახალხო გმირი ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც ლირსეული ადგილი უჭირავს მეფე ერეკლე II-ს ერთგულ თანამებრძოლთა შორის.

ზემოხსენებულ მიგრაციას ზოგჯერ ადგილობრივი მესვეურებიც უწყობდნენ ხელს. აქ შემოყვანილ უცხო ჯგუფებს ქართული სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალი გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად იყენებდა [15, 198-203; 1, 521]. საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა მიგრანტებს, არამედ ქმნიდა პირობებს მათი ინტეგრირებისათვის. ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი

XII) მიგრანტებისათვის შედავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ, უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა. XVIII ს-ის შუა წლებში ერეპლე II-ს მუდანის ველიდან გადმოუსახლებია სპარსელებისაგან შევიწროვებული 250 თურქმანული ოჯახი, მათგან შეიქმნა სოფლები: მუდანლო, ყაფანახეყი და ყიზილ-ჰანჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობენ [1, 521]. ქართლ-კახეთის მეფე მუდმივად აკვირდებოდა მიგრანტებს და არ აძლევდა მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას. 1755 წ. მან უკან დააბრუნა ერევნის სახანოსა და ყარასუზე გადასხლებული ბორჩალოელები [2, 50]. 1756 წელს სამცხეში საიალალოდ მდგომმა ელებმა გადაწყვიტეს ირანში წასვლა. მათ ყაზახის მომთაბარეებიც შეუერთდნენ. ერეკლე მეფე ყაიყულში დაეწია მათ და უკან დააბრუნა [15, 243]. უფრო მოგვიანებით, როდესაც ქვემო ქართლის ელების ერთი ნაწილი, თარაქამები, ალი-ბეგმა გადაიბირა ახალციხის საფაშოში დასასახლებლად (ეს იყო სამცხეში მომთაბარე თურქმანთა მასობრივად ჩასახლების პირველი შემთხვევა), ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ თურქების სულთანთანაც კი იჩივლა მათი უკან დაბრუნების მოთხოვნით [13, 332].

თურქმანული მოდგმის ტომების დამკვიდრების შემდეგ აქტუალური გახდა ელის საკითხი. ელით დასახლებული მიწები შაჰმა ”სოიურდალად“ გადასცა ქართლის მეფის მოხელეს, სომხითის მელიქს. ქართლის მეფის მოხელისადმი ამგვარი წყალობა, შაჰს ქართული მიწათმფლობელობის წესის დასარდვევად ესაჭიროებოდა. ირანის პოლიტიკურ ინტერესებს, რა თქმა უნდა ამ მიწების ”თიულად“ გამოცხადება უფრო შეესაბამებოდა, მაგრამ ეს რადიკალური დონისძიება აუცილებლად დაუპირისპირებდა შაჰს ქართლის ფეოდალურ საზოგადოებას. ”სოიურდალი“ საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციიდან თანდათანობით

გამოთიშვის შესაძლებლობას იძლეოდა [6, 221-223]. მოგვიანებით, ირანის პოლიტიკური გავლენის შესუსტების შესაბამისად ჩამოსახლებული თურქმანები სულ უფრო ექცეოდნენ ქართული სახელმწიფოს გავლენაში. რა თქმა უნდა, უცხო სამეურნეო და ფისკალურ სისტემასთან შეგუება მომთაბარე მოსახლეობას ძალზე უჭირდა. ქართლის მეფე ვახტანგ VI შეცადა საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა ქართულ სამეფოში ელი მოსახლეობის ინტეგრირებისათვის. იგი დასტურლამალის „ელის გამოსაღების რიგით“ განსაზღვრავდა თურქმანული მოსახლეობის უფლება-მოვალეობებს [9, 553-578].

XIX საუკუნიდან, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ, ქართულ მიწებზე მომთაბარე ელების დამაგრებას დიდ ყურადღებას აქცევდა რუსული მმართველობაც. მოხელეები ყოველნაირად აფერხებდნენ „თათრების“ წინარე სამშობლოში გადასახლებას. თუმცა ეს პროცესი მაინც მიმდინარეობდა XIX ს-ის დამდეგს ბორჩალოს მოურავის მოხსენების თანახმად მთელი სოფელი ნაჯბადილუ აიყარა. ელების აყრა-გაქცევამ იმ ხანებში იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ პირებზე თვალთვალი და ეწესებინა [18, 1007].

მომთაბარეთა ცხოვრების სტილი და ნაგებობა-დასახლებათა ფორმები ტრადიციულ, ნომადურ ცხოვრების უმკაცრეს კანონებთან იყო დაკავშირებული. მყარი, მკვიდრად ნაგები, სამეურნეო და სცხოვრებელი ნაგებობები ამგვარი ცხოვრების წესთან შეუსაბამობაში მოდიოდა. მომთაბარეობისათვის შედარებით მოსახერხებელი იყო მარტივი კარვები. XVI საუკუნის ინგლისელი მოგზაური ანტონი ჯეკინსონი აღნიშნავდა, რომ ნომადებისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი იყო მსუბუქი კარვები. თითოეული ურდო

ცალკე ჩერდებოდა და კარვებს ურდოს მეთაურის კარვის ირგვლივ აკეთებდა. იქვე აბინავებდნენ საქონლის ჯოგებსაც, რომელსაც ტვირთის გადასაზიდი საჭაპანო ტრანსპორტით შემოზღუდავდნენ, რითაც მტრის დასხმის შემთხვევაში, ერთგვარ გამაგრებულ პუნქტს დებულობდნენ [23, 52]. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნომადები საერთოდ ერიდებოდნენ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში დაბინავებას და მათი გვერდის ავლით სტეპებში მომთაბარეობდნენ [26, 15-16]. საქართველოში შემოსახლებულ მომთაბარეებს მზა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები დახვდათ, რადგან ძირითადად აყრილი მოსახლეობის ადგილებში მკვიდრდებოდნენ. დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა მომთაბარე ელოა ადაპტაცია ადგილობრივ სამეურნეო ეკოლოგიურ გარემოში და, შესაბამისად, ადგილობრივი საცხოვრებელი ტიპის ათვისება. ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის ადგილებზე დამაგრებას და მკვიდრ საცხოვრებელ ნაგებობებში დაბინავებას ირანელი მესვეურებიც უწყობდნენ ხელს. მოჰამედ თაჰერის ერთი ცნობით საქართველოში საცხოვრებლად გამოგზავნილ ელებს კალატოზებსაც აყრილებდნენ, რათა მათოვის ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები შეექმნათ [19, 393]. სავარაუდოდ, გადმოსახლებულთა პირვანდელი საცხოვრებელი სახლები ამიერკავკასიისათვის ტიპური გვირგვინიან-ერდოიანი სახლის ადგილობრივ მარტივ გარიანტს წარმოადგენდა.

წინათ აზერბაიჯანელთა შორის გავრცელებული იყო ტრადიციული მიწური ნაგებობა ”ყარადამი” (შავი სახლი). ყარადამი კომპლექსური ნაგებობაა, სადაც ერთ ჭერქვეშ მოთავსებულია რამდენიმე სათავსო [17, 19; 24, 72-75; 25, 66-68]. მათ შორის, საქონლის სადგომი ბოსელი (”მალდამი”). ყარადამის სახურავი წარმოადგენდა ყელისაკენ დავიწროებულ საფეხუროვან პირამიდას,

რომელიც ოთხ მსხვილ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ყარა-დამში ჰაერი და სინათლე გვირგვინის უელიდან შემო-დიოდა, აქედანვე გადიოდა შუაცეცხლის კვამლი. საც-ხოვრებელი გარედან თითქმის არ ჩანდა და უფრო ყორდანს წააგავდა, რომელშიც ვიწრო ბხელი დერეფა-ნი შედიოდა. ამგვარი ნაგებობის ავეჯი და დგამ-ჭურ-ჭელი მეტად უბრალო იყო. აქ იდგა ხის ყუთები სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ასევე ზანდუკე-ბი და ხის გრძელი ტახტები. აქვე იყო ფქვილის შესა-ნახი თხის ტყავის ტომრები და ორმო ხორბლისათვის. ოთახის გასანათებლად იყენებდნენ ნავთის ლამპას ან ჭრაქს (ყარა ჩირახ). იატაკი ნაწილობრივ ხალიჩებით, ფლასებით და ჯეჯიმებით იყო მოფენილი [28, 119].

სიმპტომატურია, რომ აზერბაიჯანელთა შორის სამხრეთკავკასიულმა ერდოიან-გვირგვინიანმა საც-ხოვრებელმა შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა. გვირგვინის ფორმითა და ცენტრალური ბოძების რა-ოდენობით "ევ დამმა" (საცხოვრებელმა ოთახმა) ტრა-ფარეტული ხასიათი მიიღო. საერთო ფართობის სეგ-მენტაციის მხრივ კი აზერბაიჯანული ყარადამი სამ-კამერიან კომპლექსზე შორს ვერ წავიდა [30, 24].

საბჭოთა პერიოდში რადიკალურად შეიცვალა დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებო-ბები. მიწურბანიანი სახლების ადგილი დაიჭირა ერთ და ორსართულიანმა, კაპიტალურმა, ქვის ნაგებობებმა. დასახლებების ცენტრში გაჩნდა საგაჭრო სასწავლო და კულტურული დაწესებულებები. XX საუკუნის ტი-პური აზერბაიჯანული სოფლის ცენტრში იყო სალაფ-ბო, სადაც წყდებოდა საჭირბოროტო საკითხები. ასე-ვე, წყარო პატარა აუზით, საიდანაც სოფელი სასმელ წყალს ეზიდებოდა და საქონელს არწყულებდა. აზერ-ბაიჯანული დასახლებები უმეტესად განლაგებული იყო მდინარეების და სარწყავი არხების სანაპიროებზე. ინდივიდუალური ეზოები, ბაღები, საცხოვრებელი და

სამეურნეო ნაგებობები გამოირჩეოდნენ გარკვეული დაგეგმარების უქონლობით. მეურნეობის თავისებურება და ცხოვრების წესი კარგად არის ასახული სოფლების სტრუქტურასა და საცხოვრებელ კომპლექსში. XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან რამდენიმე ადგილას დაიწყო სოფლის ცენტრებში მეჩეთების შენება. შენარჩუნებული იქნა ნაგებობათა ზოგიერთი თავისებურებაც, კერძოდ, სახლები მიმართულია ყრუ კედლით გზისაკენ და ფასადით ეზოსაკენ. ეზოები შედარებით მომცროა და მიჯრით ერთმანეთზე მიწყობილი.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება მეურნეობის დარგების პროპორციის ცვლილებას. ქვემო ქართლის თურქმანული მოსახლეობა, მართალია თანდათანობით ეცნობოდა ადგილობრივ სამიწათმოქმედო კულტურებს, მაგრამ მე-19 საუკუნეშიც კი წამყვანი როლი მათ მეურნეობაში კვლავ მესაქონლეობას ეჭირა [27, 3]. საქართველოში მახლობელი ადმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო ამიტომ მათ დაიწყეს ადგილობრივ ტრადიციულ სიმბოზურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად უკვე XVIII საუკუნისათვის – ”სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლსა ზევით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა” [3, 309]. ამასთანავე, ქვემო ქართლის მოსახლეობაში უფრო გვიან პერიოდამდეც კი XX საუკინის 20-30-იან წლებამდე თითქმის უცვლელად იყო შემორჩენილი ქართული ტრადიციული შრომის იარაღები. ქართველ ეთნოლოგთა დაკვირვებით ამჟამინდელი სამეურნეო ბაზა ქართულ სამიწათმოქმედებო პლასტზეა დამყარებული და ქართული სამიწათმოქმედო სისტემაა წამყვანი [5, 264]. თურქული წარმომავლობის მოსახლე-

ობა მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლასთან ერთად ეზიარებოდა ადგილობრივ სამეურნეო ტრადიციებსაც, მათ ქართულ გუთანს "ქოთანი" უწოდეს და მემინდვრეობის წესიც ადგილობრივებისაგან შეითვისეს. მათ ცნობიერებაში დღემდეა შემორჩენილი ქართული ხორბლის ჯიშების სახელწოდებებიც – "შაგფხა" ("ყარა ყოლჩ"), თავთუხი ("თავთუხ"), დოლის პური ("ბუდა" და ა.შ.) [8, 262].

მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. XX საუკუნისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აზერბაიჯანელებით დასახლებულ რიგ სოფლებში განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებახხეობა (კომბოსტო, პომიდორი და ა.შ) და მევენახეობაც კი. ადგილობრივი ეკოსამეურნეო გარემოს გავლენით მომხდარი ეს ცვლილება კიდევ უფრო გაძლიერდა კომუნისტური წყობის კრახისა და სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის ტრანსფორმაციის შემდეგ. კოლმეურნეობების გაუქმებამ შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის მომარაგება უშუალოდ მწარმოებელთა მიერ და კარგი მოგების მიღება. შექმნილ სიტუაციას საკმაოდ ადგილად აუდეს ალლო ქვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანლებმა და მნიშვნელოვანი სეგმენტიც დაიკავეს თბილისის აგრარულ ბაზრებში.

ტრანსფორმაცია განიცადა ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების სოციალურმა ყოფამ და სულიერმა კულტურამაც. აზერბაიჯანელების რიტუალებში უკელაზე არქაულად მიჩნეულია დაკრძალვის ცერემონიალი, რომელიც ისლამურ ტრადიციაზეა დაფუძნებული ამასთანავე, უამრავ ისლამამდელ რიტუალს შეიცავს. მომაკვდავს აწვენენ ზურგზე, ყიბლას (სამხრეთის) მიმართულებით. შემდეგ კითხულობენ შაჰადათის ლოცვას. სასურველი იყო ეს ლოცვა თავად

მომაკვდავს მოესმინა. ახლად გარდაცვლილს უსწორებენ ხელ-ფეხს, უხვევენ თვალებს და ყბას. თუ ფეხმძიმე გარდაცვლებოდა მისთვის მუცელი უნდა გაეჭრათ და ბავშვი ამოეყვანათ, ხოლო შემდეგ ისევ გაეკერათ. აუცილებელია გარდაცვლილის სამჯერ წყლით ან ქვიშით განბანვა. შარიათი კრძალავს გარდაცვლილის ტანსაცმლით დამარხვას, იგი თეთრი ტილოს სუდარაში გახვეული უნდა დაიკრძალოს [22].

მიცვალებული უწმინდურად ითვლება, მასთან შეხებით ნებისმიერი სულიერი ან საგანი შეიძლება წაიბილწოს, ამიტომ ახლობლებიც კი არ ეკარებოდნენ და გარდაცვლილს ამ საქმით სპეციალურად დაკავებული ხალხი აპატიოსნებდა. მთელ სოფელს საერთო ჯანეზი (მიცვალებულის საფლავამდე მისატანი ხის ან ლითონის ჭურჭელი) ჰქონდა. მიცვალებული არ უნდა შეხებოდა მიწას, საფლავს ქვით აგურით ან ფიცრით ამოაშენებენ, ხოლო ზემოდან ხის მასიურ ფიცრებს აწყობდნენ და მიწას ისე აყრიდნენ. დასაფლავების შემდეგ სადამოთი საფლავზე ცეცხლს ანთებდნენ, რომლითაც “მიცვალებულმა საიქოსაკენ უნდა გაიკვალოს გზა.” მიცვალებულისადმი ამგვარი დამოკიდებულება ზოროასტრიზმის გადმონაშთად ითვლება. საბჭოთა პერიოდში კულტურის ამ სფეროსაც შეეხო ცვლილებები დაკრძალვის რიტუალის და საფლავის მოწყობის წესის ცალკეული ელემენტები ადგილობრივი ეთნიკური გარემოს გავლენით შეიცვალა. მაგ. XX საუკუნის ბოლომდე აქ გვხვდება სურათებიანი საფლავის ქვები (რაც ისლამური დოგმატიკით სასტიკად იკრძალება) [22].

საველე ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ადგილობრივი ეთნიკური გარემო გავლენას ახდენდა ტრადიციული კულტურის სხვა მხარეებზეც. მაგალითად თანადათან შემცირდა ლევირატისა და სორორატის შემთხვევები, თუმცა ბალდიზის [ცოლის

დის] თხოვა და მაზლზე დაქორწინების შემთხვევები ბოლო ხანებამდე გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას ჩვენი მთხოობლები გარკვეულ უხერხულობას განიცდიდნენ, რადგან იცოდნენ რომ მეზობელი ქრისტიანები ასეთ ურთიერთობებს გარენილებად აღიქვამენ. ამასთანავე, ცდილობებს დაასაბუთონ ქორწინების ამ ფორმის უპირატესობა და ხაზს უსვამენ მის დადგებით მხარეებს. როგორც ლევირატის დროს, სორორატის შემთხვევაშიც მოვლენას გარკვეულ მორალურ გამართლებას უძებნიან – ამბობენ, დეიდა ობოლ დის შვილებს უფრო კარგად გაზრდის და მეტ გულისხმიერებასაც გამოიჩენს მათ მიმართო [22].

ქართულ ეთნიკურ გარემოსთან ურთიერთობის შედეგად შეიცვალა აზერბაიჯანელი მოსახლეობის დამოკიდებულება ალკოჰოლურ სასმელებთან. ცნობილია, რომ ისლამი კრძალავას ალკოჰოლურ სასმელებს, განსაკუთრებით – ღვინოს. ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა უმეტესობა კი არა მარტო სვამს ღვინოს, არამედ აქვს ვენახი (მეტწილად მაღლარი) და საკუთარ მეურნეობაში აწარმოებს სასმელს. სიმპტომატურია, რომ ცვლილება განიცადა სარიტუალო სუფრების მსვლელობამაც. მაგ. სოფელ სადახლოში (მარნეულის რ-ნი) მეცნიერთა ჯგუფი დაქსწრო საქორწინო სუფრას. ოჯახის ერთი წევრი “ჰაჯი” იყო და კატეგორიულად აკრძალა სუფრასთან ალკოჰოლური სასმელის მიტანა. ამის მიუხედავად, დაინიშნა თამადა, რომელიც თანამოინახებთან ერთად სადღეგრძელოებს ხილის წვენით წარმოთქვამდა [22]. უნდა ითქვას, რომ კვების კულტურასა და სუფრის წესებში ქართული გარემოს გავლენა საკმაოდ ძლიერია. დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული კერძები: ხაჭაპური, მწვადი, ხინაალი, კუბდარი, საცივი და სხვა [11, 60-61].

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მთელს პოსტსაბჭოურ სივცეში დაიწყო მოსახლეობის შემობრუ-

ნება რელიგიისაკენ. განსხვავებული რელიგიური ჯგუფების რადიკალიზაცია, ზოგან კონფლიქტის მიზეზიც გახდა. მართალია, ქვემო ქართლშიც შეიმჩნევა რეისლამიზაციისა პროცესი, მაგრამ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების აშორება აქ შედარებით აღვილად მოხერხდა. როგორც ჩანს, ეს იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ აზერაბაიჯანლები საქმაოდ ლოიალურნი არიან ქრისტიანული ძეგლებისადმი და მოწიწებით ეპურობიან მათ. ამ ფაქტს განცვიფრებაში მოუყვანია სოფ. ვახტანგისის მოძღვარი. ლვთისმსახურმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მუსლიმები ბევრად უფრო კარგად მუშაობდნენ ტაძრის მშენებლობაზე ვიდრე ქართველები ან სომხები. მუსლიმები მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ საყდარს – მაგ. არ ეწოდნენ სიგარებს მის ახლომახლო, არ ბილწისტყვაობდნენ და ა.შ. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანლები ზოგჯერ ქრისტიანულ რიტუალებშიც (მაგ გიორგობაზე) მონაწილეობენ. ასევე, საქმაოდ ხშირია მუსულმანურ ინციციაციაში "სუნიათში" ქრისტიანის "ქავორად" (ნათლიად) მოწვევა და ა.შ. ბუნებრივია, ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს განსხვავებულ ეთნოკონფესიურ ერთობებს შორის პოზიტიური დამოკიდებულების გამყარებაში [22].

ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფო ენისა და ე.წ. ლინგვო ფრანკას საკითხი. XIX–XX საუკუნეებში სახელმწიფო ენის და ასევე ლინგვო ფრანკას ფუნქციას რუსული ასრულებდა. ქვემო ქართლის აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ქართული სუსტად, ან საერთო არ იცოდა. ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადების შემდეგ ამ მოსახლეობისათვის გართულდა განათლების მიღება, ბიზნეს საქმიანობა და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა. ამის გამო აზერბაიჯანელთა შორის მწვავედ დადგა ქართული ენის სწავლის საკითხი. მოსახლეობის თითქმის ყველა ასა-

კობრივ ჯგუფში შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ქართული ენის შესწავლას ცდილობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ პირად ურთიერთობაში ხშირად გამოთქვა- მენ სურვილს, გაიზარდოს ქართული ენის საათები აზერბაიჯანულ სკოლებში [22].

შეიძლება დაგასკვნათ, რომ ქვემო ქართლში თურქულენოვანი მოსახლეობის (აზერბაიჯანელების) ადაპტირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი, როგორც და არაერთგვაროვანი იყო. ტრანსფორმირება განიცა- და მომთაბარე ელების ყოფისა და კულტურის თით- ქმის ყველა სფერომ, მოხდა თურქულენოვანი მოსახ- ლეობის ადგილობრივ ეთნოკულტურულ და ეკოსამე- ურნეო გარემოში ინტეგრაცია. ზემომოტანილი მასა- ლა აჩვენებს, რომ ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

წყაროები და ლიტერატურა

1. გ. აკოფაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს საზ- ღვრები და მოსახლეობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
2. თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983.
3. ბატონიშვილი ვახტაგი, აღწერა სამეფოსა საქარ- თველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1972.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკით- ხები, წიგნი VI, თბ., 1973.
5. ლ. ბერიაშვილი, გ. გოცირიძე, ქვემო ქართლის მო- სახლეობის ყოფისა და კულტურის ზოგიერთი ას- პექტი ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე (გარ- დაბნის რაიონი) ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები VIII, თბ., 2008.
6. გ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური მიწისმფლო- ბელობის ისტორიიდან, (XVI ს-ის უკანასკნელი მე- ოთხედი), საქ. მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავა-

ხიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის
შრომები, I, 1955.

7. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965.
8. გ. გოცირიძე, ეთნიკური პროცესები და კულტურათა დიალოგი ქვემო ქართლის მოსახლეობაში (ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის მაგალითზე, გარდაბნისა და მარნეულის რაიონები), ლოგოსი, 2008.
9. დასტურლამალი, კარი 21, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970.
10. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
11. ს. იოსელიანი, ეთნიკურჯგუფთაშორისი კულტურულ-ისტორიული პარალელები და ურთიერთდამოკიდებულება (გარდაბნის რაიონში მცხოვრები ქართველებისა და აზერბაიჯანელების მაგალითზე), ეთნოლოგიური კრებული I, თბ., 2008.
12. ბ. ლომინაძე, მონიცემთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
13. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975.
14. მ. ლორთქიფანიძე, თურქ-სელჩუკების განდევნა, საქართველოს საზღვრების გაფართოება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
15. პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
16. ქამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
17. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი

- I, ინტერნეტგვესია,
http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/I%20tomi%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf
18. სცია ფ. 16, 1957. 1, საქმე 1007.
19. ვ. ფუთურიძე, მოპამედ თაჲერის ცხობები საქართველოს შესახებ / ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
20. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1958.
21. ბ. შენგალია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968
22. ლ. ჯანიაშვილი, საველე ეთნოგრაფიული მასალა (ქვემო ქართლი), 2006-2010.
23. Early voyages and travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and other Englishmen, with some account of the first intercourse of the English with Russia and Central Asia by way of the Caspian Sea. Edited by E. Delmar Morgan and C.H. Coote. Published by B. Franklin in New York, 1900.
24. К. Т. Каракашлы, Материальная культура Азербайджанцев, Баку, 1964.
25. В. П. Кобычев, Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в. Кавказ, Этнографические сборники, 3, М-Л., 1962.
26. В. П. Кобичев, Поселения и жилище народов Северного Кавказа в XIX – XX вв. М., 1982.
27. А. М. Набиев, Поселения и жилища азербайджанцев проживавших в Грузии в конце XIX начале XX вв. (По материалам Квемо-Картлийской историко-этнографической области), Автореферат диссертации на соискание ученой степени КИН, Тб., 1981.
28. Рустамов Я. А. О поселении и крестьянском жилище

- азербайджанцев Карабахской зоны. Азербайджанский этнографический сбоник, 2, Баку 1966.
29. Дж. Уитли, Введение в действие Рамочной Конвенции О Защите Национальных Меньшинств в Грузии: Исследование выполнимости, Европейский центр по делам меньшинств, доклад #28, 2006.
30. Т.А Чиковани, Из истории народного жилища Закавказия (Историко-этнографического исследования), Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени ДИН, Тб., 1967.

Lavrenti Janiashvili

Ethnocultural Aspects of Kvemo Kartli Azerbaijanians Integration into Modern Georgian Society

Kvemo Kartli is the southeast part of Georgia. Because its peculiar geographic location, historical and social-economic conditions the mentioned territory from the ancient times became an area of intensive ethnomigrations. Thus, ethnically it became the most variegated region of Georgia. This is a region compactly populated with ethnic groups which are so called “ethnic minorities” that are different from titular population. This is a region where the group of Azerbaijanians (formal minority throughout country) is factually in majority (locally). In Marneuli region Azerbaijanians are 83, 1% of the whole population, in Dmanisi – 66, 8%, in Bolnisi – 66%, in Gardabani – 45, 1% (according to 2002 survey Azerbaijanians are 6, 5% of the whole population of Georgia).

The infiltration process of the ancestors of Azerbaijanians (tribes of Turkish origin) in Georgia was not homogeneous. In the so called “DidiTurkoba”(severe (literally big) invasion of Turks) period that took place in the 11th century and after Georgian authorities were opposing the settlement of Turkish origin tribes with weapons, were freeing the country from

nomadic Elis, Turkish tribes who came in Georgia after Turkmanian invasion. At that period country was still able to settle the devastated places; was still able to prevent and oppose settlement of people who were carriers of alien, nomadic type of economy. Lately, when it became possible to integrate tribes of Turkish origin and the possibility to involve them in the symbiotic economy peculiar to Georgia, above mentioned attitude was changed. Now the native leaders were supporting bringing so called Tatars in the country. The royal court of Georgia and separate feudals were using brought in foreign groups for reviving the devastated places and economy.

Aftersettlement of the Turkmanorigintribes'adaptation and adjusting with native eco-economic and fiscal system of "Eli" population became topical. King of Kartli Vakhtang VI tried to make law foundation for their integration into Georgian kingdom. In contrast to the Oriental countries the necessary economic basis for nomadic extensive economy was less in Georgia. That is why nomad Elis started to move gradually on symbiotic economy. The field ethnographic material proves that the local ethnic environment used to affect the other sides of traditional culture as well. For instance: the cases of levirate and sororate became less. Contacts with Georgian ethnic environment changed their relations towards alcohol. The most of the Kvemo Kartli Azerbaijani population not only drinks vine, but cultivates it and has got vineyards (mostly vineyard that goes up on a tree).

The adaptation of Turkish-speaking population (Azerbaijanians) was quite a long term, difficult process and was not homogeneous. Mostly all the spheres of Elis' every-day life and culture underwent transformation. Turkish-speaking population integrated with local ethnocultural and eco-economic environment. The type of dwelling, economic system, some elements of spiritual culture underwent changes.

დავით ჭითანავა

სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა

საქართველოში ყველაზე ძველი ქვევრსამარხი, რომელიც ძვ. წ. აღ-ით VII საუკუნით თარიღდება, აღმოჩენილია სოფელ ეშერაში (სოხუმთან ახლოს); აქ მიცვალებულის ძვლები ელაგა ქვევრში დიდი რაოდენობის ბრინჯაოს ნივთებთან და სარდიონის მივებოთან ერთად [33, 23]. თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული მთიან აფხაზეთში, გულურიფშის რ-ნის სოფ. ოლგინსკოეში, სადაც თითოეულ საფლავში ჩადგმული სამ-სამი თიხის ჭურჭელია ნაპოვნი. ერთ-ერთ მათგანში მოუთავსებიათ კრემაციის ნაშთები, ინვენტარი, სამკაულები, ხოლო ორ დანარჩენში, როგორც ვარაუდობენ, რაღაც სითხე ჩაუსხამთ [5, 90-92]. აფხაზეთში გვამის დაწვის ჩვეულება ურნებში და მათ გარეშე, ძვ. წ. აღ. X საუკუნიდან მოყოლებული შეინიშნება და ის დამახასიათებელი იყო, როგორც ამ მხარის, ისე მისი მოსაზღვრე რაიონების ძველი მოსახლეობისათვის (სოჭი, მზიმთა) [20, 191].

აღნიშნულია, რომ ქვევრში დამარხვის წესი თითქმის ერთადერთი წესია მიცვალებულის დაკრძალვისა ელინისტური ხანის კოლხეთში [7, 6], ხოლო ქვევრი, როგორც დვინის შესანახი ჭურჭელი ფართოდ ძვ. წ. აღ. VI საუკუნიდან არის ცნობილი საქართველოში [15, 247; 12, 61]. არქეოლოგთა ვარაუდით, ქვევრის ჩამოყალიბება ძვ. წ. აღ. VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო [6, 95-96], ხოლო მოგვიანებით დიდომში აღმოჩნდა ძვ. წ. აღ. VIII-VII სს. ქვევრებიც [10, 65].

ქართლში (იბერიის სამეფოში) ქვევრსამარხთა გავრცელება იწყება ძვ. წ. აღ. III საუკუნიდან და გვხვდება ძვ. წ. აღ. I საუკუნემდე [2, 16-20; 1, 40], ხოლო აზერბაიჯანში ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან [27, 127-128; 24, 78].

ამიერკავკასიაში ქვევრსამარხები გავრცელებული ჩანს ძვ. წ. აღ. VIII საუკუნიდან (არგიშთიანილი) [13, 70], ხოლო კავკასიაში ყველაზე უძველესი აღმოჩენილია დაღესტანში, რომელიც ძვ. წ. აღ. II ათასწლეულით თარიღდება [26, 283].

მიცვალებულის დამწვარი ძვლების სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელში მოთავსებით დაკრძალვის წესი უძველესი დროიდან მოყოლებული თითქმის მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ის ჯერ კიდევ ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორდანებშია ფიქსირებული; კერძოდ, სამგორის ყორდანებში ნაპოვნი იყო ერთი ნახვრეტიანი ჭურჭელი, რომელშიც ადამიანის ფერფლი აღმოჩნდა [16, 391].

ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VIII-VII ათასწლეულების მესოპოტამიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში შემოსვლას იწყებს დაკრძალვის განსაკუთრებული წესი, რომელიც ბავშვის ჩონჩხის (მოგვიანებით მოზრდილების) ჭურჭელში ჩალაგებით კერასთან, ან კერის ქვეშ დაკრძალვაში მდგომარეობს [22, 70-76], ხო-

ლო ძვ. წ. აღ. XXXIX-XXVIII საუკუნეების პალესტინა-სირიის ძეგლებზე უკვე აბსოლიტურად ჭარბობს ჭურჭელში დაკრძალვის წესი არა მარტო ბავშვებისა, არამედ ზრდასრული ადამიანებისაც [22, 52-53]. დაკრძალვის სხვა ფორმების გვერდით, ძელი შუმერებიც მიცვალებულის ძვლებს ალაგებდნენ დიდ დოქებში (პიფოსებში) [38, 229] და განსაკუთრებულ ჭურჭელში – კანოპებში [19, 250]; მიცვალებულის ძვლების თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ჩვეულება გავრცელებული იყო ძველ იტალიაში (ვილანოვას კულტურა) [21, 227], ძველ საბერძნეთში [16, 39], ცენტრალურ ანატოლიაში, სამხრეთ ამერიკის ინდიელებსა და ძველ პერუელებშიც [28, 72-75].

ცალკეულ ძველ კულტურებში მიცვალებულის დამწვარი ძვლების ჭურჭელში ჩალაგებით დაკრძალვა, (მით უმეტეს თუ ის იქ დაკრძალვის ერთადერთი წესი არ არის), მიუთითებს გარკვეულ ეთნიკურ ცვლილებებზე (ვფიქრობთ, ეს ქვევრსამარხებოან დაკავშირებით საქართველოს მაგალითზე აშკარად ჩანს) და მოსახლეობის სოციალურ სურათზეც გვიქმნის წარმოდგენას, თუმცა ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მათ შორის არა თუ ეთნოგენეტიკური კავშირების ძებნა, არამედ ამ წესის წარმოქმნის ოელიგიურ-რიტუალური მხარის წარმოჩენა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის და სრულად არამონათესავე ეთნიკური ჯგუფებისთვის თითქმის იდენტური ფორმით არის დამახასიათებელი. აქეე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ფიქსირებულ ქვევრსამარხებში გარკვეული რიტუალი უნდა შესრულებულიყო და ჩვენი აზრით, მას მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილ „ონგამერის“ და „ზედაშეს“ კულტურასთან.

მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში ხორბლის შესანახ დიდ ჭურჭელში მოთავსებას (სირია-პა-

ლესტინა), ზოგიერთი ავტორი (დიუნანი), მიცვალებულის მომავალი აღორძინების შესახებ არსებულ რწმენას უკავშირებს [22, 52-53]. სხვა ავტორთა მოსაზრებით, ურნებში დაკრძალული მიცვალებულის ფერფლი (შეა იტალიის, ჩრდილო გერმანიის, სკანდინავიის) გარეგნულად მოგვაგონებს სახლს და იმ მომენტის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად მიცვალებული იკრძალებოდა სახლში კერასთან და მას შემდეგ, რაც ეს წესი მივიწყებულ იქნა, მიცვალებულის სიკვდილის შემდგომ მის საცხოვრებელ სახლთან მჭიდრო კავშირის რწმენიდან გამომდინარე, მას კრძალავდნენ მისი სახლის მსგავს ჭურჭელში ანუ თავის სახლში [29, 37-38]; იმავე აზრს ავითარებს ლ. შტერნბერგიც [36, 338-339].

საქართველოში ქვევრის სამარხ ჭურჭლად გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მის სამარხავ საშუალებად გამოყენებამდე ის სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა [3, 116]. ზ. კვიციანის აზრით, ქვევრში დაკრძალვის იდეა დაკავშირებულია სიცოცხლის მუდმივობასთან, ხოლო ბავშვების ამფორებში დაკრძალვის წესი გამოხატავს დაბადებისა და სიკვდილის ერთიანობის რწმენას, რომლის ფესვებიც უფრო ღრმა წარსულში უნდა ვეძებოთ და აგტორი მას ბერძნულ ტრადიციად მიიჩნევს [11, 141, 143-144].

გ. ლორთქიფანიძის აზრით, მიცვალებულის ქვევრებში (პიფოსებში) დაკრძალვა დაკავშირებული იყო კოლხებში გაბატონებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. მისივე თქმით, მიცვალებულის სახელდახვლოდ მიწისგან იზოლაცია მიგვანიშნებს გარკვეულ ტაბუზე, რომელიც კრძალავს უშუალოდ მიწასთან შეხებას, რომელსაც კოლხეთში თაყვანს სცემდნენ, როგორც ერთ-ერთ უხენაეს ღვთაებას. ავტორისავე აღნიშვნით, მსგავსი აკრძალვა კარგად არის ცნობილი რელიგიის ისტორიაში და დაკავშირებულია

დგთაებრიობის იდეასთან [30, 85-86]; ამავე დროს, გამოქმული მოსაზრებით, დასაკრძალავი ქვევრების ცხოველური ორნამენტი – ულაფები და ირმები – მზის კულტთან, მგელი – ძაღლი, მწერი – უზენაესი დგთაების მსახურის როლშია და რწმენა წარმოდგნათა ეს წრე შესაძლოა კავშირშია ეთნოგრაფიულად სამეგრელოში ცნობილ მესეფობასთან. ამავე დროს, აღნიშნულია, რომ ასეთი გამოსახულებებით შემკული ქვევრები საგანგებოდ მზადდებოდა და ზედაშედ აღთქმული ღვინის შესანახად თუ გამოიყენებოდა, ხოლო თვით სამარხად გამოყენებული ქვევრი ნაყოფიურების მუდმივი განახლების იდეასთან იყო დაკავშირებული და საშვილოსნოს, საშოს იმიტაციას წარმოადგენდა [6, 99-105].

მიცვალებულის ძვლების თუ ფერფლის ჭურჭელში ჩალაგებით (ქვევრსამარხები და სხვა) დაკრძალვის წესში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს ცეცხლი, რაც გვამის კრემაციაში არის გამოხატული. კრემაციის წესი, როგორც ჩვენ ამაზე აღრეც გავამახვილეთ ყურადღება, მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობს და მას ზოგიერთი მეცნიერი, საქართველოს არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად, გარედან შეთვისებულად, ნაწილი კი ადგილობრივ წესად მიიჩნევს; ჩვენი აზრით, კრემაციის წესის ბერძნულრომაული თუ სხვა კულტურებიდან შეთვისების მტკიცება არ არის მართებული, არამედ მისი საწყისები უნდა ვეძებოთ ზოგადად პირველყოფილ საზოგადოებაში არსებულ რწმენა-წარმოდგენებში და ის უნივერსალურია. ის მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტტან, რაც არქაულ ეპოქაში კერასთან მიცვალებულის დაკრძალვაში ნათლად ჩანს [18, 294-195, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე]. გამომდინარე აქედან საინტერესოა ავტორთა მიერ (ლევინა-დორში, კუნოვი, შტერნბერგი) ზემოთ მოყვა-

ნილი მოსაზრება მიცვალებულის ურნებში დაკრძალვასთან დაკავშირებით, რაც ცეცხლის და კერის კულტთან და საცხოვრისთან არის კავშირში, თუმცა ვფიქრობთ, ამ წესს სხვა დატვირთვაც გააჩნია. ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თიხის მაგიურ-რიტუალურ დანიშნულებასაც. შეუმდინარეთის ხალხების წარმოდგენით, ადამიანი თიხისგან იყო შექმნილი და არა მარტო შექმნილი, არამედ თიხად იქცეოდა სიკვდილის შემდეგ. როგორც ვარაუდობენ, თიხის ნამტვრევები წარმოადგენდნენ ემბრიონის ნიშნებს. თიხა იყო ქალური ბუნების; თიხა მიწის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო მიწა ქალთან იყო გაიგებული [23, 122-123, 126]. ჭურჭელში დაკრძალვის წესის რიტუალური არსის ამოსაცნობად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადრესამიწათმოქმედო კულტურებში დადასტურებული ის ფაქტი, რომ საწყის ეტაპზე თიხის პატარა ზომის ჭურჭლებში იკრძალებიან პავშვები, შემდგომ ეპოქებში მოზრდილები, ხოლო უფრო გვიანდელ კულტურებში ყველა ასაკის ადამიანები. გამოთქმული მოსაზრებით, ბავშვის დაკრძალვის წესი ურნებში, ქალის როლის და სიმბოლიკის ნათელი გამოვლინებაა პირველყოფილ და შემდგომი დროის კულტურებში, და პატარა ზომის ჭურჭლები უშეალოდ გადმოგვცემენ ქალის ტანის ფორმას; ის განასახიერებს როგორც მთლიანად სხეულს ან მის ნაწილს, ზოგჯერ კი მუცელს [22, 107], ხოლო რაც შეეხება დაწვის ჩვეულებას ის შესაძლოა სწორედ წარმოიქმნა იმ იდეიდან, რომ სული კვამლთან ერთად მიდის ცისკენ [25, 210].

საკითხთან მიმართებაში ყველაზე უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი ეტრუსკული გამოსახულება კიუსიდან, კერძოდ, მინერვას ჩაფხუტში ეგეოდასთან ერთად ორივე ხელით უჭირავს ახალშობილი პიფოსს ზემოთ, საიდანაც ის გამოვიდა. ახალშობილი

გამოსახულია ჩაფეუტის და შუბის გარეშე. მის კისერზე სამი სიგელია. ის ატარებს marishusrnana-ს სახელს. მინერვას გვერდით დგას ტურანი, მის უკან ტურმსი, რომელსაც დაწოქილის ფორმით ახალშობილი უჭირავს ერთი სიგელით ხელში, მისი სახელია marishalna. მინერვიდან მარჯვნივ არის ტიტველი ახალშობილი შუბით. ეს არის სიკვდილის ღმერთი. მარის – ახალშობილი უტრუსკულ ძეგლებში შეესაბამება რომაულ მარსს [34, 202]. მარსი კლასიკური ეპოქის რომში იყო ომის დვთაება, რომელსაც ასევე აიგივებდნენ ბერძნულ ომის დვთაება არესთან [32, 28], თუმცა მარსი თავისი საწყისით აგრარული დვთაება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემოღვმის მცენარეულობის გენიას წარმოადგენდა [31, 98]. როგორც ჩანს, მარსი ადრე ზოგადად დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან (არესის კულტთან შერწყმის შემდგომ მიიღო მეომრული ფუნქცია) და ძევლი რომაული ახალი წლის პირველი თვე (მარტი), როდესაც ეწყობოდა მარსის მთავარი დღესასწაული, მიძღვნილი იყო ამ დმერთის მიმართ და მის საპატივცემულოდ შემდგომ ერთ-ერთ პლანეტას (მარსი) შეერქვა სახელი, რომლის ფერი თითქოს სისხლის ფერს გვაგონებს [32, 28-29], ასევე აღსანიშნავია, რომ მარსის ორეულად ითვლებოდა კვირინი [31, 98], რომლის სახელზეც ეწყობოდა კვირინალები ანუ კვირინის მიმართ მსხვერპლშეწირვის რიტუალი [32, 113-114].

ზემოთ მოყვანილი მასალიდან გამომდინარე, ანუ კონკრეტულად პირველ რიგში ეტრუსკულ გამოსახულებაზე პირფოსიდან გამოსული ბაგშვის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ნაყოფიერების დვთაებასთან ანუ სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან, რომლის დღესასწაული ემთხვევა ახალი წლის პირველ თვეს ძველ რომაელებში (მარტი), ხოლო ჭურჭელი აქ განასახიერებს ქალის სხეულს, საშოს. ვფიქრობთ, სწო-

რედ ეს იდეა უნდა ედოს საფუძვლად დაკრძალვის იმ რიტუალს, რაც ბავშვის დამწერი ფერფლის და ძვლების ურნებში მოთავსებაში გამოიხატა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ბავშვები სპეციალურად მსხვერპლად შეეწირათ ნაყოფიერების დვთაებისადმი [35, 62] შემდგომ დიდი ზომის ჭურჭელში მოათავსეს მოზრდილი ადამიანის სხეულის ნარჩენები, რომელიც ასევე სულის უკვდავების და მისი კვლავ განახლების იდეასთან იყო კავშირში. ვფიქრობთ, „ზედაშე“ ანუ „ოხვამერი“ გენეტიკურად სწორედ ზემოთ წარმოდგენილი იდეიდან ჩანს განვითარებული; კერძოდ, ქვერში დაკრძალვის წესის გაქრობის შემდგომ მასში ისხმება წმინდა დვინო, რომელიც ცვლის მიცვალებულს და მასთან შესრულებული ლოცვით კავშირს ამყარებს ზედა სამყაროსთან; ნაყოფიერების დვთაებას შესთხოვს ოჯახის და გვარის კეთილდღეობას. თავისი საწყისით კი ის აგრარულ კულტტან და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან არის კავშირში. სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან ჭურჭელში დაკრძალვის წესის კავშირზე, ვფიქრობთ, ნათლად მეტყველებს ისიც, რომ ეტრუსკული მარის ახალ შობილი შეესაბამება რომაულ მარსს, რომელიც თავისი საწყისი აგრარული დათვაება იყო და მისი სახელი და დღესასწაული უკავშირდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველი რომაული კალენდრით ახალი წლის პირველ თვეს მარტს, რაც ისევ და ისევ, „სიცოცხლის განახლებას“, „აღდგენას“, რაღაც „ახლის დაწყებას“ გვამცნობს. აქვე შეიძლება დავსვათ საკითხი მარის-მარსისა და ქართული მარ-ის იდენტურობის შესახებ, რომელი უკანასკნელიც დიდი ქვერის სახელწოდება იყო [8, 5]. ასევე ფუნქციური თვალსაზრისით, მასთან ახლოს დგას ეგვიპტური ოსირისი – მარცვლეულის ეგვიპტური ღმერთი, რომელიც მითში პურის პერსონიფიკაციაა, ის ყოველწლი-

ურად კვდება და ისევ აღდგება (შდრ. ბერძნული არე-
სი და კოლხეთში არესის ველი – დ. ჭ.) [37, 354]. ასე-
ვე „მარი“-დან ჩანს ნაწარმოები ქართულად დვინის
სახლის აღმნიშვნელი ნაგებობის ტერმინი – მარანი,
სადაც „მარე“-ბი იყო ჩაფლული. მასში ასევე ჩანს სა-
მარის ანუ „საფლავის“ მნიშვნელობაც და ალბათ მი-
საღებია ის მოსაზრება, რომ „სამარე“ და მისგან ნა-
წარმოები კრებითი სახელი „სამაროვანი“ ისეთი ადგი-
ლის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვა-
ლებულს მარში ჩასვენებულს მარხავდნენ [3, 156].

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩ-
ნია მეგრულში ქვევრის აღმნიშვნელი სიტყვა „ლა-
განი“, რომელიც გვ=ქვ კომპლექსების იდენტურობის
თვალსაზრისით ქართული „ქვევრის“ შესატყვისია და
ძირეულად იდენტური სიტყვებია; არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანია ის, რომ სვანურში მიწის აღმნიშვნელად
გვაქს გიმ სიტყვა (შდრ. მეგრული დიხა და ქართ.
თიხა) და მეგრულში თიხის დიდი მრგვალი ჭურჭლის
აღმნიშვნელი სახელწოდება – „გვიმი“ (გამოიყენება
ჭის ზემოთ დასადგმელად), რომელიც, უფიქრობთ
„სიმრგვალის“ გამომხატველი სიტყვაა და თუ ჩვენ
„ლაგვანსა“ და „ქვევრს“ ფუძისეულად ერთი და იმა-
ვე წარმომავლობის (გვ=ქვ) სიტყვებად მიგიჩნევთ,
მათთან მიმართებაში საინტერესოა მეგრული კვერ-
ცხის აღმნიშვნელი სიტყვა „მარქვალი“, რომელშიც
ასევე პირდაპირ ჩანს „სიმრგვალის“ სინონიმი; კიდევ
უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი აზრით, ის შედგე-
ბა ორი სიტყვისგან მარი-სა და ქვალი-ის ანუ გვალი-
საგან (ქვევრი=ლაგვანი), რაც ისევ ნაყოფიერების
კულტს და სიცოცხლის განახლების იდეას გადმოგ-
ვცემს და მარი სწორედ რომ ის ჭურჭელია, რომე-
ლიც ამ იდეას, ანუ ქალის ფორმას, საშოს და ა.შ.
განასახიერებს. ამავე დროს, საერთოდ კვერცხი ეტ-
რუსებულ, ეგვიპტურ, ურის, მარის, დაზას და კრეტის

მინოსურ კულტურებში მრავლად არის აღმოჩენილი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ზოგადად მიცვალებულის კულტთან და კონკრეტულად სიცოცხლის აღორძინების იდეასთან [34, 222].

საკითხთან მიმართებაში, როგორც ტერმინოლოგიური თანხვედრის, ისე რიტუალური თვალსაზრისით საინტერესოა სვანური საახალწლო რიტუალი, რომელიც სრულდებოდა ბედლის ფუნქციის მქონე მარცვლეულისა და ფქვილისათვის გემ//გ ემ-ის წინ. ასევე სვანეთში ცხვებოდა საგანგებო რიტუალური კვერი გემ, კიდობნების გამოსახულებით – პულის რიტუალის დროს წარმოთქმულ სიტყვიერ ფორმულაში მოიხსენიებოდა სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების დვთაების განმასახიერებელი ბომბლა, რაც მიზნად ისახავდა ბომბას ცხოველმყოფელური ძალის ბედლისთვის გადაცემას და საერთოდ პურეულის გამრავლებას [14, 179]. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში მარანში შესრულებულ მიქამბარიოს სალოცავში, რომლის სახელზეც იქ ცალკე ქვევრია ჩაფლული, ოჯახის უფროსის მიერ წარმოთქმულ ლოცვაში აშკარად ჩანს ნაყოფიერების დვთაებისადმი ლოცვა და სიცოცხლის განახლების იდეა, რომელსაც შესთხოვს ქვევრს ოჯახის უფროსი [9, 169], ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გავრცელებული წესის თანახმად, საზედაშე საკვები (ასევე ოხვამურისთვის განკუთხნილი დვინო და სხვა – დას) აუცილებლად გლეხის მიერ მოწეული პირველი პროდუქტი უნდა ყოფილიყო. ეს ეხებოდა როგორც დვინოს (მას საგანგებოდ ცალკე ქვევრში აყენებდნენ) ასევე პურს (ხორბალს), ერბოს („ნათავარს“ ანუ „თვეულს“), თაფლს და ა. შ. [4, 60].

მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ თიხის ჭურჭელი, როგორც მიწის ანუ ქალური ბუნების და ფორმის, რომელშიც თავდაპირველად იკრძალებიან ბავშვები,

განასახიერებს სიცოცხლის საწყისს, სიცოცხლის განახლების, უწყვეტლობის ანუ აღდგენა-განახლების იდეას, რომელიც გადმონაშთური ფორმით ქვევრსა-მარხებში აისახა. ის მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტოან, რომელიც მფარველობს როგორც ოჯახის ნაყოფიერებას, გამრავლებას, კე-თილდღეობას, და შეუწყვეტლობის იდეას, რაც თავის მხრივ ახალი წლის რიტუალებთან უნდა ყოფილიყო კავშირში. ის თავისი საწყისით აგრარული საქმიანობის მფარველია (ოსირისი-მარისი-მარსი=მარი), რომელსაც განასახიერებს ქალის ფორმის თიხის ჭურჭელი. შემდგომში მასში ისხმება ქართველთაოვას წმინდათაწმინდა სიოხე ანუ ღვინო, რომელიც ოხვამერის, ზედაშეს და სხვათა სახით ბოლო დრომდე შემორჩენილ ეთნოგრაფიულ ყოფას. ღვთაების განაწყენების შემთხვევაში კი ადამიანი გარკვეულ პრევენციულ ზომებსაც მიმართავდა, რაც ქვევრის დამტკრევის რიტუალშიც გამოჩნდა [17, 68-84].

ლიტერატურა

1. ა. აფაქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დე-დაქალაქი, თბ., 1959.
2. ა. აფაქიძე, მცხეთა IV, თბ., 1982.
3. ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.
4. გ. გოცირიძე, ზედაშეს კულტურა საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, X, თბ., 2006.

5. ი. გრძელიშვილი, თიხის ჭურჭელში დაკრძალვის და კრემაციის ნაშთები აფხაზეთში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, №2, თბ., 1947.
6. ბ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. V, თბ., 1975.
7. ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.
8. ბ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984.
9. ბ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, თბ., 1963.
10. ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, თბ., 1982.
11. ზ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოს და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ., 1997.
12. ო. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
13. ა. ნონეშვილი, ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ., 1983.
14. ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.
15. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
16. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1976.
17. დ. ჭითანავა, საოჯახო „ოხვამერი“ (სალოცავი) ქვევრის დამტვრევის რიტუალის ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. X, თბ., 2008.
18. დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ

საზოგადოებაში (კერის წინაპრის და მიცვალებულის კულტოან კავშირში), კრ. თეიმურაზ მიბრუანი 70, ობ., 2008-2010.

19. В. И. Авдиев, История древнего востока, М., 1948.
20. Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971.
21. Античная мифология, М., 2005.
22. Е. В. Антонова, Обряды и верования первобытных земледельцев востока, М., 1990.
23. Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии М., 1984.
24. А. Апакидзе, Города древней Грузии, Тб., 1968.
25. В. Вундт, Миф и религия, СПБ. 1910.
26. М. Г. Гаджиев, О погребальном обряде племен горного Дагестана, Учение записки дагестанского филиала АН. СССР, ин-та О истории языка и литературы, Т. XIII, Мах. 1964.
27. И. Иващенко, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, Известия АН. Азербайджанская СССР, №1, Баку, 1947.
28. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхида, т. II, ТБ., 1950.
29. Левина-дорши, Г. Кунов, Огонь жилище, Киев, 1923.
30. Г. Лорткипанидзе, Колхида в VI-II вв. до н. э. Тб., 1978.
31. Н. А. Машкин, История древнего Рима, М., 1948.
32. Мифологический словарь, Л., 1961.
33. А. Л. Монгайт, Археология в СССР, М., 1955.
34. А. И. Немировский, Этруски, От мифа к истории, М., 1983.
35. Э. Тэйлор, Первобытная культура, М., 1939.
36. Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936.
37. Дж. Фрезер, Золотая ветвь, М., 1984.

38. Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956.

David Chitanava

Pitcher Burials, Cult of Zedashe and the Idea of Resurrection and Revival of the life

The article discusses the interrelation problems of burring in the vessel (urn, pitcher burials etc.) of the cremated corpse' ashes or bones and the religious beliefs and rituals connected with zedashe-okhvameri and the ideological background of its origin.

In the early agricultural cultures of the ancient East keeping of a child's cremated bones and burying themsymbolically is connected with a nature ofwoman and is connected with resurrection and revival of the life. The mere example of it is one of the Etruscan imagesof a newly born child (*marishushusrnana*) coming from a vassal and this idea personifies the creation of new life, revival. Maris, the newly born is connected with the cults of Roman Mars (Greek Ares) which in itself springs from agriculture and its cults. At the same time the festival of Maris-Mars was feasted in behalf of the beginning of the old Roman New Year (March)or “the revived new life”. Festival of Maris-Mars might be identical to Georgian *mar*, the pitcher where cremated bones of a dead body were put. It also is tightly connected with *marani* not only because it is a building for keeping vine, but as the main place for praying and veneration that can determine the wellbeing and fertility. The Megrelian term *lagvani* (pitcher) etymologically should denote *simrgvali* (meaning round). Name of the special ritual bread baked for the goddess of fertility and fertilization in Svaneti called *gem/guem*

seems to be derived from *gim* (Sv. earth). From the very beginning children were buried in *mars* (lately adults as well) thatis connected with the idea of revival. Lately it became a place for keeping holy vine. The rituals that are performed at the pitcher with the holy vine have the same functions and determine the wellbeing and fertility of the family.

იომა კვაშილავა

ოსთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის ზოგიერთი თავისებურებები

ეთნოსის მენტალიტები, განვითარების დონე, საყოფაცხოვრებო კულტურა მეტ-ნაკლები სიმწვავით იღება ყოველ პოქაში, ყველა ერის წინაშე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების თანამდევი მარადაქტუალური პრობლემა, მაგრამ ჩვენთვის, ეთნოკონფლიქტების ზონაში მოხვედრილი ქვეყნისათვის, ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება ისტორიულმა აუცილებლობამ განაპირობა.

ცნობილია, რომ ოსები მიეკუთვნებიან ინდოევროპული ხალხების ირანულ ჯგუფს, რომლებმაც მკვეთრი კულტურულ-ყოფითი ტრანსფორმაცია კავკასიაში მოსვლის და დამხვდურებთან ასიმილაციის საფუძველზე განიცადეს. 1989 წლის მონაცემებით, მათი საერთო რაოდენობა 589 ათასს შეადგენდა, რომელთა დიდი უმრავლესობა ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობდა. გაფანტული არიან აგრეთვე რუსეთის ფედერაციასა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ზოგიერთი ცნობით, ოქტომბრის რევოლუციამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ ოსეთიდან მიგრირებული 15 ათასზე მეტი ოსი ითვლებოდა [14, 18]. იმავე 1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში

ოსების რაოდენობა 164,005 ათას ადამიანს შეადგენდა, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და რაჭის სოფლებში. ისინი საკმაო რაოდენობით გვხვდებიან საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ, საქართველოში ოსთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

როგორც სტატისტიკური აღწერილობიდან ირკვევა, ოსები თანაბრად გალადებულნი მოჩანან, როგორც თავიანთ, ისე უცხო ქვეყნებში. მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, თითქოს, „სახლში და თავიანთი მწვერვალების ქვეშ ოსები ყველაზე უშიშარი ხალხია, მაგრამ, როგორც კი თავის სამშობლოს გარეთ მოხვდებიან, გულადობას ვერ ამჟღავნებენ“ [13, 208]. ამავე საკითხეზე სახელოვანი მემატიანე შენიშნავდა, რომ ოსები არიან „ქვეყანათა თვისთა ლაღნი და ამავი, სხვათა ქვეყანათა შინა მდაბალნი“ [3, 637]. ცხადია, ოსებს მთიდან ბარისკენ ეკონომიკური იძულება მიერკებოდა, მაგრამ ხასიათის ბუნებრივმა თვისებებმა, კერძოდ გამბედაობამ, მოხერხებულობამ, თვითნებობამ, მზაკვრობამ, ამ საქმეში თავისი როლი შეასრულდა. მათ მომძლავრებას ხელი შეუწყო სახელმწიფოს გამიზნულმა პოლიტიკამ, ბატონიშვილის გაუქმებამ ნაწილობრივ თავადაზნაურთა დაუდევრობამ, ხიზნობის დაკანონებამ და ა.შ. „ოსები ნელ-ნელა დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს... ოსები გამოვიდნენ სამახაბლოსა და საერისთავო მთებიდან დაესახლნენ ფალავანდიანთ, ხერხეულიძიანთ და სხვა თავადაზნაურთა მამულებში, წრესავით შემოერტყნენ გორსა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა [9, 25]. ოსები იყვნენ თუ არა „სხვათა ქვე-

ყანათა შინა მდაბალნი“ ძნელი სათქმელია, ვინაიდან ძველქართულში მისი ორმაგი გაგება არსებობს. მდაბალი - თავმდაბალი და სულმდაბალი. აქედან თუ რომელს გულისხმობდა ვახუშტი ბატონიშვილი, ფრიად რთული საქმეა, მაგრამ კვლეის შედეგები ირიბად გაგიმებელს სათქმელს.

ერთ-ერთი ყობანელი ოსი გლეხის საგადასახლებო მოძრაობა, შესაძლებლობას იძლევა ოსთა მიგრაციულ პროცესზე განვაზოგადოთ. იგი ბავშვობიდან მთის წიაღში ცხოვრობდა. იტანჯებოდა შიმშილით და სიცივით. შემდეგ ბარში გადმოსახლდა თავის ოჯახიანად და მოჯამაგირედ დაიწყო მუშაობა ცოლთან ერთად. ასე დაეხეტებოდა ერთი პატრონიდან მეორემდე. სხისთვის იწყვეტავდა წელსა და ღვრიდა ოფლს. სხვისთვის ხნავდა და თოხნიდა, თესავდა სიმინდს, თიბავდა, ეზიდებოდა ქვას. სამი წელი იყო მოჯამაგირედ და ფულის ნაცვლად გასამრჯელოდ, საზოგადოებისაგან ნებართვა აიღო, რომ სოფლის ნაპირას დასახლებულიყო. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შეძლო ფაცხით შეკვალა გომური. ისეთივე დარიბი გლეხების დახმარებით, როგორიც თვითონ იყო მოხნა მიწის პატარა ნაკვეთი, შემდეგ კი ცხენიც გაიჩინა [11, 67]. უპრიანია უკანასკნელ ფრაზაზე შეგჩერდეთ. დარიბი ოჯახის გამოსაკვებად განა მიზანშეწინილი არ იქნებოდა გლეხს თხა, ცხარი ან ძროხა შეეძინა, ვიდრე ცხენი. საფიქრებელია, რომ იგი წინასწარ ემზადებოდა ცრუ ვაჟკაცობისათვის ანუ ჯიგიტობისათვის. იცის, რომ ათასჯერ რომ ეცადოს, კეთილსინდისიერი შრომით ვერაფერს ვერ შეიძენს. სახნავი მიწის მწვავე ნაკლებობა გასაქანს არ მისცემს. მიწას კი - სისხლის ფასი ედო, მეტიც, „არცთუ იშვიათად, მმა მმას კლავდა, რომ მის სამკვიდრებელს დაპატრონებოდა“ [10, 102]. რაკი ამგვარად ვერაფერს ვერ ახერხებდა, უკანონობის გზას ადგება. ამისათვის

უპირველესად ცხენს მოიძიებს და სათანადო იარაღ-ადგურვილობას იმარაგებს. ნიშანდობლივია, რომ ძველად იარაღი, განსაკუთრებით მამა-პაპის ნაქონი, ფასდაუდებელ განძს წარმოადგენდა, რომლის გაყიდვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. „შენს უმცროს ძმას რატომ არ ესმის, რომ მამისეული იარაღის გაყიდვა სულაც არ არის სასირცხვილო საქმე. რატომ არ ჰყიდის? გაყიდოს და იმ ფულით ძროხა მაინც იყიდოს? რად უნდა კედელზე რომ ჩამოუკიდებია? ჟანგს უნდა შეაჭამოს? თქვენი პატარა დები კი მშივრები არიან“ [11, 9]. ძველად ურვადის გადახდისას ერთ უბრალო თოვს 10-15 ძროხად, ხოლო ხმალს ან საარყე ქვაბებს 7-10 ძროხად აძლევდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ოსთა „სიმდიდრის განმსაზღვრელად პირუტყვი, სპილენძის ქვებები და იარაღი“ სახელდება“ [2, 237]. მუდმივ შფოთსა და განხეთქილებაში მცხოვრები ოსები, შეიარაღებას ყოველთვის სათანადოდ აფასებდნენ. კავკასიის ბარის ზოლში გაბატონებულმა ყაბარდოელებმა ოსები აიძულეს მთებს შეფარებოდნენ, სადაც ხეობების მიხედვით სასოფლო-ტერიტორიული ერთეულები ჩამოაყალიბეს. თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის მკვიდრნი მტრულად განწყობილ თემებად იყვნენ დაშლილი. გიულდენშტედტის ცნობით, „არათუ ერთმანეთთან კავშირში არიან, არამედ ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. აშკარა მტრობით ართეულებდნენ თავის ისედაც მკაცრ ცხოვრებას და ვნებას აყენებდნენ საკუთარ თავს“ [5, 59]. როგორც ჩანს, ოსების ხასიათის გაავზნიანება გონებრივმა უმეცრებამ და უკიდურესმა სიდუხეჭირებმ განაპირობა. მკარი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, პატრიარქალური წყობა, ჩამორჩენილი სამეურნეო სისტემა, საზოგადოებრივი ურთიერთობების დეფიციტი მკვეთრად აფერხებდა მოსახლეობის ზნეობრივ და მატერიალურ წინსვლას. „არაფერია ისე გადაჭარბე-

ბული, როგორც მათი ყვირილი ჩეუბისას. ისინი ერთმანეთს ემუქრებიან თოფებითა და ხანჯლებით და ჩანს, რომ ყოველთვის მზად არიან ერთმანეთის მოსაკლავად“ [13, 209]. შეუძლებელია ასეთი დაუნდობლები ყოფილიყვნენ, მაგრამ ხასიათის სისუსტე, მოუთმენლობა, ურჩობა, სიფიცხე, უფრო ზუსტად „მკვირცხლი ფიცხელობა“, მუდმივი რისკი და დაბაბულობა, არასტაბილური რეალობა ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობდათ. ვინაიდან მათ აკლდათ „მბრძანებელი ხელი და გონივრულად მოწყობილი ცხოვრება“, სამართლიანობის რეგულიზაციის სახედ პირადი ანგარიშსწორება გვევლინება. „ერთმანეთთან იმდენად პირნათელი იყვნენ, რამდენადაც ადათობრივი სამართალი ამის საშუალებას აძლევდა“ [1, 67]. წმინდა მამათა მიხედვით, ადათი ჭეშმარიტების გარეშე მოძველებული ცდომილებაა (წმ. კვიპრიანე კართაგენელი), ჭეშმარიტებისგან შორის იდგნენ, ოსთა ერთი ნაწილის მაპმადიანობის, უმრავლესობათა წარმართობის და ზოგიერთების ქრისტიანობის გამო. მტკიცე და ერთიანი რჯულისმიერი მსახურების უქონლობას ისინი ღრმა ცდომილებამდე მიჰყავდა. საგვაროვნო, სახეობი, სასოფლო თუ საოჯახო სალოცავების სიმრავლე, სრულებით არ ნიშნავს ოსთა მყარი სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. რწმენა-წარმოდგენათა საწესო რიტუალებს ისე მისდევდნენ, როგორც ახსოვდათ და როგორც სჭირდებოდათ. თუ როგორ ხელოვნურად ხდებოდა ნივთის ან ადგილის გაღვთიერება ნათლად მოჩანს თერგის ხეობაში მცხოვრები ტუაეგების მაგალითზე, „რომელთა წინაპარს, დაახლოებით ასი წლის წინ ხვნის დროს უპოვია პატარა ბრინჯაოს ფიგურა (სიმაღლე 9 სმ-ია, სიგანე - 5 სმ.). ფიგურის პოვნა ტუაეგებს დვთის მოვლენად ჩაუთვლიათ, მისთვის აუგიათ ქვის პატარა ნიში, თარო დაუტანებიათ და ამულეტი იქ დაუსვენები-

ათ. ყოველ ახალწელიწადს მას ქადებით მოილოცავდნენ, ვინაიდან ოჯახის ბარაქის ხატად იქნა აღიარებული და ამავე დროს საგვაროვნო სალოცავის ფუნქცია დაეკისრა“ [17, 36]. რასაკვირველია, ამოჩემებული ნივთებისა და წმინდა აღგილების გარდა, ოსები ადიდებდნენ და ეთაყვანებოდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულ წმინდანებს, ანგელოზებსა და მთავარანგელოზებზე აღმატებულ დმრთისმშობელ მარიამს, მაგრამ ეს მხოლოდ ქართული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენის შედეგია. საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროებად დაშლისა და ოსებზე ყაბარდოს გავლენის შესუსტების შემდეგ, „ქვეყნის შიგნით არ არსებობდა ისეთი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც სისტემატიური დონისძიებებით ამა თუ იმ რელიგიას დრმად დაამკვიდრებდნენ ხალხის შეგნებაში“ [6, 38].

ამის გამო, ოსები თავიანთ მიერ შექმნილ დვთაუბებში ეძებდნენ შველას. მაგ: „მდინარის ახლოს რომ მინდორია, იქ დგას პატარა ჯიხური, რომელსაც აქაურები „ტბადცაცილას“ ეძახიან. ეს ჯიხური სალოცავია, ღმერთმა ნუ მოგაკლოთ მისი მადლი და ცხოველმყოფელი ძალა“ [11, 111]. მთიდან ველზე გადმოსახლების შემდეგ, მოხუცები წესისამებრ მოიძებნიდნენ ადგილს, სადაც დაისვენებდნენ და ღრეობებს ანუ რაღაც „ზებუნებრივთან“ დაკავშირებულ სასოფლო ზეიმს მოაწყობდნენ. ასეთი მიტოვებული მთების მოსაგონარი ადგილები ყველა სოფელში იყო და წმინდად ითვლებოდა. ამისათვის გორაკს, ან მოედანს აირჩევდნენ, სადაც მშვენიერ კორომს, წმინდა ხეთა ფუნქციას დააკისრებდნენ და თავისებურად ეთაყვანებოდნენ. სოფლის მოედანზე, ამორჩეულ ადგილას, ვეგებერთელა ხის ძირში, რომლის ტოტები ქნიდნენ დიდ კარავს, მთის ჩვეულებათა მიხედვით, იმართებოდა უხუცესთა თავყრილობა, სადაც ხის სკამების ნაც-

ვლად, ქვის დიდი ლოდები ეწყო. აქვე წყდებოდა როგორც სამეურნეო მნიშვნელობის, ისე სოციალური უსამართლობის მრავალი საჭირბოროტო საკითხები.

ნიშანდობლივია, რომ ოსთა კონსერვატიული საზოგადოება ისეთ ეთნოკულტურულ მახასიათებლებს ინარჩუნებდა, როგორიცაა წინაპართა პატივისცემა და მიცვალებულთა კულტის მსახურება. მტყუან-მართლის გასარჩევად ან ვინმეს შესარცხვენად, დამხრჩალი კატის ან ძაღლის, ან სახედრის მამა-პაპის საფლავზე ჩამოკიდება, უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. რას არ მიმართავდნენ, ოდონდ მსგავს განსაცდელში არ ჩაეგდოთ თავი. ასევე მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა ოსისთვის ყველრება-შეძახილი „მას არ დირსებოდა საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალვა. ძალზე მნიშვნელოვანია იმ ხალხური გადმოცემების ხაზგასმა, რომლის თანახმად, ე.წ. სამხრეთში გადმოსახლებული ოსები, თავიანთ გარდაცვლილებს უსათუოდ ჩრდილოეთში გადაასვენებდნენ და საგვარეულო სამარხს მიაბარებდნენ“ [16, 64].

მთელ ოსეთში ყველაზე დამამცირებლად ითვლებოდა წამოძახილი „სიდაი მარდტა“, ე.ი. იმქვეყნად შენი მიცვალებული შიმშილობსო; მათ სწამდათ, რომ მიცვალებული ქალების და რიგების გარეშე არ ცხონდებოდა. ჭირისუფალი, რომელიც გარდაცვლილისათვის სათანადო ხარჯს არ გასწევდა, ან რამეს დააკლებდა, „უსულადოს“ სახელს შეირქმევდა რაც ფრიად დამამცირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ხოლო ასეთი დამამცირებელი სახელები გაუთავებელ შფოთს და დავას იწვევდა არა ამრტო ცალკეულ პირებსა და საგვარეულოებს შორის, არამედ ხშირად სხვადასხვა სოფლის მოსახლეობაც ერთვებოდა, რაც არც თუ ისე იშვიათად სისხლიანი შეტაკების მიზეზი ხდებოდა [8, 70]. ამის ასაცილებლად უნდა დაეკლაო ხუთი-ექვსი ხარი, ორმოცამდე ცხვარი, მოედულებინათ

რამდენიმე ქვაბი ლუდი, ან გამოეხადათ ამდენივე არაყი, დაეპატიჟებინათ მთელი ნათესაობა, ახლო-მახლო სოფლის მოსახლეობა და ასე უნდა ეზრუნათ წელიწადში რამდენჯერმე, როგორც დაკრძალვის დღეზე, ასევე ორმოცზე, ამაღლებაზე, მარიამობაზე და გარდაცვლილის წლისთავზე. მოწვეულმა სტუმრებმაც იცოდნენ პატივისცემა, მაგრამ მათი მოტანილ დახარჯულის მესამედსაც ვერ ასწორებდა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი სამი-ოთხი დღე რჩებოდა მასპინძელთან. ე.ი. იმ დრომდე სანამდე სასმელი და საკვები არ გამოილეოდა. უზომო სმაჭამა ბუნებრივია ჩეუბსა და აყალმაყალს იწვევდა, რაც ზოგჯერ კაცის კვლასა და სხვა უბედურებაში გადადიოდა. მოგვიანებით საზოგადოებამ იზრუნა მიცვალებულის სულის საცხოვნებელი აღაპები მეტად მოწესრიგებული და დვთისთვის სათხო გაეხადა. თუმცა საზოგადოების ნაწილი ბოლომდე ტრადიციის ერთგული რჩებოდა. „ძველი დრო აღარ არის არა?! წინათ აღაპი ისეთი ბერკეტით ეწყობოდა, რომ მთელი აულები ესწრებოდა. ახლა კი დაკლავს კაცი ერთ ხარს, ზედ ორ-სამ ცხვარს წააკლავს და ამას აკმარებს ხალხს“ [11, 16]. საინტერესოა, საიდან უნდა ეშოვათ ან საცოლესთვის გადასახდელი ყალიმი ან ამისთანა აღაპის გასასტუმრებელი ხარჯი, როდესაც უმრავლესობას მემკვიდრეობით მხოლოდ ცარიელ ქოხს უზოვებდნენ. მაგ: „კაზი, მთელი ოჯახით ერთ პატარა ქოხში იხუთება; მას არც საქათმე გააჩნია და არც ბოსელი. ღობეც კი არა აქვს და მისი ქოხი შეუ ქუჩაში დგას... ეს არის ცხოვრება? სირცხვილია და მეტი არაფერი, სახლები კი არა, საქათმეები გვიდგას; ზამთარში თავი სიცივისაგან ვერ დაგვიცავს, ზაფხულში კი წვიმისაგან. თუ გარეთ წვიმს - შინაც წვიმს. რაც ჩვენ ზამთარში შეშას ვხარჯავთ! ჩამოიტან ზამთრის განმავლობაში ერთ ას ურემ შეშას, ცეცხლი ბუხარში მუდამ გვინ-

თია, სითბო კი არ არის. ხელ-ფეხს ნაცარში ვყოფთ გასათბობად, ზურგი კი მაინც გაყინული გვაქვს. ტან-საცმელი? რატომ გვეხევა და გვიფუჭდება? იმიტომ რომ მთელი ზამთარი ცეცხლში ვწვავთ, ტანზე თვეობით არ ვიხდით. ქურქებს ზამთარ-ზაფხულ ვატარებთ“ [11, 9]. უკიდურეს სიღუხვირეში მცხოვრებნი იძულებულნი ხდებოდნენ ძალმომრეობაზე გადასულიყვნენ. მათი მარბიელი რაზმები მოულოდნელად გამოცვივდებოდნენ მთის ხევებით, იჭრებოდნენ ქართულ სოფლებში, აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ დამხედურებს. იტაცებდნენ კველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. კავკასიაში რუსების გაბატონების შემდეგ, ბოლო მოედო მათ ჯგუფურ ლაშქრობებს ანუ „ლაგამამოდებულნი აღმოჩნდნენ“ [2, 235]. მაშინ რაღა დარჩენოდათ, ცალკეული პირები ავაზაკობა-ყაჩადობაზე გადავიდნენ. ბუნებით კი არ იყვნენ ქურდები, უბადრუკი ყოფა აიძულებდათ ოჯახები ნადავლით გამოეკვებათ. შემდეგ უკვე ამ ხელობაში ისე დაოსტატდენენ, აღარც შეგონება ჭრიდა და აღარც სასჯელი. ოსი ავტორი გორის მაზრის ოსებზე დანანებით შენიშნავდა: ოსი ვერ არის ისეთი მხნე და მამაცი, როგორც წინათ იყო. მას დაავიწყდა უწინდელი თავისი დიდება. ეხლა მარტო ის იცის, რომ დამ-დამობით ბოსელში ძროხების გამოსაყვანად შეიპაროს [12, 2]. შევიდობიანი ოსური მოსახლეობა ხელისუფლებას თხოვდა, ბოლო მოედო მათი თანამებრძოლების თავაშვებული მოქმედებისათვის. ამაო ლოდინით დადლილმა საზოგადოებამ, კავკავის მაზრაში, სოფ. არდონში თავად მიიღო აღმგვეთი ლონისძიება და ქურდობა-ავაზაკობაში მხილებულო შემდეგი განაჩენი დაუდგინა: მათი საქონელი სასოფლო ნახირში აღარ გაერიათ, მათი ოჯახის წევრები სოფლის ერილობაში, სამდვოთზე და აღარც მიცვალებულზე აღარ მიეღოთ და არც მათ მიკარებოდა ვინმე გასაჭირსა და

ლხინში [4, 800]. შერისხვის აღნიშნულმა ფორმამ რა შედეგი გამოიღო ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ოსთა თარეშით რაჭის მაზრაში კუდაროს ხეობის მოსახლეობაც ყოფილა თავგაბეზრებული. მათთვის წმინდა გაბრიელ ქიოძეს შემდეგნაირად მიუმართავს. „რა წესი ან რა ცხოვრება იქნება სოფელში, რომ შენს მეზობელს შენ მოპარო და წაართვა და შენმა მეზობელმა შენ მოგპაროს და წაიღოს? ვიდას შეუძლია მაშინ ცხოვრება ქვეყანაზედ [15, 94].

მიცვალებულთა სულისათვის ოსთა განსაკუთრებული მზრუნველობის ნიშანია, აკლდამური კულტურის წარმოშობა, რომელსაც საფუძვლად ისეთი წარმოდგენა უდევს, თითქოს იმქვენად მიცვალებულები ისე ცხოვრობდნენ, როგორც აქ და ამიტომაც იქაც სჭირდებათ სახლი და საკვები. გარდა ამისა, აკლდამების წარმოშობის თანამდევ მიზეზებად მოიაზრება მიწის უკიდურესი სიმცირე, აგრეთვე შიმშილობის და ეპიდემიების დროს მთის მასივებში მიწის გათხრის ტექნიკური სინელეები. ცხადია მიცვალებულის კულტი და ხალხის წარმოსახვა საიქიოს ცხოვრებაზე, რომელივ მიცვალებულის მიწაში დამარხვას დაუშვებლად მიიჩნევდა. ამრიგად, აკლდამები (ოს. ზაფაძები), მაღალ კლდოვან ბორცვებზე, ანუ სახნაფ-სათესად გამოუსადეგარ ნაკვეთებზე გახვდება. ესენია: მიწისქვეშა, ნახევრად მიწისქვეშა და მიწისზედა აკლდამები. თითევულ აკლდამას აქვს საძრომი და ნახევრები კედლებში ვენტილაციისათვის. ორპირი, გამჭოლი ქარისა და ჰაერის სიმშრალის გამო, ცხედარი მუმიფიცირდებოდა და დიდხანს ინახებოდა. თითოეულ აკლდამას ჰქონდა ერთი, ორი ან სამი კამერა, ხის ან ქვის რამდენიმე იარუსიანი თაროებით, რომელზეც გარდაცვლილის ცხედარი თავსდებოდა. მათ შშენებლებად ქვის უბადლო ოსტატები - ინგუშები ითვლებიან, მაგრამ ჩრდ. ოსეთის სოფ. დარყავის ძველ სასაფლაოს „მკვდრების ქალაქი“ - სამოცდაათამდე სხვადასხვა ტიპის და ფორ-

მის აკლდამას, ოსების მატერიალურ კულტურაში საპატიო ადგილი უჭირავს. ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აკლდამური კულტურა არ გავრცელებულა. მხოლოდ ზემო როკაში, როგორც უღელტეხილთან ექვსი ჩვეულებრივი ორსართულიანი აკლდამა გვხვდება. თითული მათგანი კლდუში გამოკვეთილ მოზრდილ ოთახს წარმოადგენს, სადაც მიცვალებულის ცხედარს ათავსებდნენ. საქართველოში მიგრაციის შემდეგ, ქართულ კულტურაზე ორიენტირებულ ოსებს, დაკრძალვის არაქრისტიანული წესი აღარ დასჭირვებიათ. ამავე დროს, მათ არ გასჭირვებიათ ლიანების აუზის ტერიტორიის ისტორიული მნიშვნელობის საცხოვრებელ სახლებზე, ციხე-კოშკებზე, ეკლესია-მონასტრებზე, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე, არქოლოგიურ ნივთებზე, რომელიც მხოლოდ ქართველების ხელით და შრომით არის შექმნილი, ურცხვად გამოაცხადონ სამართალ მემკვიდრეობის პრეტენზია.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მემატიანის შეფასება, „სხვათა ქვეყანათა შიდა მდაბალნი“, დღევანდელი გადასახედიდან უარყოფითად ჟღერს, მაგრამ „ყოველი კულტურის ფესვი ადამიანშია და ყველგან, სადაც კი მას უხდება ცხოვრება, რასაც ქმნის კაცობრიობის სახელით ქმნის. ის ყველგან თესავს საკაცობრიო თესლს, რომელიც ნაყოფს იღებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ყოფაში, საკაცობრიო კულტურის ყოველ კერძო გამოვლინებაში. ქვეყნის მიყრუებულ აღგილებში შეყუელთ არ უშენებიათ მონუმენტური ტაძრები და სრა სასახლენი, ხშირად კვალიც კი არ დაუტოვებიათ მიწაზე თავანთი არსებობისა, მაგრამ ეს უკალობა იქნებ მათი დირსებაც იყოს, რადგან კვალი ნივთიერია, ეს ხალხი კი სულიერ ღირებულებებს ქმნიდა“ [7, 11]. ოსებში ასე შეიქმნა უფროსისა და სტუმრის პატივისცემა, ოჯახური სიწმინდე, მშვიდობისმყოფელობა ანუ მოსისხლეთა შერიგება, ურთიერთგატანა და ურთიერთდახმარება, დაჩაგრულის გა-

მოქომაგება და სხვა სულიერი ფასეულობები, რომლებიც მემკვიდრეობით მიღებული ერთიანი კავკასიის მარადიული კულტურაა, სადაც ტონის მიმცემად და კანონმდებლად უძველესი ქართული ცივილიზაცია გვემდინება.

წყაროები და ლიტერატურა

1. С. Анисимов, Кавказ, Тб. 1916.
2. ე. აიხვალდი, საქართველოს შესახებ, თბ., 2005. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
4. ბარის ოსეთი, კავკავის მაზრა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1643, 16 ნოემბერი, 1901.
5. ი. გიულდებუშეგდეტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, თბ., 1962. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გულაშვილმა.
6. გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977.
7. ხ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, თბ., 1996
8. С. Каргинов, "ночь в мертвых" в Осетии, известия Кавказского отдела императорского русского географического общества, Тб., 1915.
9. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, ტფ., 1957.
10. П. Надеждин, Природа и люди Кавказа и Закавказья, с-ПБ, 1869.
11. ოსური პროზის ანთოლოგია, თბ., 1959.
12. ოსოჩ, ოსეთი (გორის მაზრა). გაზ. „შრომა“, №17, 4 მაისი, 1883.

13. о. რაინეგხი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთი გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
14. Н. Феоктистов, по северной Осетии, М., 1938.
15. გაბრიელ ქიქოძე, მოძღვრება თქმული ოსთადმი კუდაროს ხეობის ეკლესიაში, უკრ. ჯვარი ვაზისა, №1, 1997.
16. Л. Чибиров, Осетинское народное жилище, Тб., 1970.
17. გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, აგად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII-B, 1961.

Irma Kvashilava

Some Peculiarities of the Ossetians Every-day life and Culture

The Ossetians, who belong to Iranian group of the Indo-European peoples, after they came and settled in the Caucasus underwent serious cultural and every-day life transformations and assimilated with the native, aboriginal population. All above mentioned seriously influenced and reflected on the Ossetians ethnocultural features. The social and family relations, forms of settlement, the branches of labor, etc. are the subjects of the given work scientific discussion. These are the subjects which obviously reflect ethnic mentality, level of development, every-day life. Study of these problems had more or less had a special interest for scientists, but now for us, for a country with ethnoconflicts they became issues of burning importance and are determined by historical inevitability.

The given research is based on special scientific literature, historical sources and “the Analogy of the Ossetian Prose” that

impartially reflects ethnographical reality. Besides some subjective viewpoints, it contains important, useful data about the every-day life of the Ossetians.

ეთნოლინგვისტიკა Ethno-Linguistics

ავთანდილ სონდულაშვილი

ეთნიკური ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი

როგორც ცნობილია, ეთნიკური პრობლემა მეტად მრავალმხრივია. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ენისა და კულტურის მნიშვნელობა კაცობრიობის დიფერენციაციისათვის, ჯგუფური (ეთნიკური) თვითშეგნების ფორმირება და ფუნქციონირება, ცალკეულ კოლექტივებს შორის ურთიერთობის ხასიათი და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური გამოკვლევები ეთნოსის არსის, ეთნიკური ურთიერთობისა და პროცესებისადმი და საერთოდ ცნებებისადმი – „ეთნიკური ჯგუფი“, „ეთნიკური ერთობა“ „ეთნოსი-სადმი კუთვნილება“ დასავლეთის მეცნიერულ გამოკვლევებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ამასთანავე, ასეთი სახის გამოკვლევები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა [12, 207].

ეთნოსის ცნება თავისი მიღებული და გავრცელებული მნიშვნელობით ბერძნული სიტყვის სემანტიკას ეყრდნობა. „ეთნოს“ ბერძნულად ნიშნავს: მოდგმას, ტომს, ჯოგს, რემას, ხალხს, ერს, ეროვნებას. ინდივიდის ეთნიკური ნიშნები მოიცავს: ტემპერა-

მენტს, მიხრამოხრას, კანის და თმის შეფერილობას, სასიათს, ჩვეულ გუნებათა იმ თავისებურებებს, რომლებიც მას სისხლისმიერ კავშირთაგან შემტკიცებული „ჩვენ-ჯგუფის“ ჩამომავლობით რგებია. ვიტყვით: ეთნიკური ჩინელი, მაორი ან ზულუსიო და ვაულისხმობთ, რომ მავანი ტომობრივ, სისხლისმიერ ხსენებულ ჯგუფთაგან ერთ-ერთს ეკუთვნის [4, 7-8]. შუა საუკუნეებიდან დღემდე ეთნიკურ ერთობათა ადსანიშნავად უცხოელ ავტორებთან გამოიყენებოდა ძირითადად ოთხი ტერმინი: ნაცია (ერი), ტომი, რასა და ეთნიკური ჯგუფი. ამ ტერმინების გამოვლენა და გამოიყენება სხვადასხვა ეპოქაში დაკავშირებული იყო განსხვავებულ ისტორიულ-კულტურულ კონცეფციებთან. ერთი კონცეფციის მეორით შეცვლა იწვევდა აღნიშნული ტერმინების არსებითად აზრობრივ ცვლილებებს. ყველაზე ადრე ლიტერატურაში შემოვიდა ტერმინი „ერი“, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან გამოიყენებოდა ევროპაში ეთნიკური (ლინგვისტური და კულტურული) ერთეულის ადსანიშნავად. VII საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნული შინაარსით განმარტავდა ერს ისიდორე სევილიელი, XIII საუკუნის ფრანცისკანელი ბერი ბართოლომეო ანგლიკუსი. ნაციის შედარებით სრული აღწერილობა დამახასიათებელია აღორძინების ეპოქისათვის, რამაც ასახვა პპოვა ი. ბემუსისა და ს. მიუნტერის შრომებში. 1527 წელს აგრიპა მიუთითებდა, რომ სხვადასხვა „ნაციის“ (ერის?) წარმომადგენლები განსხვავდებიან ხმის, ენის, ლაპარაკის მანერის, კვების, ტრადიციის, სიყვარულისა და სიძულვილის, შიშისა და ბრაზის განსაკუთრებული გამოხატვით.

ტერმინ „ნაციას“ ასეთივე აზრით ფართოდ იყენებდნენ განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსები და ისტორიკოსები (ა. რ. ტიურგო, შ. მონტესკიუ, ა. ფერგიუსონი, ჟ. კონდორსე და სხვ.) [12, 208].

დღეს ერის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მოიაზრება ბიბლიაში. წმინდა წერილში პირველად სიტყვა „ერი“ გვხვდება დაბადების წიგნში ფარაონის მორჩილებაში და მსახურებაში მყოფთა მიმართ, როდესაც იოსები აღმოჩნდება ფარაონის წინაშე. კერძოდ, „სათნო – უჩნდეს სიტყუანი ესე წინაშე ყოვლისა ერისა მისისა“ (დაბ. 41, 37) და შემდეგ: „პირსა შენსა ერჩდეს ერი ჩემი“ (დაბ. 41, 40). ცხადია, რომ აქ იგულისხმება არა ეთნოსი, არამედ იმ ხალხთა სიმრავლე, რომელიც ფარაონის მორჩილებაში იყო, მის კანონს ემორჩილებოდა, რომელსაც ესმოდა მისი ენა. სხვა შემთხვევაში, როდესაც უფალი მიმართავს მოსე წინასწარმეტყველს და ამბობს, რომ „ხილვით ვიხილე მე ძვირი ე რ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა“ და „გამოვიყანო ე რ ი ჩემი, ძენი ისრაელისანიქუეყანით ეგვიპტით“. იგულისხმება ლვთის მორჩილებაში მყოფი ხალხი, რომელიც ისმენს ლვთის სიტყვას და იცავს სჯულს [9, 36].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) ერს შემდეგნაირად განმარტავს: „ე რ ი წერილის სიტყვით ჩვენებურად სამხედროსა პქვიან. მგონია, ესე ებრაული უნდა იყოს, სწორედ კი ვერ დაგიმტკიცებ და ირწმუნე, ერი არც (აჲლ) აქედამ არს წარმოებული, არც ე რ ი დ ა მ ა. ი ე რ ე ბერძულიც არის. საკუთრად ჩვენებური – ნ ა თ ე ს ა ვ ი, თ ე ს ლ ი, მ ო ქ ა ლ ა ქ ე, მ ც ხ ო გ რ ე ბ ი, ს ა მ ხ ე დ რ ო, ს ა მ პ ვ ი რ ც ხ ლ ო, მ კ ვ ი რ ც ხ ლ ნ ი ესენი, რომელსაც ხაზი აქვს გასმული, სალაშქრონი ანუ ლაშქართაგანნი არიან და სხვანი“ [2, 52].

ჩვენი ლექსიკოგრაფი ტერმინ – თემის ახსნისას ერის განმარტებაზეც საუბრობს. კერძოდ, „თ ე მ ი სრულიად ქაცნი რომლისამე ქუეყანისა მცხოვრები მოქალაქენი მდაბიონი და სხვანი. თ ე მ ი არს სამეფოთა, გინა ე რ თ ა ერთი რომელიმე ნაწილი, სხვა-

დასხვა თემი ნიშნავს სხვასა და სხვასა ნათესაობასა, გინა ადგილსა“ [2, 61].

ბაგრატიონი ნ ა ც ი ა ს შემდეგნაირად განმარტავს: „გვარნი ანუ სირანი“ [4, 98]. მისივე ახენით „ს ი რ ა – შთამომავლობასაც ნიშნავს და ს ი რ ა – ნაწილი ანუ კერძო“ [4, 119].

დავით ჩუბინაშვილის შეხედულებით „ე რ ი – მდაბიო ხალხი, ნათესაობა კაცთა, განსაკუთრებული ენითა, შთამომავლობითა და სარწმუნოებითა, სიმრავლე კაცთა ერთად შეკრებილთა, ჯარი [11, 495]. „ნ ა ც ი ა (ფრანგ.), ტომი, თესლი ხალხისა [11, 970]. ტ ო მ ი (ბერძნ.), ნათესაობა, ჩამომავლობა [11, 125].

ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ვ. ფშაველა, ა. წერეთველი, ს. მესხი, ა. ჯორჯაძე და სხვები, ერის ნიშანთვისებების უაღრესად ფართო სპექტრს წარმოგვიდგენენ და თითოეული ფაქტორის მინიშნებასაც ძირითადად, სწორი – სუბიექტივიზმისაგან დაზღვეული არგუმენტების მოშველიებით განმარტავენ [6, 148]. საერთო ჯამში ერისთვის დამახასიათებელ ნიშნებად ისინი თვლიან: ენის, ტერიტორიის და კულტურის ერთობას, საერთო ისტორიულ ბედს, ერთიან შთამომავლობას, სისხლით ნათესაობას, სახელმწიფოებრივ ერთობას და ა. შ.

ერის ჩამოყალიბების ეტაპების პრობლემის კვლევისათვის დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველ სწავლულთა თვალსაზრისი, რომ ერი როგორც ისტორიული კატეგორია, წარსულის წიაღში ადმოცენდა და მისი არსებობის განმაპირობებელი საფუძვლების ცვლილებებით ერის ცნების შინაარსობრივი და პრაქტიკული მხარეებიც იცვლება – მდიდრდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება [6, 149].

ილია ერის (ეთნოსის) ცნებასთან დაკავშირებით, მეცნიერულ დონეზე აყალიბებს მისთვის დამახასიათებელ კომპონენტებს. ასეთებია „მამული“, ტერიტორია,

სადაც მოხდა ამა თუ იმ ერის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის ფორმირება. ენა – საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, საზოგადოებასთან ერთად იქმნება და ვითარდება იმ ტერიტორიულ ერთეულზე, სადაც ხდება ამა თუ იმ ერის ფორმირება თავისი რწმენითა და კულტურით. ენის ერთობა ნიშნავს კულტურის ერთობას. ერთობა გვარტომობისა, საერთო ისტორიული წარსული, კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობა კი მასთან კაცობრიობის დონისა და სიმკვიდრის დედაბობიდა. ამგვარად, ილია ჭავჭავაძე, შეეხო რა ერის ცნებას, ხაზი გაუსვა ყველა თავისებურებას და ჩამოაყალიბა ყველა მისი კომპონენტი [7, 39].

XX საუკუნის დასაწყისში ერის განმსაზღვრელ ძირითად კომპონენტად მიაჩნდათ „სამშობლო მიწაწყალი, ენა, ისტორია, ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება“. ეთნოსის ამ განსაზღვრაში აკაკი წერეთელი რელიგიის იგნორირების წინააღმდეგ გამოდიოდა, თუმცა არც იმას ამართლებდა, ვინც ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთში აიგივებდა. პოეტი გვთავაზობს თავის კონცეფციას, კერძოდ, „ერს“, იმ დროისათვის არსებულ საზოგადოებრივ წერილებას იგი ადარებს ხეს. მისი აზრით, ეს არის იგივე ეროვნების ხე, რომელშიც ფეოდალური იერარქიული კიბე ხელუხლებელი დარჩა [7, 44]. ტერმინი „ტომი“ მეცნიერებიაში დამკვიდრდა ახალ დროში. თავდაპირველად ტომს უწოდებდნენ მცირე სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ა. რ. ტიურგოს აზრით მონადირეებში მოითვლიდა 15-20 ადამიანს. აღნიშნული ტერმინის ასეთი განმარტება მემკვიდრეობით ერგოთ XIX საუკუნის მკვლევრებს. ტერმინის სრულყოფილი განმარტება დაიხვეწა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და შემდგომ პერიოდში ჯ. მაკლენანთან, გ. სპენსერთან და ა. შ. [12, 209].

ადსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ტერმინები „ტომი“ და „ნაცია“ (ერი) ხშირად სინონიმებად გამოიყენებოდა. ზოგიერთი ავტორი განიხილავდა, როგორც რამდენიმე სოციალური ერთეულის – ტომის ეთნიკურ ერთობას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერნსტ რენანმა გამიჯნა ამ ორი ცნების – ტერმინის მნიშვნელობა. „ნაციის“ წარმოშობა მან დაუკავშირა ევროპაში შეუსაუკუნების საწყის ეტაპს [12, 211].

შემდეგი ტერმინი, რომელიც ერთი პერიოდი ფართოდ გამოიყენებოდა ეთნიკურობის მნიშვნელობით არის „რასა“. მისი შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში განეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს [12, 212].

ზემოთ აღნიშნულ და სხვა ტერმინებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი პქონდა ქართულ სინამდვილეში, განვიხილოთ რამდენიმე საკითხი ჩვენი ერის წარსულიდან.

უძველეს დროში ქართველები სხვადასხვა ტომებად თუ ჯგუფებად იყოფოდნენ (რომელთა დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), მათ ხანგრძლივი ცხოვრების პროცესში სულ სხვადასხვა უცხო ჯგუფებიც შეერივნენ (შემოხიზვნისა თუ შემოჭრის გზით) და შეერწყნენ. ბავშვური გულუბრყვილობა და ისტორიის უცოდინარობაა იმისი წარმოდგენა და მტკიცება, რომ ქართველი ხალხი – ანუ ერი („ნაცია“) ერთი დედმამიდან, გვარიდან ან ნათესაური თემიდან გაჩნდა და წმინდა წარმოშობისაა. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. პირდაპირ უნდა ითქვას, დედამიწის ზურგზე არსებული ყველა ხალხი ანუ ერი, ურთიერთმონათესავესთან ერთად, სულ სხვადასხვა რასის, ენის, ზენ-ჩვეულების, ჯიშის, კულტურის, რწმენა-წარმოდგენის, ხასიათისა და სხვა ადამიანთა მასის დაჯგუფების, შეზრდისა და შერწყმის შედეგადაა წარმოშობილი ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად. და

რა თქმა უნდა, ასე წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ქართველი ერიც (ის გამონაკლისი არაა) [3, 94-95].

საგულისხმოა, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება VIII-IX საუკუნეებში დამთავრდა, რასაც მალე ქართველი ერის (მყარი ერთობის) საბოლოო ფორმირება მოჰყვა. ამ თვალსაზრისით რაოდენ ბევრის მეტყველია თუნდაც საქართველოს უშორეულესი კუთხის სვანეთის ერთ-ერთი თემის ლატალის პატარა სოფლის ლაილის ეკლესის ხატის XI საუკუნის წარწერა: „წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფები ბაგრატონიანნი, დადიანი და დიდებული და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანნი...“ როგორც ჩანს, ქართველთა ერთობა და ერთიანობა (ბუნებრივია, აგრეთვე მათ გარშემო მყოფი სხვა ეთნოკური ჯგუფების) . . . საბოლოოდ სრულიად საქართველოს ფარგლებში გამოიწროო და შედუღაბდა. ეს ჩანს თუნდაც სვანეთის პატარა სოფლის მოსახლეთა თვითშეგნების (შინაგანი რწმენის) გამოხატულებიდან ერთიანი და ერთობლივი მმართველი ბაგრატიონების, ქართველებისა და სრულიად საქართველოს შესახებ [3, 94]. 1926 წლის აღწერით, როგორც სხვა საკავშირო აღწერებით აჭარელი, სვანი, მეგრელი და ა.შ. არაქართველებად არიან დაფიქსირებული. 1927 წელს ამ ანტიქართულ პოზიციას გამოეხმაურა უცნობი ავტორი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო კრიტიკული წერილი არ გამოქვეყნებულა. დედანი აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. მოგვაქვს წერილის ტექსტი: „ცნება აჭარელი, მეგრელი, სვანი და სხვა ბუნებრივია არ ეწინააღმდეგება ცნებას ქართველი; პირიქით, ცნება „ქართველი“ შეიცავს ყველა დანარჩენს როგორც მთელი – ცალკე ნაწილებს. როცა სვანი ან მეგრელი თავისთავს სვანს ან მეგრელს უწოდებს, ამით იგი მხოლოდ თავის პროვინციალურ შთამომავლობას აღნიშნავს და არა იმას, რომ იგი

ქართველი არ არის; პირიქით, სვანის ან მეგრულის წარმოდგენაში სახელწოდება „სვანი“ ან „მეგრული“ ეს არის ნაწილი ცნებისა „ქართველი“, როგორც ერთი მთელისა. ეს ტომები არა მარტო რასობრივი შთამომავლობით, არამედ ეროვნული შეგნებით ერთი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენს“ [10, 29-30].

გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორიის პოლიეთნიკურობა აქაურ მოსახლეობას ცხოვრების გარკვეულ წესს – ტოლერანტობას კარნახობდა. (იმ სარისხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაერთიანება). უხსოვარი დროიდან საქართველოშიც ხალხი ჯგუფებად ცხოვრობდა. ერთად ცხოვრების შედეგად ადამიანებს თავისი ჯგუფისადმი ლოიალობა უყალიბდებოდათ. გაერთიანებათაგან ზოგიერთი სისხლით იყო შეკავშირებული („თესლი“ და აქედან გამომდინარე „ნათესავი“, „თვისი“, „თესლტომი“, „ტომი“, „გუარი“, „სახლი“, „გუარნათესაობა“, „მახლობელი“, „მოდგმა“, „ბუნება“, „თემი“), ხოლო გაერთიანებათა ნაწილი მრავალეთნიკური იყო – „მკვიდრნი საქართველოსანი“, „ქართველთა შვილნი“, „ერი“. გაერთიანება იყო, როგორც პორიზონტალური, ასევე გერტიკალური, რაც შესაბამის გამოთქმებში აისახება, უკანასკნელი, მაგალითად, საკმაოდ ხშირ შესიტყვებაში „სჯული მამათა ჩუქოთა“, ან აქვე შეიძლება გავიხსენოთ ტერმინი „თვისი“, რომელიც სამ თაობას მოიცავს. ნათესავი სხვადასხვა იყვნენ – „ნათესავი სპარსთა“, „ნათესავი სომეხი“, „ყოველნი ნათესავი ბერძენთანი“, „ნათესავი ისმაელის“, „აგარის ნათესავი“, „ბუნებით სარკინოზ“. მსგავსი გამოთქმების სიხშირე უძველეს წყაროებში ნათლად წარმოაჩენს ავტორთა მკაფიო ეთნიკურ ცნობიერებას.

უცხო ეთნიკური წარმომავლობისანი ქართულ წყაროებში აღინიშნებოდნენ როგორც „უცხონი“, „უც-

ხონი ნათესავნი“, „უცხოთესლნი“, „მოსულნი“ და სხვ. „ჩვენ“ და „ისინი“ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი დროიდან თანაარსებობდნენ და მათ შორის ურთიერთობები სხვადასხვა ხასიათისა იყო [1,44].

თავისი არსებობის მანძილზე, ქართული სახელმწიფო, დასახლებული მრავალი ეროვნების წარმომადგენლებით, ფაქტია, რომ არასოდეს გამხდარა მრავალეროვანი ქვეყანა (დღეს კი, პირველად საქართველოს ისტორიაში, ასეთი არასასურველი პერსპექტივა რეალურად ისახება). ეს იმიტომ, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ისტორიულ-ტრადიციულად, შემუშავებული პქნება დამცველი მექანიზმი, რომლის მოქმედებითაც, ჩვენმა წინაპრებმა დღემდე შემოგვინახეს ქართული მიწა-წყალი, შეინარჩუნეს ეროვნული კულტურა და თვითმყოფადობა. ეს დამცველი მექანიზმი იყო „უცხოს“ მიღება-დასახლების წესი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსული „უცხოს“ იმ კულტურულ სამყაროსთან შეზრდას, რომლის გარემოცვაშიც იგი ექცეოდა [5, 91].

ტერმინ „უცხოს“ გაგებას ზოგიერთი თავისებურება გააჩნია. მაგალითად, ისტორიულად „უცხო“ თავისი შინაარსით არა მარტო უცხოეთნიკური, სხვა ეროვნების წარმომადგენლის მომცველი იყო, არამედ „უცხო“ იყო ქვეყნის შიგნით (მაგ., საქართველოს შიგნით) ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ერთი თემიდან მეორე თემში საცხოვრებლად დროებით თუ მუდმივად გადაადგილებული პიროვნებაც. ქვეყნის შიგნით გადაადგილებული შეიძლება ქართველიც ყოფილიყო და არაქართველიც. როგორც ქართველი, ისე არაქართველი „უცხოს“ მიღების და დასახლების წესი, პრინციპში თითქმის ერთნაირი იყო და ერთმანეთისაგან ცოტათი თუ განსხვავდებოდა. თუ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების შიგნით მოსახლეობის გადაადგილება თავისუფლად ხდება,

ხოლო ბევრ ქვეყანაში (მაგ., ფინეთში, ესპანეთში და სხვ.) სპეციალური კანონებითაა მოხსნილი ქვეყნის შიგნით, გადაადგილებასთან დაკავშირებული ყოველ-გვარი შეზღუდვა (ამ ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ ეროვნული ტერიტორიის ფარგლებში თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი), ასე როდი იყო ისტორიულადაც. ერთი თემიდან მეორეში გადა-ადგილებული პირი თუ ოჯახი, ამ თემისათვის „უცხო“ იყო და „უცხოს“ მიღება დასახლების ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს ემორჩილებოდა [5, 92-93].

253. Peust, C., 2009. The Font Collection Sumerian 3D. *Electronic Version 4 released on 15 Mar. 2009, 1-19.*
254. Piška, K., 1998. Syllabary A. *Electronic Publishing. Printed 1998, 1-10.*
255. Piška, K., 1999. Fonts for Neo-Assyrian Cuneiform. *EuroTEX'99 Proceedings, 1-13.*
256. Piška, K., 2003. Akkadian Sign Index. *Electronic Version Apr. 30, May 26, 2001. Printed Aug. 1, 2003, 1-13.*
257. Pulleyblank, E. G., 1966. Chinese and Indo-Europeans. *Journal of the Royal Asiatic Society, #1/2, 1966, 9-39.*
258. Pritchard, J. B., 1969. Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament: *Third Edition with Supplement. Princeton, NJ: Princeton University Press, 1969.*
259. PSD: Website of the Pennsylvania Sumerian Dictionary, <http://psd.museum.upenn.edu/epsd/index.html>
260. Ragozina, Z., 1903. Ancient People. *St.-Petersburg, 1903 (in Russian).*
 Рагозина З., 1903. Древнейшие Народы. *Санкт-Петербургъ, 1903.*
261. Ramishvili, R., 2008. Archaeological Discoveries from Davati.

The Otar Lordkipanidze Centre of Archaeology of Georgian National Museum. Tbilisi, 2008 (in Georgian).

რამიშვილი რ., 2008. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათ-ში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მრომები, V. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2008.

262. Ranke, H., 1906. Babylonian Legal and Business Documents from the Time of the First Dynasty of Babylon. *Chiefly from Sippar (BE 6/1)*. Philadelphia, 1906.
263. Robinson, A., 2007. The Story of Writing. *Alphabets, Hieroglyphs & Pictograms*. Thames & Hudson, London, 2007.
264. Rosengarten, Y., 1967. Répertoire commenté des signes pré-sargoniques sumériens de Lagash. Paris 1967.
265. Rosin, P., 2001. Rosettes and Other Arrangements of Circles. *Nexus Network Journal*, Vol. 3, No 2, 2001, 113-126.
266. Ross, G. A., 2002. Homer. The Odyssey. The Missing First Edition (Attic Script, Boustrophedon). Ed. by G. A. Ross. In parentheses Publications. Greek Series. Cambridge, Ontario 2002.
267. Rossi, R., 2007. The Great Mysteries of Archaeology: Knossos. David and Charles. First Published in the UK in 2007.
268. Salvini, M., 1995. Geschichte und Kultur der Urartäer. *Wissenschaftliche Buchgesellschaft*, Darmstadt, 1995.
269. Samsonia, N. 2008. Mesopotamian Glyptic. Publishing House of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi, 2008, 1-174 (in Georgian).
სამსონია ნ., 2008. შუამდინარელი გლიპტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 1-174.
270. Sayce, A. H., 1882. The Cuneiform Inscriptions of Van Deciphered and Translated. In: *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, #14, 1882, 377-732 (Nos 1-57).
271. Sayce, A. H., 1929. Some New Vannic Inscription. In: *the Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, #2, 1929, 297-336 (Nos 93-100.).
272. Schmandt-Besserat, D., 1992. Before Writing. From Counting to Cuneiform. Vol. I. University of Texas Press. Austin, 1992.
273. Schmandt-Besserat, D., 1996. How Writing Came About. University of Texas Press. Austin, 1996.

274. Schmelzeisen, K., 1992. Römische Mosaiken der Africa Pro-consularis – Studien zu Ornamenten, Datierungen und Werkstätten. *P. Lang*. 1992.
275. Seaton, R. C., 1897. Apollonii Rhodii Argonautica. *Recognouit breuique adnotacione critica instruxit R. C. Seaton. Oxonii F. Typographeo Clarendiniano, 1897.*
276. Sharashenidze, J., 1983. Sumerians and their Culture. *Publishing House Nakaduli. Tbilisi, 1983 (in Georgian).*
შარაშენიძე ჯ., 1983. შუმერები და მათი კულტურა. ვა-გომბეგლობა ნაკადული. ობილიხი, 1983.
277. Sharashenidze, J., 2008. Sumerian Syllabary. *Studies of the Society of Assyriologists, Bibliologists and Caucasologists*, 4. *Tbilisi, 2008 (in Georgian).*
შარაშენიძე ჯ., 2008. შუმერული სილაბარიუმი. *SABC*, 4. ობილიხი, 2008.
278. Sher, J. A., 1980. Petraglyphs of Middle and Central Asia. *Nauka, Moscow, 1980 (in Russian).*
Шер Я. А., 1980. Петроглифы Средней и Центральной Азии. *Наука, Москва, 1980.*
279. Sidorova, N. A., 1972. The Art of Aegean World. *Publishing House Iskusstvo. Moscow, 1972 (in Russian).*
Сидорова Н. А., 1972. Искусство эгейского мира. Из истории мирового искусства. *Издательство Искусство. Москва, 1972.*
280. SMG 1990. Summa Historical and Cultural Monuments of Georgia. Book 5. *Encyclopaedia Georgiana, Tbilisi, 1990 (in Georgian).*
სბა 1990. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წიგნი V. ქართული ენციკლოპედია, ობილიხი, 1990.
281. Smirnow, J. I., 1934. Der Schatz von Achalgori. *Tbilisi, 1934.*
282. Smith, W., 1854, 1857. Dictionary of Greek and Roman Geography. Edited by W. Smith. In Two Volumes. Vol. I, London, 1854; Vol. II, London, 1857.
283. Smith, W., 1869, 1870. Dictionary of Greek and Roman Biography and Mythology. In Three Volumes. Vol. I, London, 1869; Vol. II, Boston, 1870.
284. Smith, W., 1896. A Smaller Classical Dictionary of Biography,

- Mythology, and Geography: Abridged from the Larger Dictionary. With Illustrations. *New York, Harper & Brothers, Publishers, 1896.*
285. Sokolov, G., 1972. Aegean Art. *Publishing House Izobrazitelnoe iskusstvo. Moscow, 1972 (in Russian).*
 Соколов Г., 1972. Эгейское искусство. Серия Искусство стран и народов мира. Издательство Изобразительное искусство, Москва, 1972.
286. Sornig, K., 1997. Wohlgemute Bemerkungen zum Umgang mit einem nach wie vor unlesbaren Text. *Institut für Sprachwissenschaft der Universität Graz, Herbst, 1997, S. 69-104.*
287. SOS 1976. Secrets of Old Scripts. Problems of Deciphering. Papers translated from English, German, French and Italian. *Progress Publishers. Moscow, 1976 (in Russian).*
 ТДП 1976. Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. Сборник статей. Перевод с английского, немецкого, французского и итальянского языков. Издательство Прогресс. Москва, 1976.
288. Sprengel, K. J., 1821. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneykunde. *Erster Theil. Zweyter Abschnitt. Zustand der Medicin bey den ältesten Völkern. I. Aelteste kolchische Medicin. Halle, in der Gebauerschen Buchhandlung, 1821.*
 შპრენგელი კ. ი., 1989. უძველესი კოლხური მედიცინა. იბ.: არხოლდ ვილანის ველი „სალერნის ჯანმრთელობის კოდექსი“. ვამომქენდლობა ცოდნა. თბილისი, 1989.
289. Stuckey, J., 2003-2009. Goddess Anat, Warrior Virgin of the Ancient Levant (Canaan), *Samhain 2003, Vol. 3-1.* Astarte – Goddess of Fertility, Beauty, War, and Love (Canaan), *Imbolc 2004, Vol. 3-2.* Asherah, Supreme Goddess of the Ancient Levant Beltane (Canaan), *Beltane 2004, Vol. 3-3.* Asherah and the God of the Early Israelites (Canaan), *Lammas 2004, Vol. 3-4.* Inanna, Goddess of Infinite Variety, *Samhain 2004, Vol. 4-1.* Inanna's Descent to the Underworld, *Beltane 2005, Vol. 4-3.* "Inanna and the Huluppu Tree": One Way of Demoting a Great Goddess, *Lammas 2005, Vol. 4-4.* A Canaanite Goddess Shrine at Nahariyya in Israel (Canaan), *Beltane 2006, Vol. 5-3.* The "Holy One" (Canaan), *Lammas 2007, Vol. 6-4.* Shaushka and 'Ain

- Dara: A Goddess and Her Temple, *Imbolc* 2008, Vol. 7-2. Ancient Grain Goddesses of the Eastern Mediterranean, *Lammas* 2008, Vol. 7-4. Spirit Possession and the Goddess Ishtar in Ancient Mesopotamia, *Samhain* 2008, Vol. 8-1. The Goddess Meenakshi and Her Temple at Madurai (India), *Imbolc* 2009, Vol. 8-2. Tanit of Carthage (North Africa, Phoenicia), *Lammas* 2009, Vol. 8-4. www.matrifocus.com
290. Suidæ, 1705. *Suidæ Lexicon, Græce & Latine. Tribus Voluminis. Textum Græcum cum Manuscriptis Codicibus collatum a quamplurimis mendis purgavit, Notisque perpetuis illustavit: Versionem Latinam Æ. Porti innumeris in locis correxit; Indicesque Auctorum & Rerum adjecit L. Kusterus. Cantabrigiæ. Typis Academicis. 1705.*
291. Sumbadze, L., 1984. The Architecture of Georgian Popular Houses Darbazi. *Publishing House Metsniereba. Tbilisi, 1984 (in Russian).*
Сумбадзе Л., 1984. Архитектура грузинского народного жилища дарбази. АН ГССР. Издательство Мецниереба. Тбилиси, 1984.
292. Tatishvili, I., 2006, 2007, 2009, 2010. Hittite-Georgian Dictionary. 1-4 Parts. *The Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Logos Publishers. Tbilisi, 2006-2009 (in Georgian).*
ტატიშვილი ირ., 2006, 2007, 2009, 2010. ხეთურ-ქართული დექსიკონი. ნაკვეთი 1-4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამა ლოგოთბის. თბილისი, 2006-2009.
293. Tatishvili, I., 2009. Akkadian Language. *The Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Logos Publishers. Tbilisi, 2009 (in Georgian).*
ტატიშვილი ირ., 2009. აქადური ენა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამა ლოგოთბის. თბილისი, 2009.
294. Tevzaia, M., 2009. Georgian Ornament. Vol. II. *Tbilisi, 2009.*
თევზაია მ., 2009. ქართული ორნამენტი. II ნაწ. თბილისი, 2009.
295. Th-D: Thureau-Dangin, F., 1926. Le Syllabaire Accadien. *Librairie Orientaliste Paul Geuthner. Paris, 1926.*

296. Thompson, R. C., 1913. A New Decipherment of the Hittite Hieroglyphics. *Printed by Horace Hart for the Society of Antiquaries of London, 1913.*
297. Topuria, V., 1954. Homogeneity of Grammatical Processes in Kartvelian Languages. In: IKE VI, Tbilisi, 1954 (in Georgian). თოფურია ვ., 1954. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იკვ, VI, თბილისი, 1954.
298. Tseretheli, M., 1913-1916. Sumerian and Georgian: A Study in Comparative Philology. In: *the Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland. London*, 1913, 783-821; 1914, 1-36; 1915, 255-288; 1916, 1-58.
299. Tseretheli, M., 1924. The Country of Hatti, its People, Languages, History and Culture. *Constantinople*, 1924 (in Georgian). წერეთელი მ., 1924. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლისი, 1924.
300. Tseretheli, M., 1928. Die neuen haldischen Inschriften des Königs Sardurs von Urartu (um 750 v. Chr.). *Heidelberg, Carl Winter*, 1928.
301. Tseretheli, M., 1959-1960. Das Sumerische und das Georgische. In: *Bedi Karthlisa – Le Destin de la Géorgia. Revue de Karthvélogie. The International Journal Specialized in the Georgian Studies*. Vol. VI-VII.32-33: Paris, 1959, 77-104; Vol. X: Paris, 1960, 1-12.
302. Tsymburskij, V. L., 2005. Aea and Troy. In: Hrdá Máňasá, *Studies Presented to Professor L. G. Herzenberg on the occasion of His 70-Birthday. Edited by N. N. Kazansky*. Saint Petersburg, 2005, 308-322 (in Russian). Цымбурский В. Л., 2005. Эя и Троя (Прагреки в Северо-Западной Анатолии и происхождение топонима Аїа). Hrdá Máňasá. Сборник статей к 70-летию со дня рождения проф. Л. Г. Герценберга. Рос. акад. наук. Ин-т лингвист. исслед. Санкт-Петербург, Наука, 2005, 308-322.
303. UCS 1991-2006. The UniCode Standard. Linear B Syllabary. Range: 10000-1007F; Linear B Ideograms. Range: 10080-100FF. *Electronic Version 5.0.*
304. UCS 1991-2008. The UniCode Standard. Cuneiform. Range: 12000-123FF. *Electronic Version 5.1.*

305. Urushadze, A., 1964. Ancient Colchis in the Myth of the Argonauts. *Tbilisi University Press. Tbilisi, 1964 (in Georgian).*
 ურუშაძე აკ., 1964. ძველი კოლხეთი არგონავტების ოქმულებაში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1964.
306. Urushadze, A., 1969. The Old Greek Language. *Tbilisi University Publishing House. Tbilisi, 1969 (in Georgian).*
 ურუშაძე აკ., 1969. ძველი ძერძნული ენა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1964.
307. Urushadze, A., 1948, 1970. The Argonautica of Apollonius of Rhodes. *Greek text translated and edited, with foreword, commentary and index supplied by A. Urushadze. Tbilisi, 1948; Publishing House Metsniereba. Tbilisi, 1970 (in Georgian).*
 ურუშაძე აკ., 1948, 1970. აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოცემა, შესავალი, კომენტარი და სამიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ. თბილისი, 1948; გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი, 1970.
308. Van de Mieroop, M., 2004. A History of the Ancient Near East, ca. 3000-323 BC. *Blackwell Publishing, 2004.*
309. Vatsadze, V., 2006. Towards the Question of Woman Deity – Ainina and Danana. *The International Scientifical Almanach Caucasian Messenger, vol. 14. Tbilisi, 2006 (in Georgian).*
 ვაწაძე ვ., 2006. ქალღვთაყბა აინიას და დანანას საკითხისთვის. საერთაშორისო სამუნიცირო აღმანახი კავკასიის მაცნე, 14. თბილისი, 2006.
310. Ventris, M. & Chadwick, J., 1953. Evidence for Greek Dialect in the Mycenaean Archives. In: *The Journal of Hellenic Studies. Vol. 73, 1953, 84-103.*
311. Ventris, M. & Chadwick, J., 1956, 1973. Documents in Mycenaean Greek. *Cambridge University Press, 1956; Second edition, 1973.*
312. Viers, R., 2000. Les signes pictographiques à l'alphabet. *Éditions Karthala et Association Alphabets, 2000.*
313. Von Soden, W., 1964. Die Schutzgenien Lamassu und Schedu in der babylonisch-assyrischen Literatur. *Baghdader Mitteilungen 3, 148-156.*
314. Waddell, L. A., 1924. The Phoenician Origin of Britons, Scots &

- Anglo-Saxons: Discovered by Phœnician & Sumerian Inscription in Britain, by pre-Roman Briton Coins & a Mass of New History. *Fellow of Royal Anthropological Institute, Linnean & Folk-Lore Societies, Hon. Indian Archaeological Survey, Ex-Professor of Tibetan, London University. With over One Hundred Illustrations and Maps. Williams & Norgate, 1924.*
315. Walker, C. B. F., 1987. Cuneiform. *University of California Press, 1987.*
316. Weisman, A. D., 1899, 2006. Greek-Russian Dictionary. *St.-Petersburg, 1899, 2006 (in Russian).*
Вейсманъ А. Д., 1899, 2006. Греческо-русский словарь. *Санкт-Петербургъ, 1899, 2006.*
317. Wheelwright, C. A., 1830. Pindar. *Translated by Rev. C. A. Wheelwright. London, 1830.*
318. Williams-Forte, E., 1983. Annotations on the Art. In: *Wolkstein, Kramer. Leiden, 1983, 174-199.*
319. Wolkstein, D.; Kramer, S. N. (ed./trans.), 1983. Inanna, Queen of Heaven and Earth: Her Stories and Hymns from Sumer. *New York. Harper Colophon, 1983.*
320. WWS: Daniels, P. T.; Bright, W., 1996. The World's Writing Systems. *Oxford University Press. New York, Oxford, 1996.*
321. Younger, J. G., 2008-2010. Linear Lexicon. *The University of Kansas. <http://people.ku.edu/~jyoungert/LinearA>*

ისტორიული გეოგრაფია Historical Geography

პაპუნა გაბისონია

მანავის ისტორიიდან

სოფელი მანავი (საგარეჯოს ო-ნი) მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით და თავისთავად საინტერესო წარსული გააჩნია.

სოფლის სახელწოდება სიტყვა „მანისგან“ უნდა წარმოდგებოდეს. დიდი ქართველი მწიგნობარი სულხან-საბა თრბელიანი თავის „სიტყვის კონა“-ში „მანს“ რამდენიმე განმარტებას აძლევს: „მანა არს პალო და მომცრო მარგილი“, „კვალად მანად ითქმიან პალო დასარჭობელი, გინა მომცრო მარგილი ღობეთა, გინა კარვისა ეზოთა“, „მანა არს სალილე ქალთა“, „მანა ეწოდება თითისტარსა ქალთასა“ [3, 432-433]. საფიქრებელია, რომ მანავის ეტიმოლოგია პალოსთან, იგივე მომცრო მარგილისგან უნდა მომდინარეობდეს და იგი რაღაცის მიჯნასთან იყოს დაკავშირებული (შდრ „სამანი“).

მანავის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გამოვლინდა ენეოლითის ანუ სპილენძ-ქვის და ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები) ძვლის იარაღები, ბრინჯაოს ისრისპირები, შუბისპირები, სამკაულები, კერამიკის, მათ შორის ქვევრების ნამსხვრევები. მანავში, ადგილ ზეიანის მიდამოებში 30 მეტრი დიამეტრის ყორდანის გათხრის შედეგად გამოვლინდა სარკოფაგი, რომელიც იქ არსებული თიხის ნაწარმის მიხედვით ძვ. წ. IV-III ათასწლეულით დათარიღდა [7]. ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ე. წ. „ყორდანული კულტურა“. ყორდა-

ნები ანუ ხელოვნური მიწაყრილები ტომის ბელადების ან ქურუმების სამარხი იყო. ქვით აშენებულ სარკოფაგებში ათავსებდნენ მიცვალებულს და ზემოდან დიდი რაოდენობით მიწას აყრიდნენ, ისე, რომ ბორცვის ფორმა მიეღო. ასეთივეა ზეიანში აღმოჩენილი ყორდანი, სადაც მამაკაცისა და ქალის სამარხი აღმოჩნდა. სავარაუდოდ მამაკაცი ტომის ბელადი, ხოლო ქალი კი მისი მეუღლე იქნებოდა. როგორც წესი, ამ ხანაში დაკრძალვისას, ტომის წარჩინებულებს თან მონებს აყოლებდნენ, რომ იმ ქვეყნად მომსახურებოდნენ თავის ბატონს. „ზეიანის ყორდანშიც“ მსხვერპლად შეწირულთა 8 ნეშტი აღმოჩნდა.

თვითონ სოფლის სახელი საისტორიო წყაროებში დაახლოებით XI საუკუნიდან გვხვდება. სინას მთაზე ქართველები შუა საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ. აქ წმიდა ეკატერინეს მონასტერში XX საუკუნის დასაწყისში ცნობილმა მეცნიერმა ნიკო მარმა აღმოაჩინა პერგამენტზე შესრულებული ხელნაწერი წიგნი „წმიდა ეფთვიმეს ცხოვრება“, XI საუკუნეში დაწერილი. ხელნაწერს ახლდა მინაწერი: „შემოვწირე წმიდა მაგას ალაგს მთას სინას მე გიორგი მანაველმან, მოსახსენებლად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთუის“ [13, 36]. გიორგი მანაველი ჩანს, რომ წარჩინებული და ძალიან შეძლებული პიროვნებაა, რადგან შუა საუკუნეებში წიგნი დიდი იშვიათობა იყო და მასზე მხოლოდ მეფეებს, ეპლესიამონასტრებს და დიდგვაროვნებს მიუწვდებოდათ ხელი. შედარებისთვის ერთი ხელნაწერის საფასური შეიძლებოდა ყოფილიყო მოზრდილი სოფლის ტერიტორია იქ მცხოვრები ყმა-გლეხებითურთ.

დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა მანავის ციხის პირველი სამშენებლო ფორმა. როგორც დაადგინა ქართულ საფორთიფიკაციო-სასიმაგრო ნაგებობათა ცნობილმა მკვლევარმა პ. ზაქარიამ, ამ სიმაგრის

უძველესი ფენა X-XI საუკუნეებს განეკუთვნება, იმ პერიოდს, როცა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ყალიბდება. ციხის აღწერას ქვემოთ შევეხებით.

საისტორიო წყაროებში დაცული ცნობის მიხედვით გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) და თამარის (1178-1207 წწ.) მეფობისას მანავი გიორგი II-ის და თამარის დიდად ერთგული მინისტრის ჭიაბერ მანდატუროუსუცესის სამფლობელოს შეადგენდა [9, 58].

ბალიან საინტერესო ცნობაა დაცული „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ჩანართში, რომელიც თამარის ასულ რუსუდანის მეფობის ხანას ეხება. რუსუდანი 1223-1244 წლებში მეფობდა. ამ ჩანართის მიხედვით „მსახუროუსუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუკვანია სავაზიროსა“ [4, 49]. ძნელი სათქმელია, რამდენად სარწმუნოა „ქართლის ცხოვრების“ ეს გვიანდელი დამატება, ან ვინ არის ის მანაველი დიდაზნაური, რომელსაც ეგზომ საპატიო თანამდებობა მიუღია. მსახუროუსუცესის სახელო ფეოდალურ საქართველოში უმნიშვნელოვანეს სამინისტროს წარმოადგენდა. მსახუროუსუცესი მეფის განსაკუთრებული ნდობით ადჭურვილი პირი იყო და მას სამეფო სახლის და მამულების მართვა-გამგეობა, ასევე მონარქის უშიშროების უზრუნველყოფა ებარა.

მანავის ჩრდილოეთით, ცივის მთაზე დღემდე შემორჩენილია გრანდიოზული ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივები „ქალის ციხეს“ ეძახიან. ეს სიმაგრე დაახლოებით X-XII საუკუნეებშია აგებული. ციხის ჩრდილოეთით მხარეს დარბაზული ეკლესია იდგა [10, 9]. ამ ციხე-სიმაგრეს უკავშირდება ქვეპნისთვის უმნიშვნელოვანესი სწორი პოლიტიკური, თუმცა სისხლიანი გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, XIV საუკუნეში მონცოლთა ბატონობისაგან დარღვეული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცებას როცა შეუდგა საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინ-

ვალე (1314-1346 წწ.), მას საფრთხეების ადგვეთასთან ერთად ქართველი დიდ-აზნაურების ნაწილის სეპარატიზმისა და ურჩობის დაძლევაც მოჟხდა, რომლებიც მეფის ხელისუფლების სრულ იგნორირებას ახდენდნენ. გიორგი V-ისთვის მათთან პირდაპირი, დიაბრძოლის გამოცხადება წამგებიანი იყო, რადგან მეფეს სათანადო სამხედრო ძალა არ გააჩნდა. ამიტომ მან, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, ცივის მთაზე არსებულ ციხე-სიმაგრეში, რომელიც სავარაუდოა, „ქალის ციხე“ უნდა იყოს, დარბაზობაზე მიიწვია პერეთ-კახეთის და სომხეთის ურჩი ერისთავები და თავის ხელქვეთებს ამოაწყვეტინა. ამის შემდეგ გიორგი V-მ აღმოსავლეთ საქართველოში თავისი პოზიციები გაიმტკიცა და დასავლეთ საქართველოს და სამცხის შემოერთებას შეუდგა.

მანავის შესახებ ცნობებს გვაწვდის სწავლული ბატონიშვილი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველო-სა“-ში: „ხოლო დამპალას აღმოსავლეთით – ჩრდილოთ არს, პერეთის მთის ძირს, მანავი წერს ვახუშტი სადაც აღაშენა სასახლე იმამ ყული ხან. მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსრვილი. არამედ დვინო მანავისა გეთილი“.... „ესრეთ რამეთუ დაუტევა იმამ ყულის ხან ყარაღაჯი და პყო სასახლე თავისი თელავსა და მანავს, და იყოფოდა ზამთარს მუნ, ხოლო ზაფხულს მაღაროს [1, 528, 612].

ვახუშტის ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ მანავის ძველი, დანგრეული ციხე აღუდგენია კახეთის მეფე დავით II-ს (1703-1722 წწ.), იგივე იმამ ყული ხანს. როგორც ცნობილია, ამ ხანაში კახეთი და ქართლი ირანის ვასალური ქვეყნები იყვნენ და შესაბამისად სამეფო ტახტზე ამსვლელებს ირანის შაჰი ამტკიცებდა, იმ პირობით, რომ მუსლიმობა მიეღოთ. დავით II-მ მანავის ციხეში საზამთრო რეზიდენცია მოიწყო.

მანავის ციხე, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, აგებული უნდა იყოს X-XI საუკუნეებში. მის აშენებას კახეთის მთავარ კვირი „„, დიდს უკავშირებენ. როგორც ცნობილია საქართველოს მეფე გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეფობის დასაწყისში კახეთ-ჰერეთი ერთიანი საქართველოს ჩამოშორდა და ადგილობრივი მმართველობა დამყარდა. შესაძლებელია კვირიკე II-ს ამ ციხის აგება იმისთვის დასჭირდა, რომ თავისი დამოუკიდებლობა განემზეცებინა და საქართველოს მეფის ყოველგვარი მცდელობა, რათა კახეთ-ჰერეთი ისევ დაბრუნებულიყო ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში ჩაეშალა.

დღევანდელი მანავის ციხე გვიანფეოდალური საფორტიფიკაციო ნაგებობაა. სიმაგრე სამი მხრიდან ძნელად მისადგომია. იგი შედგება შიდა (ციტადელი) და ქედა ციხისგან. შიდა ციხეს შესასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან ჰქონდა. ქედა ციხის შესასვლელი ჩრდილოეთით აღმართული თაღოვანი კოშკის ქვეშ გადიოდა, რომელიც დღეისთვის დანგრეულია. ციტადელის შიგნით 3 მცირე ზომის, ერთნავიანი ეკლესია იდგა. ეს ეკლესიები განკუთვნილი იყო ციხის გარნიზონისთვის და ასევე იქ შემოსევების დროს თავშეფარებელი მოსახლეობისთვის. სიმაგრის შიგნით რამდენიმე შენობა-ნაგებობა იდგა. ციხეს გააჩნდა წყალსაცავები [8, 101]. ამ ციხეში დიდი ქორწილი გადაიხადა კახეთის მეფის დავით II-ის ძმამ, შემდეგში ქართლის მეფემ ოეიმურაზ II (1744-1762 წწ.): „წარვიდა ოეიმურაზ ტფილისს დიდებით, რამეთუ წარსვლად იყო ვახტანგ ისპაანს, იქორწინა და დიდითა დიდებითა და ზითვითა მოიყვანა თამარ მანავს და ქმნა კუალად ქორწილი ჯეროვანი [1, 614].

მანავის ციხე სოფლის მცხოვრებთა უმთავრესი თავშესაფარი იყო ლეკიანობისა თუ სპარსელთა შემოსევებისას. გერმანელი მოგზაურის ი. გიულდენ-

შტედტის ცნობით XVIII ს-ის 70-იან წლებში, მორიგი შემოსევისას სოფლის მცირერიცხოვან მოსახლეობას სასწრაფოდ ციხისთვის შეუფარებია თავი [2, 154].

მანავი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (1744-1797 წწ.) სახელთანაც არის დაკავშირებული. XVIII ს-ის 50-იანი წლების მიწურულს ლეპები მასობრივად შემოესივნენ ქართლ-კახეთს. ერეკლე II თავის ჯარით მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. მანავის თავში მას ლეპები დახვდნენ, მაგრამ ქართველებთან ბრძოლაში დამარცხდნენ და გაიქცნენ [5, 144]. მანავში ერეკლე II-ს რამდენჯერმე მოლაშქრეთა შესაკრები ჰუნები მოუწყვია. ერთი დოკუმენტის მიხედვით ლეპების წინააღმდეგ გალაშქრების წინ კახეთის მხედრობის ერთი ნაწილი მანავის ბოლოს შეეგება მეფეს. მეორე დოკუმენტით (1796 წ.) ერეკლე II ოთარ ამილახვარს უბრძანებს, რომ მისი სასარდლოდან ქუდზე კაცი თავისი 40 დღის საგზალით გამოიყვანოს და ამ რაზმით მეფეს საგარეჯოს, ან მანავის ბოლოს, არჩილის სასახლესთან დახვდეს [5, 144, 515].

საისტორიო დოკუმენტებში თავისებურად XVIII ს-ში სოციალური ურთიერთობანი, რომლებიც ზოგჯერ ცალკეულ მებატონებსა და ყმა-გლეხს ეხება, ზოგჯერ კი სოფლის თემის დაპირისპირებას ფეოდალთან. 1757 წლის 1 ივნისის დოკუმენტი V „სამართალი ერეკლე II-ისა გივი ავალიშვილის ყმის საქმეზე“ გვაძლენას: „მანავის ფოცხვერაშვილი ძველთა განვე ზაალ და გივი ავალიშვილს „წყალობათ ჭირებიათ“ (ე. ი. უჩუქებიათ). ავალიშვილები, რომ გაყრილან ზაალს და გივის „ბარათით წილად“ (ე. ი. გაფრის საბუთის თანახმად). ერეკლეს ბიძას, იმამყული სანს (დავით II) განაჩენი გადაუცია გივისთვის: სანამ შენი მმის ცოლი ცოცხალი იქნებაო, მანამ ემსახუროს ფოცხვერაშვილი მასო. შემდეგ რადგან შენი ყმაც არის, მერე შენთვის გვიბოძებიაო. საბოლოოდ,

სასამართლო გარჩევის შემდეგ გივის შვილს, ასლანს დარჩა ეს ფოცხვერაშვილი“ [5, 461-462].

მეორე დოკუმენტი „არჩა გიორგი იორამაშვილის ყმობის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით, რომელსაც თარიღად 1765 წლის 15 აგვისტო უზის, მოგვითხრობს: „ჩერქეზიშვილი დემეტრე ჩიოდა: ეს კაცი გიორგი ხოჯაშვილი არისო და ჩემი ყმაო... (ეს გიორგი კი ამბობდა).... წინწყაროელი იორამაშვილი ვარო და ჩერქეზიშვილი ჩემს დაყმევებას ცდილობსო, თანაც ბებურიშვილს მიმყიდაო, მაგრამ არეულობის გამო მისი მამა ქართლში გადავიდაო, მერე ეს გიორგი ისევ ჩემთან მოვიდაო“ [5, 515].

დრამატული გამოდგა თავად ჩერქეზიშვილებისა და მანაველების დავა, რომლის გადაწყვეტა თვით ერეკლე II-ს მოუხდა. აი რას გვამცნობს 1783 წლის „განჩინება ჩერქეზიანთა და მანაველთა მამულის საქმეზე“: ჩერქეზიშვილები და მანაველები ერთმანეთს მამულს ედავებოდნენ. ჩერქეზიშვილები ამბობდნენ, რომ ეს მამული შავქედის ბოლოს არის და ჩვენიაო. მანაველები ამტკიცებდნენ: 1. მამულის მდებარეობა თვალნათლივ უჩვენებს, რომ ის მანავის ბოლოა და არა შავქედის. 2. მეფე თეიმურაზის ბრძანება და ოქმი, რომლითაც მას მანაველებისთვის უბოძებია ეს მიწა. 3. ბრძანება შიოშ მდივანს წაუდია, ხოლო იმის სახლიდან ტეტიას წამოუდია. შემდეგ ეს ბრძანება ჩერქეზიშვილებთან მოხვედრილა, რომელსაც ისინი მალავდნენ. 4. სასაზღვრო მიჯნა ჩერქეზიშვილებმა მოგლიჯეს და მათვის სასურველ ადგილას ჩაასვეს.

თავის მხრივ ამ ბრალდებას ჩერქეზიშვილები უარყოფდნენ, რომ ამ მამულში მათ გოცირიძე და მედინგიშვილი ესახლათ. ასევე, თეიმურაზის გაცემული საბუთი მათ არ პქონდათ და შესაბამისად არც მალავდნენ (ეს საბუთი თეიმურაზ II-ს მაშინ გაუცია, როცა იმამ ყული ხანის ანუ თავისი ძმის დავით II-ის

ნაიბი ე. ი. მოადგილე იყო). სასაზღვრო მიჯნა კი ჩერქეზიშვილისთვის მათ კაცს გადაუწევია, რომ თავი ყმობიდან დაეხსნა.

საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) მართლმსაჯულებამ, რადგან იმამ ყული ხანის დავთარში გოცირიძე და მედინგიშვილი, ჩერქეზიშვილების ყმები შავქედში სახლობდნენ, ხოლო ამ მამულს ჩერქეზიშვილების 4 სახლი ფლობდა, ჩერქეზიშვილებს ფიცი დაადგებინა. ფიცი უნდა დაედოთ: მარტყოფის მოურავს სულხანს, ჯანასლანს, ავთანდილს და მამუკას: „ მეფის იმამ ყული ხანის დავთარში გოცირიძე და მედინგიშვილი შავქედს ჩერქეზიანთ ყმათ რომ უწერიათ, ეს კაცნი მეფის იმამ ყული ხანის დროსაც ამ სადაოს მამულში სახლობდეს, შავქედის ბოლოს იყო და არც გამოერთმეოდეს“. თუ ასე დაიფიცებენ მამული ჩერქეზიშვილებს დარჩებათ, თუ არადა სახასოდ (ე.ი. სახელმწიფოდ) დაიდება. განაჩენის ასრულება უშიკასაბ (საპოლიციო მოხელე) გარსევანს დაევალა. „ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და კახეთის მეფე ირაკლი. იანვრის კ, ქორონიკონი უოა“ [6, 198-200]. XVIII საუკუნის I მეოთხედში კახეთში მოხდა მოსახლეობის აღწერა, მათ შორის მანავში, თოლლიაურში, ზემო შავქედში და ბურდიანში. ამ აღწერის მიხედვით ვიგებთ, თუ რომელი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ იმ დროს მანავში. ბევრი ამ გვართაგან დღეს არ გვხვდება. ზოგიერთის სახელისაგან კი ახალი გვარი წარმოიშვა:

„არის მანავს შიოშ მდიგნის ყმა“:

1. ნაცვალი დიმიტრი – აზნაური
2. გიორგი მდვდელი – აზნაური
3. იოთამ სოროზნიშვილი – აზნაური
4. ბორაშვილი ხორუა
5. ქემხა ბორაშვილი პაპა აზადი

6. ამირჯანაშვილი ბერი
7. ფირალასშვილი ბერი
8. ტაველური იორდანე
9. მეუნაგრისშვილი პაპუნა
10. აკოფასშვილი ბერი
11. გიუასშვილი გიორგი
12. დათუნა მისი განაყოფი
13. ჯანაიზასშვილი ბერი
14. ჯანაიზასშვილი ჯანი
15. მისი განაყოფი პაპა
16. ჩიტო მისი განაყოფი
17. დათუნასშვილი გოგილა
18. მისი განაყოფი შერმაზანი
19. ყაზარასშვილი ნაზარი ხაბაზი
20. ალისხანაშვილი ნასყიდა
21. გიუასშვილი
22. მატეუარა პაპა
23. ბიძინა მახარობლისშვილი
24. ამის განაყოფი
25. დათუნა
26. სარუხანაშვილი არუთინა ობოლი
27. მჭედელი პაპა
28. ალიასშვილი ბერი
29. ტერტერაშვილი თუმანა (სახლთუხუცესი)
30. მეზვერე გოგია
31. გიორგი ობოლი შავერდი
32. იოთამის ქმა უცუნასშვილი
33. ქაფიჩხასშვილი გიორგი
34. იმერლისშვილი
35. გიორგი მღვდლის ქმა ბერია
36. თუმანას ქმა გიორგი
37. თავშავისშვილი გზირი ბოგანო
38. ფეიქარი თამაზა
39. ივანე კალატოზი, ბოგანო
40. ავალისშვილი ქმა ფოცხვერაშვილი
41. გიორგი ემიკალთაბაშის ქმა ნახუცვარ

„მანავის ბატონის მეზვერე“:

1. სოზიასშვილი კაცურა
2. იორამასშვილი გიორგი
3. წინამდლერის მეზვერე გიორგი
4. ალდგომელისშვილი მახარა

„არის ჯანაშდალის ყმა თოლლაურაში, ზემო შაგქედს, ბურდიანში“:

1. ბეჟან ქემხა
2. ბაიასშვილი
3. ქიტა
4. კაციასშვილი ადოდი
5. მისი განაყოფი ხუცია
6. ტაპატაძე
7. თავერანქარაშვილი ბერი
8. წვერიკაზმასშვილი
9. ბრაჭული მარცვალა, ამოწყვეტილი
10. ბრაჭული ობოლი
11. დარჩიასშვილი თამაზა
12. ჯავშანასშვილი გზირო“ [11, 12-15].

მანავის საკულტო ნაგებობებიდან ადსანიშნავია მანავის ციხის ქვემოთ მდგარი ერთნავიანი გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც 1794 წელს დავით გარეჯის სამონასტრო ლავრის არქიმანდრიტეფთვიმეს აუშენებია. ამის შესახებ გვამცნობდა სამხრეთის (არს ზემოთ დადებული) წარწერიანი მარმარილოს ქვა, რომელიც ტაძრის კედელში იყო ჩატანებული. დღეისთვის ეს ქვა დაკარგულია: „დროსა... მეფისა ირაკლისა მეორისასა, მოწყალებით ქრისტე ღმრთისად, აღუაშენე დედისა, ღმრთის შობის წმიდა ეკლესია მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდიტრმან ეფთიმი, ქრისტეს აქეთ ჩ დ ჟ დ, ქორონიკონია უ პ ბ“ [10, 9].

ეკლესია ნაგებია რიყის და შირიმის ქვით, გამოყენებულია ასევე აგური. ტაძარი სიგრძით დაახლოე-

ბით 16 მეტრია, სიგანით 10. აქ დასავლეთისა და სამხრეთის კარები.

მანავში, ოარაქის ჩრდილოეთით მაღალ გორაკზე დგას გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ვედრების წმიდა გიორგის სახელზეა აშენებული, მკრთალი ვარდისფერი აგურით და გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

მანავის ისტორიის ადგილობრივმა მკვლევარმა ნ. ათეაშვილმა მანავის მიდამოებში მრავალი ნაეკლესიარი და საკულტო ნაგებობა მოიძია: კალოუბნის წმიდა გიორგის ნაეკლესიარი, მანავის ციხის ჩრდილოეთით ქვა-ჯვარი, მანავის სასაფლაოზე ლვთისმშობლისა და ქაშვეთის ნაეკლესიარები, სტეფანიშვილების სალოცავი „ოდიში“, მისგან 600 მეტრის დაშორებით, აღმოსავლეთ მხარეს „მთავარანგელოზის“ ნაეკლესიარი.

წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ობ., 1973.
2. ი. გიულდენშტებდის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, ობ., 1964.
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ობ., 1991.
4. ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა, ობ., 1970
5. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, ობ., 1972.
6. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, ობ., 1974.
7. 6. ათეაშვილი, მანავი, სოფლის ცხოვრება, 10. VI, №64, 1990.
8. 3. ზაქარაია, ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები, ობ., 2004.
9. ჯ. ლომაშვილი, ეტიუდები, ობ., 1984.
10. ლ. ყორდანაშვილი, ჩემი სოფელი მანავი, ობ., 2010.
11. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს-ის ხალხთა აღწერის დავთრები, ობ., 1967.
12. გაზეთი „ზარი“, 3, I, №6, 1907.
13. Н. Я. Марр, Описание Грузинских рукописей Синайского Монастыря, М., 1940.

Papuna Gabisonia

From the history of Manavi

Village Manavi (district of Sagarejo) is rich with it's historical and cultural places. The area of the village was populated from the ancient times. That is proved from the archeological material founded there. Manavi is named in historical sources from the 11th century. On the high mountain in the village there is a great castle (built in the 10th-11th centuries).

The castle was rebuilt in the 18th century. The castle was one of the residences of the King of Kakheti David II (1703-1722). Below the castle there is a dome-shaped church named after St. Mary. To the North of the village there is a church named after St. George. High from the village There is „Tsivi Mountain”. There is a castle from the middle centuries there named „Kalis Tsikhe”. In historical sources Manavi is often named from the 18th century. There also is a list of families lived in Manavi

გიორგი გრძელიძე

ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარი სოფელ პატარა ლილოში

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ პატარა ლილოში, სოფლების: მარტყოფის, ნორიოსა და ქვიშიანას მომიჯნავედ, ზღვის დონიდან 800 მეტრზე [2, 708]. რაც შესაბამის კლიმატს ქმნის წლის ყველა დროს, ზაფხული იცის გრილი ქალაქთან შედარებით, ზამთარი კი ხანგრძლივი და მკაცრი.

სოფელი დიდი ისტორიისა უნდა იყოს რაზეც მეტყველებს გარშემო არსებული ძეველი ტაძრები წმ. გიორგის, დვთისმშობლისა და ქვაშვეთის წმ გიორგის სახელობის ბაზილიკები, გარდა აღნიშნული ტაძრებისა, სოფლის ტერიტორიაზე ვხვდებით ძველ აკლდა-მებს რომელთაც ადგილობრივები ხშირად აწყდებიან მიწის დამუშავების დროს.

თავად სოფლის ისტორია კი ორ საუკუნეს თუ ითვლის, როგორც ადგილობრივები ჰყვებიან თავდაპირველად მათი წინაპრების საცხოვრისი დღევანდელი სოფლის ჩრდილოეთით ხევში ყოფილა, სადაც დღევანდლამდე შემორჩენილია ზემოთ დასახელებული წმ. გიორგის მცირე ბაზილიკური ტაძარი და ქრისტიანული საფლავები, დაბლა გადმოსახლების მიზეზი იმ დროს მრავალი ყოფილა, მკაცრი ზამთარი, ლექთა თარეში.

გარემოსაგან მეტად დაშორებული ადგილმდებარეობის გამო სამწუხაო ამბავიც ხშირად მომხდარა ხოლმე, ერთ-ერთი მათგანი კი, რაც სოფლის მთლიანად გადმოსახლების მიზეზი გამხდარა შემდეგი ყოფილა: ერთ დღეს სოფელში ქორწილი ყოფილა რო-

დესაც მეფე და პატარძალი ფაიტონით შინ ბრუნდებოდნენ მოულოდნელად ფაიტონი გადაბრუნებულა და ორივე ქვისნავის ხევში გადავარდნილან და დაღუპულან. ამ ამბავის შემდეგ მთელი სოფელი ბარში გადმოსახლებულა სადაც იმ დროს სათავადო მამულები ყოფილა. ხევისათვის შერქმეული სახელი ქვისნავი კი გვიანდელია, გადმოცემით ხევში ძველად წყლის დასალევად მწყემსები საქონელს მიერეკებოდნენ, სადაც ნავის ფორმის გრძელი ქვა ყოფილა, საიდანაც საქონელი წყალს სვამდა. სახელიც ხევისათვის აქედან შეურქმევიათ.

ქვაშვეთის წმ. გიორგის სოფელში ყველაზე მაღალ ადგილას აუგიათ, ტაძარი ერთ დროს მლოცველნი დღესასწაულებზე მეზობელი სოფლებიდანაც ადიოდნენ მარტყოფიდან, ხორიოდან, სოფელ დიდლილოდან, ქვიშიანადან და სოფელი გლდანიდან.

ძველ ტაძარზე რაიმეს თქმა დღეს ძნელია, რადგან მას არსად არ იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი სოფელი პატარა ლილოს არეალზე საუბრისას, რომელსაც ეხება ზოგადად და სოფელს უწოდებს ქვიტკირის ლილოს [1, 537].

ძველი ტაძრიდან დღეს მხოლოდ ნანგრევებიდაა დარჩენილი. სოფელში დღითიდღე იკარგება ძველი გადმოცემები მასზე, როგორც რამდენიმე წლის წინ დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრებისას დადგინდა ქვაშვეთის წმ. გიორგი VI-VII სს. მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. იგი იმ დროისათვის მეტად სტრატეგიული დანიშნულების ადგილიც ყოფილა, რადგან ძველად მტრის მოახლოებისას დღეგანდელი ტაძრის ადგილას ცეცხლს ანთებდნენ და გარშემო მყოფთ ასე აუწყებდნენ მტრის მოახლოებას, სულ რამდენიმე წუთში კი ცეცხლის სხვადასხვა მწვერვალზე ანთებით სრული საბრძოლო მზადყოფნა იყო; ქვაშვეთის შემდგომ ცეცხლს შავნაბადას წმ. გიორგის ტაძართან ანთებ-

დნენ, ასე გადასცემდნენ თელეოთსა და კოჯორში – ქოროდლის ციხეს, კოჯორიდან ზედაზენს, იქიდან კი მცხეთის ჯვრის მონასტერს და ასე გრძელდებოდა ვიდრე არ შეგროვდებოდა საკმარისი ძალა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც სოფლის უხუცესი მაცხოვრებლები იხსენებენ დღევანდელი პატარა ლილოს ტერიტორიაზე ქვაშვეთის ეკლესიის ნაგვრევები (ოთხი კედელი) 1950 წლამდე იყო. ტაძარს არ ჰქონია გუმბათი, წლების მანძილზე წვიმამ და ოვალმა განაპირობა ტაძრის დაშლა 1993-1996 წლისათვის ტაძარი მთლიანად დაინგრა. ტაძრის გარშემო და მიმდებარე ხევებში მიმოფანტული დიდი ზომის სამშენებლო ქვები მიუთითებს, რომ ტაძარი არც თუ ისე პატარა ზომის უნდა ყოფილიყო. ტაძარი არ იყო მოხატული, ადგილობრივები იხსენებენ რომ ტაძარში დაბრძანებული იყო ხატები და ჯვერები, ნაწილი სიწმინდეებისა სოფლის მკვიდრო სახლებში წაუბრძანებიათ იმ იმედით, რომ ტაძარი აღდგებოდა და სიწმინდეებს უკან დააბრუნებდნენ.

XIX ს. ბოლოს ტაძართან ახლოს ბერმონაზონთა სამყოფელი ყოფილა, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ერთ დროს აქ სამონასტრო ცხოვრება უნდა ყოფილიყო, დღეს მათი სამყოფელიდან არაფერია დარჩენილი.

მეტად რთულია იმის დადგენა, თუ ვინ იყვნენ ქვაშვეთის წმ. გიორგიში სასულიერო პირები, თუმცა რამდენიმე მათგანი დღესაც ახსოვთ, მღვდელი გვარად ყარყარაშვილი, ტაძარში მეზობელი სოფელ ქვიშიანადან ეროვნებით რუსი მღვდელი ნიკალა რუსი აღასრულებდა ხოლმე ღვთისმეტყველებას ისიც მეტად ვიწრო წრეში და მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე. ნიკალა რუსი გარდა ქვაშვეთის ტაძრისა წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ტაძრებსაც პატრონობდა ხოლმე.

ტაძარს მეტად დიდებული ზარი ჰქონია ძველად, როდესაც რეკავდნენ, მისი ხმა ტბამდეც (დღ. თბილისის ზღვა) აღწევდა, ზარი კომუნისტურ ხელისუფლებას 1921 წელს ეკლესიიდან ჩამოუხსნია. მისთვის ტაძრის ყოფილ დიაკვანს ივანე მუნჯიშვილს მიუხედია, რომელიც იმ დროს სკოლაში მასწავლებლობდა და ზარი ზედ სკოლაზე დაუმაგრებია, სადაც დარჩენილა 1947 წლამდე სანამ ახალ შენობას არ ააგებდნენ, ზარი მშენებლობის დროს დაკარგულა. მის შესახებ დღემდე არაფერი არ იციან.

მიუხედავად იმის, რომ ტაძარი დღესდღეობით არ არსებობს, მორწმუნები და ყოველი ოჯახი, რომელიც წმ. გიორგის რაიმეს ჩაუთქვამ აწ უკვე ნატაძრალზე ადის და შესაწირავს კლავს, დღეს ადრინდელის მსგავსად თუ სალოცავად საკლავით აღარ ამოდიან სოფელ დიდი ლილოდან, ნორიოდან და სხვა მეზობელი სოფლებიდან, აქ ძირითადად პატარა ლილოს მცხოვრებლები დადიან. ნატაძრალზე დღეობა იმართება ყოველ გიორგობაზე 6 მაისსა და 23 ნოემბერს. თუმცა შემოდგომაზე უფრო მეტი ხალხი გროვდება ვიდრე გაზაფხულზე.

ყოველი ოჯახი საკლავით მიდის, მიერეკებიან ხბოს, ცხვარს, ზოგს შეთქმული ჰყავს შინაური ფრინველი. საკლავი, თუ კარგი ამინდია, იქვე ნატაძრალზე იყვლება და იქვე მზადდება, თუ ცუდი ამინდი დაიჭირა შესაწირი მაინც აჟყავთ იქვე კლავებ და უკან ბრუნდებიან, ამ შემთხვევაში შეწირულ საქონელს მცირე ცეცხლზე უმნიშვნელოდ თავზე და ფეხებზე ცეცხლს გაატარებენ, საქონდის თავს, ფეხებსა და ტყავს იქვე ტოვებენ, დანარჩენი კი უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან თუ აჟყავთ შინაური ფრინველი ძირითადად მამალი, რომელთაც სწირავენ, ანთებენ სანთლებსა და წარმოთქვამენ მცირე ლოცვებს და ტოვებენ ფრინველის თავსა და ფეხებს.

ნატაძრალზე ადიან არამხოლოდ გიორგობაზე, არამედ სხვა დღესასწაულებზე, ბზობას, მარიამობას, ადღგომას, ადიან არამხოლოდ საკლავით, არამედ ტკბილეულითაც, გიორგობაზე კი მხოლოდ საკლავით.

გარდა დიდი ქრისტიანული დღესასწაულებისა ბერი მათგანი უბრალო დღეებშიც ადის, თან მიაქვს დვინო და სანთლები და ასე ილოცებიან. ბოლო პერიოდში ადარ შეინიშნება მომლოცველთა ისეთი დიდი აქტიურობა როგორც იყო ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ, როცა უამრავი მლოცველი მოდიოდა აშკარეთის გზით ტაძარში, ეს ის გზა იყო, რომელიც გადიოდა სოფელზე ძველად და რომლის ხაზიც შემდეგი იყო: აღმოსავლეთიდან დასავლეთით – ლილო, სოფელი დიდი ლილო, ქვიტკირის ლილო, ქვიშიანა, მამკონდა, სოფელი გლდანი. ჩრდილოეთიდან – სამხერეთი: უჯარმა, მარტყოფი, ნორიო, ქვიტკირის ლილო, მლაშე ტბის სანაპირო (დღევანდელი ობილისის ზღვა), ნავთლული [3].

წყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1973 წ.
2. საბჭოთა ენსიკლოპედია, ტ. VII, თბ., 1975 წ.
3. გ. გრძელიძე, საგელე ეთნოგრაფიული დღიური, 2010.

რელიგია და ეპლების ისტორია Religion and History of Church

ირმა კვაშილავა

ქართველთა ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ

ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების სოციალურ-პოლიტიკური ისტორია შედარებით უკავ-თესადაა შესწავლილი, ვიდრე მოსახლეობის სულიერი კულტურის საკითხები. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ძნელდედობამ, კულტურული ძალების აღმავლობა უფრო აღმოსავლეთ საქართველოსკენ გადაიტანა. შესაბამისად, ქართულ საისტორიო თხზულებებსა და ქრონიკებში ნაკლებად აისახა დასავლეთ საქართველოს სამთავროების პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალურ-ეკონომიკური მაჯისცემა. ამ მხრივ, გამონაკლის XVII საუკუნე წარმოადგენს, როდესაც გამოცოცხლდა ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან, რამაც ასახვა პპოვა დასავლეთ ევროპულ (განსაკუთრებით იტალიურ) მისიონერულ ლიტერატურაში და რუსულ წყაროებში. „ევროპის დაინტერესება საქართველოთი, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საკაჭრო გზების ძიებით. კავკასიაზე კი, ოდითგანვე დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი საგზაო არტერია გადიოდა; მეორეს მხრივ, გვიან შუასაუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესიის მისწრაფებით – თავისი გავლენა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზეც გაეპრცელებინა“ [9,10]. არსებული მასალების მიხედვით, საქართველოში კათოლიკური პროპაგანდა, XIIIს-ის 20-იანი წლებიდან იწყება და XIXს-ის შუა პერიოდამ-

დე გრძელდება, მაგრამ XVI-XVIIსს-ში, კათოლიკე მისიონერები განსაკუთრებით მომრავლდნენ. საქმე იმაშია, რომ XVIIს-ის პირველ მეოთხედში, „კათოლიკე ფიდეს“ დაარსებამ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის ახალ ხანას ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, XVIIს-ის 30-იან წლებში, ოდიშში დაფუძნდა თეატინელების ორდენის კათოლიკური მისია. მათი პროპაგანდა სამეგრელოში ფაქტობრივად 1670-იანი წლებით მთავრდება. თეატინელთა შორის იყვნენ არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, იოზეფ ძამპი. ეს უკანასკნელი თეატინელთა ორდენის ბერების წინამდღვარი იყო, რომის პროპაგანდას იგი მეორედ გამოუგზავნია სამეგრელოში, რაც მის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მიანიშნებს. ნიშანდობლივია, რომ მისიონერები თავიანთ რელაციებში განსაკუთრებით მონდომებით ცდილობდნენ ზუსტად აღენიშნათ ყოველივე ის, რაც მათ გარშემო ხდებოდა. ტენდენციურობა ახასიათებთ ძირითადად რელიგიურ საკითხებში. ისინი „დადგბითად აფასებდნენ იმათ, ვინც კათოლიკობის გავრცელებაში ხელს უწყობდათ, ხოლო ვინც უშლიდათ უარყოფითად იხსენებდნენ“ [3, 12]. მისიონერებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ მართლმადიდებელ დვორისმსახურთა მთელი იერარქია. ასე, მაგ.: ძამპის ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ხალხის დამოკიდებულება ეკლესიასთან, მარხვები, მათი დაცვის წესები, ლოცვები, ხატების თაყვანისცემა, ტაძრის ინტერიერის შემკულობა, წმ. რელიგიები და ა.შ., მაგრამ იგი ყველაფერს კლერიკალური პოზიციებიდან აფასებდა, ანუ ის რაც კათოლიკურ დოგმებს არ შეესაბამებოდა, მისი თვალსაზრისით ხალხის სულიერ ცხოვრებას ამახინჯებდა. უფრო მეტიც, არქანჯელო ლამბერტმა, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა ოდიშის სამთავ-

როში და სხვებთან შედარებით სინამდვილის სრულ-ფასოგანი აღწერილობა წარმოგვიდგინა, კოლხიდა „სასულიერო მოღვაწეობისათვის უნაყოფოდ“ მიიჩნია, რომელიც მხოლოდ კათოლიკე მისიონერების მეცადი-ნეობამ გახადა ნამდვილი, საიმედო ასპარეზი სასულიერო საქმიანობისათვის. მისივე ცნობით, მოუნათლავი კოლხიდელების რაოდენობის შესამცირებლად, მათ რამდენიმე ათასი სული მონათლეს [4, 8]. ფრიად განათლებულ და სამისიონერო მოღვაწეობისათვის ყოველმხრივ მომზადებულ მისიონერებს არ გაჰირვებიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოება; მკურნალობისა და ხელობა-ხელოსნობის დანერგვის გარდა, ისინი სულზე წარმატებულ ნადირობას მისდევდნენ. კერძოდ, „სამეგრელოსა და საქართველოს ცენტრებში ზამთრის სეზონში მწყემსები დიდ ცეცხლს ანთებდნენ, სადაც ოვალი იყრიან ქალებითა და ბავშვებით. სულზე მონადირე ჩვენი პატრები მათ-თან ჩაებმიან საუბარში უფლის სამეფოს შესახებ, ნათლავენ ჩვილ ბვშვებს და სხვებსაც ასწავლიან ცის გზას“ [3, 12]. ამდენად, მისიონერებს ძალა და ენერგია არ დაუშურებით სამეგრელოში კათოლიკობის დასანერგად და ამ მიმართულებით საკმაო წარმატებებიც ჰქონდათ. ამავე დროს, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ერთხმად ამხელდნენ არაქრისტიანულ ცხოვრების წესში, ქრისტიანული ნიშან-თვისებების უქონლობაში, ნათლობისა და სხვა საიდუმლოებების ჭეშმარიტი წესების დავიწყებაში, თუმცა იმასაც დასძენდნენ, რომ ისინი გაკათოლიკდებოდნენ, წმინდა საიდუმლოებებსაც მიიღებდნენ, მაგრამ „ამას არ აკეთებენ, რომ შეჩვენებისა და ზიზღის საგანი არ გახდნენ სხვებისაგან, როგორც მწვალებლები“ [6, 51]. ასეთი განწყობილების საფუძველი იყო მართლმადიდებელი სარწმუნეობის ერთგულება. რჯულისმსახურებაზე აღ-მატებული მრწამსი ქართველს ვერც კი წარმოედგინა.

სხვა შემთხვევაში, გაქრისტიანდა ანუ გაქართველდა იდენტური მნიშვნელობის მცნებები არ იქნებოდა. შემთხვევითი არ არის ადგილობრივი მოსახლეობის მსოფლმხედველობის შეფასება, რაც არქ. ლამბერტმა დაგვიტოვა. მან თავის მორიგ ნაშრომს „წმინდა კოლხეთი“ უწოდა. ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოებაზე – ნათლობაზე, რომელიც კარია ყველა სხვა საიდუმლოებისა, განგებ შევაჩრეთ ყურადღება, ვინაიდან სამეგრელოში მას რამდენიმე თავისებურება ახასიათებდა. ჩვეულების თანახმად, ვინმეს მონათვლისას, აუცილებელია ძროხის და ღორის დაკვლა, მდვდლისა და სხვებისათვის სადილის გამართვა. სიღარიბის გამო ბევრი ერიდება თავიანთი შვილების მონათვლას [6, 94]. ცხადია, მდიდრები ამით არ კმაყოფილდებოდნენ. ნათლობის დღესასწაული უფრო ბრწყინვალე რომ ყოფილიყო, კლავდნენ საკლავებს. ეპატიუებოდნენ ნათესავ-მეგობრებს და მათ საზეიმო სუფრას უშლიდნენ. ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში დღესაც მტკიცედ მისდევენ აღნიშნულ ჩვეულებას და ნათლობისათვის სათანადოდ ემზადებიან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ძველად ნათლობა მარანშიც სრულდებოდა, რომლებსაც ეკლესიების მეხუთე ტიპს მიაკუთხნებდნენ [9, 147]. ეკლესიის სიშორის ან სხვა მიზეზის გამო, მარანში, იქ, სადაც სალოცავი ქვევრები ჰქონდათ ჩაფლული, მდვდელი ჯვრისწერის საიდუმლოსაც ადაგლენდა [5, 265]. რაც შეეხება ნათლობისას სახელის გადარქმევას, წყაროებში ამის შესახებ ცხობები არ გვხვდება. საერთოდ, სამეგრელოში მართლმადიდებელი წმინდანების სახელს ნაკლებად არქმევდნენ, რადგან „მათი თქმით უბრალო ადამიანს არ უნდა ერქვას წმინდანის სახელი, რომ არ შეურაცხეოს იგი“ [9, 165]. ოდიშელების ანუ მეგრელების მტკიცე სარწმუნოების განმსაზღვრელად მარხვის შენახვა უნდა მი-

ვიჩნიოთ. „კოლხიდას“ წარსულზე ქ.ფ. გამბა სამართლიანად შენიშნავდა, რომ მისი ბედი მსგავსია ყველა იმ ქრისტიანული ქვეყნის ბედისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მაპმადიანებს მორჩილებდნენ. მისივე ცნობით, ერთ-ერთი დიდებულის თორმეტიოდე წლის ვაჟიშვილი სტუმრებისათვის გაწყობილ ვახშამს, იმ ერთადერთი მიზეზის გამო არ დაესწრო, რომ ბერძნული საეკლესიო წესით, წმინდა მარხვის დღეები უწევდა [1, 127]. არასრულწლოვანი ყმაწვილის სარწმუნოებრივი სიწმინდე, გასაქანს იძლევა მოსახლეობის სხვა ასაკობრივ და სოციალურ კატეგორიაზე განზოგადდეს. რასაკვირველია, ეპისკოპოსები და სასულიერო პირები მარხვას მკაცრად იცავდნენ, რაც ლვინის დალევასა და ოვეზის ჭამისაგან თავშეკავებაში გამოიხატებოდა. „მარხვის დროს საკვებს იხმევდნენ დღეში ერთხელ, ისიც მწუხრისას. მრევლიც ასე იქცევა“ [9, 140]. მარხვის მკაცრ შენახვაზე მიანიშნებს ორი ჩვეულება, რომ ქელებზე უსათუოდ ყველაფერი სამარხვო უნდა ყოფილიყო; და ნადირობის დრო მარხვის ხანგრძლივობის შესაბამისად ჰქონდათ განსაზღვრული. კერძოდ, ირმებზე ნადირობას ორი დრო აქვს წელიწადში, ერთი ყველიერის დაწყებიდან დიდმარხვამდე და მეორე - სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე [4, 56]. დიდმარხვაში კი - დღეში მხოლოდ ერთხელ სჭამდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ, დღის განმავლობაში თავს ნებას არ დალევდნენ ხილი გაესინჯათ. რაც არ უნდა ავადმყოფი ყოფილიყვნენ, ან მოხუცი, ან დაუძლეურებული, სიკვდილს არჩევდნენ და ხორცს არ იგემებდნენ ე.ი. მარხვას არ დაარღვევდნენ. გარდა ამისა, „პირველ კვირაში თითქმის ვერავის ვერ ნახავთ სამეგრელოში ცხენზე შემჯდარს. თუ მგზავრობა დასჭირდათ, ამ დროს ყველანი ფეხით მოგზაურობენ. განსაკუთრებით ქალები, რაც უნდა დიდი გვარის იყვნენ, მთელი კვირის განმავლობაში

რაც უნდა დიდი სიცივე იყოს, ამ დროს ფეხშიშველები დადიან, სხვები დიდმარხევის პერიოდში პარასკევობით სრულებით საჭმელს არ სჭამენ. ბოლო კვირას ღვინოს არ სვამენ და სამ უკანასკნელ დღეს არავითარ საჭმელს არ იგემებენ“ [4, 132]. კათოლიკე მისიონერებს მართლმადიდებლური ხშირი და ხანგრძლივი მარხვების მტკიცედ შენახვა წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მით უმეტეს, სამარხევო კერძებიდან მხოლოდ თურქულ ლობიოს ასახელებდნენ. „დროის შესაფერისად მარხვაში ან ახალ ლობიოს სჭამდნენ, ან ძველსა“ [4, 54]. შობისა და აღდგომის დიდმარხევის გარდა, პეტრე-პავლობის მარხვას ინახავდნენ, რომელიც სულთმოფენობის შემდეგ იწყებოდა. მარხვით მიაგებდნენ პატივს „მარაშინას“ ანუ ღვთისმშობლის მიძინებას. ასე იქცეოდნენ ნათლისღებაზე, ჯვართა-მაღლებაზე და ა.შ. როგორც ირკვევა, ძირითადად იცავდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დადგანილ კალენდარს ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით. ასე, მაგ: ნათლისღებისას თითოეული სახლობა თავის სამრევლო ეკლესიაში მიიჩქორდა, რომ წირვის შემდეგ მახლობელ მდინარეზე ნაკურთხები წყალი სახლში ეპურებინა. „როგორც კი მდვდელი წყალს აგურთხებს, ხალხი ცდილობს რაც შეიძლება ჩქარა ამოიღოს დოქებით წყალი, რადგან დარწმუნებულია, რომ თუ ამოღება დაუგვიანდა, ნაკურთხები წყალს მდინარე წილებსო“ [4, 125]. სამეგრელოში ამ დროს ჩვეულებად ჰქონდათ ბზობას, ეკლესიიდან რომ გამოვიდოდნენ, ყველას ქუდზე დაეკრა ბზის ტოტი და მთელი დღე ასე ეტარებინათ [4, 132]. მარხვის შენახვა გულისხმობდა წირვა-ლოცვასა და სხვა საღმრთო მსახურებაზე დასწრება-მონაწილეობას, რომელსაც კათოლიკე მისიონერები შეძლებისდაგვარად ამჟებდნენ. კერძოდ, სამთავრო და საეპისკოპოსო ეკლესიებში მხოლოდ მთავარ დღესასწაულებში წირავ

დნენ და ჩვეულებად არ პქონდათ წირვაზე დასწრება, გარდა უქმე დღეებისა. უქმობდნენ გიორგობას, ელიობას, პეტრე-პავლობას ანუ „პეტრობა“=პეტრობას, ამაღლებას და ა.შ. წირვის შემდეგ მღვდელი აკურთხებდა სურსათსა და ლოცვავდა მის მომტანს, შემდეგ ერთად სხდებოდნენ და დროს დგომის დიდებაში, ერთმანეთის დალოცვაში მხიარულად ატარებდნენ. დღეობა-დღესასწაულის ამგარი აღნიშვნა ტრადიციად მოსდგამდათ ჩვენს წინაპრებს. მისი არსის ჩაწვდომა ცხადია ევროპელ მისიონერებს არ უცდიათ. „დღეობა იყო თვით სოფლის ერთგვარი შემამჭიდროვებელი, შემაკავშირებელი საშუალება, ეს იყო მეზობელ სოფლებს მორის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამეურნეო ხასიათის გარიგების ადგილი. მათ ხშირად მოყვებოდა ხოლმე მოსალოდნელი ნიშნობა-ქორწილები, ნათელ-მირონობის საშუალებით ოჯახების ურთიერთობა-განმტკიცება და სხვა“ [6, 126]. დღეობაში მონაწილეობა სიმარჯვე, ცეკვა-თამაში, სიმღერა, სპორტული შეჯიბრებები აგრძერიგად ალამაზებდა სოფლის დუხილ ჟამთასვლას.

დგომისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება და სახარებისეული მცნებების ოწმენა - „მოგედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქუებ“ (მათე 11, 28-30), მოჩანს მეგრელების იმ ქმედებაში, როდესაც ისინი გაჭირვებისა და მწუხარების შემთხვევაში უმაღვე ეკლესიას მიაშურებდნენ ხოლმე. ეკლესის კარებთან გაჩერდებოდნენ და დგომისმშობლის ხატს ლოცვა-ვეღრებას აღუვლენდნენ. მათ იცოდნენ აგრეთვე „ხატთან შუამავლის მიყვანა, თითქოს ვექილებიაო, ისე ესაუბრებოდნენ ხატს, მრავალი საბუთის მოტანით, რის შემდეგაც ხატი უნდა განეწყოთ მისი პატივისმცემლისადმი რათა იგი შეიწყნაროს“ [6, 94]. გარეგნულად ლოცვითი გრძნობა

პირჯვრის გამოსახვასა და მეტანიაში ვლინდება. პირჯვარი გამოხატავს ჩვენს შინაგან სურვილს და სწრაფვას – მივბაძოთ ქრისტეს, ვიცხოვროთ სადიდებლად დვთისა, ხოლო მეტანია არის დვთის წინაშე ჩვენი კრძალულობა, ასევე უღირსებისა და სინანულის გრძნობები, სწორედ ამგვარად ლოცულობდნენ ქალები, როდესაც „ანთებდნენ სანთელს და ამაგრებდნენ მას თავიანთი სახლის ან ეკლესიის კარზე, აგმევდნენ მცირეოდენ საკმეველს და მზისკენ მიბრუნებულნი ძლიერ მოიხრებოდნენ და მრავალგზის გადაიწერდნენ პირჯვარს თავით ფეხებამდე“ [9, 127]. ლოცვისას ითხოვდნენ ჯანმრთელობას, კარგ მოსავალს, დახმარებას მათი გამძარცვავი ქურდის აღმოჩენაში და სხვა.

ჟელად მეგრელები ჭამის წინ ყოველთვის იწერდნენ პირჯვარს და სუფრაზე თუ მღვდელი იმყოფებოდა, ღვინოს ისე არ დალევდნენ, თუ წინასწარ მისგან კურთხევას არ გამოითხოვდნენ. „მათ ჩვენი მღვდლებისათვისაც ხშირად უთხოვიათ შენდობა, არა მარტო სუფრასთან, არამედ გზაში შეხვედრის დროსაც. ამ ხალხს ასეთი ჩვეულება აქვს: თუ შეხვდებიან ბერს ან პრელატს, გააჩერებენ ცხენს და დალოცვას სთხოვენ“ [9, 181]. ღვთისგან შეწევნის მფარველობისა და ლოცვა-კურთხევის მიღებას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ. ცხენით მგზავრობის დროს ეკლესიასთან ისე არ გაივლიდნენ, რომ ოამდენჯერმე მაინც გარშემო არ შემოევლოთ; ეკლესიას, წმინდანთა ხატებს ოქროს ან ძვირფას ქვებს შესწირავდნენ; კვირა და სხვა უქმე დღეებში ხარებს უდელში არ გააბაძნენ და საერთოდ, არავითარ სამუშაოს არ ასრულებდნენ, გარდაცვალებულთათვის წირვას აყენებდნენ, იერუსალიმში შესაწირს აგზავნიდნენ და ა.შ. უდავოდ მართალია ქრ. კასტელი, როდესაც სურათზე მინაწერი ასე გააფორმა: „საქართველოს და სამეგრე-

ლოს დედოფლები ხელში ეკლესიით ახატვინებდნენ თავს, თავიანთ ქმრებთან ერთად... იცავენ ქრისტიანულ სახელს წარმართობისა და მაჰმადიანობისაგან. დიდი ღვთისმოსავები არიან ბერძნული სარწმუნოებისა“ [3, 93]. მისიონერებს მიზანდასახული პოლიტიკა ჰქონდათ – მართლმადიდებელ და მაჰმადიანებს შორის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება. ამიტომ საგანგებოდ აკნინებდნენ მართლმადიდებელ სამწყსოს და მღვდელმთავრების ყოველნაირ ქმედებას. თითქოს მღვდელმსახურთაგანს არავის არ ესმოდა საიდუმლოებათა შინაარსი, აღსარებასა და ზიარებაში დიდ სასყიდელს ითხოვდნენ, პირადი გამორჩენის გამო მსახურობდნენ, ფამილარულად ლოცულობდნენ და მისთანა. მისიონერები შენიშნავდნენ, რომ ეკლესიები კარგად მოწყობილი და შემკული იყო მშვენიერი სატებით. თავიანთ საეპისკოპოსო ტაძრებზე ეპისკოპოსები გულმოდგინედ ზრუნავდნენ. „იცავდნენ სისუფთავეს, ბერძნული ყაიდის ხატებით ამკობდნენ, რომელიც ოქროთი, მარგალიტებით დ სხვა ძვირფასეულობითაა მოოჭვილი და ამით ფიქრობდნენ ღვთის რისხვის შემსუბუქებას“ [9, 139]. არქ. ლამბერტი ამის შესახებ დასძენდა: რომ მათ შორის ის შემცდარი რწმუნება არის გავრცელებული, რომ კაცს ყოველივე ცოდვა ეპატიება, თუ ეკლესიას რამეს შესწირავსო. ამიტომაც თუ ვინმერ რამე დანაშაული ჩაიდინა და სინდისი აწუხებს, აღსარებას როდი თვლის საუკავესო საშუალებად, არამედ დარწმუნებულია, რომ ეკლესიას თუ ოქროს ან ძვირფას ქვებს შეწირავს, ყოველივე ცოდვა სრულებით ეპატიებაო [4, 112]. ხორციელი და სულიერი მოწყალება მომაკვდინებელ ცოდვათა მძლეველ სათხოებად ითვლება, მაგრამ ცხადია, რომ მაცხოვნებელი სინანული, აღსარება და ზიარება ყველაფერს აღემატება. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპრების საერო ცხოვრება მთლიანად გამსჭვალუ-

ლი იყო ეკლესიური ცნობიერებით, ეკლესიის მადლით. შემოქმედისკენ მიმავალ „იწრო“ გზის აცდენას, უმაღვე სიკვდილს ამჯობინებდნენ. ძველად ზოგიერთი ეკლესიის კარები უმეტეს წილად არც კი იკეტებოდა, მაგრამ ვინმეს ეკლესიდან საეკლესიო ნივთების გატანა აზრად არ მოუვიდოდა. თუ ეს მოხდებოდა, მას სიკვდილით სჯიდნენ. „სამეგრელოში ჩვეულებად არ იყო დამნაშავის სიკვდილით დასჯა. სიკვდილით მხოლოდ მაშინ სჯიდნენ, როცა ისეთი მძიმე დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონდათ, როგორიცაა ეკლესიის გაქურდვა, მთავრის მოკვლა თუ სახელმწიფოს დამხობის ცდა“ [3, 46]. ლამბერტისთან დაცულია ცნობა იმ მკრეხელობის შესახებ, რომორიცად ეკლესიის გადაწვა ან საეკლესიო ნივთების მოპარვა, აგრეთვე ოქროს და ვერცხლის ხატების მისაკუთრება. „ამის ჩამდენ ავაზაპებს თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაული ჩაიდინეს. სხვა ქვეყნებზე უფრო აქ ჯერ კიდევ ისეთი პატივისცემა დარჩენიათ ეკლესიის მიმართ, რომ თვით სარწმუნოებას უფრო უდალატებენ, კიდრე ასეთ დანაშაულს დატოვებენ დაუსჯელად“ [4, 71]. რასაკვირველია, ყოველგვარი უკიდურესობა ბოროტებაა, სასიკვდილო განაჩენის სამართლიანობა მუდამ სადაცო. ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ქურდების სიკვდილით დასჯა ცოდვად ითვლებოდა, გარდა ეკლესიის გაქურდვისა. ეკლესია და წმ. რელიქვიების, საერთოდ სიწმინდის ხელმყოფს მაშინდელი საზოგადოება ვერ ეგუებოდა, ასამარებდა.

ცნობილია, რომ მისიონერების ოდიშში მოღვაწეობა ლევან დადიანის (1611-1657) მმართველობის წლებს დაემთხვა. მათი ურთიერთობა ამჟამად სცილდება კვლევის საკითხებს; იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ლევან დადიანმა ღვთისმოყვარეობა ფრიად სათხო საქმეებით გამოავლინა. დანგრეული ეკლესიე-

ბი ხელახლა ააშენა, რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა, რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო. ამასთანავე ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი გააკეთებინა თვალმარგალიტით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი პყავდა, რომლებიც საეკლესიო ჭურჭელს განუწყვეტლივ აკეთებდნენ [4, 33]. ცხადია, მისიონერებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დიდი მოოქრული ან მოვერცხლილი სპილენძის ხატები, რომლებიც მათი თქმით, მორთული იყო ძვირფასი, უმეტეს შემთხვევაში ყალბი თვლებით. „ხატებს შორის არის ბერძნული ყაიდის ღვთისმშობელი, ასეთივე მამა ღვთისა, ჯვარცმა, ბერძენ და სხვა წმინდა მამათა მრავალრიცხვანი ხატები. ყველა ხატს ჩამოფარებული აქვს აბრეშუმის ფარდები. ამ ხატებს შორის წმიდა გიორგის ხატი ყველაზე მეტად სათაყვანოა. მის წინ ყოველთვის მრავლად არის ანთებული სანთლები [9, 147]. ძლევამოსილი და დიდმოწამე წმიდა გიორგისადმი რწმენა და საწესო რიტუალი განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. წმ. გიორგის ხატზე დაფიცება, გადაცემა ან დაწყევლა სიმართლის დაცვის შემთხვევაშიც კი, წმინდანის რისხვას იწვევდა. შიშისა და კრძალვის მიუხედავად, უსუსური სამხილებელი ნიშნების დროს, ბრალდებულს თავის გამართება მხოლოდ ხატზე დაფიცებით შეეძლო, რომელიც პირვანდელი სახით ზოგიერთ მხარეში დიდსანს შემორჩა. „ფიცი უნდა მოხდეს რომელიმე ძლიერი ხატის წინაშე მომზივანის ამორჩევით. მომზივანმა უნდა ამოირჩიოს ეკლესიაც, სადაც ფიცი უნდა მოხდეს და ხატიც, რომელზეც ბრალდებულმა უნდა დაიფიცოს“ [4, 72]. მეგრელთა რწმენით, სიცრუის თქმას სასწაულმოქმედ წმ. გიორგის ხატთან ვერავინ გაბედავდა, ვინაიდან მსწრაფლშემსმენელი წმინდანი ამის-

თვის მას დასჯიდა, გადარევდა და სიმართლეს ათქმევინებდა. „ფიცზე შეგდება“ ანუ ხატზე დაფიცება სამართლის წარმოების უტყუარი სახე იყო [8, 204]. ხალხის რწმენით, წმ. გიორგის ყველა ხატს ერთი და იგივე სასწაულის მოხდენა თითქოს არ შეეძლო. ამ მხრივ, ილორის წმ. გიორგის ხატმა და სალოცავმა განსაკუთრებული აღიარება და თაყვანისცემა მოიხვეჭა, რაც მეგრულ დალოცვაშიც აისახა: „გაგითბეს (გწყალობდეს) ზევით ღმერთი, ცხოვარ-მაცხოვარი ხატი, მთავარანგელოზი ფოცხოსი (სენაკის რ.), ღვთისმოწმე-ხეთისა, ყულევი და ალერტი, წმ. გიორგი ილორის, წმ. გიორგი ჯვარისა“ (წალენჯიხის რ-ნი) [11, 30].

საუკეთესო ღვინოს წმ. გიორგის სახელზე ინახავდნენ, რომელსაც პეტრე-პავლობის დღეს, მარგლის წინ დიდი ამბით მოხსნიდნენ თავს. „ამისთვის მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსება საეკლესიო ტანისამოსით, რამდენსამე ლოცვას იტყვის ქვევრის თავზე და შემდეგ ამისა მოხსნის თავს ქვევრს, იქიდან პატარა დოქტი გადმოასხამს ღვინოს, რომელსაც გაგზავნის შესაწირავად წმ. გიორგის ეკლესიაში. ამის შემდეგ შეუძლიათ იხმარონ ეს ღვინო“ [4, 53]. ზოგიერთი ცნობით, როდესაც ქვევრის ახდა სურდათ, წირვას აყენებდნენ, ძროხას პკლავდნენ [6, 99]. ღვთისადმი და რომელიმე წმინდანისადმი შესაწირავი წითელი ღვინო-ზედაშის გარდა, ქართული სინამდვილე იცნობს ავადმყოფობის ან სხვა რაიმე აღთქმასთან დაკავშირებულ სამდთო შესაწირავებს, „ოხვამერებს“, რომლებიც მარანში იყო განთავსებული. „მეგრული ოხვამერი ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ერთი მხრივ, ის ადგილია, სადაც ლოცვარიტუალი სრულდება, ხოლო მეორე მხრივ, სალოცავისთვის განკუთვნილი შესაწირავია. იგი შეიძლება იყოს ღვინო, პური, სანთელი, თაფლი და სხვა. რო-

მელიც ღვთაებისადმი არის მიძღვნილი. ასეთივე მნიშვნელობისაა იმერულ-რაჭული „სალოცვილი“ [2, 120]. მეგრული ოხვამერებიდან გვხვდება სამგარიო, სამღვთო, საოხორო, საოცოდინარო, შქვითულე, საწაჩეურე, სადაბადო და ა.შ. სათანადო ლოცვას ოჯახის უფროსი მამაკაცი აღავლენდა ხოლმე. ნიშანდობლივია, რომ მარანში მოთავსებულ ქვევრებთან ქალს არა თუ რაიმე რიტუალის შესრულება, არამედ შესვლაც ეკრძალებოდა. აღნიშნული სალოცვი ქვევრებიდან ზოგი მათგანი საერთო, საოჯახო იყო, ზოგი კი პიროვნული. „მმების გაყრის დროს სალოცვი ქვევრები ხშირად მათ საერთო მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მმები ქვევრებსაც იყოფდნენ და მხოლოდ „საღმრთო“-ს სალოცვა ქვევრს სამმოდ დედა ფუძეში ტოვებდნენ, აქ მთელი სამმო თავს იყრიდა და საერთო ხარჯით „სამღვთოს“ გადაიხდიდნენ [5, 328].

ამრიგად, ლოცვა ოჯახის გამრავლების, შინაური საქონლის მატების და სხვა საჭიროებისათვის, რომელიც დააწყნარებდა ადამიანის ცხოვრებას, როგორც ირკვევა, სათანადო მსხვერპლშეწირვის თანხლებით სრულდებოდა თითოეულ ოჯახში, რომელიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო შემცირდა. მისიონერების მოღვაწეობის დროს, ადგილობრივი მოსახლეობა ძალზე ხშირად სწირავდა ღმერთს სისხლიან მსხვერპლს, როგორიცაა მამალი, გოჭი ან წვრილფეხა საქონელი. მსხვერპლის მიტანის დღეს ამბობდნენ დიდი დღე დადგაო, მაგრამ „ეს დღე არ არის უფლის საღიღებელი და სათაყვანებელი დიდი დღე, რადგანაც ეკლესიში არ მიღიან, არ ისმენენ წირვას, არ ევედრებიან უფალს, არ აკეთებენ კეთილ საქმეებს; ამ დღეს ატარებენ სმა-ჭამაში და ღმერთს დალოცვას და თავიანთი მტრების ამოწყვეტას თხოვენ“ [9, 185]. უდავოა, რომ მრავალგვარი „ოხვამერი“

ცოდვების მიტევებას, განწმენდას, საღვთო მადლის მოძიებას და მოხვეჭას ემსახურებოდა. ამ ურთიერთობას ღმერთსა და მორწმუნე ადამიანს შორის ღრმა საფუძველი აქვს, რომელსაც ნაწილობრივ ჩაწვდა უცხოელი სწავლული რომელიც აღნიშნავდა „მიუხდავად ასეთი სიზარმაცისა, მეგრელები არიან დიდად მორწმუნე ქრისტიანები“ [7, 132].

ამრიგად, წინასწარ შემუშავებული გეგმით ჩამოსულ მისიონერებს, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე რჯულისმსახურებამ შეუშალა ხელი კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდაში.

წყაროები და ლიტერატურა

1. ქაკ ფრანსესა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ.; 1987, ფრანგულიდან თარგმნა ნ. მგალობლიშვილმა
2. 6. თოფურია, საქულტო ნაგებობა ზედაშე ოხვამე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, 1985.
3. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გა-მოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ.
4. დონ არქანჯელო ლამბარტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ.
5. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941
6. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მიდანელი, წერილები საქართვე-ლოზე, თბ., 1964. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტ-ყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ.
7. ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმა-ნულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები და-ურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
8. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. II, თბ., 1947.
9. ქან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმო-სავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975. ფრანგული-დან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურ-თო მ. მგალობლიშვილმა.
10. 6. შოშიტაშვილი, შიდა ქართლის თანამედროვე სოფლის კულტურული
11. ა. ცანაგა, ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგ-რული ტექსტები), თბ., 1975.

Irma Kvashilava

About the Christianity of Georgians

The work deals with the relations of Odishi (Samegrelo) population towards the church, clergy, veneration of the icons, fasting, liturgical rights and the Christian outlook generally. The data about above mentioned issues are preserved in the records of the scientist-travellers and the descriptions of the missionaries. The political units of the western Georgia principalities underwent hard times that determined betterdevelopment of the eastern Georgian culture. Consequently the Georgian chronicles and historical sources of the late feudal period are represented fragmentarily. The relations with the western European countries and Russia revived in the 17th century. This is described in the relaciόns of the foreign missionaries. After long term observation Catholic missionaries left valuable descriptionof the native population's every-day life and culture. Well trained researchers had an intension to propagate and spread Catholic faith among the population and did their best that it should have been acceptable for natives. But they were not able to have a great success because of the Orthodox orientation of the population.

ქათოლიკოს-პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა

კირილე II (ციციშვილი) აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიად 1737-1739 წლებში იმყოფებოდა. მანამდე იგი სამთავრებლის ეპისკოპოსი და ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო, ხოლო კათოლიკოსობის შემდგომ წლებში კვლავ ქართლის მთავარეპისკოპოსია. სავარაუდოდ, გარკვეული დროის მანძილზე იგი ბოდბისა და რუსთავის საეპისკოპოსოებსაც განაგებდა. მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით გამორჩეულია ქართლის მთავარეპისკოპოსობის პერიოდში, რომელ კათედრაზეც იგი შედარებით უფრო ხანგრძლივი დროით მოღვაწეობდა.

კირილე II კათოლიკოსი მოხსენიებულია 1738 წ. 2 თებერვლის საბუთში. „ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისადმი”, ამტკიცებს კირილე კათოლიკოსი. „ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კ[ათალიკო]ზ[ი] კირილე ამ ნასყიდობას ვამტკიცებთ”. ხელ-რთვა: „კ[ათალიკო]ზ[ი] კირილე”. [1, 275]. როგორც ჩანს, ბესარიონ კათოლიკოს-პატრიარქის (ბართაშვილ-ორბელიშვილის) (1725-1737 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, საკათოლიკოსო ტახტი დროებით კირილემდება, ვიდრე დომენტი IV კათოლიკოს-პატრიარქი (ბაგრატიონი) (1705-1741წწ.). საქართველოში დაბრუნდებოდა 1739 წელს (როგორც ცნობილია, 1725-39 წლებში იგი ქართლში არ იმყოფებოდა).

არსებობს 1739 წლის 23 მარტით დათარიღებული „ყმისა და მამულის დანებების წიგნი, მიცემული დავით თარხნისშვილის მიერ გიორგი მაღალაძისადმი”,

რომელსაც ამტკიცებს კათოლიკოსი კირილე: „ჩვენ, ბატონი კათალიკოზი კირილე ამ გარიგებისა და პირის დადებისა და შერიგების მოწამე ვარ”. ხელ-რთვა: „კათალიკოზი კირილე.” [2, 34-35; 24]. (სიგელ-ში მოწმებს შორის დასახელებულია მთავარეპისკოპოსი რომანოზ). ამ საბუთს არ იცნობს ან რატომდაც არ ასახელებს ბ. ლომინაძე თავის გამოკვლევაში „მასალები საქართველოს XVII-XVIII სს. ისტორიის ქრონილოგიისათვის” [4]. საბუთი არაა მოხმობილი ასევე 2000 წელს გამოცემულ კრებულში „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები” [15], რაც კიდევ უფრო გაამყარებდა კირილე II-ის 1739 წლამდე კათოლიკოსად ყოფნის მოსაზრებას.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1739 წლით დათარიღებული კიდევ ერთი საბუთი: „მამულის ნასყიდობის წიგნი სოლადაშვილი იესეს მიერ მთავარეპისკოპოს რომანოზისადმი”, რომელსაც ბეჭდით ამტკიცებს კათოლიკოსი კირილე [11; 9].

არის აგრეთვე დაახლოებით 1738-1739 წლებში შედგენილი „განჩინება კირილე კათალიკოზისა დაგოთისა და სოლომონის ყმა-მამულის საქმეზე”, რომელსაც უზის ბეჭდით: კათალიკოზი კირილე. საბუთი დაწერილია „მირობის” შემოღების მეოთხე წელს [18, 348; 23].

გაუგებრობას იწვევს 1739 წლის 5 მარტით დათარიღებული საბუთი „სამწყსოს განწესების წიგნი დომენტი კათალიკოზისა ურბნელ ნიკოლოზ ხერხეულიძისადმი”, რომელსაც ამტკიცებს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი, ხოლო საბუთს აქვს შემდეგი ხელრთვები და ბეჭდები: კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, შემდეგ მეფე ერეკლე II, უფლისწული გიორგი, ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილე, თბილელი მიტროპოლიტი ეფთვიმე და ა. შ. „ქ. ჩვენ, ქართლის მთა-

ვარეფისკოპოზი კირილე ამ პატრიაქის სიგელს ვამ-ტკიცებთ”. ხელრთვა: „მთავარეფისკოპოზი კირილე.” [20; 22; 17, 742-746]. გასარკვევი ისაა, რომ თუკი 1739 წლის 5 მარტს უკვე დომენტი კათოლიკოსი გასცემს საბუთს, იმავე წლის 23 მარტს როგორდა იხსენიება ზემოთ აღნიშნულ საბუთში კათოლიკოსი კირილე ციციშვილი? საქმე იმაშია, რომ პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ამ საბუთში, ქორონიკონი უკვ არის 1740 წელი, ხოლო ქრისტეს აქეთ ჩდლო – 1739 წელს უდრის. ჩვენი აზრით, სწორედ ამაშია შეცდომა და უნდა იყოს ჩდმ. თუ გავითვალისწინებთ აქვე გა-მოქვეყნებულ სხვა საბუთებსაც, სადაც კი მითითებუ-ლია ქორონიკონი უკვ, მას მოსდევს ქრისტეს აქეთ ჩდმ. 1740 წლის აღნიშნულ საბუთს 1745 წელს ამტკი-ცებს ანგონ I კათოლიკოსი, 1767 წელს მეფე ერეკლე II, 1768 წელს გიორგი უფლისწული, კირილე ქარ-თლის მთავარეპისკოპოსი და ა.შ.

„ქართული სამართლის ძეგლების” მე-3 წიგნში ამ საბუთს მოსდევს „წიგნი დომენტი კათალიკოზისა აგალიშვილებისადმი ნიკოლოზ ურბნელისათვის სამ-წყსოს განწევების შესახებ”, რომელიც უთარიდოა და პროფ. ი. დოლიძეს ის კითხვის ნიშნის ქვეშ დათარი-დებული აქეს 1739 წლის მარტით. მისი შინაარსიდან გამომდინარე და ჩვენს მიერ 1740 წლით გადათარიდე-ბულ საბუთთან კავშირის გამო, ჩვენი აზრით, ეს სა-ბუთიც, საგარაუდოდ, 1740 წელს მიეკუთვნება. სწო-რედ ამის სასარგებლოდ მიუთითებს კიდევ ერთი „წყალობის სიგელი დომენტი კათალიკოზისა გაბრი-ელ ჭარმაულისადმი”, რომელიც შედგენილია დომენ-ტი კათალიკოსის მიერ კონსტანტინოპოლიში ყოფნის დროს (ამ ფაქტს იგი საბუთშივე აღნიშნავს) და რო-მელიც დათარიდებულია 1739 წლით (ჩდლო) [21; 17, 747-750]. შემდეგდორინდელი საბუთები კი, რომელსაც კათოლიკოსი დომენტი გასცემს, 1740 წლიდან იწყება.

1740-1741 წლებითაა დათარიღებული „წიგნი დომენტი კათალიკოზისა მროველისა და ურბნელის სამწყსოს საქმეზე განჩინებით”, რომლის მიხედვითაც, დომენტი კათოლიკოსის ბრძანებით, მროველისა და ურბნელის დავას მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტი კირილე და თბილელი მიტროპოლიტი ევთიმი არიგებენ. როგორც დომენტი კათოლიკოსმა საავალიშვილო „სადგრის ხეობა და ბაგინეთ-გუჯარეთი” ურბნელ ეპისკოპოს ნიკოლოზ ხერხეულიძეს მისცა სამწყსოდ, ასევე უმტკიცებენ ურბნელს სამწყსოდ მთავარეპისკოპოსი კირილე და თბილელი მიტროპოლიტი ევთიმი [17, 762].

1724-39 წლებით აქვს დათარიღებული პროფ. ი. დოლიძეს „აღთქმის წიგნი მთავარეპისკოპოს რაჟდენისა დომენტი კათალიკოზისადმი,” საიდანაც ვგებულობთ, რომ რაჟდენ ციციშვილს მთავარეპისკოპოსობა „ეშოვა” დომენტი კათოლიკოსის სტამბოლში ყოფნის დროს. დომენტის ბრძანებით იგი თბილელსა და ორ ეპისკოპოსს უკურთხებით [17, 741-742]. იგივე საბუთს თ. უორდანია დაახლოებით 1727 წლის ახლო დროით ათარიღებს, რის დამადასტურებლადაც მოჰყავს 1727 წლის „წყალობის სიგელი კათალიკოზ დომენტის მიერ მღვდელ იესე ტლაშაძისათვის და მისი ძის ზაქარიასათვის”, სადაც დომენტი კათოლიკოსი სტამბოლში (კონსტანტინოპოლში) მყოფად მოიხსენიება და იქიდან მართავს საქართველოს ეკლესიას [19, 113-115; 17, 713-714]. თ. უორდანია აღნიშნავს, რომ რაჟდენი მანამდე სამთავნელი ეპისკოპოსი იყო. ჩვენი აზრით, საგარაუდოდ, როცა იგი მთავარეპისკოპოსი გახდა, ამ დროისათვის კირილე სამთავნელი ეპისკოპოსია, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ის იკავებს ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას (ვიდრე 1737-1739 წლება).

საისტორიო საბუთებში ხშირად მოიხსენიება „ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილე” და ჩვენც მისი მოღვაწეობის სწორედ ამ ეტაპის ზოგიერთ მოვლენას გვინდა შევეხოთ.

კირილე მთავარეპისკოპოსად ისხენიება 1736, 1737, 1740, 1741, 1753, 1755, 1764, 1768, 1771 და ა. შ. წლების საბუთებში.

6. ბერძენიშვილის მიხედვით, 1736 წლის მაისშია გაცემული „ბიჭის „მირთმევის” (ანუ შეწირულობის – მ. შ.) წიგნი, მიცემული როინ ჯავახისშვილის მეუღლის მონაზონ ელექნეს მიერ ამბა-ალავერდელ ნიკოლაოზისადმი”, რომელსაც ბოლოს ერთვის კირილე მთავარეპისკოპოსის მინაწერი: „ქ. ჩვენ, მთავარეპისკოპოზი კირილე ამის მოწამე ვართ. კირილე.” [1, 395].

6. ბერძენიშვილს, უნებლიერ შეცდომა აქვს დაშვებული თარიღში და ქორონიკონ ულდ-ს, 1736 წლით განსაზღვრავს, რაც სინამდვილეში უდრის 1746 წელს. ხოლო პროფ. ი. დოლიძე იგივე საბუთს, მართებულად, სწორედ 1746 წლით ათარიღებს [17, 791]. (საბუთის 1736 წლით დათარიღებას, 6. ბერძენიშვილის მიხედვით, იყენებს თავის ნაშრომში ბ. ლომინაძეც). ჩვენ მოვიძიეთ საბუთის პირი საქართველოს ეროვნულ არქივში [13] და მართლაც, ქორონიკონი არის ულდ, ანუ 1746 წელი.

მიუხედავად აღნიშნული ლაფსუსისა, ჩვენ საქართველოს ეროვნულ არქივშივე მიგაკვლიერ სხვა საბუთს, რომელიც სწორედ 1736 წლით არის დათარიღებული და რომელშიც მოიხსენიება მთავარეპისკოპოსი კირილე. კერძოდ, ზემო ციციშვილები შეწირულობის წიგნს აძლევენ მროველ ათანასეს, რომლის მიხედვითაც ისინი, თავის ყოფილ ყმას – ჩხიკვაძე ლაზარეს, მისივე სურვილის გათვალისწინებით, სწორავენ რუისის წმ. ღვთაების ეკლესიას, წირვა-ლოცვაზე მოხსენიების სანაცვლოდ და მომავალ ცხოვრება-

ში მათი სულის საოხად და ნუგეშად. საბუთს ამოწმებს მთავარეპისკოპოსი კირილქ: „ქ. ჩვენ, ციციშვილი მთავარეფისკოპოზი კირილქ, ამის მოწამე (ვართ)”. ხელრთვა: კირილქ. საბუთს უზის თარიღი, ქორონიკონი უკდ, რაც უდრის 1736 წელს. [12].

1740 წლის 8 ოქტომბერვალს შედგენილ „იორამ მოურავისშვილისა და ამილდაბარის ქალის განქორწინების ოქმს”, დომენტი IV კათოლიკოსის შემდეგ ამოწმებს კირილქ მთავარეპისკოპოსი. „ქ. ჩვენ, ქართლისა მთავარ ეფისკოპოზი კირილქ ამის მოწამე ვართ. მთავარ ეფისკოპოზი კირილქ.” [16, 96; 18, 349-350].

არსებობს აგრეთვე 1741 წლის 1 მარტს გაცემული „მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ზურაბისშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელიანისადმი”, სადაც მინაწერია: „ქ. ჩვენ, მთავარეფისკოპოზი კირილქ ამის მოწამე ვართ. კირილქ.” [1, 296].

მოწმეებშია დასახელებული კირილქ მთავარეპისკოპოსი 1743 წლის 17 ივნისის სიგელშიც. „ყმის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს მამუკა აბაშიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისადმი” ახლავს მინაწერი და ხელრთვა: „არის ამისი მოწამე ბატონი მთავარეპისკოპოზი კირილქ.” [1, 316].

1747 წლის ამილახვრების სიგელს ამტკიცებს მთავარეპისკოპოსი კირილქ (ფ. 1448, ს. 4202). აგრეთვე ნახსენებია იგი 1753 წლის 10 მაისის საბუთშიც [18, 418].

კირილქ მთავარეპისკოპოსი მონაწილეა 1764 წლის 18 ოქტომბრის საეკლესიო კრებისა, რომელმაც ზაქარია ხუცესი (გაბაშვილი) შეაჩვენა და ეკლესიოდან განკვეთა [18, 503-508].

კირილქ მთავარეპისკოპოსი მოიხსენიება აგრეთვე 1768 წლის 15 მაისის სიგელშიც [18, 554-555]. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია მეფე ერებ-

ლე II მიერ კირილე მთავარეპისკოპოსისადმი მიცემული საბუთები 1771 წლისა [6; 7] და ა.შ. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა 1755 წლის ერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც, მეფე ოეიმურაზ II (გამგებელი 1709-15წ). კახეთის მეფე 1733-44წ. ქართლის მეფე 1744-62წ.) გორში კათოლიკებს ტაძარს და მასთან არსებულ რეზიდენციას ჩამოართმევს და გადასცემს კირილე მთავარეპისკოპოსს, როგორც მის კანონიერ კუთვნილებას. ჩვენ ამ საბუთს საქართველოს ეროვნულ არქივში მივაკვლიერთ. ის გამოქვეყნებული არ არის და დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი არ ყოფილა. მისი მოკლე შინაარსი რუსულად თავის ნაშრომში დ. ფურცელაძეს ნახსენები აქვს [25, 51] ამ საბუთს ახსენებს პ. კარბელაშვილიც, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივში, მის პირად ფონდშია დაცული [14].

ამ საბუთისადმი დიდი ინტერესი კიდევ უფრო იმითაა განპირობებული, რომ გორის ამჟამინდელი საკათედრო ტაძარის გამო კარგა ხნის მანძილზე მიმდინარეობდა დავა კათოლიკებთან და იგი ახლახანს, ჩვენს საუკუნეშიც კი წარმოიშვა.

საბუთი გადამწერის მიხედვით, დედნის პირს, წარმოადგენს. ქალალდის ზომა 20 1/2X15 სმ. (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – მ. შ.)

ქ. ჩვენი ბრძანება არის, გორს პატრების საყდარი და სასახლე მთავარეფისკოპოზის, ბატონის წმინდას კირილესათვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, თავის ტახტათ და სადგომათ, როცა გორს მიბრძანდებოდეს, ამ საყდარსა და საყდრის სახლებში დადგებოდეს, რადგან გორი <ძ> {და} ქართველი კაცი, ამის სამწესო იყო, ეს პატრების ნაქონი ეპლესია ამისთვის გვიბოძებია. ქრისტეშობის კა, ქ(ორონი)გ(ონ)ს უმგ." აქვს ბეჭდის ადგილი ლეგენდით: ...მ(ე)ფ(ე)...თეიმურაზის დამტკიცებული [10]. (ხაზგასმა ჩვენია – მ. შ.).

საბუთიდან ჩანს, რომ გორის აღნიშნული ტაძარი, გარკვეული დროის მანძილზე, „ნაქონი” და კუთვნილი ყოფილა კათოლიკე მისიონერებისა, მაგრამ თეიმურაზ მეფემ ეს ტაძარი და მის გვერდით მდებარე სასახლე ჩამოართვა მათ და კირილე მთავარეპისკოპოსს გადასცა, როგორც გორისა და აქ მცხოვრები მართლმადიდებელი მრევლის მწემსმთავარს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1755 წლიდან, დღევანდელ გორის საკათედრო ტაძარში, წირვალოცვა მართლმადიდებლური წესით აღესრულებოდა. გასათვალისწინებელია აგრეთვე იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში და ანტიკათოლიკური პროპაგანდა. საეკლესიო კრებამ სწორედ 1755 წელს გადააყენა კათოლიკოსობიდან ანტონ I კათოლიკური სარწმუნოების მიღების ბრალდებით. როგორც ჩანს, ამ ფაქტმაც თავისი გავლენა იქონია თეიმურაზის პოლიტიკაზე კათოლიკე მისიონერების მიმართ.

ცალკე კვლევის საგანია ის, თუ რა უძლოდა წინ ტაძრის გადაცემის ფაქტს და როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები. აღნიშნული საკითხი შეძლებისდაგვარად შეისწავლა პროფ. ქ. პავლიაშვილმა და კრებულში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXI, თბ; 2005, გამოაქვეყნა კიდეც სტატია „ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.)”, მაგრამ ჩვენს მიერ აღნიშნულ სიგელს იგი არ იცნობს და შესაბამისად, არც ახსენებს, რისი ცოდნა და გათვალისწინება ამ ნაშრომს კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენდა. კერძოდ, მის ხელთ არსებული ცნობების ანალიზის საფუძველზე, ქ. პავლიაშვილი აღნიშნავს, რომ 1806 წელს რუსეთის მთავრობას, კაპუცინელი მისიონერებისათვის გორსა და ობილისში ჩამორთმეული ეკლესიები დაუბრუნებია, რისთვისაც მათ ხელისუფლებამ

6000 მან. გამოუყო. „მისიონერები გამუდმებით ითხოვდნენ ვატიკანისაგან რუსეთის მთავრობასთან საერთო ენის გამონახვას, რათა ჩამორთმეული ეკლესიები და ებრუნებინათ გორსა და თბილისში, რამეთუ ვედარ აუდიოდნენ გორის სადგომი სახლის ქირის გადახდას. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ მისიონერებს 1795 წლიდან გორში ეკლესია უკვე აღარ ჰქონიათ” – დაასკვნის პროფ. პავლიაშვილი [5, 87]. ჩვენ დავაზუსტებთ ამ მოსაზრებას და ზემოთ მოყვანილი, სამეცნიერო ლიტერატურაში ახლად შემოტანილი სიგელის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ კათოლიკე მისიონერებს გორში ეკლესია 1755 წლიდან ჩამორთმევიათ და იგი მეფე თეიმურაზ II-ს ქართლის მთავარეპისკოპოს კირილესათვის და შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაუცია. ეს მდგომარეობა რომ შენარჩუნებულია 1802 წლამდე, ამის თქმაც ზუსტად შეიძლება იმის საფუძველზე, რომ საქართველოს ეროვნულ არქივშივე დაცულია ქართლ-კახეთის ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი იმპერატორ ალექსანდრე I-დმი [8], საიდანაც ვგებულობთ, რომ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები აღიარებენ რა რუსეთის იმპერატორის 1801 წელს მიღებულ მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მიმართავენ ალექსანდრე I-ს, რათა იგი საუკუნეთა მანძილზე აოხრებულ და დასუსტებულ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შეეწიოს, აღადგინოს, შეამკოს, დაიცვას და დაიფაროს. მათივე თხოვნით, შეუნარჩუნდეთ ეპისკოპოსებს თავ-თავიანთი ხარისხები და ეპარქიები, მამულები, ყმები და შემოსავლები. სასულიერო დასის განსაკუთრებულ სათხოვარს კი შემდეგი რამ წარმოადგენს: თბილისსა და გორში კათოლიკებს იმპერატორისაგან მათი აღრინდელი, კუთვნილი ეკლესიების უკან დაბრუნება მოუთ-

ხოვიათ. წერილის ავტორები იმპერატორს შეახსენებენ, რომ მეფე თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, კრების დადგენილებითა და გადაწყვეტილებით, კათოლიკეთა მხრიდან საზოგადოების წინაშე დიდი შეცოდებისათვის, ისინი განდევნეს საქართველოდან და მას შემდეგ, მათი კუთვნილი მცირე ტაძრებიც მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა. სასულიერო პირები თხოვნით მიმართავენ იმპერატორს, რომ უკან ადარდაუბრუნოს კათოლიკებს ჩამორთმეული ეკლესიები, რადგან წლების მანძილზე მათში მრავალი ცნობილი ქართველი სასულიერო თუ საერო მოღვაწე იყო დასაფლავებული.

როგორც ჩანს, ქართველი სასულიერო პირები წინასწარ გრძნობდნენ საშიშ ტენდენციას კათოლიკების კვლავ გააქტიურებისა და რუსეთის ხელისუფლებისაგან გარკვეული დროის განმავლობაში მათი მფარველობის გამო. სწორედ ამაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ 1806 წელს ისინი დროებით იბრუნებენ კიდეც გორის ყოფილ, ე.წ. კათოლიკურ ტაძარს და XIX საუკუნეში დროდადრო ინარჩუნებენ კიდეც მას, ვიდრე 1845 წლიდან კათოლიკებს საქართველოდან საბოლოოდ არ განდევნიან.

კათოლიკების პრეტენზიები გორის ტაძრის მიმართ ამ საუკუნეშიც კი წარმოიშვა, რაც ყოვლად უსაფუძვლოა. არსებობს რამდენიმე ცნობა ამ ტაძრის დაარსების შესახებ და ერთ-ერთის მიხედვით, კათოლიკე მისიონერებს XVII საუკუნეში (1629წ. 27 აპრილის რელაცია პროპაგანდა ფიდესადმი), თეომურაზ I-გან (1606-1648წ.) მიუღიათ წყალობა, რომ მტრისაგან დანგრეული ტაძრის ადგილზე თავიანთი ეკლესია აუშენებინათ და აქვე საცხოვრებელი სახლიც გაეჩინათ. ასეთი გადაწყვეტილება მეფის მხრიდან იმით იყო განპირობებული, რომ ავგუსტინელ ბერებს მისთვის ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჩამოუტანიათ.

გახარებული მეფის მოწყალებით მათ კიდეც ისარგებლეს, ქართული ეკლესია კათოლიკურად გადააკეთეს და წმ. პეტრეს სახელი უწოდეს. შემდგომ საუკუნეებში კი სიტუაცია შეიცვალა თუ არა, 1755 წელს ეს ეკლესია მის ნამდვილ მფლობელს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა და შესაბამისად, აღდგა კიდეც ღვთისმსახურება. გორის ტაძრის ქ. წ. კათოლიკური ნაწილი რომ ქართული ტაძრის საძირკველსა და ნანგრევებზეა დაშენებული, ეს კიდევ ერთხელ, ახლახანს აქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობამ დაადასტურა.

კირილე კათოლიკოსის მოღვაწეობა სხვა მრავალი კუთხითაც საინტერესოა. პ. იოსეელიანი წერს, რომ კირილე ციციშვილი იყო „ბიძა გიორგი სარდლისა, სიმამრისა თვით მეფისა გიორგისა. . . ოდეს მოვიდნენ ოსმალნი ასაკლებელად მცხეთისა და სხვათა ეკკლესიისა საუნჯეთა, სცემეს მას მრავლად, რათა აჩვენოს მას სამკაულნი და თაბალითა დააყრევინეს ფირხეთა ფრჩხილები. შემდგომად დაბრუნებისა დომებისა სტამბოლიდამ, ჩააბარა მას კათოლიკოსი და თვით იწყო ცხოვრება მარტივისა ბერისა. იყო მცოდნე სპარსულისა და თათრულისა, საყვარელი მეფისა, ნასწავლი მჭერმჟთქვი და სიტყვა მარჯვე. მიწერ-მოწერა მისი ანასტასიასთან, მეფისა ირაკლისა დედინაცვალთან, მოწმობს მისსა სიბრძნესა... რავდენჯერმე აღიყვანეს ხარისხსა და გამოძიესო დროთა ამბოხისა გამო. გარდაიცვალა 90 წლისა 1774 წელსა.” [3, 139].

კირილე მთავარეპისკოპოსის გარდაცვალების თარიღად 1774 წლის მითითება არ უნდა იყოს მართებული, რადგან საბუთებში იგი ამის შემდგომაც (80–90-იან წლებში) იხსენიება ბოდბისა და რუსთავის საეპისკოპოსო კათედრებზე. რა თქმა უნდა, თუკი ეს სწორედ ყოფილი საქართველოს კათოლიკოს-პატრი-

არქი და ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილება, მაშინ ამ დროს იგი დაახლოებით 95 წლამდე მოხუცი უნდა ყოფილიყო. პ. იოსელიანი კი, როგორც აღვნიშნეთ, მისი გარდაცვალების ასაკად სწორედ დრმად მოხუცებულობას, 90 წელს ასახელებს. ამდენად, ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

წყაროები და ლიტერატურა

1. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ობ., 1940.
2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ობ., 1953.
3. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით; ტფ., 1936.
4. ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951 წ.
5. ქ. პავლიაშვილი, ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეპლესის ისტორიიდან (XV-XIX სს.), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXI, ობ., 2005.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე № 3060
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე № 3068
8. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე № 9200, 9199
9. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე № 2147

10. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე № 2167
11. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე № 2176
12. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე № 2536
13. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე № 2616
14. საქართველოს ეროვნული არქივი, პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, საქმე 17.
15. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000.
16. საქართველოს სიძველენი, ტ. I, გ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1899.
17. ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
18. ქართული სამართლის ძეგლები IV, სასამართლო განხინებანი (XVI-XVIIIსს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972.
19. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ასენილი თ. ეორდანიას მიერ, წ. III, (1700 წ.-დან XIX ს-ის 60-იან წლებამდე), თბ., 1967.
20. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-502 (ღ)
21. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-506
22. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-1502-ა (პ)
23. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-2705
24. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-2792
25. დ. პ. პურცელაძე, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тиф., 1881.

Maia Shaorshadze

Catholicos-Patriarch Kirile II (Tsitsishvili) and His Activity

Kirile II (Tsitsishvili) was Catholicos-Patriarch of the eastern Georgia in 1737-1739. Before he became Catholicos-Patriarch Kirile was a Bishop of Samtavnoand Archbishop of Kartli. After his service as Catholicos-Patriarch of Georgia Kirile became Archbishop of Kartli again.

Catholicos Kirile is mentioned in the document dated to February 2, 1738. “The Book of Serf and Land Deed of Purchase” was passed by Kirile Catholicos. It seems that after the death of Catholicos-Patriarch Besarion (Baratashvili-Orbelishvili) (1725-1737) Kirile became acting Catholicos, before Catholicos-Patriarch Domenti IV (Bagrationi) returned back in Georgia in 1739.

There is a document dated to March 23, 1739 which is passes by Catholicos Kirile. This document is unknown for Babilina Lominadze or she might not mentioned it for unknown reasons in her research. The document is not either mentioned in the collection “The Catholicos-Patriarchs of Georgia” published in 2000. Mentioning of Kirile II among the Catholicos-Patriarchs might strengthen the viewpoint that he was Catholicos before 1739.

There is one more document “The Book of Deed of Purchase Given to Archbishop Romanos by Sologhashvili Iese” preserved in the central archive and dated to 1739. The document is passed by Catholicos Kirile with a stamp.

There is also “A Decree of Catholicos Kirile” dated nearly to 1738-1739 which has a stamp with two words: Catholicos Kirile.

“The Archbishop of Kartli Kirile” is often mentioned in the historical documents. Some moments of Kirile’s activity when his is mentioned as Archbishop of Kartli are underscored in the given work.

Kirile is mentioned as Archbishop in the documents of following years: 1736, 1737, 1740, 1741, 1743, 1753, 1755, 1764, 1768, 1771 and etc.

A document dated to 1755 is of special interest. According to this document king Teimuras II confiscated,took from Catholics a church and residence in Gory and gave it to Archbishop Kirile as his legal property. This document that is preserved in the Central Archive is not published and has not yet been in scientific circulation. Exactly the significance of this document is discussed in the given work.

Catholics have a claim on today's cathedral of Gori even in this century that is totally groundless. There are some notifications about founding of this church. According to one of these notifications in the 17th century Teimuras Igave Catholic missionaries permission and grace to build their church and a house for living on the place of a Georgian church destroyed by invaders.Such kind of decision was taken by king because Augustinian monks brought him the relics of his motherand queen, St. Ketevan. Catholics built there a church and named after St. Peter. In the following centuries the situation changed. In 1755 the church was delivered to the Orthodox Church of Georgia. The same situation is in 1802 that is proved by historical sources. After Georgia joined Russia from time to time Catholics were returning back the mentioned church. In 1845 the church finallypassed into the ownership of the Church of Georgia.

წყაროთმცოდნეობა Source Study

აფხაზეთი ქართველ მოღვაწეთა ეპისტოლებში
(XIX ს. 80-იანი – XX ს. 10-იანი წლ.)

აფხაზეთის ისტორიის მოღლენების რეკონსტრუქციისთვის ამ რეგიონიდან გამოგზავნილ ეპისტოლებს, როგორც სპეციფიკურ წყაროებს, შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს. ე. წ. „პირველი კატეგორიის“ წყაროები – ოფიციალური დოკუმენტაცია, აქტები, ოქმები, ანგარიშები, საქმიანი მიმოწერა ქვეყანაში მოქმედი ბიუროკრატიული და მსოფლმხედველობრივი წნების გამო ობიექტური რეალობის მხოლოდ რეგლამენტირებულ ფორმატს ასახავს. ეს შეზღუდულობა კი ყოველთვის ექცევა სოციო-პოლიტიკური დირექტივების, დიპლომატიური შაბლონების, ფასადურ-ბურაფორიული იმიჯების, ბიუროკრატიული ეტიკეტის ჩარჩოებში. ასეთ პირობებში ინფორმაციის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი, ბუნებრივია, შედარებით დაბალია. მით უმეტეს, მულტიკულტურული და მულტიეთნიკური საზოგადოებებით დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში. ეპისტოლეს, პირად მიმოწერას, როგორც სრულიად განსხვავებული ტიპის საისტორიო წყაროს, სპეციფიკური მახასიათებლები აქვს. ეპისტოლები ინფორმაცია, კომუნიკაციის არასაჯარო მექანიზმის გამო, განტვირთულია სოციალური შაბლონებისაგან, იდეოლოგიული თუ მსოფლმხედველობრივი შეზღუდვებისგან და შეიცავს კერძო, პერსონიფიცირებულ ტენდენციებს, რაც საზოგადოებრივი აზრის დინამიკის კვლევისთვის შეუცვლელ მნიშვნელობას იძენს.

XIX საუკუნის 80-იანი – XX საუკუნის 10-იანი წლების აფხაზეთის ისტორია იმპერიული, რუსიფიკა-

ტორული საეკლესიო პოლიტიკის გამკაცრებასა და მართლმადიდებლობის მნიშვნელონად დასუსტების პერიოდს ემთხვევა. ეს პერიოდი გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის შემდგომ იწყება და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით სრულდება. ამ პერიოდის აფხაზეთის მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ეპისტოლები. მათ მნიშვნელობასა და აქტუალობაზე მხოლოდ ადრესატ-ადრესანტთა მითითებაც კი კმარა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება დეკანოზ დაგით მაჭაგარიანისა და ალექსანდრე ოქროპირიძის, ლეონიდე და ალექსანდრე ოქროპორიძეების, თედო სახოკიასა და იაკობ გოგებაშვილის, პეტრე ჭარაიასა და იაკობ გოგებაშვილის, ეპისკოპოს კირიონისა და მდვდელ იოსებ ჩიჯავაძის, ნიკო თავდეირიძისა და იაკობ გოგებაშვილის მიმოწერა, აგრეთვე პეტრე კონჭოშვილის მოგონებანი და ამბობის ხელაიას აფხაზეთში წარმოთქმულ ქადაგებათა შავი ჩანაწერები.

საინტერესოა, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, საერთო რაოდენობის თითქმის ორიმესამედი (11-იდან 7) სასულიერო მოღვაწეა. ეს ფაქტი კი ამ პერიოდის აფხაზეთში სასულიერი პირების აქტივობასა და მთავარი ეთნო-პოლიტიკური პრობლემების სასულიერო სივრცეში კონცენტრაციაზე მიუთითებს. როგორც მოსალოდნელი იყო, თითოეული ეს წერილი აფხაზეთიდან არის მოწერილი ადრესატისადმი და, ძირითადად, კერძო აღქმა-შეგრძნებების დონეზე გაუშუალებელ, ემოციურ ინფორმაციას შეიცავს.

ის ფაქტი, რომ კერძო მიწერ-მოწერაში ადამიანს უჩნდება სურვილი, აფხაზეთში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სირთულეებზე ისაუბროს, ეს ზემოთ ჩამოთვლილი მოღვაწეების მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე

რე, ეს წერილები მიზანდასახულობის თვალსაზრისით, შესაძლოა, სამ ჯგუფად დაკყოთ: 1. აღრესატონისაქმიანი (ოდონდ არაოფიციალური) რეაგირებისთვის გაგზავნილი, 2. პროცესებში გარკვევისა და პირადი შეფასებების გაცვლისთვის გაგზავნილი 3. ავტორების ნაფიქრ-ნამოქმედარის პერიფრაზების გადმოსაცემად გაგზავნილი ეპისტოლები.

თუ ჩავთვლით, რომ ეპისტოლე სპეციფიკური ინფორმაციის წყაროა, ფაქტები, მოვლენები, პროცესები ე.წ. „ფსიქოლოგიური გახსნილობის“, პერსონიფიცირებული პრიზმიდან განიხილება. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ჩვენი ეპისტოლეების მრავალფეროვან თემატიკაში დომინანტურ ტენდენციათა რამდენიმე ჯგუფი გამოვყავთ:

1. ამ მიმოწერის ასახვის პირველხარისხოვან ჯგუფად უნდა მოვუთითოთ ამ პერიოდის აფხაზეთში ქრისტიანობის ფორმალიზაციის, მისი სეკულარიცაზიის, სულიერი შინაარსისგან დაცლის პრობლემა.

1906წელს ეპისკოპოსი კირიონ II მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს სწერდა:

„აქაური ეპისკოპოსები რევიზიაზედ რომ მივიღოდნენ რომელსამე საზოგადოებაში, მაშინვე ადმინისტრაცია და ადგილობრივი თავად-აზნაურობა სხვა ცერემონიათა შორის შეაგროვებდნენ ნებით თუ ძალით 1000-2000 აბხაზს და ეპისკოპოსის თანადასწრებით მოჰნათვლაგრძნენ. ამას დიდი წეალება არ უნდოდა, მონათვლა ძაან სადათ ხდებოდა: ხალხს შეაგროვებდნენ დიდ-პატარას წყალში შერევამდნენ და მონათვლამდნენ. ამის შემდეგ ელგის სისწრაფით მიფრინამდნენ დეპეშები პეტერბურგს, თბილისს. ჩემთვისაც სურდათ ეს უსაჭიროები ნაწილი მიმოხილვისა გაუმართად „ათასამდე კაცს მოგანათლინებთ“, მითხერეს, მაგრამ ამ ნაირ მონათლვაზედ უარი განვაცხადებ და კურნიე ჯერ რიგიანად მოემზადებინათ იგინი

და მერე, როდესაც დარწმუნდებოდნენ მათ გულ-წრფელ გადაწყვეტილებაზედ, მოენათლათ.“

2. მეორე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ რეგიონის ეთნიკური სტრუქტურის ამსახველი ვარიაციები, მისი გავლენა არაჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ცნობიერება-მისწრაფებების არამ-დგრადობაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეთნო-კორექტულობის, როგორც ეთნიკური კონფლიქტების, პრევენციის წყაროს საკითხებზე.

რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფორმირების საქმეში ეს მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ რეგიონში მოსახლე ერების ეთნიკურ თვისებებს და მისწრაფებებს. საქმაოდ თამა-მად მსჯელობენ ხასიათის იმ ზედმეტად ლოიალურ თვისებებზე, რომელიც ზოგჯერ საზიანოც კია ერი-სათვის და რომელსაც ხშირად ფართო კომუნიკაციები და თავსმოხვეული მულტიეთნიკური გარემო განაპირობებს.

ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი თავის მიმოწერაში ამ საკითხთან დაკავშირებით ასე მსჯელობს:

„საქართველომ ძველ დროში დიდი ძალა შეა-ლია, რომ შავი ზღვის ნაპირებზედ ქართველი ტომი არ ამოვარდნილიყო, არ გაედევნათ აქედან. დიდ საფ-რთხეში ჩავარდება აქ ქართული საქმე, თუ, მოღობი-ნი გამართდა და, რეინის გზა აქ გამოატარეს – გა-ადგილებული მოძრაობის შემწეობით ამ მხარეს მოაწ-ყდებიან ურიები, სომხები, ბერძენები, რუსები და მათ მეგრელები კონკურენციას ვერ გაუწევენ.

* * *

„რელიგიური რყევის წყალობით ქრისტიანობა აქ მცალრბილში ვერ გასჯდომიათ, ვერ ქცეულა იგი მა-დალ ზეობის საჭიროებათ – აფხაზების გულში ვერ გაუდგამს მას ფეხები. ზოგი მათგანი მხოლოდ სახე-

ლით ითვლებიან ქრისტიანებათ, ნამდვიდლად კი მაპ-მადიანობას აღიარებენ, რადგანაც ეს სარწმუნოება უფრო აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს და ზნე-ჩვეულებათა. ამასთან მაპმადიანობა უფრო შეესაბამება მათ აწინდელ შეხედულობას და დაბალ კულტურას.“

* * *

„მალიან დაქვეითებული ხალხია, – მდიდარ ბუნებას ესენი გაუზარმაცებია. მეგრელები რომ არ იყვნენ აბხაზეთში, ესენი სიმშილით დაიხოცებიან, რადგანაც მათ მაულებში მეგრელები მუშაობენ. მთელი აფხაზეთი მეგრელებით არის სამსე. მღვდელი, ღია-კონი, სოფლის მწერალი, მასწავლებელი, ვაჭარი, მუშაკი – სულ მეგრელები არიან. ზოგ სოფლებში აბხაზებს თვისი ენა დაჰვიწყებიათ, მეგრულად ლაპარაკობენ და მეგრელებათ სოფლიან თავის თავს. ოჩემჩირის ბლადოჩინმა დ. მარლანიამ, რომელიც დაბადებით აბხაზია და ქართველებს მოყვრულად არ უცქერის, სთქვა: „ბატონო, როგორც ევროპაში ფრანგულია გაგრცელებული და მიღებული, ისე ჩვენს აფხაზეთში მეგრულიაო“. მართლაც, აფხაზების ფთილები დიდი ხანია რაც დახსნილია. ახლო მომავალი აქ მეგრელებისაა, ამათ დარჩებათ შავი ზღვის ნაპირი.“

* * *

„უკელაზედ გამჭრიანენ აღებ-მიცემობაში და მეოჯარადარობაში მეგრელები არიან და ამიტომაც ცოტა არ იყოს კარგი თვალით არ უყურებენ მათ. რომ მომავალი აქ მეგრელებს ეკუთვნით, ეს ეჭვს გარეშეა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მეგრელებისაგან აქამდინ დიდი ვაჭარი, რომელსაც ევროპიულ ყაიდაზედ დაუყენებინოს აღებ-მიცემობა, არ გამოსუდლა. მემონი ეს შედეგია მათი ხასიათისა. დიდი საქმის დაწყობას სიდარბაისლე უნდა და არა აჩქარებული ხასიათი. კოველ შემთხვევაში შავი ზღვის ნაპირი

მეგრელებისაა, მათ ზარბაზნებით ვერ გახდევნიან აქიდან.“

* * *

„მღოცველების უმეტესი ნაწილი მეგრელები არიან ხოლმე. დავაკვირდი მეგრელების მოქმედებას და მაკვირვებს მათი ხასიათი. ...ესენი ერთხაირის გულსმოდგინებით გაიძახოდენ ძველად „კირიელებისნები“, „ილა ილაპლა მაპმად რასულლას“ (ლაზები, რომლებიც იგივე მეგრელები არიან), „უფალო შეგვიწყალებ“ და ეხლაც გაიძახიან „ღოსპოდი პომილუის“. ამათ რომ მტკიცე ხასიათი პქონიყოთ უცხო ხალხთა ახალშენები აქ ვეხს ვერ მოიკიდებდნენ.“

რეგიონის ეთნიკური სტრუქტურების აღწერაში ხშირად გვხვდება შემდეგი კომბინაციები: „ესტონები და მეგრელები“, „მოლდავანები, ბულგარელები და მეგრელები“...

1892 წელს კი ლეონიდე ოქროპირიძე ბიძას – ალექსანდრე ოქროპირიძეს სინანულით სწერდა აფხაზეთში მისიონერობის შესახებ: „სწორეთ მოგახსენოთ, არხიმანდრიტ ამბროსის კაი საქმე მოსვლია, აფხაზეთი რომ ჩამოურთმევიათ. მხოლოდ თვით აფხაზეთისთვის კი, გვიქრობ, ეს სასარგებლო არ უნდა იყოს. დღეის ამას იქით მთელ აფხაზეთში შეოდებშიდაც და ეკალესიებშიდაც შეტანილი იქნება მარტო რუსული ენა და ქართული კი სრულებით გამოიდევნება. ერთი სიტყვით, ახლა კი მწამს, რომ აფხაზეთი სრულებით ჩამოაცალეს საქართველოს და პირი აქნევინებს რუსეთისკენ. ეხლა ყველაფერი გამოაშკარავდა!“

3. ქართული ენის გავრცელების პრობლემა
ზემოთ ჩამოთვლილ მოღვაწეთა პირად წერილებში ყველაზე მეტი მსჯელობა ამ პრობლემის შესახებ არის. საინტერესოა, რომ საუბარი ქართულ ენასთან

ერთად, აფხაზეთში ეთნიკური ენების (მეგრულისა და აფხაზურის) შეზღუდვასაც ეხება.

კირიონი ასე აღწერს საქმის ვითარებას: „არსად ისეთ შეგნებულ წინააღმდეგობას არ უწევენ ქართული ენის გავრცელებას ოოგორც სოხუმში: აფხაზური ენა შეადგინა უციცმა რუსის მდგდლებმა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ თუ დედა-ენას ექნა მნიშვნელობა რუსული ანბანის შემწეობით შემდგარ აფხაზურ ენას მივსცეთ უპირატესობაო. ამნაირი ბრძოლაა ყოველგან ყოველი მხრით ჩვენ წინააღმდეგ და ჩვენ კი ვცდილობთ ჩვენვე დავაბრკოლოთ ჩვენი საქმე.“

4. რეგიონის კულტურული ლანდშაფტის (მოქვი, დორანდა, ილორი, ახალი ათონი, ბედია...) ოოგორც საქართველოსთან იდეოლოგიური და სახელმწიფო კულტურული კონკრეტური კულტურული მეურნეობისა და სამონასატრო მეურნეობისა და სამონასტრო ინფრასტრუქტურის საკითხების აღწერა.

5. დიპლომატიური და ზომიერი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის საკითხი და სტრატეგიული პოლიტიკის დაგეგმვის აუცილებლობა

„გაადგილებული მოძრაობის შემწეობით ამ მხარეს მოაწყდებიან ურიები, სომხები, ბერძენები, რუსები და მათ მეგრულები კონკრეტურიას გერგაუწევებ. თუ მანამდის მოგასწარით აქ ქართული კაკლების და სკოლის გახსნა, მაშინ ორი შეუძლებარი სიმაგრე ქართველი ეროვნებისა ხელში მაინც გვექნება. ცოტა მეტი ფხა რომ გამოიჩინოს აქაურლებებმა, მაშინ ეს დაწესებულებანი დიდ სამსახურს გაუწევება ქართულ საქმეს.“

* * *

„მდგრელი ტ. ჯოხთაბერიძე გადმოვიყვანე გურია-სამეგრელოს ეპარხიიდან და კაპანაძის აღვილზედ სკოლების მეთვალყურეთ დავნიშნე. ქართველ სემინარი-

ელ მღვდლებს გამრავლებ, მომავალ ეპარხიალურ სა-
მართველოს წევრებად გამომადგებიან.“

6. სმებისა და ჭორების გავრცელების მექანიზმი,
როგორც მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი;

7. პირადი დამოკიდებულებების, განცდა-შეგრძნე-
ბების, შეფასებითი ტენდენციების ასახვა.

თითქმის 30 ვერსის მანძილზე გაჭიმულია გ.დ. შერვა-
შიძეს მამული (გოფეისტრისა). ათონის მთის ახლო
ოც დღიურზედ მეტი ზვარი აქვს, რომელშიც გაზები
ჩვენებურად არის გაშენებული – სარებზედ. როცა მი-
ვუახლოვდი თვით მონასტერს ზარების ბრახა-ბრუნებს
ბოლო აღარა პქონდა. ათონის მონასტერმა ვერ მოახ-
დინა ჩემზედ ისეთი შთაბეჭდილება, როგორც წარ-
მოდგენა მქონდა. მეტად აზიადებენ მღოცველები და
კალმოსნები ახალ ათონს. მართალია, ნამუშევარი
ბევრია, მაგრამ იმის მეათედიც არ არის გაკეთებული,
რასაც ამბობენ.

* * *

„აქამდე მიიღებდი აქედან გამოგ ზავნილ მცენა-
რეულობას, ნაკლადნოიც მაშინვე გამოვაგ ზავნინე ტა-
რასის. ათი ძირი ორნაირი კვიპაროსი იყო, ხუთი ძი-
რი ბაშმალა (იაპონის ვაშლი) მეტად გემრიელი ნა-
ყოფი აქვს, ეხლა აყვაღდა აქ ბაშმალა და მარტში ნა-
ყოფი მზათ იქნება, მანდ პავის გამო ერთი თვით გვი-
ან შემოვა. ამის გარდა რამდენიმე ძირი ყვავილისაც
არის ბოჭკაში ხეხილებთან ერთად ჩადებული. მება-
ღებ კარგად გაახვია, შეჰკრა მაგრა და იმედია დაუ-
ზიანებელს მიიღებდი. თუ კიდევ დაგჭირდეს რამე შე-
მომითვალე და საგაზაფხულოდ შევანახინდ.“

თუ ამ ეპისტოლეების ენობრივ სპეციფიკას მივა-
დევნებოთ თვალყურს, ჭარბობს თხრობის თურმებითი
მანერა, წინა ვითარების ამსახველი ფორმები, სადაც
სუბიექტის როლი, ფაქტობრივად, უკანა პლანზეა გა-
დანაცვლებული. ეს კი მკითხველში ამძაფრებს თით-

ქმის გასაიდუმლოებული სუბიექტის ამოცნობით მიღებულ თანაგანცდას და ამ ფსიქოლოგიური მდგრმარეობით მარტივად ხდება ავტორის პოზიციის მაღიარებელი.

სამწუხარო ისაა, რომ ამ ეპისტოლებში ასახული პრობლემები თითქმის უცვლელად მეორდება საუკუნის ბოლოსაც და გაკვეთილის ფუნქციას ვერ ითავსებს ისტორია. გარდა ამისა, მოღვაწეების საზოგადოდ ცნობილ „ლეგიტიმურ“ იმიჯთან“ ერთად, თვალსაჩინო ხდება მათი შინაგანი კონფლიქტებისა და სამოქალაქო დისპარმონიის გამომწვევი მიზეზები. ყველა ეს ფაქტორი იმ ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი და შეუთავსებელი ვითარებების კვლევისთვისაა აუცილებელი, რითაც იმ პერიოდის აფხაზეთი იმართებოდა.

Esma Mania

**Abkhazia in the Epistles of the Public Figures of
Georgia
(From the 1880es till the 1910es)**

Epistle, personal correspondence, as an absolutely different type of historical source, has a specific peculiarities. Information of the epistle, because of its private mechanism of communication, is free from social stencils, ideological or outlook restrictions and contains private, personified tendencies - the inevitable value for the study of public opinion dynamics.

The epistles that are preserved at National Centre of Manuscripts give us significant information to study many - sided interesting history of those days Abkhazia. Even the names to whom these letters belong tell us how interesting and topical they are. The correspondence of archpriest David Machavariani and Alexander Okropiridze, Leonide and Aleksandre Okropiridzes, Tedo Sakhokia and Iakob Gogebashvili, Petre Charaia and Iakob Gogebashvili is preserved at National Centre of Manuscripts. The memoirs of Petre Konchoshvili and rough copy of Ambrosi Khelaia's sermons in Abkhazia are also preserved at National Centre of Manuscripts.

Epistle is a source of specific information. Facts, events and process of so called "psychological openness" are discussed from the personal prism. Because of this among the various themes of our epistles we can distinguish some groups of dominating tendencies:

1. The problem of formalization, secularization of Christianity, losing of its spiritual meaning and sense.
2. Variations reflecting ethnical structure in the region, their influence on the formation of the unhealthy public opinion and instable mentality and aspiration. The most important that is underscored in the epistles is ethnocorrectness as the main source of preventing ethnic conflicts.
3. The problem of spreading of Georgian language.
4. Description of the problems of the region cultural landscape (Mokvi, Dranda, Ilori, Akhali Atoni, Bedia...) as the precondition of the ideological and statehood unity of Georgia, monastery economy and infrastructure.

5. The problem of carrying on inevitably diplomatic, moderated policy; inevitability of planning strategic policy.
6. The mechanism of spreading rumors as the part of the purposeful policy.
7. Reflection of personal attitudes, feelings, evaluation tendencies.

Թօթօլոցիա Mythology

Հանձ ծակեռլուանո

ფრიგიელთა მეფე მიდასი (მითი და რეალობა)


სინამდვილეს, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა, ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა, მითოსურ ხანაში შექმნილი მოდელები განსაზღვრავდა [1, 161].

მ. მამარდაშვილი წერდა, რომ მითი პირველ რიგში იყო ხსოვნა წარსულისა, წარსულში მომხდარი ზოგადი და არა კონკრეტული მოვლენებისა. მითი ყოველთვის წარსულზე იყო ორიგენტირებული და წარსულის უდიდესი მნიშვნელობის ჩვენებით ახერხებდა სოციუმში მოქმედი სოციალური და კულტურული ნორმების მოწესრიგებას. მითი ყოველთვის ასახავდა იმ „ჯეშმარიტ“ მოვლენებს, რომლებიც დღეს ტრანსცენდენტულ სამყაროს შეიძლება მივაკუთვნოთ. სწორედ ეს სამყარო იყო მითისთვის იმ უმაღლესი დირებულებების მატარებელი, რომელსაც ადამიანებს ზეწინაპრები ასწავლიდნენ და აზიარებდნენ [1, 162].

მითი კვლევა-ძიების და ახსნის საგანია. დღეს არქეოლოგია ნივთიერი საბუთებით ამაგრებს მითების სამყაროს.

წინამდებარე ნაშრომი ფრიგიის მეფე მიდასს ეხება. მას ძველბერძნულ მითოლოგიასა და მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

პეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) მოწმობით, მიდასი გორდიოსისა და კიბელეს ქე, სიმდიდრითა და ვირის ყურებით ცნობილი ფრიგიის მეფეა. ბრიგების მეფის შვილმა თავისი ხალხი მაკედონიიდან აზის იმ მხარეში ჩაიყვანა, რომელსაც შემდეგ „ფრიგია“ ეწოდა [2, 532].



ციცერონის თანახმად, როდესაც მიდასი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ჭიანჭველებმა პირში პურის მარცვალი ჩაუდეს, ნიშნად იმისა, რომ ოდესმე დიდი სიმდიდრის მფლობელი გახდებოდა. სავარაუდოდ, მითის ეს ვარიანტი მცირე აზიის ოქროს საბადოებზე ბერძნების წარმოდგენებს უკავშირდება. მითებში მიდასი ზოგჯერ დიონისესთან და სილენოსთან ერთად ფიგურირებს. არისტოტელებს მოწმობით, მიდასი ბრძენ სილენოსს ეკითხება, თუ რა არის ადამიანის უზენაესი ბედნიერება. სილენოსის პასუხი პესიმისტურია. იგი ანტიკური ხანის „ნუგეშის ფილოსოფიას“ დაედო საფუძვლად, რომელიც გვამცნობს: „უმაღლესი ბედნიერება ისაა, რომ კაცი არ დაიბადოს და თუ დაიბადა, მალე მოკვდესო“ [3, 357-358].

მეფის მიერ სილენოსის შეპყრობის მოტივი ძველია. იგი ე.წ. „ბერლინურ ფიალაზეა“ ასახული. ფიალა ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ძველი ბერძნული ლარნაკზე მიდასის პერსონაჟს გაცილებით უფრო ადრე იცნობდა, ვიდრე ძველ-ბერძნული მწერლობა [4, 22.2; 5, 69].

ვარაუდობენ, რომ მითიური მიდასი ისტორიული მიდას II-ის, გორდიონისის ძის პირველწინაპარი იყო. ასურული წერილობითი წყაროების მოწმობით, მიდას

II ფრიგიაში ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში მეფობდა [6, 147].

ჯერ კიდევ 1957 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის არქეოლოგთა ჯგუფმა გორდიონში (დღევ. იასი-ჰუიუქი) მდინარე საკარიის პლატოზე ყორდანი გათხარა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მიდასის ყორდანის სახელითაა ცნობილი. იგი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. მასში მოთავსებულ ხის კამერაში დაკრძალვის ინცუმაციური წესი დადასტურდა. ხის სარეცელზე მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა. მისი სიმაღლე 1. 59 სმ. იქნებოდა, ასაკი დაახლოებით 60-65 წლით განისაზღვრა. მიცვალებულს ხელები სხეულის გასწვრივ ჰქონდა მოთავსებული, ფეხები – გაჭიმული, ხოლო თავი აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული. იქვე 350 ცალი ბრინჯაოს ჭურჭელი, სამი ცალი რკინის სადგამი, ხის ავეჯი და მცირე რაოდენობის თიხის ჭურჭელი გამოვლინდა [7, 255-264]. რ. იანგის მოსაზრებით, სამარხი ფრიგიის ცნობილ მეფე მიდასს ეკუთვნოდა. ევსებიოსის თანახმად, მეფე მიდასი ფრიგიას დაახლოებით ძვ. წ. 738-696 წწ. მართავდა, რასაც ასურული ლურსმული წარწერებიც ადასტურებს. ამავე თარიღზე, მცირე განსხვავებით, იულიუს აფრიკანუსიც მიუთითებდა [6, 166]. მიდასის მეფობა კიმერიელთა მიერ მისი ქალაქის განადგურებით დამთავრდა. მეფემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულდა (მან ხარები დააკვლევინა და მათი სისხლი შესვა). რ. იანგის მოსაზრებით, ამ შემოსევის შედეგ ფრიგიელებს ადარ შეეძლოთ მდიდრული სამარხის, მით უმეტეს დიდი ყორდანის აგება (მისი სიმაღლე გათხრისას 53 მ. იყო, სავარაუდოდ, თავდაპირველად იგი 80 მ-ის უნდა ყოფილიყო). მიდასს გორდიოსის შთამომავლად მიიჩნევენ. ვარაუდობენ, რომ მან მამის სამარხი დაიკავა [8, 159, 161].

1974 წელს კ. დევრისი სათავეში ჩაუდგა გორდიონის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მისი მოსაზრებით, კიმერიელებმა ფრიგია ვერც აიღეს და ვერც დაიმორჩილეს, მაგრამ, რაკი ყირიმისკენ მიმავალი გზა ფრიგიაზე გადიოდა, ამ ქვეყანას გარკვეული პრობლემები შეექმნა. ძვ. წ. VII საუკუნის მანძილზე ფრიგია დამოუკიდებელი რჩებოდა, ვიდრე მას ლიდია ძვ. წ. VI ს-ში დაიპყრობდა.

1988 წ. ანკარის უნივერსიტეტის პალეოანთროპოლოგიის განყოფილებაში მიდასის თავის ქალაზე და ჩონჩხზე აღდგენითი სამუშაო ჩატარდა. იგი გამაგრებულ იქნა 3%-იანი აკრილოდ B72 5%-იანი კონცენტრატებით 80%-იან სხსნარში, რომელშიც 20% აცეტონი/ეტანოლი შედიოდა, რათა აორთქლება შევერხებულიყო. თავის ქალის გამაგრების შემდეგ, ქვედა ყბისა და თავის ქალისაგან სხმული გაკეთდა. თავის ქალის რეკონსტრუქციისათვის ძვლის სხვა ნარჩენებიც იქნა გამოყენებული. თავის ქალის მარჯვენა მხარეს დაზიანებული ადგილი თიხის ფირფიტებით შეივსო. ფირფიტები კანსა და ძვალს შორის არსებულ სისქეს, ცხვირის ფორმასა და სახის აგებულებას აზუსტებენ. სახე სავარაუდოდ, დაკუნთული და მოგრძო უნდა ყოფილიყო. ყბა სუბსტანციური (მასიური), კეფა გრძელი. თავის ქალის რესტავრაციის სამუშაოში მანჩესტერის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაც ჩაერთო [8,160].

ჩატარებული სამუშაო მიდასის გარეგნობაზე საკმაოდ შთამბეჭდავ წარმოდგენას გვიქმნის. ირკვევა, რომ ცხვირის ზურგის ფორმა ზემოდან მართკუთხაა, პირის სიგანე თვალთა შუა მანძილის ტოლია. მეტად იდიოსინკრეტულია ქვედა ტუჩი, რომელიც გარეთაა გადმოწეული. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თავის ქალის რეკონსტრუქციიდან 7 თვის შემდეგ ყურის კიდეზე თმა ამოვიდა [8, 161].

ამ კრანიოლოგიური მასალით დაინტერესებულ-
მა ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების გამგეს
ლ. ბითაძეს მივმართე*. ჩვენთვის ხელმისაწვდომი
მხოლოდ სკულპტურულად რეკონსტრუირებული და
ორ პროექციაში წარმოდგენილი თავის ქალის სურა-
თები იყო. ამის საფუძველზე მან შემდეგი დასკვნა
წარმოადგინა: თავის ქალის რელიეფი ხორკლიანი არ
ჩანს. იგი მკვეთრად გამოხატულია; დვრილისებრი
მორჩი საშუალო ზომისაა, ყვრიმალთშუა დიამეტრი
დიდი, წარბზედა არე სუსტად გამოხატული. შუბლის
დიამეტრი დიდი. თვალბუდის გარეთა კონტური უფრო
მომრგვალებულია, ვიდრე კუთხოვანი. შუბლის ძვლის
ქიცვი და ქალასარქველი დაქანებული (განსაკუთრე-
ბით მკვეთრად კეფის ძვლის არეში). ქვედა ყბაზე
კბილები არ დასტურდება. მიდასს საღეჭი კბილები
სიცოცხლეშივე ჰქონია დაკარგული. მხოლოდ ორი
კბილიდაა შემორჩენილი. განსაკუთრებით აღსანიშნა-
ვია ცხვირის უნაგირი, რომელიც განიერი (დაკრიონუ-
ლი ქორდა) და დაბალი (დაკრიონული სიმაღლე)
ჩანს; ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლისაა: ზე-
და ტუჩი მაღალი და თხელი. თავის ქალა პროფილის
ჭრილიდან მეზოკრანულია, თავის ქალას ფორმა ზე-
მოდან ხუთკუთხოვანი (Pentagonorales).

ამჯერად, მევე მიდასის შესახებ არსებული
ძველბერძნული წერილობითი წყაროებიდან იმ მითზე
გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აპოლონის
მიერ ვირის ყურებით მიდასის „დამშვენების“ ამბავს
გადმოგვცემს. ჩვენი მიზანია, ამ მითისა და მიდასის
თავის ქალის რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული

* ქალბატონ ლ. ბითაძეს უღრმეს მადლობას მოვასსენებთ ნაშ-
რომის გულდასმით გაცნობისა და გაწეული კონსულტაციების-
თვის.

შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მითი-სა და რეალობის ურთიერთმიმართება წარმოვაჩინოთ. ჩვენთვის საინტერესო მითი ძვ. წ. V საუკუნით თა-რიდდება. იგი, შესაძლოა, ტოტემისტურ, ან კოსმოგო-ნიური კატეგორიის ანთროპოგენურ ქვეკატეგორიას მივაკუთვნოთ. მითის შინაარსი ასეთია: მიდასი აპო-ლონისა და პანის (სხვა ვარიანტით, მარსიასის) მუსი-კალური პაექრობის მსაჯული ყოფილა. პირველობა მან პანს არგუნა. სხვა ვერსიით, მსაჯული მთის დვოაება ტმოლოსი იყო, ხოლო მეფე მიდასმა პანის გამარჯვება მხოლოდ დაადასტურა. განრისხებულმა აპოლონმა იგი უმეცრებისათვის ვირის ყურებით „და-აჯილდოვა“. ნაკლი რომ დაეფარა, მიდასი ყურებს მაღალი ფრიგიული ქუდის ქვეშ მაღავდა, რასაც მი-სი დალაქი დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინა-ხავდა. საბოლოოდ, დალაქისათვის საიდუმლოს შე-ნახვა მხელი ასატანი შეიქმნა. მითის მიხედვით, მან ქალაქგარეთ ორმო ამოთხარა და შიგ ჩასძახა: „მეფე მიდასს ვირის ყურები აქვსო!“. დალაქმა ორმოს მიწა მიაყარა. იმ ადგილას ლერწამი ამოვიდა. მას „დამარ-ხული“ საიდუმლო ამოჰყვა და ქვეყანას ამცნო. რამ-დენჯერაც ნიავი ლერწამის შეარხევდა, იმდენჯერ გა-ისმოდა: „მეფე მიდასს ვირის ყურები პქონიაო!“ [9, 265-268]. სხვა ვერსიით, მწყემსმა ლერწმისაგან სალა-მური გამოთალა, რომლითაც მუსიკალური პანგების ნაცვლად მიდასისათვის საიდუმლო ინფორმაცია გაჟ-დერდა.

ვირის ყურებთან მიდასის მიმართების თვალსაზ-რისით, სხვა მონაცემებიცაა გასათვალისწინებელი. კერძოდ კი, ის, რომ ფრიგიაში დიონისეს კულტის დამკვიდრება მიდასს უკავშირდება. საყურადღებო ისაა, რომ დიონისეს კულტისადმი მიძღვნილ რიტუალ-ში ვირს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა. უფ-რო მეტიც, ამ რიტუალის ამსახველ ძველბერძნულ მო-

ხატულ კერამიკულ ჭურჭელებზე (ლონდონი, ვატიკანი) მიღასი, როგორც რიტუალის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, ვირის ყურებითაა გამოსახული. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ მიღასის სამეფო კვერთხს, ისევე როგორც, ეგვიპტის პანთეონის ერთ-ერთი დვოთა-ების სეტის კვერთხს, ვირის ყურები „ამშვენებდა”*.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს ერთობლიობაში გავიაზრებთ, იმ სავარაუდო დასკვნამდე მივალთ, რომ მიღასის ყურების თემისადმი მიძღვნილი ძველბერძნული მითოლოგიური სიუჟეტები, რომელთაც ხელოვნების ძეგლებზეც პოვეს ასახვა, ფრიგიელთა მეფის ყურების ანომალიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. გამორიცხული არ არის, რომ, როგორც ამას მანქესტერის უნივერსიტეტის ცნობილი გენეტიკოსი რ. ვუდი ადნიშნავდა, საქმე ეხებოდეს ე. წ. „დარვინის ხორცლს”, რომელიც ხშირად „ბანჯგვლიან ფიჭვთანაა” იდენტიფიცირებული [10, 52-61].

ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიდასის საიდუმლო, რომელიც მისმა დალაქმა უნებურად გასცა. მითი და რეალობა შეერთდა.

წყაროები და ლიტერატურა

* აქვე დაგსძენთ, რომ ვირისყურებიანი მიღასის გამოსახულებას ნიკოლოზ პუსენის მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშზეც ვხვდებით და რ. შტრაუსის ოპერაშიც, რომელიც მიღასს ეძღვნება.

1. ხიდაშელი გ., რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბილისი, 2005. იქვე იხ. მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე.
2. პეროდოტე, „ისტორია”, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხე-ზვილმა, თბ., 1976.
3. Мифологический словарь, Москва, 1990.
4. Beazly J. D., Attic Red-Figure Vase-Painters, Oxford, 1963.
5. Richter G. M. A., The Furniture of the Greeks, Etruscans and Romans, London, 1966.
6. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.
7. ხაზარაძე ნ., გორდიონის ყორდანული სამარხები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962.
8. Prag A. J. N. W., Reconstructing King Midas: A first report, AS, vol XXXIX, London-Ankara, 1989.
9. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, მეტამორფოზები, რე-დაქცია, შესავალი სიტყვა და კომენტარები აკ. ურუშაძის, თბ., 1980.
10. Gerasimow M. M., The Face Finder, London, 1977.

Nana Bakhsolian

The Phrygian King Midas Myth and reality

The aim of the work is old Greek myth about Midas ears and Midas skeleton reconstruction on the base of collaboration of myth and reality. According to the analyze and co-direction the author came to this conclusion that old Greek sketches dedicated to Midas ears , which found the reflection in art's works, it is not exception, according to the Manchester University's outstanding genetic R.Wood's notion, that the matter was in "Darvin's strolls", which was identified to the "pine". From the point of view of the author, exactly that fact would be the secret, which was opened by his hairdresser. The myth and reality were united.

**პოლემიკა
Polemics**

დაგით მერკევილაძე

რას გვთავაზობს სერგეი მარკოვი და საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ საკითხი

2010 წლის ზაფხულში ინტერნეტგამომცემლობა **Накануне.RU-მ** გამოაქვეყნა იტერვიუ ს. მარკოვთან, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, აქაოდა ქართველები ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიანო. აღსანიშნავია, რომ იგი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტან არსებული „რუსეთის ინტერესების საზიანოდ ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობების ხელისშემსლელი კომისიის“ წევრია (თავისთავად საგულისხმოა, რომ კრემლში ასეთი კომისიაც კი მოქმედებს). ამგვარად, „ისტორიის გამყალბებლებთან“ ბრძოლა მის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. გნახოთ, როგორ ართმევს თავს ამ საქმეს ბატონი მარკოვი.

პუბლიკაციის სათაურში გამოტანილი მარკოვის სიტყვები: „ხელისუფლება რომ შეინარჩუნონ, საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელები იძულებული არიან დამალონ სიმართლე“ იმთავითვე ნათელს ხდის, რომ რუსი პოლიტოლოგის სამიზნედ კიდევ ერთხელ იქცა საქართველო (და არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, როგორც ამას ხშირად ცდილობენ წარმოაჩინონ აქ თუ რუსეთში). როგორც შემდეგ აშკარავდება, ეს „სიმართლე“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას ეხება, რომელსაც სააკაშვილი თურმე ქართველებს უმალავს, რამეთუ მისი მოთხოვნით აპირებენ „ქართველი მოსწავლეების დაშინებას საბჭოთა და რუსული ოკუპაციით“. საქმე ეხება ამჟამად შექმნის პროცესში მყოფ სახელმძღვანელოს – „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XIX-

XXI საუკუნეებში“. დროს არ დავკარგავ, ვამტკიცო, თუ რამდენად აბსურდულია განცხადება, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავის გადასარჩენად თურმე ადარაფერი დარჩენია, გარდა „ისტორიულ სიმართლესთან ბრძოლისა“. ანდა რა საჭიროა ბრძოლა, როცა არც დასამალი გვაქვს ქართველებს რამე და არც ვინმესთან თავის სამართლებელი. ისტორიულ სიმართლეს ამ მხრივ თუ რამე შეუძლია, ესაა ჯიუტად ამხილოს ვერაგი რუსული იმპერიალისტური ზრახვები მთელი მისი ფართო სამეზობლოს (და არა მხოლოდ კავკასიის) მიმართ. რაც შეეხება რუსული აგრესია-ოკუპაციით ქართველი მოსწავლეების დაშინებას, რუსეთის არმიამ კრემლის ბრძანებით, უახლესი სამხედრო ტექნიკის გამოყენებითა და სამხედრო ავიაციის მიერ ქართული ქალაქებისა და სოფლების დაბომბვით, ორი წლის წინ ამ საქმეს უკვე დიდი წარმატებით გაართვა თავი. სხვათა შორის, დღეს ესეც ისტორიაა, უახლესი ისტორია, რომელიც ქართველმა მოსწავლეებმა საკუთარი თვალით იხილეს, ბევრმა მათგანმა კი საკუთარ თავზეც იწვნია რუსული აგრესიის მთელი საშინელება. ეს მათ მეხსიერებაში უკვე სამარადეამოდაა აღბეჭდილი. ამიტომ მარკოვმა და მისნაირებმა კრემლში უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს მომავალ თაობას საკუთარი ქმედებებით თავად შეაძლეს თავიც და რუსეთიც და ახლა ჩვენ, რუსებმაც და ქართველებმაც ერთად უნდა ვიზრუნოთ ამ დამოკიდებულების შესაცვლელად.

მაგრამ აი, რას გვთავაზობს ბატონი მარკოვი სალხთა შორის შედლის თავიდან ასაცილებლად. როგორც ჩანს, მას ძალიან კარგად ესმის ამ მიმართულებით ისტორიისა და ისტორიკოსების მნიშვნელობა. ამიტომ ასეთი რამ მოიფიქრა: უნდა დავწეროთ ორი ისტორია. ერთი მათგანი უნდა იყოს ჩვეულებრივი სქელტანიანი ისტორიული გამოკვლევები, შესაბა-

მისი სამეცნიერო აპარატით, სადაც შესაძლებელი იქნება ყველა თემაზე პირდაპირი საუბარი, მაგრამ „ეს უნდა იყოს ჩაკეტილი პროფესიულ საზოგადოებაში და საზოგადოებრივ აზრზე არ უნდა ზემოქმედებდეს“. ცალკე უნდა შეიქმნას მეორე ისტორია, რომელიც იქნება გათვალისწინებული ფართო საზოგადოებისათვის, მასისათვის – ე.წ. „საზოგადოებრივი ისტორია“. სწორედ ამ მეორე ისტორიის შესაბამისად უნდა იწერებოდეს სახელმძღვანელოები, პოპულარული ლიტერატურა, ხდებოდეს ფილმების გადაღება. ასეთი ისტორია უნდა მოხვდეს მასმედიასა და ტელეპროგრამებში და ა.შ.

ცხადია, პირველი ეს არის ნამდვილი ისტორია, რომელიც მხოლოდ პროფესიონალი ისტორიკოსებისათვის უნდა იყოს ცნობილი. ხოლო მეორე, ესაა ნატურარი ისტორია, საგანგებოდ რიგითი, სხვა დანარჩენი ადამიანებისათვის დაწერილი, ყალბი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ანუ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და მათთვის საკუთარ წარსულზე მცდარი წარმოდგენის შესაქმნელად.

რაში დასჭირდა მარკოვს ამ ორი ისტორიის თეორიაზე ალაპარაკება? ჩანს, მან კარგად უწყის, რუსეთს ევროპისა და აზიის მრავალი ხალხის წინაშე უამრავი დანაშაული რომ აქვს ჩადენილი ბოლო ორისამი საუკუნის მანილზე. ამიტომ მას არანაირად არ აძლევს ხელს, ეს ისტორიული ფაქტები თუ შეფასებები ჩვეულებრივ ადამიანთათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გახდეს. რუსეთის „შეულახავ ავტორიტეტს“ გაფრთხილება ხომ უნდა. მომავალში ვინ იცის, კიდევ რაში და ვის გასაბრიყვებლად დასჭირდებათ მისი გამოყენება. ამიტომაც გვიკრძალავს ბატონი მარკოვი პროფესიონალ ისტორიკოსებს, მისივე სიტყვებით, „ტელევიზორში შეძრომას“ და „ჩვენი იდეებით ხალხის აფორიაქებას“. მას არ სურს ხალხმა სიმართლე

შეიტყოს რუსეთის „სამართლიანობისა“ და იმის შესახებ, თუ როგორ „იხსნა რუსეთმა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან“ (თუმცა უნდა ვაღიაროთ, „მარკოვის თეორია“ გარკვეულ „პროგრესულ ელემენტებსაც“ შეიცავს, რამეთუ პროფესიონალ ისტორიკოსებს მაინც გვანიჭებს „აკადემიურ თავისუფლებას“, რაც ნიშნავს ისტორიულ ჭეშმარიტებაზე თავისუფლად წერას (თუნდაც დანარჩენთაგან დაფარულად), მაშინ როცა საბჭოთა კაგშირის ხანაში ყველა დონეზე ისეთი სიმართლის თქმა, რომელიც „მშობლიურ კომუნისტურ პარტიას“ არ სურდა, კატეგორიულად იკრძალებოდა და სასტიკად ისჯებოდა. რაღა დაგვრჩენია, მადლობას მოვახსენებო მოსკოველ „კოლეგას“ ქართველი ისტორიკოსების წინაშე ამ „დიდსულოვანი დათმობისა და უფლებების გაფართოებისათვის“.

ცხადზე ცხადია, მარკოვი ისტორიის ფალსიფიკაციას რომ გვსაყვედურობს, თავად მოგვიწოდებს ისტორიის გაყალბებისაკენ. ამიტომ არის, რომ ბრალს გვდებს კ.წ. საზოგადოებრივი (კ.ი. ხალხისათვის განკუთვნილი) ისტორიისადმი „ნაციონალურ მიდგომაში“. ანუ ჩვენთან თურმე ისტორიის გამოყენებით ხალხთა შორის სიძულვილის გადვივებას ეწყობა ხელი, რამაც თითქოს „ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოებრიობა ჩაითრია რამდენიმე ოშში აფხაზებთან და ოსებთან და რუსეთან კონფლიქტშიც კი“. არადა მტკიცებას არ საჭიროებს, რომ სწორედ კრემლის პირდაპირი მითითებებითა და შეკვეთით, სწორედ ისტორიის დამახინჯების აქტიური გამოყენებით ხდებოდა და ხდება აფხაზებსა და ოსებში ანტიქართული და სეპარატისტული განწყობილებების ხელოვნურად გაღვივება, რის საბოლოო მიზანსაც ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და მისი რუსული ორბიტიდან თავდაღწევის დაუშვებლობა წარმოადგენდა.

კრემლის ეს პოლიტიკა დღემდე გრძელდება და სავალალო შედეგებიც (მათ შორის თავად აფხაზებისა და ოსებისთვის) თვალწინ გვიდევს. ხალხთა შორის სიძულვილსაც მთელი მონდომებით აჩადებენ, რათა შემდეგ მათ შორის მომრიგებლად მოგვევლინონ და მსოფლიოს აჩვენონ, ხომ ხედავთ „რუსის ხიშტების“ გარეშე რეგიონში მშვიდობა რომ შეუძლებელია. ამ საკითხზე მსჯელობა ჩვენი მიზანდასახულობის ფარგლებს სცილდება. დავძენ მხოლოდ, რომ კრემლის ეს ხრიკები ვისთვის როგორ, მაგრამ, აი, ბატონი მარკოვისთვის კი შესანიშნავად არის ცნობილი. მას რომ ჰქითხოთ, „ირანთან და თურქეთთან წაჩხუბებალა დაგვრჩენია მხოლოდ და კეთილი მეზობლები ადარდარჩება საქართველოს“. შეიძლება ესეც ძალიან გინდოდეთ მანდ, ბატონებო, მაგრამ ამის იმედი ნუ გექნებათ. ისე კი ნიშანდობლივი შენიშვნაა. სანამ რუსეთი ჩვენს სამშობლოს წაეპოტინებოდა, დიდი ხნის მანძილზე სწორედ ამ სახელმწიფოებიდან წამოსული აგრესიის მოგერიება უწევდათ ჩვენს წინაპრებს. ამის ამსახველ მრავალ მძიმე ფურცელს შეიცავს საქართველოს მათთან ურთიერთობის ისტორია. მაგრამ არც ერთ მათგანს არასდროს მოუთხოვია ჩვენგან ისტორიის „გადაკეთება“ და მიუხედავად იმისა, რომ ძველ სელჯუკიანთა და ოსმალებისა თუ სპარსელ-ყიზილბაშთა მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილ ცოდვების შესახებ ქართული სახელმძღვანელოები დაუფარავად მოგვითხრობენ, ეს ხელს არ გვიშლის, სრულიად თანამედროვე ეპოქაში ახალი, მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობა დავამყაროთ ერთმანეთთან სახელმწიფო დონეზე. ეს იმიტომ, რომ თურქეთმა და ირანმა საქართველოს მიმართ იმპერიული ამბიციები დიდი ხანია დაივიწყეს. აიღეთ მაგალითი მათგან თქვენც, ჩრდილოელო მეზობლებო, პატივი ეცით საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლი-

ანობას და დღეს ჩვენს სახელმწიფოებს შორის კუთილმეზობლურ ურთიერთობას თუნდაც გუშინ ერთმანეთის დაღვრილი სისხლი წინ ადარ გადაედობება. ეს არის გამოსავალი ვითარების გამოსწორებისათვის და არა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის თქვენებური არაფრის მომცემი „აქტიური ლოდინი“.

მარკოვი არა მარტო ყალბი ისტორიის სახელმდგანელოების დაწერას მოგვიწოდებს, სამისოდ საგანგებო დირექტივებიც აქვს გამზადებული. ის მოითხოვს, რომ სახელმდგანელოში აღნიშნული უნდა იყოს რამდენიმე „ფაქტი“. მკითხველი სრულად რომ გაერკეს, რას ითხოვს მარკოვი ჩვენგან, ეს „ფაქტები“ ქვემოთ მოგვყავს ავტორისეული სტილის დაცვით:

1. საქართველო შევიდა რუსეთში ნებაყოფლობით, მრავალრიცხოვანი თხოვნების შედეგად.
2. რუსეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მკაცრად ვერ შეინარჩუნა ხელშეკრულების პირობები. იგი წავიდა ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ დემონტაჟზე და მიიღო იგი გუბერნიის უფლებით.
3. საქართველოს არასდროს უარსებია იმ სახით, რა სახითაც არსებობდა იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საერთოდ, ერთიანი საქართველო, როგორც ასეთი, რუსეთს გარეთ არც არსებულა, არც რუსეთის ნაწილად გახდომამდე და არც მის შემდეგ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებაში (ისტორიაში) არ არსებობს საქართველოდან გაგზავნილი არც ერთი მიმართვა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თხოვნით. ეს „მრავალრიცხოვანი თხოვნები“ მხოლოდ რუსული იმპერიული ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც ისეთივე უკიდებანოა, როგორც თავად რუსული იმპერია მისი ძლიერების ზენიტში ყოფ-

ნისას. ხელშეკრულება, რომელსაც მარკოვი ახსენებს (თუმცა კი არ თუ ვერ ასახელებს) და რომელიც რუსეთს ბოლომდე ვერ დაუცავს, შევახსენებთ მას, რომ ყბადადებული გეორგიევსკის ტრაქტატია. ვერაფერს ვიტყვით, წაკითხული აქვს თუ არა მისი მუხლები, მაგრამ ფაქტი კი ისაა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ამ ხელშეკრულების ძალით ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის მფარველობაში (და არა შემადგენლობაში!) თავისი სრული სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის შენარჩუნებისა და ბოლომდე ბაგრატიონთა დინასტიის სამეფოს სათავეში დარჩენის პირობით. რუსეთმა კი არათუ „ბოლომდე ვერ დაიცვა“ ხელშეკრულების პირობები, მისი არც ერთი პუნქტი შეგნებულად არ შეასრულა. ისარგებლა რა ერეკლე II-ის სრული ნდობით, ვერაგულად, მოტყუებით, ერთი ხელის დაკვრით ბოლო მოუღო მის მფარველობას მინდობილ ქართლ-კახეთის სამეფოს, ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარ ბურჯს, რომლის დაცვის ვალდებულება თავისივე იპერატორის, ეკატერინე II-ის მიერ იყო თავის დროზე (1783 წ.) ხელმოწერილი. თუმცა კი საქართველოსთან დადებული რომელი პრინციპული ხელშეკრულება არ დაურღვევია რუსეთს? გავიხსენოთ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს პირველი (დემოკრატიული) რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, იმხანად საქართველოს დაპყრობის ძალა ჯერ რომ არ შესწევდათ და წელიწადიც არ იყო გასული, თავისივე აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა კიდევ ერთხელ რომ მოსაქს ველური წითელი აგრესიის შედეგად. ვისაც საბჭოთა ხანაში გვისწავლია, კარგად გვახსოვს, როგორ გვარწმუნებდნენ, ნებაყოფლობით შევედითო „დიდ საბჭოთა ძმურ“ ოჯახში. ხოლო სამშობლოს თავისუფლები-

სათვის მებრძოლი მამულიშვილები „ხალხის მტერთა“ სიაში ირიცხებოდნენ უყოფმანოდ (კიდევ ერთი მაგალითი ისტორიის გაყალბებისა). კიდევ გავიხსენოთ, როგორ ირდვეოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ (რომელშიც რუსეთი მოიაზრება უპირობოდ) ხელშეკრულებები ე.წ. აფხაზეთის ომის დროს, ან დღემდე შეუსრულებელი 12 აგვისტოს ე.წ. ექვსპუნქტიანი შეთანხმება, საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით დადებული. აი, ასეთ სახდო „პარტნიორთან“ გვიწევს ჩვენდა საუბედუროდ ურთიერთობა.

ცინიკურად ჟღერს მარკოვის სიტყვები: რუსეთის მიერ საქართველოს „გუბერნიის უფლებით მიერთება.“ სინამდვილეში ეს ნიშნავს, რომ საქართველო უოველგვარი უფლების გარეშე იქნა „მიერთებული“, ყოველგვარი ავტონომიის უფლების გარეშეც კი. ამას სინამდვილეში სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა დაპყრობა. ისტორიაში ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ რუსულ-საბჭოურ ხანაში ხელოვნურად დამკვიდრებული ტერმინი „მიერთება“, საგანგებოდ იმ მიზნით მოგონილი, რათა შენიდბულიყო რუსეთის იმპერიის მზაკვრობა და დამპყრობელი მტერი მოყვარედ და კეთილისმსურველად შერაცხილიყო. მარკოვისნაირთა ლოგიკით საქართველოში მოსული ყველა დამპყრობელი ჩვენს „მიერთებას“ ცდილობდა მხოლოდ და ნეტა რა თავი მოგვებეზრებოდა, სიცოცხლეს რომ არ ვზოგადით და ხმალჩაუგებლად ვებრძოდით ათასი ჯურის მომხვდურს საუკუნეების განმავლობაში. თუნდაც ოსმალეთის იმპერიასთან რა გგაქვს სასაყვედურო. მანაც ხომ ერთ დროს ისტორიული სამხრეთ საქართველო „საფაშოს უფლებით მიიერთა“. იქნებ რუსეთი ნაკლები მონდომებით ცდილობდა ქართველების გარუსებას, ვიდრე ოსმალეთი – გათურქებას? განა ამის დამადასტურებელი ფაქტები საძებარია ისტორიკოსებისათვის?

ვითომ ერთიანი საქართველოც რუსული იმპერიული პოლიტიკის პროდუქტი ყოფილა მხოლოდ. მაგრამ რა ვუყოთ ჩვენი ისტორიის ოქროს ხანას დავითიდან თამარამდე (და არა მარტო), რა ვუყოთ „ნიკოფისითგან დარუბანდამდე“ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით განვრცობილ საქართველოს სამეფოს? არც ეგაა საქართველოს არაკეთილმოსურნეთავის პრობლემა: მთავარია ერს საკუთარი ნამდვილი ისტორია დაავიწყო და რაშიც გინდა დაარწმუნებ. აი, თუნდაც: საქართველომ თუ გინდათ კვლავაც იარსებოს, რუსეთის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდეთ. გვეუბნებიან: ნურც იოცნებებთ თავისუფლებაზე, ხსნა მხოლოდ ამ მარადიულ ღირებულებაზე უარის თქმასა და... რუსეთშია. ეს კიდევ ერთი ნიმუში, თუ რატომ გვთავაზობენ ჩრდილოეთიდან ისტორიის გაყალბებას ისტორიის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ლოზუნგით.

ისტორიიდან ერთიანი საქართველოს არსებობის წარხოცვით სურთ გაამართლონ ასევე თავიანთივე აღძრულ-წაქეზებული აფხაზური და ოსური სეპარატიზმი ისტორიულ ასპექტში. აფხაზეთი და ეწ. სამხრეთ ოსეთი თურმე მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალ საქართველოს შემადგენლობაში არსებობდა. ანუ ისინი რუსეთმა „გვიბოძა“ და რადგან რუსეთთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრება „გადავიფიქრეთ“, ამიტომ რუსეთმაც გადაწყვიტა უკან წაედო ეს თავისი „ნაბოძვარი“. როგორც მარკოვი ამბობს: „ამის შემდეგ გასაგები ხდება, რატომ აღარ ისურვეს აფხაზებმა და ოსებმა ქართველებთან ცხოვრება, როცა საქართველო გაიქცა სსრკ-დან“. ასეთი „გენიალური“ დასკვისათვის, სხვათა შორის, მარკოვი იმ ფაქტსაც იშველიებს, რომ „რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებულ იქნა (რა უწყინარი სიტყვებია შერჩეული „დაპყრიბის“ სანაცვლოდ – დ.მ.) არა საქართველო, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო“. კრემლის პოლიტოლოგს

ვურჩევთ ელემენტარულ ისტორიულ-გეოგრაფიას გა-
ეცნოს და დარწმუნდება, რომ კ.წ. სამხრეთ ოსეთის
ტერიტორია, მაშინაც სწორედ ამ ქართლ-კახეთის სა-
მეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მასთან ერთად
იგდო ხელთ რუსეთის იმპერიამ. და საერთოდ, ეს
მხარე შიდა ქართლის (კიდევ უფრო ძველ ხანაში ის-
ტორიული ზენა სოფლის) მნიშვნელოვან ნაწილს
წარმოადგენდა და ერთიანი საქართველოს არარსებო-
ბის ხანაშიც მუდამ აღმოსავლურქართულ სახელმწი-
ფოს (ძირითადად ქართლის სამეფოს) საზღვრებში
იმყოფებოდა. ასე რომ, „სამხრეთ ოსეთი“ კი ნამდვი-
ლად არის საბჭოური იმპერიული პოლიტიკის „შედევ-
რი“, რომელსაც არც მანამდე უარსებია არც ერთი
წამი და დღესაც რუსეთის ძალისხმევით „უდგას სუ-
ლი“. მარკოვს ნურც ის ავიწყდება, რომ დასავლეთ
საქართველოში სახელმწიფო კოლეგია აღმოცენების
დღიდან (იმ დროს, როცა რუსისა და რუსეთის სახელ-
ნებელიც არ იყო დუნიაზე) აფხაზეთს დასავლურ
ქართული სახელმწიფო (კოლხეთ-ეგრისი) რომ მოი-
ცავდა. მოგვიანებით, მისი მცირე ხნით მოწყვეტაც სა-
ქართველოს მაშინდელი „ერთმორწმუნე“ იმპერიის,
ბიზანტიის დამსახურება იყო მხოლოდ. მეტიც, ამის
შემდეგ აფხაზეთი არაერთი საუკუნის მანძილზე მთე-
ლი დასავლეთ საქართველოს სახელწოდებად იქცა,
როგორც აფხაზი – დასავლეთ საქართველოს ყველა
მკვიდრის საერთო სახელად. გვიან შუა საუკუნეებ-
შიც აფხაზეთის სამთავრო ცალკე პოლიტიკური ერ-
თულის სახით არსებობდა ისევე, როგორც გურიის,
სვანეთის, ოდიშის სამთავროები.

მარკოვი ასევე მოგვიწოდებს, „გავისსენოთ, რო-
გორ შედიოდა საქართველო რუსეთის შემადგენლობა-
ში და რომ იგი ამას აკეთებდა სრული ლიკვიდაციის
საფრთხის ქვეშ“. აქ დამპყრობელ რუსეთს „შემმაერ-
თებლის“ როლიც კი ჩამოერთვა. თურმე მას არც კი

„შევყავდით“ თავის იმპერიულ საზღვრებში, ეს ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თვითონ დაადეს თავი და ნაწილი-ნაწილ, ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს სანატრელ იმპერიაში „შეძრომა“. იქნებ ისიც მოგვახსენოს მარკოვმა, ამ დროს ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ქართველები, ვინ ვის დაასწრებდა, თუ რაიმე რიგი-თობის პრიციპით ვხელმძღვანელობდით.

საინტერესოა, რომ მარკოვი საქართველოს ისტორიაში სათანადოდ განსწავლულივით თამამად ასურათებს „საქართველოს სრული ლიკვიდაციის საფრთხის“ არსესაც: იმ დროს, როცა აღმოსავლურქართული სამეფოები საარსეთისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, სპარსეთის შაჰს გადაუწყვეტია ამ სახელმწიფოს სრული მოსპობა. იგეგმებოდა საქართველოს მთელი მოსახლეობის გადასახლება ირანის შიდა რაიონებში, ხოლო მათ ადგილას სპარსელი მოსახლეობის ჩასახლება. ზოგიერთი სოფლების დეპორტაციაც კი უკვე მოუსწრიათ. გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები თურმე დღეს მესოპოტამიაში ცხოვრობენ, თანამდოროვე ერაყში, რომელთაც არ შეუნარჩუნებიათ არც ენა და არც ტრადიციები. მეტი დამაჯერებლობისთვის იმასაც დასძენს, „ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაემგზავროს იქ და ნახოს რა ბედი ელოდა ქართველ ერს რუსეთს გარეთ რომ დარჩენილიყო“ სპარსეთის ნაწილიც რომ არ გამხდარიყო, — განაგრძობს იგი, — საქართველო ოსმალეთს მაინც ვერ გადაურჩებოდა. იქ კი როგორ იცხოვრებდნენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ ლაზების მაგალითზე, რომელნიც დღეს ჩამორჩენილი ხალხია, თავიანთი სკოლებისა და კულტურის გარეშე და ჩვენი ჩუქჩებივით „პოლიტკორექტული ანეგდოტების“ გმირებად იქცნენ.

მარკოვს ან აქა-იქ ყურმოკვრით სმენია ცოტაოდენი რამ ქართველი ხალხის ისტორიიდან და ამ თავისი

ნაცოდვილარი „ცოდნით“ (უფრო კი არცოდნით) ცდილობს შეაკოტიჭოს რუსული იმპერიული ცნობიერებისათვის სასარგებლო „ისტორია“, ანდა რაც უფრო სავარაუდოა, განგებ ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შევვანას საგანგებოდ ამ მიზნით გამოგონილი ისტორიის საშუალებით. ეს ისეთი აბდაუბდაა, მასზე შეიძლებოდა განმარტება არც მიგვეცა, მაგრამ არც გაჩუმება არ ივარგებს. საკადრისმა პასუხმა თანამედროვე აღვირასნილ ვოსტორგოვებს იქნებ მცირედ მაინც გაუწიოს ლაგამის მოვალეობა. მით უმეტეს, რომ ეს ერთი რუსი პოლიტიკოსის თვალსაზრისი არ არის მხოლოდ. ასე ფიქრობს და აზროვნებს თითქმის მთელი თანამედროვე რუსული პოლიტელიტა.

დავიწყოთ იმით, რომ არათუ „შეერთების“ დროს (1801 წ.), არამედ გეორგიევსკის ტრაქტატის დადგების დროისათვისაც (1783 წ.), ერეკლე II-ის მეფობის უამს, ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანებულ და ძლიერ აღმოსავლურქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი უკვე კარგა ხანია, რაც ირანის ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულიყო. ხარკის ძლევის ხანაც დიდი ხნის ჩაბარებული იყო წარსულს. დასუსტებული ირანი, სადაც შაპობის მსურველები ერთმანეთთან ომით იყვნენ გართულნი (ერთ-ერთი მათგანი, აზატ-ხანი ერეკლემ თავად დაამარცხა და ტყვედაც კი იგდო), ქართველთათვის აღარავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. მეტიც, ერეკლესა და თეიმურაზ II-ის (ერეკლეს მამის) მეთაურობით ქართლ-კახეთის სამეფოს უკვე ბრძოლით დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა ამიერკავკასიის სახანოებთან ბრძოლაში და მანამდე ირანის მფლობელობაში არსებული ერევნის, განჯისა და ნახტევნის სახანოები დაგმორჩილებინა კიდეც და მოხარკედაც გაეხადა.

ნეტა რომელ შაჰს გადაეწყვიტა ამ დროს ქართველების სრული გასახლება და თან მათი ნაწილის

აყრაც რომ მოუსწრია, გაგვიმხილოს მაინც მარკოვმა. მაგრამ იგი არც ისე სულელი ჩანს. ასეთ შაჰს არა-თუ XVIII ს-ის ბოლოს, მთელი ამ საუკუნის განმავ-ლობაშიც ვერ მოვიძიებთ. სპარსეთის შაჰი, რომლსაც ქართველთა მოსპობის გეგმა ჰქონდა და მის განხორ-ციელებისას ქართველთა ერთი ნაწილი კახეთიდან ირანის გზასაც გაუყენა, ეს ავადსახსენებელი შაჰ-აბას I-ა (ქართლისა და კახეთის სამეფოები მაშინ კი ნამდვილად წარმოადგენდნენ ირანის ვასალებს). მაგ-რამ ამ მტარვალმა თავის ამ ცნობილ სასატიკ მეთო-დებს XVII ს-ის 10-იან წლებში მიმართა, რუსეთის მი-ერ ქართლ-კახეთის დაცყრობამდე თითქმის ორი საუ-კუნიო ადრე და მისი მცდელობებიც სრული მარცხით დამთავრდა – ქართველების განადგურება მან ვერ შეძლო. აი, მთელი თავისი რჩეული არმიის ნახევარი კი ქართველთა ხმლით იქნა განადგურებული. ვინაი-დან ამ ამბებს საქართველოში რუსობის დამყარებას-თან ამხელა ქრონოლოგიური აცდენის გამო არაფერი აკავშირებს (მას მერე საქართველოში და მთელს რე-გიონში პოლიტიკური ვითარება არაერთგზის შეიცვა-ლა), ამიტომაა, რომ მარკოვი შაჰ-აბას I-ს შეგნებუ-ლად არ ახსენებს. ასე ხომ ბოლომდე გამოაშკარავ-დება, როგორი პრიმიტიული ეშმაკობით ცდილობს იგი მკითხველის შეცდომაში შეყვანას რუსეთისათვის „მხსნელის“ მისიის მოსარგებად. ეს ნებსითი თუ უნებლიერ ქრონოლოგიური ადრევა უნდა იყოს იმის მიზეზიც, რომ მარკოვი, ცოტა არ იყოს, დაბნეულად გამოიყურება და რუსეთთან „შეერთების“ წინ აღმო-სავლეთ საქართველოში არსებულ სამეფოზე ხან მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს და ხანაც მხოლო-ბითში (სინამდვილეში შაჰ-აბასის დროს ცალ-ცალკე არსებული ქართლისა და კახეთის სამეფოები აქ რუ-სების მოსვლამდე უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გაერთიანებული იყო).

მესოპოტამიაში (იგივე შუამდინარეთში) ურაყის ტერიტორიაზე გადასახლებული გადაგვარებული ქართველების არსებობაც მთლიანად მარკოვის ფანტაზიის ნაყოფია. იქ საქართველოდან არასდროს არავინ გაუსახლებიათ. მარკოვი აღბათ აწი მაინც გაითვალისწინებს, რომ შაჰ-აბასის მიერ გასახლებულ ქართველთა შთამომავალთა ნახვას თუ ვინმე გადაწყვეტს, ირანში გამგზავრება უნდა ურჩიოს, ფერეიდანის მხარეში, სადაც იხილავს დღემდე ქართულ ენაზე მოუბარ და ქართულ ეროვნულთვითშეგნებაშენარჩუნებულ ქართველებს (თუმცა ირანის სხვა მხარეებში გადასახლებულებმა ეს მათსავით ვერ მოახერხეს).

რადგან ირანი გამოირიცხა, იქნებ ოსმალეთი უპირებდა საქართველოს ჩაყლაპვას, რომ „მხსნელი რუსეთი“? ერეკლე II-ის ხანგრძლივი მეფობის ქამს, ოსმალეთს არათუ არც ერთხელ არ უცდია აღმოსავლეთ საქართველოში რადაც ფორმით მაინც თავისი გავლენის დამყარება, ამის პრეტენზიაც არ გამოუხატავს და ყოველთვის „პატარა კახთან“ კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება ერჩივნა. მართალია, ოსმალეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის იყო საბრძოლო შეტაკების შემთხვევა, მაგრამ ეს მაშინ, როცა რუსის ჯარის თანხლებისგან გულმოცვმულმა ერეკლემ, იმის იმედით, რომ სამცხე-ჯავახეთს ოსმალებისაგან დაისხინდა, თავის ჯარით სახელმწიფო საზღვრები გადალახა და ოსმალეთის ტერიტორიაზე, ახალციხის საფაშოში შეიჭრა. ვისაც ჩვენი ისტორია წაუკითხავს, ყველას ახსოვს ამ დროს რუსი გენერლის, ტოტლებენის მუხანათური ლალატი, ქართული ჯარი მოწინააღმდეგის საზღვრებში რომ გაიტყუა და ბრძოლის წინ ზურგი აქცია. ვერ გაამართლა მაშინ ტოტლებენის გეგმებმა, პატარა კახის მეთაურობით 1770 წელს ქართველებმა ასპინძის ბრძოლაში ურუსოდაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. თუმ-

ცა საკმარისი ძალების უქონლობის გამო უკანვე გა-
მობრუნება მოუწიათ. მით უფრო, ერეკლეს ამბავი მო-
უკიდა: მის „დასახმარებლად“ ჩამოსული გერმანული
წარმოშობის რუსი გენერალი ამასობაში თბილისში
ჩასულიყო და მეფის წინააღმდეგ ინტრიგების ხლარ-
ოვა დაეწყო.

სამაგიეროდ, ოსმალეთი დასავლეთ საქართვე-
ლოზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებდა. მაგრამ
მას შემდეგ, რაც ერეკლეს თანამდროვე იმერეთის
ახალგაზრდა მეფემ, სოლომონ I-მა 1757 წელს ხრესი-
ლის ბრძოლაში ოსმალთა ჯარი სასტიკად გაანადგუ-
რა, ოსმალეთის სულთნის მორჩილებაზეც უარი თქვა
და ხარკიც მიცემაც შეუწყვიტა. საბოლოოდ ოსმალე-
ბი დასავლეთ საქართველოში ძირითადად მხოლოდ
შავი ზღვისპირა ციხე-ქალაქებსაც აკონტროლებდნენ
და სოლომონი ახლა მათ განდევნას აქედანაც ცდი-
ლობდა. იმერეთის მეფემ იმდენი გაბედა, თავსაც კი
დაესხა ოსმალეთს აჭარა-ქობულეთის განთავისუფლე-
ბის მიზნით. ამ დროს ოსმალეთიც იმდენად დასუსტე-
ბული იყო, გაძლიერებული და შეტევაზე გადასული
ქართველი მეფეებისაგან მხოლოდ თავდაცვა უწევდა.
გაკადნიერებული ქართველების დასასჯელად რაიმე
სამხედრო ზომების მიღებისათვის კი ძალები ნამდვი-
ლად აღარ ყოფნიდა. ახლა თავად განსაჯეთ, რამდე-
ნად შესწევდა საქართველოს გადაყლაპვის ძალა.

ლაზებს რაც შეეხება, ისტორიის ჩარხმა მათი
დიდი ნაწილი საუკუნეთა განმავლობაში ქართული
სახელმწიფოებრიობის მიღმა მოაქცია. მაგრამ მარ-
კოგმა დე იცოდეს, მათ დღემდე შენარჩუნებული აქვთ
საკუთარი ენა და კულტურა. თავიანთი ნიჭისა და
უნარის წყალობით ლაზები თურქეთში ბევრ მაღალ
სახელმწიფო თანამდებობებსაც ფლობენ. მარტო ის
რად დირს, ლაზური წარმოშობის რომაა თურქეთის
ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი – რეჯებ თაიფ ერ-

დოპანი. ამ ეთნიკური ჯგუფის წინაშე მარკოვს ბოდიშის მოხდა ეკუთვნის ჩამორჩენილ ხალხად წოდების გამო. ლაზების ჩუქჩებთან შედარებაც, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა (თუმცა როცა იგი თავის მოქალაქეებს აყენებს შეურაცხყოფას, სხვაზე რადა უნდა მოვთხოვთ).

აქვე თავისთავად წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი: თუ ერეკლეს არსაიდან საფრთხე არ ემუქრებოდა, რაში დასჭირდა რუსეთის მფარველობაში შესვლა? ტრაქტატის იდეის გაჩენის თაობაზე ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ. ახლა კი მოკლედ მოგახსენებთ, რომ ამ ხელშეკრულების უმთავრეს მიზანს ერეკლესათვის არა გარეშე მტრისაგან თავდაცვა, რასაც იგი თავის ძალებითაც წარმატებით ართმევდა თავს, არამედ რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომების დროს რუსეთის მოკავშირეობითა და დახმარებით ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილი ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება და შემოერთება წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ახალციხის საფაშოს. მაგრამ რუსეთს სულ სხვა, ქართული სამეფო კარისაგან დაფარული გეგმები ამოძრავებდა. მის მიზანს საქართველოს დაპყრობა წარმოადგენდა და მის ინტერესებში ქართლ-კახეთის გაძლიერება სულაც არ შედიოდა. ამიტომ იყო, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა დღითიდლე უარესობისაკენ რომ მიღიოდა. ქვეყნას რუსეთთან კავშირის გამო მტრები უმრავლდებოდა, ძლიერი მოკავშირის დაპირებული მხარდაჭერა კი არ ჩანდა. სწორედ ეს აგადსახსენებელი ტრაქტატი და მასზე ერეკლეს მტკიცედ დგომა იყო ერთადერთი მიზეზი აღა-მაჟმად-ხანის საქართველოში ლაშქრობისა. რუსეთმა არა თუ არ შეასრულა ამ დროს თავის თავზე აღებული ვალდებულება, სამხედრო ძალით დახმარებოდა ერეკლეს, ყველაფერი გააკეთა, რათა ქართვე-

ლებისაკენ წაექეზებინა ირანის ეს უკანასკნელი აგრესია. ცალკე ერეკლეს დახმარებას პირდებოდნენ და ცალკე შაჰის ემისრები ლიად მიახვედრეს, რომ ამ დანაპირების შერულებას არ აპირებდნენ. ხანში შესულ ერეკლეს ერთმორწმუნე იმპერატორისაგან ასეთ ვერაგობა და სიტყვის გატეხა ვერ წარმოედგინა. შედეგად კი 1795 წლის კრწანისის ტრაგედია და ობილისის აოხრება მივიღეთ. ამის შემდეგ დაიწყო რუსეთმა საქართველოში დაპირებული ჯარის შემოყვანა, ოდონდ არა ქართველების დასახმარებლად (აღა-მაჰმად-ხანი მალევე საკუთარ კარავში მოკლეს შეთქმულებმა), არამედ უკვე დაძაბუნებული ქართლ-კახეთის სამეფოს დასაპყრობად და გასაუქმებლად.

არ გეგონოთ, მარკოვის უნიჭო დემაგოგია მხოლოდ ზემოთქმულით სრულდებოდეს. მას თავის გაგრძელებაც აქვს. აი ისიც: „რუსეთის იმპერია, ახლა ამის შესახებ პირდაპირ შეიძლება საუბარი, არ იწვოდა სურვილით საქართველოს შესაერთებლად. მაშინ ჩვენი ექსპანსიის ვექტორი ორიენტირებული იყო დასავლეთით, ბალკანეთისაკენ. საქართველოსგან ჩვენ მივიღეთ მხოლოდ პრობლემები, საქართველოს რუსეთან მიერთება იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც გაგრძელდა კავკასიის ომი ას წელზე მეტი ხანს. რუსეთმა დაიცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ ჩვენი ერთმორწმუნები. რუსი ხელმწიფები იცავდნენ იქ მართლმადიდებლობას, და ამის დავიწყებაც არ შეიძლება.“

რას იზამ, ხათრი ვერ გაუტეხა რუსეთის იმპერია ამ ერთმორწმუნე ქართველების მრავალგზის ხვეწნა-მუდარას, თორემ აზრადაც არ ჰქონია კავკასიონზე გადმოლაჯება. ასე, ზედმეტ ბარგად აიკიდა საქართველო (აი, ეხლა კი გასაგებია, რატომ უწოდეს ჩვენს სამშობლოს მარკოვის ქვეყანაში თურმე საქონი გადასაცემი არ მოხდა).

მათვის ის ერთობ მძიმე გრუზი აღმოჩნდა...). მაგრამ ერთი რამ კი გაუგებარია, რატომ შეიძლება მხოლოდ ახლა, ორას წელზე მეტი ხნის შემდეგ საუბარი იმის თაობაზე, რომ რუსეთს არაფრით არ სდომებია საქართველოს მიერთება. ნუთუ რუსეთის საიმპერიო ცენზურა ბლოკავდა ამ თემას? ან შემდგომ საბჭოურ იდეოლოგიასთან შეუთავსებლობის გამო იკრძალებოდა ამაზე საუბარი? რასაკირველია, არც ერთი და არც მეორე. სხვათა შორის, რუსეთში იმპერიის საქართველოთი დაინტერესებას არც არასდროს მალავდნენ, უბრალოდ მის ჩვენს ქვეყანაში ექსპანსიის ინიციატორად ყოველთვის ქართული მხარის გამოყვანას ცდილობდნენ. ეს მდგომარეობა სათავეს ჯერ კიდევ იმ დროიდან იდებს, როცა რუსეთმა ჩათვალა, რომ დადგა დრო ორთავიან არწივს თავის კლანჭებით ამიერკავკასიის დაცურობაც დაეწყო. მაშინ იმპერიატრიცა ეკატერინე II თავის დიდმოხელე რწმუნებულებს კავკასიისპირეთში მოუწოდებდა ერეკლესთან გაეფორმებინათ მფარველობითი ხელშეკრულება და თან საქმე ისე მოეწყოთ, რომ ამ საქმის ინიციატორად ქართული სამეფო კარი წარმოჩენილიყო და ქართველებსაც ჰგონებოდათ, რუსეთი მათი თხოვნის შესაბამისად მოქმედებდა. ასე მივიღეთ ცნობილი გეორგიებსკის ტრაქტატი. მაგრამ ახლა მარკოვმა ყველას გადააჭარბა, როცა საქართველოს რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ მასზე ძალათი მიგმასნილად წარმოაჩნის. ვინაიდან ასეთი უაზრობის მტკიცება რუსეთშიც აქამდე აზრად არავის მოსვლია (თუმცა ბოლომდე ვერც ამას გამოვრიცხავ), ამის ახსნას იმით ცდილობს, თითქოს აქამდე ამის თქმას რუსეთში ვინმე კრძალავდა. ასეა, 25 წელიწადია, რაც რუსეთში „დემოკრატიზაცია“ დაიწყო და მხოლოდ ახლა და მხოლოდ მარკოვს ეყო გამბედაობა ბოლომდე სრული „სიმართლე“ ეთქვა საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ შესა-

ხებ. ეტყობა, უცნაური ხალხი ვართ ქართველები. როგორც კი ჩვენს მახლობლად რომელიმე დამპყრობელი გამოჩნდებოდა, მყისვე მივეტმასნებოდით ჩვენი ქვეყნითურთ და მერე ჩვენს პრობლემებს ვახვევდით თავს. პოდა, ფრთხილად მარკოვ, რა იცი, იქნებ სასანური ირანი, არაბთა სახალიფო, ბიზანტიის იმპერია, სელჯუკიანთა სასულთნო, ილხანთა საყაენო, სეფიანთა ირანი (რომელი ერთი ჩამოვთვალო) მართლაც „ქართული პრობლემების“ სიმბიმემ დააქცია. კარგად დაფიქრდით, ვაითუ სსრკ-ს დანგრევის (რაც დღემდე ვერ მოგინელებიათ) მიზეზიც „ქართული პრობლემები“ იყო. თუ რუსეთისათვის ასეთი უშრეტი პრობლემების წყარო ვართ, შეგვეშვით ოქვე დალოცვილებო და ოქვენც დაისვენებოთ და ჩვენც შვებით ამოვისუნთქავთ. საერთაშორისო საზოგადოებასაც მოეხსნება ერთი ზედმეტი თავის ტკივილი.

რატომ არ აკეთებს ამას რუსეთი? იმიტომ რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის (და ალბათ არა მარტო) მთავარი მამოძრავებელი ძალა დღემდე მისი იმპერიული ამბიციებია. XIX ს-ის დასაწყისიდან საქართველოს დაპყრობაც ამ მიზნით დაიწყო. საქართველო „კავკასიის გასაღები“ იყო ყოველთვის და კავკასიაში გაბატონებისათვის მისი დაუფლება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. ურცხვი ტყუილია, რომ რუსეთი ამ დროს მხოლოდ ბალკანეთით იყო დაინტერესებული. გაძლიერების გზაზე მგომმა ჩრდილოურმა იმპერიამ იმხანად თავისთავში ისეთი ძალის მოზღვავება იგრძნო, თავის ექსპანსია სამხრეთისაკენ, შავი ზღვის ორივე მხარეს განავითარა: დასავლეთით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთით ამიერკავკასიაში. ეს იყო ორივე მიმართულებით ამოქმედებული ერთი სტრატეგიული ინტერესი. ამ ორი მიმართულებიდან რუსეთი ერთ მეტოქეს, ოსმალეთს ავიწროვებდა. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების

დაპყრობის შემდეგ რუსეთი უშუალოდ ოსმალეთის სამფლობელოებზე ახორციელებდა შეტვევებს. ამიტომაც რუსეთ-თურქეთის ომები ამ დროიდან მოყოლებული, როგორც წესი, ორ – ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე მიმდინარეობდა. თუ რუსეთს მხოლოდ ბალკანეთი აინტერესებდა, რატომ მოქმედებდა ასე აქტიურად (ყველანაირი თვალსაზრისით) კავკასიაში? რატომ გაგრძელდა კავკასიის ომი (ანუ კავკასიის დაპყრობის პროცესი) „ას წელზე მეტ ხანს“? პასუხები ამ კითხვებზე თავისთავად ნათელია. იქნებ მარკოვმა დაგვიზუსტოს, რას გვხვდებოდა ქართველებს, იმას რომ რუსეთი კავკასიის დაპყრობით ომში საქართველოს გამო ჩაება, თუ ეს ომი ამდენი ხნით რომ გაუჭიანურდა? მაგრამ პასუხისათვის შეუძლია თავი არ შეიწუხოს. ორივე შემთხვევაში აბსურდულ ბრალდებასთან გვაქვს საქმე. რუსეთმა კავკასიის დაპყრობის მცდელობა საქართველოში შემოსვლამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. „თბილი ზღვებისა“ და კავკასიის ყელის ხელში ჩაგდების გარეშე რუსეთი ვერ ჩამოყალიბდებოდა მსოფლიო მნიშვნელობის იმპერიად, რასაც იგი ესოდენ ესწრაფვოდა. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანით თავს არ შეგაწყენო. რაც შეეხება კავკასიის დაპყრობის გაჭიანურებას, რუსეთმა საქართველოს დაუფლების შედეგად რკალში მოქცეული და მოებში მომწყვდეული ერთი მხრივ ჩეჩენებისა და დაღესტნელების და მეორე მხრივ ჩერქეზ-ადიღეელების დამარცხებას ცალ-ცალკე ოცდაათ-ოცდაათი წელი მოანდომა. თუ ამას დავუმატებთ ქართველი გენერლებისა და ოფიცრების თავგამოდებას რუსეთის არმიის შემადგენლობაში, საერთოდ საეჭვო ხდება, შეძლებდა კი რუსეთი საქართველოს დაუფლების გარეშე თავისუფლებისმოყვარე მამაცი მოიელებით დასახლებულ კავკასიის დამორჩილებას?

ასეთია უტიფარი დამპყრობლის ლოგიკა. თან გიპყრობს, თავისუფლებას გართმევს, სახელმწიფოებრიობას გიუქმებს, ერთიანი ქართული ორგანიზმის დასარღვევად ათასი ჯურის ეთნოსებს გისახლებს (რა იცი, როდის გახდება საჭირო, მათ მეხუთე კოლონის ფუნქცია შეასრულებინოს), შემდეგ ძალ-ლონეს არ იშურებს, შენი მშობლიური ენა წაგაროვას, ქართული ცნობიერება და თვითშეგნება გულიდან და გონებიდან ამოგიშანთოს. ყველაფერს იზამს, საკუთარ ისტორიას ბოლომდე თუ ვერ დაგავიწყებს, ისე დაგიმახინჯოს, თავისუფლების იდეა საშვილიშვილოდ ამოგიგდოს თავიდან და დამპყრობლის წინაშე მუდმივად ქედმოხრილად გამყოფოს და სულ დავალებულად გაგრძნობინოს თავი. აბა როგორ, ამხელა სიკეთე გაგიკეთა, შენი კეთილდღეობისათვის რამდენი დაბრკოლების გადალახვა და სისხლისღვრა მოუწია. თან წარამარა დაგამადლის ამ „სიკეთეს“ და დაგაყვედრის თავის იმპერიულ მარწუხებში „დიდსულოვნად მიღებას“ ისევ შენს საკეთილდღეოდ.

„ენას ძვალი არა აქვსო“ – უთქვამო ძველი დროიდან ქართველებს. მართალია, ენით ყველაფრის გამოქმა შეიძლება, მაგრამ მთავარია, ენის პატრონს ჰქონდეს ნამუსი, ენას რომ ამის უფლება არ მისცეს. ეს უკანასკნელი რამდენად გააჩნია ჩვენი კრიტიკის ობიექტს, ეს უკვე საზოგადოებამ განსაჯოს.

როცა ერმა საკუთარი ისტორია კარგად იცის, მომავალში შეცდომებსაც ნაკლებად დაუშვებს, მისი მოტყუებაც არც ისე ადვილი იქნება. ეს კი დღეს ოცნებად ექცათ კრემლის მესვეურთ. ამიტომაც იღწვის მარკოვი ასე გულმოდგინედ „ორი ისტორიის დასამკვიდრებლად.

ნუ გავხლებთ ისტორიას საჯარო და სამეცნიერო ნაწილებად, იმ მოტივით, რომ ფართო საზოგადოებას ყველაფერი არ უნდა გავუმხილოთ. მივიღოთ ისტო-

რია ისეთი, როგორიც არის, შელამაზებისა და გადაკეთების გარეშე. მივუდგეთ მას კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად და ყველაფერს ფაქტები გვეტყვიან თავისთავად. მარკოვისნაირთა სურვილებს კი ახდენა არ უწერია და დარწმუნებული ვარ, ასეთი ფაქტები მხოლოდ ისტორიკოსთა წრეში არც არასოდეს დარჩება.

P.S. კრემლის მესვეურთა შეშფოთება გასაგებია. ბოლო ორასი წლის მანილზე რუსეთის საიმპერიო, კომუნისტური, თუ პოსტკომუნისტური ხელისუფლების მხრიდან საქართველომ იმდენი უბედურება იწვნია, ყველაფრის დოკუმენტურად შესწავლა და ერთ წიგნში თავმოყრა ბოლომდე გააშიშვლებს რუსულ „ველიკოდერუსავულ“ ამბიციებს, სააშკარაოზე გამოიტანს მის დაფარულ იმპერიულ ზრახვებს საქართველოს (და მთელი კავკასიის) მიმართ, საბოლოოდ დაუკარგავს ძალას ცნობილ დემაგოგიას, თუ როგორ იხსნა რუსეთმა საქართველო „ფიზიკური განადგურებისაგან“, თუ როგორ ზრუნავდნენ ქართველების სიყვარულით გულანთებული რუსი მმართველები ჩვენზე და რა ვუყოთ, თუ ამ ზრუნვის დროს ჯერ დახმარებას გვპირდებოდნენ და გვატყუებდნენ, შემდეგ ჯარი მტრის მოსაგერიებლად კი არა ჩვენს დასაპყრობად შემოჰყავდათ, მთელი მონდომებით ცდილობდნენ ქართველთა გადაგვარება-გარუსებას, ქართული ეთნიკური ერთობის დანაწევრებას, ჩვენი სამშობლოს ეთნიკურად მაქსიმალურად აჭრელებას. თუ უკმაყოფილებას გამოვთქვამდით, ან მით უმეტეს იარაღით მოვინდომებდით თავისუფლების მოპოვებას, ცეცხლითა და მახვილით დაუნდობლად ცდილობდნენ ქართული თავისუფლებისმოყვარე სულის ჩახშობას და ა.შ. ეს ყველაფერი თურმე მხოლოდ ქართველთა კეთილდღეობისთვის კეთდებოდა, თორემ რუსეთში აქედან არანაირ სარგებელს არ იღებდნენ პრობლემებისა და ახა-

ლი თავსატეხის გარდა. ასეთი უმაღური ხალხი ვყოფილვართ ქართველები. ყოველივე ამის შემდეგ არად ვაგდებთ „უფროსი ძმის“ დამსახურებას ჩვენს წინაშე და მუდამ მაინც ორთავიანი არწივის კლანჭებიდან გასხლტომას ვლამობთ. დღეს ამ კლანჭებით ჩრდილოელი მტაცებელი აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილსდა ებლაუჭება, თუმცა კი ამასაც დროებით...

ხსოვნა In Memoriam

თინა ოჩიაურს

„შენ, ჩემის მამის სალოცავო,
ლაღო, ლამაზო, იახსარო,
სახლიც ტირის და კარიც ტირის,
სანაპირონი ჩამოდიან.
წვიმათოდენი ცრემლი გინდა,
ფოთოლთოდენი მოტირალი.
ლმერთო უშველე დალოცვილო**“:

ნიჭიერს და მართალს, პირდაპირს და უეშმაკოს, იუმორით სავსეს და მელექსე-მოკაფიეს, მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო ქადას რომ აცხობდა, ჩემს დეიდა თინას. ლმერთო, წინ წაუმძღვარე ჩემი მადლიერება ყველა შენიშვნაზე, ყველა ხევსურულად, ლაქუც-პირუერობის გარეშე ნათქვამ სიტყვაზე; წინ წაუმძღვარე ჩემი სიყვარული, თუკი რამ კარგი გამიკეთებია ჩვენს საქმეში, მისი გამოზრდილი რომაა, ისიც წინ წაუმძღვარე და ნათელში მიმყოფე სამზეოდან შენთან მოსული, თავის კარგ მშობლებთან მოსული, სააქაოს ჯავრად ჩაყოლილ ირაკლისთან მოსული ჩემი დეიდა თინა, იქ, სადაც არაა ჭირი, არცა ურვა, არცა სულ-თქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი.

ნინო ლამბაშიძე

* ხალხური პოეზიის ანთოლოგია შედგენილი ზურაბ კიკნაძისა და ტრისტან მახაურის მიერ, ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი, რედ. მერაბ დალანიძე, თბ., მემკვიდრეობა, 2010.

მეცნიერების დანაკლისი
(გახტანგ შამილაძე)

მნელია შეეგუო აზრს, რომ ვახტანგ შამილაძე ადარ არის...

სულ ცოტა ხნის წინ, აკად. გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას ესწრებოდა, მხნედ გამოიყურებოდა და მომავლის საინტერესო პროექტებიც ჰქონდა შემუშავებული: ჩვეული ენერგიით აგრძელებდა საქართველოს ეთნოლოგიის ისტორიის მეორე ტომზე მუშაობას. სამწუხაროდ, უბედურმა შემთხვევამ 75 წლის ასაკში შეწყვიტა მისი სიცოცხლე...

ვახტანგ შამილაძე ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიასთან არსებული კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბათუმი) სრული პროფესორი და ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ნ. ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

დიდია ვახტანგ შამილაძის დამსახურება ქართული ეთნოლოგიური სკოლის განვითარებაში. მის ფუნდამენტურ ნაშრომებს კარგად იცნობდნენ არა მარტო ჩვენში, და ყოფილ საბჭოთა სიკრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, იყო მრავალი საერთაშორისო ფორუმის მონაწილე, ეთნოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი...

ვახტანგ შამილაძე სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ბათუმის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. იყო აკად.

გიორგი ჩატაიას, პროფ. მიხეილ გეგეშიძის და პროფ. ალექსი რობაქიძის მოწაფე. ისტორიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. აქვე შექმნა მან პირველი ნაშრომი „ალპური მესაქონლეობა საქართველოში“, რომელმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. მესაქონლეობის პრობლემებს მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაციაც. მან ჩვენში პირველმა შემოიტანა მიმოქცევაში მომთაბარული მესაქონლეობის ე. წ. ტრანსუმანის ცნება, მოახდინა ამ დარგის მეცნიერული კლასიფიკაცია და წარმოაჩინა მისი ზოგად ქართული და ზოგადკავკასიური თავისებურებები, რასაც კულტურის ისტორიის განზოგადებული კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ვახტანგ შამილაძის ალ. რობაქიძესთან თანამშრომლობის შესახებ. მათ ერთობლივად თეორიული ხასიათის არა ერთი ნაშრომი შექმნეს. სწორედ პროფ. ალ. რობაქიძესთან ერთად შეძლო ვახტანგ შამილაძემ ქართული ეროვნული კულტურული სამეცნიერო ტიპების, მათი რეგიონალური მოდელების შესწავლა და დადგენა. მკვლევარი ასევე ნაყოფიერად იკვლევდა ქართული ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობით ბაზას, მეისტორიეთა თხზულებებს, მონოგრაფიულ ჩანაწერებს, წერილობით წყაროებს, ტრადიციული მატერიალური და სულიერი კულტურის არქეტიპების გამოსაკლებად.

საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი სამეცნიერო მუშაობას შესანიშნავად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანილზე ვ. შამილაძე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრას. მან აღზარდა ქართველი ეთნოლოგების არა ერთი თაობა, რომლებიც დღეს უკვე სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობენ. ამასთან, სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა

ეთნოლოგიის ისტორიის, ზოგადი ეთნოლოგიისა და მეთოდოლოგიის კურსებს, ხელმძღვანელობდა კათედრას, ასპირანტებს, დისერტანტებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ათობით დისერტაციაა დაცული. მას ხშირად ოპონენტად და სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრად იწვევდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თანამშრომლობდა კავკასიის სამეცნიერო ცენტრებთან, ერევანში, ბაქოში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში...

ვახტანგ შამილაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ფართო და მრავალწახნაგოვანია. იგი მუშაობდა არა მხოლოდ ტრადიციული ყოფისა და კულტურის ცალკეულ პრობლემებზე, არამედ იკვლევდა თეორიულ პრობლემებსაც. მისი ბოლო მონოგრაფია „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია“, ნაწ. I (ოთ. მიმინშვილთან თანაავტორობით) (თბ., 2009) ასეთი კვლევის სამაგალითო ნიმუშია, მრავალწლიანი, ფუნდამენტური ძიების შედეგია, რომელიც დღეს უკვე დარგის მატიანედ გადაიქცა. განსაკუთრებით დიდია ნარკვევის მნიშვნელობა საუნივერსიტეტო კურსის ორგანიზაციაში, იგი ჩინებული დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელიც თავს უყრის ქართულ ეთნოგრაფიაში შექმნილ მეცნიერულ პროდუქციას, აჯამებს და აანალიზებს დარგის განვითარების ისტორიულ ეტაპებს, ანზოგადებს მათ თეორიულ ჭრილში და ა.შ., რის გამოც ეს წიგნი ყველა ეთნოლოგისათვის, ისტორიკოსისა და ფოლკლორისტისათვის ერთნაირად საინტერესო და საჭიროა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტორის სხვა ნაშრომებიც, რომელთა რიცხვი 200-ს აღემატება.

ნაყოფიერი იყო ბატონი ვახტანგის მუშაობა საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომისიაში. ამ კომისიის თაოსნობით უკვე მოწყობით რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია დევიზით „კავკასიის ისტორია, არქეოლოგია,

ეთნოლოგია და ფილკლორისტიკა“, მან, გივი დამბაშიძესთან ერთად, დააარსა კაგაბასის ფონდი, კოორდინაციას უწევდა რეგიონალურ კვლევებს და სხვ.

ბოლო წლებში ბატონი ვახტანგი ბევრს ფიქრობდა ეთნოლოგიაზე, დარგის სადღეისო და სამომავლო პრობლემებზე, უნდოდა თავისი გამოცდილება მაქსიმალურად გამოეყენებინა და მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა ენერგიულად აგრძელებდა მუშაობას. მიაჩნდა და სწამდა, რომ სწორედ ეთნოლოგია არის ის დარგი, რომელსაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებშიც კი, შესწევს ძალა გადაარჩინოს ერი, დაიცვას მისი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, იდენტობა და მენტალობა.

ვახტანგ შამილაძე მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით, ფართო დიაპაზონით, ერუდიციით, ფლობდა კოლეგებთან ურთიერთობის შესაშუალებისათვის და მოკრძალებული, მაგრამ ამავე დროს პრინციპული, თანმიმდევრული, თავის საქმეზე უაღრესად შეევარებული ნამდვილი პროფესიონალი.

75 წლის ასაკი მეცნიერისათვის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაა, ვახტანგ შამილაძეც არ იყო გამონაკლისი: ბევრს ფიქრობდა და განიცდიდა, ქმნიდა პროექტებს, სახავდა მიზნებს, და ამოცანებს, აპირებდა ეთნოლოგ მკვლევართა პერსონალის ანთოლოგიის გამოცემას, ბათუმში გაფართოებული ფორუმის კავკასიოლოგიური სიმპოზიუმის მოწყობას და რა დასანანია, რომ ყველაფერი ეს მას განუხორციელებული დარჩა.

ნინო მინდაძე
გიორგი გოცირიძე

მანანა შილაკაძის გახსენება

ერთხელ, როდესაც ქალბატონმა მანანამ გაიგო, რომ ჩემი გოგონა გერმანულ ბალში დადიოდა, გერმანული წიგნი აჩუქა. მას მერე ქალბატონ მანანას ჩვენს ოჯახში ტანტე მანანას ვეძახდით.

ტანტე მანანა მაშინ გარდაიცვალა, როდესაც საკუთარი შრომის ნაყოფი უველაზე მეტად ახლა, ამ ასაკში უნდა მოეწია; როდესაც სტუდენტების მრავალი თაობისათვის ცოდნა და გამოცდილება ბოლომდე უნდა გაეზიარებინა. მას ხომ საქმისადმი საშური დამოკიდებულება ჰქონდა, ისეთი როგორსაც დღეს იშვიათად თუ ნახავთ. საკუთარი თუ მის მიერ გასწორებული სხვისი ნაშრომი უზადო სიზუსტით და სკრუპულოზურობით გამოირჩეოდა. იყო კეთილმოსურნე, სხვაზე აუგის არმთქმელი. მისი და ბატონი შავლების გამორჩეული და-ძმობა ალბათ ცალკე საუბრის თემაა. შესანიშნავი მეუღლის მეგობარი და უმშვენიერესი ეკოს-ელექტრის დედა.

ზაფხული იყო. გერმანელი სტუმრები-სტუდენტები და ჩვენი კოლეგები, ხალხური ინსტრუმენტების მუზეუმში წავიყვანეთ, სადაც ტანტე მანანა წლების მანძილზე მუშაობდა და სადაც, რა თქმა უნდა თავად გვიმასპინძლა. მუზეუმის შემდეგ კი ლესელიძის ერთ მშვენიერ რესტორანში ჩვენმა გერმანელმა სტუმრებმა-კოლეგებმა გვიმასპინძლეს. იმ დღეს ტანტე მანანა ბოლოს ვნახე სიცოცხლით, იმედჯბით, გვგმებით სავსე იყო. მომწონდა ასეთს რომ ვეხდავდი. შემოდგომაზე კი ავადმყოფობით დამძიმებული, მაგრამ ღმერთოან შესახვედრად მომზადებული დაგვემშვიდობა. „დამბადებელო, მიანიჭე განათლება და ცხონება, ამკვიდრე სასუფეველი, შეუმსუბუქე მონება“.

ნინო ლამბაშიძე

ცხოვრების სანუკვარი მეგობარი



მეტად ძნელია ჩემთვის გწერო წარსულ დროში იმ პიროვნებაზე, ვის გვერდითაც გავატარე სიკოცხლის 45 წელი.

მახსენდება 1065 წელი, საქართველოს მუზეუმი. ადგილი, სადაც პირველად შევხვდი ახალგაზრდა კაცს, სოსო ჭანტურიშვილს. მან მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება თავისი კარგი გარეგნობით, ზრდილობით, ინტელიგენტური მანერით. როგორც აღმოჩნდა, არც ის დარჩენილა

გულგრილი ჩემს მიმართ და ჩვენს შორის გაიბა ის უხილავი ძაფი, რომელსაც სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ჰქვია. დიდხანს არ გვიფიქრია და რამდენიმე თვეში ვიქორწინეული კიდეც. ეს იყო არაჩვეულებრივი პერიოდი ჩვენი თანაცხოვრებისა. ჩემს გაოცებას ყოველთვის იწვევდა ის, რომ მას უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა და რაც მთავარია, ყველა სიყვარულით უგებებოდა მას ყოველთვის. მაშინ ის ახალგაზრდე ასპირანტი გახლდათ, რომელიც დიდ პატივს სცემდა თავის ხელმძღვანელებს: ბატონ გიორგი ჩიტაიას და ქალბატონ ვერა ბარდაგელიძეს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ჩამოყალიბდა სერიოზულ მკვლევარ მეცნიერად. მას არასოდეს დავიწყებია მათი ღვაწლი.

სოსოს ისევე როგორც მე, ძალზედ უყვარდა კლასიკური მუსიკა. ხშირად დავდიოდით სხვადასხვა კონცერტებზე, საოპერო სპექტაქლებზე, შემდეგ სახლში ვაგრძელებდით ამ თემაზე საუბარს. ეს საერთო ინტერესი და გატაცება კიდევ უფრო ადუდაბებდა ჩვენს ერთობას. სოსო ხშირად მეტყოდა ხოლმე: „შენ რომ ასე არ გყვარებოდა მუსიკა, ალბად მე ას არ მეყვარებოდიო“ და მართლაც, მას ფანატიურად უფ-

ვარდა კლასიკური მუსიკა, ამავე დროს ეთაყვანებოდა ქართულ ხალხურ შემოქმედებასაც. თვითონაც ხომ მშენივრად მდეროდა, განსაკუთრებით უყვარდა მრავალეამიერი, რომელსაც საკმაოდ კარგ დონეზე ასრულებდა თავისი სკოლის მეგობრებთან ერთად.

გადიოდა წლები, გვემატებოდა ხანი. მე ყოველთვის მაკვირვებდა ის, რომ მიუხედავად მძიმე სენისა, სოსო მაინც დიდი გატაცებითა და შემართებით ემსახურებოდა თავის საქმეს. მრავალი უძილო დამისა და დიდი შრომის ფასად წერდა თავის წიგნებსა და ნაშრომებს, რაც სათანადოდ დააფასა და აღიარა ქართულმა ისტორიულმა საზოგადოებამ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გარდა მეცნიერისა, სოსო აგრეთვე არაჩვეულებრივი მეგობარი იყო. მას ყველას გასაჭირი გულთან მიჰქონდა. იყო მეგობრებისა და ნაცნობების ქომაგი და გვერდში მდგომი. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა. ის დიდი არმია სტუდენტებისა და ასპირანტების ხომ მისი ერთგული მეგობრები იყვნენ და ასეთად დარჩენენ ბოლომდე.

მინდა დიდი მადლობა გამოვხატო ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც სათანადოდ დააფასა სოსოს ღვაწლი, პიროვნული თვისებები და ჩემთან ერთად გაიზიარა ის დიდი გულისტყივილი, რომელიც სოსოს ამ ქვეყნიდან წასვლამ გამოიწვია.

არ მინდა ჩემი მოგონება პესიმისტურ ნოტზე დავასრულო. მინდა აღვნიშნო, რომ სოსო ბედნიერი კაცი იყო. მას დარჩა ვაჟი, ოთხი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი, რომელთაგან პატარები დღესაც ელიან სოსო ბატუს გამოჩენას.

მანანა ჭანტურიშვილი

"ღვთის პარის შემდეგი"

**ფიქრები მიხეილ ქურდანზე
და მის წიგნზე "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების
საფუძვლები"**

მიშიკო ნანატრი კაცი იყო. ერთადერთი წერილი, რომელიც წასვლის შემდეგ მივიღე, მაშინ, როდესაც დედაჩემს აღარ ესალმებოდნენ ქუჩაში, თვალს არიდებდნენ და ზურგს აქცევდნენ, უცნობმა ახალგაზრდამ მომწერა წერილი, რომელმაც ძალა მომცა, იმედიც დამიბრუნა. დარჩნენ კიდევ ნამდვილები! და აი, ახლა იმ ნამდვილთაგან ნამდვილი აღარ არის. ბოლოს რომ ვნახე, უკვე სიკვდილს ჰყავდა ჩახუტებული...

ახლა ეს დიდი ხნის ნანატრი წიგნი მიკავია ხელთ და ისევ მივდივარ... ნანატრმა კაცმა ნანატრი წიგნი დამიტოვა... რომელმაც ერთი მეტად მტკივნეული განცდა აღმიძრა: 1000 გვერდზე მეტის თავმოყრა ერთ წიგნად კარგს არაფერს ამბობს იმ ვითარების შესახებ, რომელშიც უხდებათ მუშაობა ქართველ მეცნიერებს. დავცქერი გაკვირვებული და ვფიქრობ: ამ წიგნის დამწერს ყოველი თავი დაწერისთანავე რომ გამოექვენებინა, ქართული ენათმეცნიერება ახლა გაცილებით უფრო ღრმად იქნებოდა შეჭრილი ქართველური და კავკასიური ან "იბერო-კავკასიური", თუ ავტორივით ბასკებსაც მივითვლით, ენების საიდუმლოში. ვამბობ საიდუმლოში, რადგან ენა თავისთავად არათუ ყოფიერების მთელი საიდუმლოს მატარებელია, არამედ თავადაც საიდუმლოა, რომლითაც, ევოლუციონისტებისაგან განსხვავებით, ღმერთმა იმთავითვე "გამოთქვა ყოფიერება" და შექმნა ყოველი. მაგრამ ამის შესაძლებლობა არ იყო მოძალებულ ორომტრიალში საქართველოს შესეული არაკეთილმოსურნებისა, რომლებსაც საუბედუროდ მზე ისევე უნათებს, როგორც ვარდებს. ყოველი კულტურა და ყოველი კულტუროსანი კაცის ცხოვრება იდუმალებითაა მოცული – მისტერია. მისტერია კი ხელდასხმასა და განსაკუთრებულ მიზანს გულისხმობს. ეს არის კაცობის გზა.

არის ერთი მნიშვნელოვანი რამ: ხელდასხმის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს მაშინაც კი, როდესაც მისტერია მთლიანად დაფარულია და პროფანული მასაა გაბატონებული: ყანა ნებვთა ველად არის გადაქცეული. ჩვეულებრივ, ხელდასხმულობა გამოხატულია სიტყვებით "ღვთითკურთხეული", "ღვთისნიერი", "ღვთითმოცული", "ღვთისმონა"... რომელთაც დონისე არეოპაგელი საღმრთოთა სახელებს უწოდეს და რომელიც თავისთავად შედის ზემოდასახელებულ სიტყვათა პირველ ნაწილში „ღვთით“. ამას შემოაქვს ნიშნები და მახასიათებლები, სპონტანურად რომ მიეწერება კაცს, რომელშიც ყველა ის თვისება და შემოქმედებითი სიკეთე არის გამოვლენილი, რომელიც შემოქმედის მსგავსებითა და ხატობით კულტურის სიცოცხლისა და ენერგიის წყარო ხდება. ამასთანავე, ეს სიტყვები თუ წოდებანი გამოხატავენ იმ ხელდასხმის იერარქიულ დონეებს, რომელთა ხარისხებსაც წარმოადგენენ.

ხელდასხმულები განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობენ. მათი ყოფიერების ჰორიზონტი შევსებულია სულიერი ღირებულებებით და იმგვარი საქმით (მოღვაწეობით, მოქალაქეობით), რომელიც ააშკარავებს მათში ღვთისშვილებსა და ღვთისკარის ძცველებს. ღვთის კარად იყო განცდილი საქართველო და ქართველობა რუსთველის შემდგომაც, დავით გურაშიშვილთან, სულხან-საბა ორბელიანთან, ვაჟასთან... უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში სიტყვა ღვთითკურთხეული სულ უფრო და უფრო მკვიდრდებოდა სინამდვილეში, და მიეწერებოდა არსებითად ქართული ენისა და ქართულ ენაზე შემომქმედთ. რადგან სწორედ ამ ენაში იქნა კონცენტრირებული არსება ქართულობისა, რომლის გამოთქმა მხოლოდ ქართულ ენას შეეძლო. ყოველივე სხვა ნებვთა ველად იყო ქცეული, როგორც ილია ჭავჭავაძე გოლებდა. შორს რომ არ წავიდეთ ღვთითკურთხეულები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, გალაკტიონი..., ყვე-

ლას ვერ ჩამოვთვლი, რომელთა პოლოგრამები ქმნიან იმას, რასაც ქართული ცხოვრების წესი, ქართული კულტურა და შემოქმედებითი ენერგია ეწოდება. მათი ცხოვრებისეული მიზანი ყოველთვის კულტურშემოქმედია და ვიდრე ეს ენერგია ქმედითად მუშაობს, ქართული კულტურა და ცხოვრებისეული მისტერია, რომელსაც "გიორგიული" ეწოდება, განაგრძობს ზემოქმედებას ცხოვრებასა და იმ გზაზე, რომელზედაც გაუცნობიურებლად დგება რჩეული.

ხელდასხმულობა და რჩეულობა – **ღვთითკურთხეულობა** – თავისი **შედევრობა** ვლინდება მხოლოდ მას შემდევ, რაც გზა უკვე გავლილია და ხელდასხმის უმაღლესი ფორმა მიღებული. აქ ხდება ღვთის კართან მისვლა, რომელიც უკვე საზღვრის გადალახვაა, **შეხვედრა** ღვთისშვილებთან და გასვლა საიქიოში – მისტერია აღსრულებული ხდება. მიშიკო ქურდიანის ცხოვრებისეული მისტერიაც აღსრულდა. აღსრულდა როგორც ხელდასხმული კაცის, როგორც ღვთისშვილის, ვინც არსად დაზოგა თავი, რათა მიეღწია იმ მიზნისათვის, რომელსაც საქართველო, ქართული კულტურა და ქართული ცხოვრების წესი ჰქვია. მტერსაც ეომა და ყველაზე დიდ საიდუმლოს – იბერო-კავკასიურ ენათა ერთიანობასაც შეეჭიდა, რითაც შეაღო "ღვთის კარი", რათა იქ შეხვდეს იმათ, ვინც ფარავს საქართველოს და მცველად უდგას. ამიტომაც მცხეთის მონასტერში – სამთავროში დაიდო ბინა. ეს არის მისი საიქიოში გასვლის კარი...



ტოპოლოგიური განშლით ქართული კოსმოსი ორად არის გაყოფილი: სააქაოდ და საიქიოდ; საიქიოში მოთავსებულია როგორც ზეცა (რადგან ცა სააქაოსთანაა – სააქაოს თავზე), ასევე ქვესკნელი – ორი უკიდურესი და საპირისპიროდ განლაგებული სივრცე-ალაგი, რომელიც არ არის დიუვერნცირებული და სტრუქტურირებული. ზეცა და ქვესკნელი ერთნაირად საიქოს და ამიტომ არის შესაძლებელი "იქ" შეხვედრა, რაც შესაძლოა თვით სიტყვა ქვესკნელშია გამოთქმული: სკნელი-სკნა-სკვნა-ნასკვი-კვანძი. ქართულ მითოკოსმო-ლოგიაში საიქოს არის ქვესკნელისა და ზეცის (ზესკნელის) კვანძი და ამდენად ერთოანი. სააქაოს ტოპოლოგია ისნება ქვეყანით-ყანით-სოფლით-შუა სკნელით და ცით – ეს არის სააქაო ტოპოსი, რომელშიც არსებობს ადამიანი და შლის თავის ყოფიერებას. საინტერესოა, როგორ ხდება ქართულ სედვასა და ჰოლოგრამაში ამ ორი სფეროს შეხვედრა და ვინ არის ამ შეხვედრის მომწყობ-მონაწილე? ვინ არის "დღისა და ღამის შემყრელი" ("ძღვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამის"). საინტერესოა ქვესკნელისა და სამარის მიმართებაც: "ქვესკნელშიც წასულხარ, ჩასულხარ, ქვესკნელამდე გზა გქონია" და ა.შ. –იწყევლება გურული;

სა-მარე არის კარი, რომლის გარეშე ქვესკნელში ვერ ჩახვალ. **მარე** სვანურად ნიშნავს კაცებს; სა-მარე = კაცისა, კაცისათვის, სა-კაც-ე (საინტერესოა, რომ სამარიდან ადამიანი კი არ სახიერდება, არამედ კაცი). ტოპოლოგიურ აღნიშვნათა შორის „და, ჩა“ = ქვევით „ა, ამო“ = ზევით (დადება, ჩადება, ჩადება,... ასკლა, ამოლება, ამოსვლა და სხვა). **ყანა** არის ადამიანის ქმჯდების ნაყოფის გამოძლები, ადამიანის სამუშაო ალაგი; მინდორი კაცის შრომით უნდა გადაიქცეს ყანად. არის ასევე ცა და ზუკა. აქ სახეზეა გარკვეული ასტრონომიული ტოპოლოგია: ცა არის მარინი, „ცის კარის გამლები“; ზუკა არის ვენერას ზევით არსებული სავანეს, რომელშიც მიყოლებით არიან მოთავსებულნი ყველა დანარჩენი პლანეტები და თვით მზეც. ეს ამავე დროს არის სიმბოლური მითოკოსმოლოგია, სიმბოლიზაცია კი ენის წიაღში ხორციელდება და იძენს საზრისს.

ჩემი ჰოლოგრამული ხედვა არ არის მეცნიერული, თუმცა კითხვები, რომლებიც ენათმეცნიერთა წინაშე დაისმის ამ ხედვიდან, პასუხაცემული არ არის. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, მიშიკო იყო პირველი, რომელთანაც შემეძლო ამ თემებზე საუბარი; ჩვენი ურთიერთობა იყო ცნობილი ქართული სასათის ("ჩეიჩოჩე, ძამა ცოტა") სრული დაძლევა და პარალელური აზროვნება, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. საფუძველი ჩვენი ხედვისა საერთო იყო: ჰუმბოლდტის ცნობილი ფრაზა: "პირველსავე წარმოთქმულ სიტყვაში მთელი ენა" – ნამდვილი ჰოლოგრამული ხედვაა, რომლიდანაც მე მითოლინგვისტური სურათი გამომესახა, ხოლო მიშიკოს – მეცნიერული: ამის დიდებული შედეგი ახლა მაგიდაზე მიღევს და ღრმა ფიქრებს ვარ მიცემული.

ენათა ტოპოლოგიის ჩემი მოდელი გულისხმობს ქართველურ ჯგუფში სვანურიდნ განვითარებას ზანურისა და ორივეთაგან (და სხვათაგან) დაგვირგვინებას ქართულით – პირამიდას და არა დამოუკიდებელ სხივებს ერთი წყაროდან გამოსულს. მაგ: ისტორიულად და ლინგვისტურად კოლხური-სვანურის განვითარება გვაძლევს ზანურსა (დასავლეთ კოლხურ ქვეჯგუფს) და იბერო-კოლხურს (აღმოსავლეთ კოლხურ ქვეჯგუფს) – ფარნაგაზის სახელმწიფოს ენას. იბერო-კოლხურის ძველური (დედაქალაქი "ქართ") მეტყველებიდან, ქართულად ნათქმი პირველი სიტყვიდან მთელი სამუშაველო და სამწერლობო ენა გაიხსნა, რადგან ენა იხსნება თავის

შესაძლებლობათა ველში – კი არ ვითარდება, – იხსნება, მიუხედა-
ვად მასში სინთეზირებული სხვადასხვა ენობრივი მოცემულობებისა,
როგორც გვამცნობს "ქართლის ცხოვრება" (ყველა იმ ენის კვალი
არსებობს ქართულში და უფრო მეტისაც, მაგრამ ივი ყოველთვის
თავისთავის ტოლია!), ვითარდება **ქართ-მცხეთის** (ქალაქის-დედაქა-
ლაქის) საკრალური ენა. ფაქტობრივი არქეოლოგიური მონაცემების
არქონის პირობებში, ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო სწორედ **საკრა-
ლური ზეპირი** ენა, მსგავსი **ხატის ენისა**, რომელიც წერილ ფორ-
მასა და სახეს იღებს წიგნიერი **ქრისტიანული რელიგიისა** და
ქრისტიანული კალესის მიერ. ქართული იქცევა წიგნიერების ერ-
თადერთ ენად იბერო-კოლხეთისა და, უფრო ფართოდ, კავკასიის
სივრცეში. ძირითადად, იგი ფარავს მთელ სივრცეს, რომელიც ყა-
ლიბდება როგორც **ქრისტიანული ქართლი...** და **საქართველო**, შესა-
ბამისად ქართულენოვანი ქრისტიანობის გავრცელებისა. იბერო-კავ-
კასიურ ენათა ერთიანობაც არ უნდა იწვევდეს ეჭვს, თუ უახლეს
მონაცემებს გავითვალისწინებთ, გადავიაზრებთ და არ კი უარ-
ვყოფთ...

არქეოლოგიური გათხრები და ქართველური ენები (სვანურ-
ზანურ-ქართული – დიალექტების ზღვით) ადასტურებენ, რომ სამ-
ხრეთ კავკასია წარმოადგენდა წინა და მცირე აზიური რელიგიური
ცენტრების "ნავსაყუდელს". აქ იყო დავანებული თითქმის ყოველი
რელიგიური ცენტრი, რომელიც სხვადასხვა ენობრივ თეოკოსმოლო-
გიურ ჰოლოგრამებს განასახიერებდა და ქმნიდა სამხრეთკავკასიელი
მოსახლეობის არსებით მახასიათებლებს, რომლითაც ეს მოსახლეო-
ბა იდენტური თავის იდენტობას და თვითგამომცნობი ხდებოდა. ამ
თვალსაზრისით არც არის შემთხვევეთი, რომ ელიას ხალენი და
ქრისტეს კარით ქართ-მცხეთაში აღმოჩნდა და იქცა **ქართული** სა-
ხელმწიფოსა და **ქართული კულტურის ცხოვრების** წესის საფუძ-
ვლად. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს ისტორიის მოდე-
ლირება ევროპული ისტორიის ფალიბით სრულიად უსაფუძვლო და
უნიადაგოა.

ეს ჰოლოგრამული მითოლინგვისტიკის ერთი მაგალითი
იყო, რომელზედაც დავიწყეთ საუბარი და რომელიც მეცნიერულ
უარყოფს ითხოვდა, მაგრამ როგორ შეიძლება მითოლინგვისტიკის
მეცნიერული უარყოფა ან დასაბუთება არავინ იცის. ჩვენი საუბრე-

ბიც იმავე სამი წერტილით შეწყდა ჩემდა გულსატკენად და დამამ-წუხრებლად.

მიშიკო რომ აქ იყოს, აუცილებლად იტყოდა თავის აზრს, თავის მეცნიერულ თვალსაზრისს და ვიკამათებდით ან უფრო ზუსტად ვიაზროვნებდით: მძაფრად, დაუნდობლად, მიუ-ხედავად იმისა, რომ მე "ბატონობით" მომმართავდა ყოველ-თვის. მეცნიერთათვის საგალალოდ (თუ საბედნიეროდ!), მეც-ნიერებამ წერტილი არ იყოს, ის სამი წერტილითა და მომ-დევნო კითხვის ნიშნით არსებობს. ამიტომ უნდა იქნას გამოქ-ვეყნებული წამიერად ნაფიქრ-ნაკვლევი, რომ რაც შეიძლება შორს გადაიწიოს ამ სამბა წერტილმა და დაპატარავდეს კით-ხვის ნიშანი. დაპატარავდეს, მაგრამ არ გაქრეს, რადგან მაშინ ეს უკვე მეცნიერება აღარ იქნება და "ჭეშმარიტებას" დაემ-სგავსება, რომლის უკან მრისხანე ცენზორები ჩადგებიან "დოგმების" დასაცავად. დიდად სამწუხაროა, რომ ეს 1000 გვერდიანი წიგნი ავტორის გარეშე დარჩა – კითხვებს, რომ-ლებსაც ის აღძრავს, აღარ ეყოლება პასუხის ნამდვილი გამ-ცემი – მიხეილ ქურდანი: კაცი, მამულიშვილი, ქართველი, მეცნიერი, პოეტი, მებრძოლი თავის ბედისა, ხელდასხმული გიორგიელი და ჩემი ახალგაზრდა მეგობარი...

თუმცა ახალგაზრდობა, როგორც ჩანს, სრულიად პირობითი ცნებაა... ხოლო მეგობრობა წლოვანებას არ ითვლის...

ჩვენ კი ვიკითხოთ ეს წიგნი და შევეცადოთ, რაც შე-იძლება შორს გავიტანოთ ის სამი წერტილი, რომლითაც "იბ-რიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობისა" და "ენათმეცნიერების საფუძვლების" ეს დიდი მეცნიერული სინთეზი და პოლოგ-რამა მთავრდება.

დიდი დანაკლისია!!

ჯანრი კაშია
პარიზი, ნოემბრის 17, 2010 წელი

შესანიშნავი მკვლევარი და უანგარო მოღვაწე

ბატონმა მიხეილ ქურდიანმა 1040 გვერდის მოცულობის ფუნდამენტური მონოგრაფია დაგვიტოვა, რომელიც ერთადერთი აკადემიური წიგნია მისთვისაც და ჩვენთვისაც – მეტი ვედარ მოასწრო... საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ერთი შეხედვით თითქოს ძალზე პრეტენზიულად მოეჩვენება ამ დიდებული ნაღვაწის სახელწოდება “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები”, მაგრამ ვინც დეტალურად გაეცნობა მას, უმალვე მიხვდება, რომ ეს წიგნი ღრმა ინტერდისციალინარული კვლევის უაღრესად მსხმიარე ნაყოფია. მასში წარმოდგენილია ლინგვისტიკის არაერთი სფერო, ისტორია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ფოლკლორი.

საეტაპო ნაშრომში დიაქტონული ენათმეცნიერების მოთხოვნათა დონეზე არა მარტო დადგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობა (თანამედროვე ლათინური ტრანსკრიფიოურო), არამედ ნებისმიერი თეორიული დებულება, შედარებისა თუ კანონზომიერ რეგულარულ ფონემათ შესატყვისობათა რეკონსტრუქციის პროცედურა და საბოლოო დასკვნები მკაცრად გერიფიცირებადია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ ავთანდილ არაბულის აზრით, ესაა შემაჯამებელი ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიაში, რომლის დასრულებით იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერება “ფინიშის სწორზე” გავიდა.

მაინც რას ნიშნავს ჯვარედინი ვერიფიკაცია? – ავტორის მიხედვით, ისტორიული დერივაციის ფონებურ კანონზომიერებათა დადგენა არსებითად ჰიპოთე-

ტურ ფარდობათა შემოწმების აუცილებელ პროცედურებს ექვემდებარება. ვერიფიკაციის სამივე საფეხური (მასალობრივი, სისტემური თუ ტიპოლოგიური) წიგნში საფუძვლიანადაა განხილული, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს კავკასიოლოგიური სკოლის სულისჩამდგმელისა და დამაგვირგვინებლის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მოძღვრების საყრდენ თეზისს: “რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით მეტია საერთო”.

კავკასიოლოგიაში დიდი ხანია ცნობილ ფონემათ შესატყვისობათა კიდევ ერთხელ გადამოწმების გარდა, “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებში” დადგენილია სრულიად ახალი კანონზომიერებანი ქართველურ და ნახურ ენათა სიბილანტებს შორის, ნახურ-დაღესტნური და ქართველური ფუძეენების ხმოვანთშესატყვისობანი, აგრეთვე ლატერალთა რეგულარული თანაფარდობანი ბასკურ, ქართველურ და დაღესტნურ ენებში. ავტორის აზრით ნებისმიერი ჩრდილოკავკასიური ჯგუფის დიფერენცირებული ბერები შესატყვისობის გამოვლენა სამხრეთკავკასიურ, ანუ ბასკურ-ქართველურ ჯგუფთან საკმარისი პირობება ფორმალური თუ სემანტიკური რეკონსტრუქციისათვის იბერიულ-კავკასიური ფუძეენის ქრონოლოგიურ დონეზე. შევნიშნავთ: ალბათ, გაცილებით დიდი სირთულეები გვექნება სემანტიკათა შინაარსის ადგიგნისა ამ შემთხვევაში.

ჭეშმარიტების ძიების გზაზე ანალიზურ-სინთეტურ აზროვნებაში თანაბრად ძლიერი მკვლევარი უკომპრომისოა თვით უდიდესი სამეცნიერო ავტორი-ტეტების წინაშეც კი; ამ თვისების საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ძალზე ორიგინალურია მისი თვალსაზრისი კოორდინატთა სივრცის უნივერსალურობის, იდენტურ ბერებით შესატყვისობათა და ინდუქციის, როგორც კომპარატივისტული

მეთოდის საყრდენი დერძის, შესახებ... ამ შესანიშნავი მონოგრაფიის კითხვისას მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ “ინდივიდუალური გონების გამონათება თითქოს უმარტივესად ხსნის პრობლემათა ურთულეს ხლართს” (ა. არაბული).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენათა დიფერენცირების მიხეილ ქურდიანისეული სქემა სრულიად განსხვავდება ბრწყინვალე გერმანელი ქართველოლოგის გერპარდ დეეტერსის სქემისაგან (ამ უკანასკნელს ვიზიარებო, ძირითადად, ქართველურ ენათა მკვლევრები), მაინც მთელი მისი სისტემა აგებულია ძალზე მწყობრად, ვინმესთან ან რამეზე ყოველგვარი კომპრომისების გარეშე, მაგრამ საოცრად კორექტულად, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ კონსონანტოა კომპლექსების თვალსაზრისით საანალიზო მონოგრაფიის ავტორის მიერ სვანურ-ზანური ერთიანობის დაშვება თითქოს შესაძლოა კიდევ (შდრ. არნოლდ ჩიქობავას, ქეთევან ლომთათიძისა და კარლ ჰორსტ შმიდტის თვალსაზრისები), მაგრამ რა ვუყოთ ხმოვნებს? – აქ ხომ აშკარაა სწორედ ქართულ-სვანური (და არა სვანურ-ზანური) ერთიანობა, ხოლო, თუ სადმე რაიმე ანომალიაა, თითქმის ყველაფრის ახსნა შეიძლება სვანური უმლაუტითა და ხმოვანთა პოზიციური თუ არაპოზიციური სიგრძით.

ძალზე ფრთხილია მიხეილ ქურდიანი გარკვეულ ძირთა ეტიმოლოგიური კვლევისას, რისი დასტურიცაა ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ყველა ჯგუფის ლექსემათა თუ არქიფორმათა ანალიზი მოცემულია ცალ-ცალკე, მერე კი ეს ყველაფერი განხილულია რეკონსტრუირებული იბერიულ-კავკასიური ფუძეენის დონეზე. თანამედროვე ზოგადლინგვისტური თეორიებისა თუ კონკრეტული ენობრივი მასალის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით განხილვის საფუძ-

ველზეა დამუშავებული საერთო იბერიულ-კავკასიურ ენის სემანტიკური ლექსიკონი (გვ. 625-660) და ბასკურ-ქართველური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (გვ. 661-696), რომლებიც მოიცავენ, ერთი მხრივ, ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ, ხოლო, მეორე მხრივ, ბასკურ-ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ლექსიკას. რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადილურ ენათა ვერიფიცირებულ ფონემათშესატყვისობათა გამზადებულ მასალებს, მათი გამოქვეყნება მიხეილ ქურდიანმა ვეღარ მოასწრო (იგივე ხვედრი ხვდა წილად მის მომდევნო წიგნსაც “ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ”).

ძირითადი დასტვნა ასეთია: ენათმეცნიერთა გარკვეულ წრეში (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი წარმოადგენს გენიალოგიური (და არა ტიპოლოგიური) კლასიფიკაციის ცნებას. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენების საფუძველზე რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა გამოვლენის ფორმით დადგინდა, რომ ე. წ. ჩრდილო-კავკასიური ენები (აფხაზურ-ადილური და ნახურ-დაღესტნური) არ ავლენენ უფრო მეტ სიახლოებეს ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი – სამხრეთ-კავკასიურთან (ბასკურ-ქართველურთან).

მიხეილ ქურდიანი საგანგებოდ ემზადებოდა პრეზენტაციისთვის, მაგრამ მუხოლოდ წუთისოფელმა უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე უაღრესად ერუდირებულ და ფეხომენალური ნიჭით დაჯილდოებულ ავტორს, რომელმაც ძალზე რთული ცხოვრება განვლო 56 წლის მანძილზე. მას მოუხდა არაერთი იძულებითი ნაბიჯის გადადგმა როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში, რამაც ძალზე მტკიცნეული დაღი დაასვა დიდებული მკვლევრის ჯანმრთელობას.

როგორც იქნა 1998 წელს სასტამბოდ გამზადდა კავკასიოლოგთა სამაგიდო წიგნი, მაგრამ ტექნიკური პრობლემების შედეგად მთლიანად განადგურდა ტექსტის ელექტრონული ვერსია, გადარჩა მხოლოდ საკორექტუროდ გამზადებული ამონაბეჭდები. ამის შემდეგ ხელახლა დაიწყო პოლიგრაფიული ბატალიები და მაინც 2005 წლის ნაცვლად “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიჯერების საფუძვლები” გამოქვეყნდა 2007 წელს.

სულ ახლახან ორმოცი დღე გავიდა მიშას “ზესთასოფელში” გადაბრძანებიდან – მცხეთაში განისვენებს მამა გაბრიელის გვერდით, მისი ნანატრი სამთავროს მონასტრის ეზოში, რაც მარტო მისთვის კი არა, ჩვენთვისაც ძალზე იოლი გადასატანია – მონასტერი ხომ მშფოთვარე სულთა საოხია.

თვალწინ გვიდგას არაჩვეულებრივი ორატორის, არაერთი საჯარო გამოსვლა – ყოველთვის ალალი, ხანდახან ფანტასტიკურიც კი (ემელიან ქურდიანის ვაჟი ხომ პოეტიც იყო!), მაგრამ მაინც ფსევდომეცნიერულ მსჯელობასთან უკომპრომისო, შეუვალი, ცხარე. ნებისმიერი ავტორიტეტი მისთვის არაფერს წარმოადგენდა თუ ის უნამუსოდ ტყუოდა. ამა წლის იანვარში ერთად გახლდით იტალიაში გაჩერატას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე “სიახლეები კავკასიოლოგიაში”. ერთ-ერთი მოხსენება ჰქონდა კენეციის უნივერსიტეტის საკმადი მაღალი დონის პროფესორს – ეროვნებით სომეხს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ!), რომელმაც დიდი ამბით დაიწყო მტკიცება ქართული ანბანის შექმნის მესროპ მაშტაცისეული ვერსიის შესახებ, ლეგენდის სახითაც კი რომ აღარ სჯერა დღეისათვის აღარავის. საშინლად განერვიულდა მიშიკო და პაექტობისას თავისი ბრწყინვალე რუსულით ცდილობდა, დაემტკიცებინა მომხსენებლის აზრთა უსაფუძვლობა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ვენეციელ პროფესორს ნერვიც არ შესტოკებია სახეზე, ჩვენი პროფესორი კი კინალამ კათედრაზევე ჩაეფეროვლა ისე ღელავდა. მივხვდი, რომ მომსენებელმა რუსული არ იცოდა და სასწრავოდ ვუჩურჩულე მოკამათეს, მსჯელობა ინგლისურად გაეგრძელებინა (იმ სხდომის თავმჯდომარე გახლდით). ძალიან ერიდებოდა: “სულ ახალი ნასწავლი მაქვს ინგლისური ენა; ალბათ შეცდომებს დავუშვბო, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო – კამათი გაგრძელდა ინგლისურად და მომსენებელი იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა არა მხოლოდ მოპავქრისათვის, არამედ მთელი ქართული დელეგაციისთვისაც. მაშინ მიხეილ ქურდიანმა ძალზე უხერხული სიტუაციიდან იხსნა ვენეციის უნივერსიტეტის ორი პროფესორიც – ქართველოლოგი ლუიჯი მაგარეტო და გაგა შურდათ. სამწუხაოდ მიშა ვერც ამ კონფერენციის მასალების გამოქვეყნებას მოესწრო. დღვ-დღვზე გამოვა გაჩერატას უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებული, რომელშიც მისი სტატიაც იბეჭდება და რომელიც ეძღვნება ჩვენგან უდროოდ წასული მეცნიერის ნათელ ხსოვნას.

საოცარი იუმორი და იმიტაციის უნარი ჰქონდა. ძალიან ხშირად ბაძავდა ცნობილ ადამიანებს; განსაკუთრებით გვიყვარდა მიშიკო მაშინ, როცა ის ჩვენი მოძღვართმოძღვრის, აკადემიკოს არნოლდ ჩქობავას მეტყველებას აცოცხლებდა. თვალები რომ დაგეხუჭა, ვერაფრით დაიჯერებდი, რომ შენს წინაშე არ იდგა ბატონი არნოლდი.

სვანი იყო, მაგრამ სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილს თავისი “აკვნის ენა” არავინ ასწავლა (მითუმეტეს დედა კახელი ჰყავს!), ამიტომ სვანური ენის სპეციალისტს ძალიან მანქბივრებდა და სულ მეფერებოდა: ჩემი ოჯახის ლხინით იღენდა, ჭირი კი გულს უმძიებდა. ჩვენს ერთ-ერთ სუფრასთან ქალბატონმა

რუსუდან სეფისკვერაძემ უთხრა: ჩემი და თქვენი თანაკლასელი იყო და შინ სულ იმას ამბობდა – მიშიკო ქურდიანი უგზოუკვლოდ განათლებული ბიჭია, მასეთი მოსწავლე ჩვენს სკოლაში კი არა, მთელ საქართველოშიც არავინ იქნებაო”. ნეტავ გენახათ როგორდაიმორცხვა ბრწყინვალე კომპოზიტორის შექებაზე!



მიხეილ ქურდიანი, იზა ჩახტლაძე, რუსუდან იოხელიანი

ენათმეცნიერების ინსტიტუტში 26 წელი ვიმუშავეთ ერთად და წლების უმრავლესობა ერთ განყოფილებაში გავატარეთ. ერთხელაც მთელი სერიოზულობით გამომიცხადა: “სიცოცხლეშივე ძეგლი უნდა აგიგოთ მესტიის ულამაზეს სკვერში; ხომ იცით, ქურდიანების უმრავლესობა არქიტექტორია, ოღონდ იქნებოდორმე დაგგაზავოთ მე და ლევან ლვინჯილია – ვერაფრით გადავწყვიტეთ, რომელი კაბით შეგმოხვოთ, ამიტომ ხომ არ აჯობებს ვენერას სტილში დაგიდგათ ძეგლიო?” ხომ წარმოგიდგენიათ, მართლა რომ განეხორციელებინათ ჩანაფიქრი, რა ამბავი ატყდებოდა სვანეთში?!

სამი თვე იავადმყოფა, უმძიმეს მდგომარეობაში იყო – განუკურნებელი სენი სჭირდა, სასტიკი დიეტა

დაუნიშნეს ექიმებმა. ამ დროს უნდა გამოქვეყნებულიყო ჩენი 840 გვერდიანი წიგნი “კოდორული ქრონიკები”, რომლის მთავარი რედაქტორია მიხეილ ქურდიანი. ისე ცუდად იყო, ვიფიქრე, იქნებ ოდნავ მაინც გამოკეთდეს-მეოქი და გამომცემლობის დირექტორს ვთხოვე, ერთი ცალი მაინც დაებეჭდა. ჩემმა ყოფილმა ასპირანტმა, ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა, ქეთევან მარგიან-სუბარმა წაუდო პირველი ეგზემპლარი საავადმყოფოში... ისე გახარებია, კითხვაც კი დაუწყია: აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეებს (გოლგოთის გზა) კოდორისა და ჭუბერის ხეობები პქონდა გავლილი 1992 წელს, ამიტომაც ესალბუნებოდა “კოდორულ ქრონიკებში” მოთხოვნილი ეპიზოდები მისი სულის ხვეულებს.

თითქმის ყველა სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, მაგრამ მე მისი დაწერილი რეცენზია არასდროს მინახავს – ზეპირი გამოსვლები პქონდა ხოლმე, ამიტომ ძალიან შემეშინდა, როცა ჩემი ასპირანტის – რუსუდან იოსევლიანის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტად დანიშნეს. მთელი ოვე ვურებავდი, ვახსენებდი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! – იმდენ ადგილას მუშაობდა და იმდენი საქმე პქონდა, რომ დღედაღამ მუხლაშაუხრელი შრომის მიუხედავად მაინც ყველაფერს ვერ ასწრებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა ინსტიტუტში, ჩაიკეტა თავის კაბინეტში (ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამბე იყო) და ერთ დღეში დაწერა ისეთი რეცენზია, რომლის მსგავსს სხვები ერთ თვეშიც კი ვერ მოიფიქრებდნენ.

გვ, საოცრად გამორჩეული ნიჭის პატრონი დააკლდა უნივერსიტეტებსაც, გელათისა და სასულიერო აკადემიებსაც, ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც,

საპატიოარქოსაც, რუსთაველის საზოგადოებასაც, ქალაქებაც და, უპირველეს ყოვლისა, თავის ოჯახებს – ხუთი საუკეთესო შვილის მამა იყო. მიშას მეუღლეც არაჩვეულებრივი ჰყავს. პროფესორმა სოფიო ლობჟანიძემ მიატოვა ყველაფერი – ოჯახიც, სამსახურიც და სამი თვის განმავლობაში სააგადმყოფოში მწოლიარე ქმარი ფაქტიურად ძალად აცოცხლა. როცა აგონიაში იყო, მაშინაც კი მეცნიერებით ჰქონია გონება გადატვირთული; თურმე სოფიკოს ეუბნებოდა: “ხედავ, ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე როგორ მაქებს ქალბატონი დამანა მელიქიშვილი, ამას ნამდვილად არ მოველოდიო” (თითქმის ყველა სხდომაზე მწვავედ კამათობდნენ ხოლმე ორივენი). ეს რომ დამანას ვუთხარი, იმდენი იტირა, ძლივს დავამშვიდე: “მიუხედავად იმისა, რომ სულ “ვჩხუბობდით”, მაინც ძალიან მიყვარდა მიშიკო – ეს რა უბედურება დაგვემართაო!”

როცა მის სანახავად მივედი, ისეთი დასუსტებული დამხვდა ამოდენა ვაჟგაცი, რომ ძლივძლივობით ლაპარაკობდა, მაგრამ მე მაინც მხიარულად ვიქცეოდი, ვეხუმრებოდი. ის აშკარად მიხვდა ჩემს მსახიობობას და ამიტომ იმედიანად გამომემშვიდობა:

- არ ინერვიულოთ, ქალბატონო იზა, მე მალე დავდგები ფეხზე და ყველაფერი გარგად იქნება (აქეთ მამშვიდებდა); დამპირდნენ, რომ სამ დღეში გამწერენ სახლში...
- ჰოდა, იქ მოვალთ შენს სანახავად-მეთქი.
- მობრძანდით და ჩვენც შინ დაგხვდებითო.
- კი დაგვხვდა, მაგრამ...

იზა ჩანტლაძე

ქვალი ნათელი

...ყოველთვის “ბატონო მიხეილით” მივმართავდი. თითქოს ეხამუშებოდა... როცა თავის განყოფილებაში მიმიღო, პირველსავე დღეს მითხოვა: “არავითარი ოფიციალურობა, არავითარი “ბატონო” და “ქალბატონო”, ჩვენ ხომ ორივენი მულახლები ვართო”. თავში გამიელვა, რომ მულახლობაზე თავგამოდებული ამ ორი ადამიანიდან არც ერთი არ ვიყავით იქ დაბადებულ-გაზრდილი. ჩემდა უნებურად გამედიმა. მიშა შეცბა, თითქოს სიტყვა პირზე შეეყინა და, ცოტა არ იყოს, ციგად მკითხა: “სასაცილო რა ვთქვიო?” მივხვდი, იფიქრა: “ჩემს სვანობაზე გაედიმაო”, მაგრამ, როცა განვუმარტე და ხუმრობით ჩვენი თავი უიარადოს გმირების კონტრექსტიც მოვისხენიე, ოფონდ შეცვლილი ასპექტით (“არც ერთი იყო თბილისელი, არც მეორე ჭუბერელი, ორივენი დიდი მულახის შვილები იყვნენ-მეთქი”), გულიანად გაიცინა.

როდესაც ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა, ბატონმა მიშამ ზედმეტად მაღალი შეფასება მისცა (ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა). მე – ვიფიქრე: “უნდა, რომ წამახალისოს-მეთქი”. ერთ დღეს ჩვენს ბიბლიოთეკაში შევედი და უცებ ბიბლიოთეკარის შეძახილი მომწვდა: “აი, თვითონ ავტორი მოვიდაო!” აღმოჩნდა, რომ ჩემთვის სრულიად უცნობი გოგონა, რომელიც საპატრიარქოს უნივერსიტეტის მაგისტრანტი იყო, გვარად ლიპარტელიანი, ჩემს წიგნს ეძებდა. გამიკვირდა, რადგან ნაშრომი სულ ახალი გამოსული იყო და ვკითხე, “რომელმა ლექტორმა მიგითითაო-მეთქი?” “ბატონმა მიხეილ ქურდიანმა ასე გვითხოვა, ვინც სვანურში აპირებს მუშაობას, ეს წიგნი აუცილებელად უნდა წაიკითხოს”. ეს ჩემთვის ერთ-ერთი უდიდესი ჯილდო იყო, რაც კი ცხოვრებაში მიმიღია...

...საავადმყოფოში პირველად რომ მოვინახულე, არც ისე ცუდად იყო, ყოველ შემთხვევაში დიდხანს ვისაუბრეთ. “რას აკეთებო?” – მკითხა. ჩავთვალე, რომ შეკითხვა განყოფილების გეგმურ სამუშაოს ეხებოდა და ვუპასუხე: ”მაქსიმე ქალდანის მიერ აღმოჩენილი ფონეტიკური კანონზომიერებების თავმოყრადაფიქსირებას ვახდენ-მეთქი”. ”ამას არ გეკითხები, შენ რაზე მუშაობო?” მივხვდი, სხვა პასუხი უნდოდა და... “ახალ წიგნზე ვმუშაობ-მეთქი” – ჩემდა უნებურად წამომცდა... ეს ტყუილი იყო (იმ დროს მხოლოდ იდეა არსებობდა!) – უნებლივთ, მის გასახარებლად ნათქვამი ქვეცნობიერი ტყუილი. მიშას ისეთი აღფრთვანება გამოეხატა სახეზე, რომ უკან ვეღარ დავიხვდი (ამას ახლა აღარ ვნახობ, მაშინ კი ძალიან განვიცადე). თემა მკითხა. მივუგე – “ევიდენციალიზმი სვანურში-მეთქი”. თანაც სულ ახალი ინფორმაცია მქონდა: საგანგებოდ ამ თემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო ბირმინგჰამში. აღმოჩნდა, რომ არც ეს იყო მისთვის ახალი. ზოგად ლინგვისტიკაში ევიდენციალიზმის პრობლემის აქტუალობაზე დაიწყო საუბარი და რამდენიმე პრაქტიკული რჩევაც მომცა. მაინც გულდამბიმებული წამოვედი, მაგრამ შეცდომითა თუ ტყუილის თქმით ჩადენილი ცოდვის გამოსწორების გზა მაშინვე ვიპოვე: მალე საკითხის შესწავლის ისტორია უკვე მზად მქონდა და ძირითად ნაწილზეც გადავვდი.

შემდეგ მისვლაზე არც ისე ყოჩადად დამხვდა, თუმცა ჩვეული ენთუზიაზმი მაინც ეტყობოდა: მთხოვა, იტალიაში დასაბეჭდი სტატიის გადავადების შესახებ მიმეწერა ვიტორიო ტომელერისთვის, რაც სასწრაფოდ შევუსრულე და პასუხიც დადებითი მოვიდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ამ მდგომარეობაში თუ ისევ ჩემს წიგნზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს, მაგრამ ასე არ მოხდა. გამოცემის ხარჯები ახსენა – ინსტი-

ტუტს შესაძლებლობა არა აქვსო, ტარიელ გურგენიძის გამოცემელი ნაშრომი მოიყვანა მაგალითად... როცა ვუთხარი, “ჩემი ხარჯით გამოვცემ-მეთქი” (უკვე თამამად ვუთხარი, რადგან “დანაშაული” ნაწილობრივ გამოსყიდული მქონდა), გაუხარდა – “ფონეტიკა მოიცდის... ეს ჩვენი პროფილია და თანაც დროულიო” (ამ “დროულის” დაკონკრეტება ვერ ვთხოვე, თუმცა კი ძალიან დავინტერესდი). ვუთხარი: “ქალბატონი იზა ჩანტლააძე ალბათ არ დამზარდება რედაქტორობას, მაგრამ ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებამაც ხომ უნდა წაიკითხოს? თქვენ თუ გეცლებათ (“თუ შეგეძლებათ” ვეღარ ვუთხარი), დიდი ბედნიერება იქნება-მეთქი”. ახლაც ყურებში მიდგას მისი “არ გრცხვენია?!”, რომელიც ერთხელ ან ორჯერ კი არა, ოთხჯერ თუ ხუთჯერ გაიმეორა...

ერთხელ ქართველურ ენათა განყოფილებაში შევედი და იქ მიშა დამხვდა. მისთვის ჩვეული ემოციით მჭევრმეტყველებდა მულახზე თუ ქურდიანებზე, კარგად არ მახსოვეს. როცა დაამთავრა, ბავშვობაში დაწერილი ლექსი გამახსენდა და, არ ვიცი, როგორ გავბედე, მაგრამ წავუკითხე კი:

**ფერთა სიმრავლე, კოშკთა სიუხვე,
მთის შევერცხლილი კალთა...
ზეცის სილურჯე, თეთრი ჭიუხი,
მზე – ოქროსფერი ბალთა...
გაზღაპრებული შემოღამება,
ლილედ” მოსული დილა,
კლდეს შეფრენილი შხეფის დაბნევა
მოლზე იების ლილად...
სამარგიანოს... საქურდიანოს...
ნამუსს თავად და ბოლოდ –
ამას ყველაფერს, ყველაფერს
ერთად მულახი ჰქვია მხოლოდ!**

როგორც ჩანს, ეს მისი საუბრის დასკვნად მიიჩნია და: “აი, ხედავ? რა კარგია! რა კარგია!” მერე მე ჩამექითხა: “ხომ კარგია?” – ვერ მიხვდა ჩემი რომ იყო... მარგიანებიც გაიხსენა, ქურდიანებიც... მულახზე უნდოდა საუბარი, მულახლობის მუდმივი განცდა ჰქონდა, ჩემთვის კარგად ნაცნობი ნოსტალგია იმისა, რაც სინამდვილეში არც ერთს არ გვქონია... მე მეს-მოდა მისი...

“მის ამქვეყნით გაყვანას მხოლოდ ერთი ახსნა ეძებნებაო – ბრძანა მეუფე დანიელმა ბატონი მიშას გარდაცველებიდან მეორმოცე დღეს – სამშობლოზე და ადამიანებზე შეევარებული მიხეილის მისია იქ უფრო დიდია; ალბათ, იქ ანთია სანთლად ჩვენთვის მლოცველი მისი სულიო” – მალამოდ მოეცხო ჩემს გულს ეს სიტყვები...

არაერთი ძეირფასი ადამიანი მაკლია, მათ შორის ოჯახის წევრები... მათთვის მიმითვლია ბატონი მიშა, რომლის ხსოვნა არათუ სანთლად, კირიონად მენთება მუდამ...

თხოვნა, “ბატონობით” აღარ მიმემართა, საბოლოო სიტყვაშიც ვერ შევუსრულე, მაგრამ არა სუბორდინაციის ან უცხოობის გამო, არა! ის თავისი გამჭვირვალე სულიო, უღალატო ბუნებით, უსაზღვრო თავისუფლებით აზრისა თუ სიტყვისა, სიამაყით (არა ამპარტაგნობით!) და, თუ გნებავთ, გარეგნობით, ბოლომდე დარჩა ჩემთვის მოწინების საგნად – ის ნამდვილი ბატონი იყო, ნამდვილი რაინდი, ნამდვილი “მულახელი ვარგი”... დაბოლოს, ნამდვილი კაცი, ადამიანი. სიტყვას ერთი ძველი ლექსით დაგასრულებ:

“ზოგი კაცობას თამაშობს,
ზოგი კაცია მართლა;
მართლა კაცები ცოტაა,
სხვათა არა აქვთ დათვლა...”



მიხეილ ქურდიანი და ქეთევან მარგიანი-სუბარი

თქვენ იმ უმცირესობაში ბრძანდებით, ჩემო ბატონო
მიშა, ვისაც დვთის რჩეულობა ხვდა წილად, ვინც
“კვალი ნათელი” დატოვა ამქვეყნად!

ქეთევან მარგიანი

სარჩევი

რედაქტორისგან 3

ისტორია

History

ხათუნა იოსელიანი

სამხედრო შენაერთების აღმნიშვნელი
ქართული ტერმინოლოგია 4

Khatuna Ioseliani

Terms Denoting Military Units in Georgian 13

შალვა გლოველი

ქართველ მეფეთა ტიტულატურის
შესახებ - „მეფეთა-მეფე“ 14

Shalva Gloveli

About the Title of the Georgian
Kings – “Mepeta Mepe” 23

ანდრო გოგოლაძე მედეა გოგოლაძე

ტერმინ „ალექსანდრეს კარის“
წარმომავლობის საკითხი 24

Andro Gogoladze, Medea Gogoladze

The Origin Issue of the Term
“Alexandres Kari” 42

ნათია აბაშიძე

ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაფელის
ისტორიულ-პოლიტიკური პორტრეტი 43

Natia Abashidze

- Historical and Political Portrait of Ivane-Kvarkvare
Tsikhisjarel-Jakeli 53

ზურაბ სულაბერიძე

- კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი
და აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის
საკითხები XIX ს-ის 60-იან წლებში
(1866 წლის აჯანყება და პირველი მუჭაჯირობა).... 55

Zurab Sulaberidze

- Mikhail Romanov, Vicegerent of the Caucasus and the
Problems of the Political History of
Abkhazia in the 1960s 87

ეთნოლოგია**Ethnology****ლავრენტი ჯანიაშვილი**

- ქვემო ქართლის აზერბაიჯანლების თანამედროვე
ქართულ საზოგადებაში ინტეგრაციის ეთნო-
კულტურული ასპექტები 88

Lavrenti Janiashvili

- Ethnocultural Aspects of Kvemo Kartli Azerbaijanians
Integration into Modern Georgian Society 103

დავით ჭითანავა

- სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა
„ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა 105

David Chitanava

Pitcher Burials, Cult of Zedashe and the Idea of Resurrection and Revival of the life	118
ირმა კვაშილავა	
ოსთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის ზოგიერთი თავისებურებები	119
Irma Kvashilava	
Some Peculiarities of the Ossetians	
Every-day life and Culture	131
ეთნოლინგვისტიკა	
Ethno-Linguistics	
ავთანდილ სონდულაშვილი	
ეთნიკური ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი	132
Avtandil Songhulashvili	
Some issues of ethnic terminology	143
გია კვაშილავა	
ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2). გარდული	144
Gia Kvashilava	
On Reading Pictorial Signs	
of the Phaistos Disk and	
Related Scripts (2). <i>Rosette</i>	237

ისტორიული გეოგრაფია **Historical Geography**

პაპუნა გაბისონია
მანავის ისტორიიდან 363

Papuna Gabisonia
From the history of Manavi 375

გიორგი გრძელიძე
ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარი სოფელ
პატარა ლილოში 376

რელიგია და ეპლესიის ისტორია
Religion and History of Church

ირმა კვაშილავა
ქართველთა ქრისტიანული
სარწმუნოების შესახებ 381

Irma Kvashilava
About the Christianity of Georgians 396

მაია შაორშაძე
კათოლიკოს-პატრიარქი კირილე II (ციციშვილი)
და მისი მოღვაწეობა 397

Maia Shaorshadze
Catholicos-Patriarch Kirile II (Tsitsishvili)
and His Activity 410

წყაროთმცოდნეობა Source Study

ესმა მანია

აფხაზეთი ქართველ მოღვაწეთა ეპისტოლეებში
(XIX ს. 80-იანი – XX ს. 10-იანი წწ.) 412

Esma Mania

Abkhazia in the Epistles of the Public Figures of Georgia
(From the 1880es till the 1910es) 421

მითოლოგია

Mythology

ნანა ბახსოლიანი

ფრიგიულთა მეფე მიდასი
მითი და რეალობა 423

Nana Bakhsoliani

The Phrygian King Midas
Myth and reality 431

პოლემიკა

Polemics

დაგით მერკებილაძე

რას გვთავაზობს სერგეი მარკოვი და
საქართველოს რუსეთთან
„შეერთების“ საკითხი 432

ხსოვნა In Memoriam

ნინო ლამბაშიძე
თინა ოჩიაურს 455

გიორგი გოცირიძე, ნინო მინდაძე
მეცნიერების დანაკლისი
(ვახტანგ შამილაძე) 456

ნინო ლამბაშიძე
მანანა შილაკაძის გახსენება 460

მანანა ჭანტურიშვილი
ცხოვრების სანუკვარი მეგობარი 461

ჯანრი კაშია
"ლეთის კარის შემდები"
ფიქრები მიხეილ ქურდიანზე
და მის წიგნზე "იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერების საფუძვლები" 463

იზა ჩანტლაძე
შესანიშნავი მქონევარი და უანგარო მოღვაწე
(მიხეილ ქურდიანი) 470

ქეთევან მარგიანი-სუბარი
„კვალი ნათელი“
(მიხეილ ქურდიანი) 479

